ჯიმი ჯალიაშვილი: 3

**დღეს საქართველოს აშშ ელჩი მართავს, ფაქტობრივად, ის არის ჩვენი პრეზიდენტი**

გიორგი ციციშვილი: 15

**სანამ ქართული მოსეს გზა დაილევა, ქართველობა გადაშენდება კიდეც!**

## პარლამენტის თავმჯდომარე მარგინალია 12

9



ტარიელ გაგნიძე:

**პირველებმა ამ მავნებლური ტენდენციის წინააღმდეგ ხმა ქართველებმა ამოვიღეთ**


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

27 მაისი — 2 ივნისი, 2009 №14

# საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net


# ჰა ბურთი, ჰა მოედანი

2



## ლეონიდ რაქიხოვსკიმ ოპოზიცია შეარჩევნა 18

## 30 პრეზიდენტი საბრალდებო სკამზე უნდა დავსვათ!

# რატომ არ არის



4

# მიშა ალექსანდრე

## გურამ ოდიშარიას მამის საფლავს აფხაზები უვლიან

6



გურამ ოდიშარია:

**აფხაზებს კი არა შუამავლის გარეშე ქართველები ველარ ველაპარაკებით ერთმანეთს**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ჰა ბურთი, ჰა მოედანი!

**ევროპისგან განსხვავებით, სადაც უზენაეს ღირებულებად „მართლმსაჯულება" ითვლება, აფრიკაში მთავარია დაპირისპირებულთა შერიგება და არა — დამნაშავეთა ფორმალური დასჯა. ერთი სიტყვით, შავ კონტინენტზე ჭეშმარიტებას არავინ დაეძებს, იქ მთავარია, დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს შეარიგონ...**



**ამის ნათელი მაგალითია სამხრეთი აფრიკა, სადაც აპართეიდის დამხობის შემდეგ არც ერთი სასამართლო პროცესი არ გამართულა „საზიზღარი აპართეიდისტების" დასასჯელად, სამაგიეროდ, დაუღალავად მუშაობდა შერიგების კომისია არქიეპისკოპოს დესმონდ ტუტუს მეთაურობით.**

ახლა იმაზეც მოგახსენებთ, აფრიკასა და დესმონდ ტუტუზე ამხელა შესავალი რისთვის დამჭირდა.

საქმე ისაა, რომ რაც უნდა ვიძახოთ, — **ნატოშიც მიგვიღებენ და ევროპის ნაწილიც ვართ უკვეო, ამერიკაც და ევროპაც ჩვენ (ანუ ქართველებს) და აფრიკელებს ერთნაირად გვიყურებენ.**

მათ „მართლმსაჯულება" და ჭეშმარიტების დადგენა ჩვენთვის არ ემეტებათ და ამიტომაც ერთხელაც არ დასცდენიათ, რომ ხუთწლიანი მმართველობისას ჩადენილი დანაშაულებისათვის სააკაშვილი და მისი რეჟიმის სხვა მაღალჩინოსნები უნდა დაისაჯონ.

**ისინი, რატომღაც, სულ დიალოგზე მიგვითითებენ, შერიგებაზე გვესაუბრებიან, აქაოდა, მიუტევეთ მიშიკოს, ცალმხრივად რაც მიქარაო, თანაც, აქტიურად ცდილობენ „შერიგების" ამ ინიციატივაში კათოლიკოს-პატრიარქის ჩათრევას.**

ოპოზიცია თითქოს ეთანხმება ევროპის მიერ ქართველებისა და აფრიკელების (არ მინდა, გამოვიყენო რასისტული ტერმინი „ზანგი") ერთ ქვაბში მოხარშვას და ასევე წარამარა პატრიარქისკენ იშვერს ხელს, მისგან ელოდება... არა შერიგებას სააკაშვილთან, არამედ — „მართლმსაჯულებას".

ოპოზიციის ასეთი მიდგომა, სულ ცოტა, მკრეხელობაა...

**ოპოზიცია, რომელიც მნიშვნელოვანწილად სააკაშვილისავე რეჟიმის ნაშალს წარმოადგენს, ვერ ხვდება, რომ დასავლეთს არაფერი აინტერესებს, გარდა მარიონეტი და სრულიად მორჩილი ხელისუფლებისა საქართველოში.**

დასავლეთს არ აინტერესებს, ვიცხოვრებთ თუ არა სამართლიან სახელმწიფოში და დასჯიან თუ არა ოდესმე მორჩილი სააკაშვილის მინისტრებს მკვლელობებისა თუ სხვა მძიმე დანაშაულებისათვის.

დასავლეთს არ აინტერესებს, შეუსრულებს თუ არა „პატარა გრეჩიხა" სააკაშვილს დანაქადნებს...

**სამართლიანობა დიდად არც ოპოზიციას აინტერესებს. ღმერთმანი, ასეთი გაძეძგილი ტრიბუნები თბილისის სტადიონს რახანია, არ ახსოვს.**

ეს უკვე მერამდენედ შეყარა ოპოზიციამ ქუდზე კაცი, მერამდენედ ვერ დაძრა დაწყებული საქმე, მერამდენედ დაასხა სააკაშვილის წისქვილზე წყალი და მერამდენედ დატოვა საზოგადოება პირშიჩალაგამოვლებული.

**სტადიონიც შეავსეს, ქუდზე კაციც გამოიყვანეს, ბურთიც მათ ხელში იყო და მოედანიც... მერე რა?**

ოპოზიციამ ვერ გაიგო თანამედროვე პოლიტიკური წესრიგის დაუწერელი და უმარტივესი კანონი — **ისეთი ქვეყნების საზოგადოება და საზოგადოებრივი აზრი, გნებავთ, პროტესტი, როგორიც საქართველოა, დასავლეთისთვის არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენს და არც ერთხელ დამოუკიდებელ საქართველოში ხელისუფლება მხოლოდ ხალხის ნებით არ შეცვლილა.**

ანუ ჩვენ რახანია, საკუთარ თავს არ ვეკუთვნით და დასავლეთი, რომელისკენაც ასე მივისწრაფით, ისე გვიყურებს, როგორც პლანტატორი — შავკანიან მონას. ჩვენ კი გულუბრყვილო პროვინციელებივით გვჯერა დემოკრატიის, სამართლიანობისა და სხვა ბრჭყვიალა იდეების... **იმდენად გვჯერა, რომ საერთო-სახალხო ფსიქოზი შეგვეყარა — ვირწმუნეთ, თითქოს, შეგვეძლო, ერთხელ მაინც ჩვენ თვითონ გადაგვეწყვიტა საკუთარი ბედი...**

**ეს ილუზიაა, ძალიან მავნე ილუზია...** პრობლემა არ არის სააკაშვილსა და მის რეჟიმში, პრობლემა სააკაშვილის პატრონებსა და მისი რეჟიმის მფარველებშია...

**პრობლემა ოპოზიციაშია, რომელიც, არსებითად, არაფრით განსხვავდება სააკაშვილის რეჟიმისაგან, უფრო ზუსტად კი, განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ არ სურს პასუხისმგებლობის აღება და ხან ასობით ათასი მომიტინგის, ხანაც პატრიარქის ხელით ცდილობს ნაკვერჩხლის აღებას...**

ოპოზიციაზეა ნათქვამი — ექიმიც უნდა და ქალიშვილიცო...

**არა, ლიდერები, ვისაც მიშას დამხობა კი სურს, მაგრამ არც ის უნდა, რომ ბურთი საზარდულში მოხვდეს, პრემიერლიგაში ვერასოდეს ითამაშებენ.**

დროა, საზოგადოებამაც, გაიგოს, რომ ამ ქვეყანაში ხელისუფლების ნებით შეცვლას ჩვენ არავინ გვკითხავს, ძალით დამხობას კი არავინ დაგვანებებს...

**ასე რომ, გახსენით, ბატონებო, რუსთაველის გამზირი, მორჩით ხალხის წინ და უკან ტარებას და შეეგუეთ იმ აზრს, რომ ნებით არ განებებენ, ხოლო ძალით... ძალა მორევაზეა... მიშა მოგერიათ...**

ჰოდა, ყველანი სახლებში, მორჩა მიტინგომანია, არ მოგბეზრდათ არამკითხეობა?

მეც არამკითხესავით გამომდის... **ნება თქვენია. გჯერათ, რომ დასავლეთისთვის მიშას საქართველო და, დავუშვათ, ცენტრალური აფრიკის რომელიმე ნახევრადველური ქვეყანა ერთი და იგივე არ არის? გჯერათ, რომ არა ხართ ზანგები და დასავლეთი მიშას ნებაყოფლობით გაშვებას ან ძალით დამხობას დაგანებებთ?**

**ჰა ბურთი, ჰა მოედანი! — მაგრამ ფრთხილად იყავით, ხალხი უკვე შემოგეფანტათ, სააკაშვილიანთ ვაჟბატონს კი თქვენთვის ვანოს კომბალი ჯერ ნახევარი ძალითაც არ შემოუკრავს!**

**გიორგი გიგიბერია**

# „სამ გრივ ფეტვსა და ხუთ თხაზე" გაყიდულნი

**ორშაბათს, ნაშუადღევს, აღტყინებულმა კარის ტელევიზიებმა დიდი სიხარულით გვამცნეს, თუ არ ვცდები, ვინმე ნორვეგიელი ავტორის შეფასება — სააკაშვილმა შეცვალა მმართველობის სტილი.**

**მართალია! ვუდასტურებ. საქართველოს ამჟამად მართავს სააკაშვილი №2!**

**მაგალითი ურწმუნოთათვის: თუ უწინ ვინმე სოსო კაკალაშვილი მიაჩნდა მას საქართველოს პირველ პოეტად, რომლის „შედევრებს" აუდიტორიას პიტნასავით ცხვირში სტენიდა, ახლა №2-მა იზა ორჯონიკიძე გაიხსენა.**

გაიხსენა და რუსთაველის პრემიაც უბოძა. უფრო ზუსტად, ქალიშვილს გაატანა — **დედას გადაეციო მოკითხვასთან ერთად.**

ესე ამბავი, ფრიად ღირსსახსოვარი, მოხდა 26 მაისის ზეიმის წინა დღეს, რუსთაველის და აღდგენილი ეროვნული პრემიების გადაცემის აქტის ჩატარებისას, რომელსაც მთავარი ცერემონმაისტერი მ. სააკაშვილი უძღვებოდა.

**მარტო ქალბატონი იზა არ უპოვია, როგორც „შორის იფქლთა მათ წმიდათა ერთი ვინმე ღუარძლი აღმოცენებული", სხვებიც აღმოაჩინეს „ლიბრნი და გლახაკნი", რომლებიც ბრძანებაზე „სმენა!" მწკრივად მოეწყვნენ, ანუ რიგში ჩადგნენ, რათა მიეღოთ „სამი გრივი ფეტვი და ხუთნი თხანი" (გიორგი მერჩულე) პრეზიდენტის ერთგულების საფასური ან პირიქით: ლაურეატობით ნაყიდი ერთგულება, რომელიც ასე სჭირდება დღეს მიხეილ სააკაშვილს.**

**ვინ არიან ეს ლაურეატები?** — იზა ორჯონიკიძე უკვე ვთქვით. მასთან ერთად შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატობა უბოძეს არქიტექტორ ვაჟა ორბელაძეს, მხატვარ ჯიბსონ ხუნდაძეს; **ეროვნული პრემიის ლაურეატები გახდნენ მხატვრები ემირ ბურჯანაძე და ზურაბ ნიჟარაძე, ლოტბარი თემურ ქევხიშვილი, მუსიკათმცოდნე მანანა ახმეტელი, მოცეკვავე ომარ მხეიძე; ასევე — მეცნიერთა ორი ჯგუფი.**

სხვა დროს, სხვა ვითარებაში ეს ყველაფერი შეიძლება ნორმალურიც კი ყოფილიყო, მაგრამ ახლა? ამათგან?

ისევ ის ჯობდა, ღმერთმანი, იმ სოსო კაკალაშვილს მიეღო ყველა ეს პრემია: კმაყოფილი დარჩებოდა მელექსე ბიზნესმენიც და პრეზიდენტიც ძალას არ დაატანდა თავის გემოვნებას.

თორემ:

**სათავე აემღვრა შენს ნამღერ „წინწყაროს", თემურ!**

**ცეცხლი ჩაეფერფლა შენს ცეკვას, ომარ!**

**სირცხვილის ფერი ლაქებად დაედო თქვენს მოლბერტებს, მხატვრებო!**

**„გრცხვენოდეთ და გაწითლდით თქვენი გზების გამო..." (ეზეკ. 36, 32).**



ადოლფის შეხვედრა ჰიტლერიუგენდთან



მიშას შეხვედრა ლაურეატებთან

**გულდასაწყვეტია!**

სააკაშვილის ხელისბიჭებმა თავიანთ ხელისბიჭებს უბრძანეს და ფილარმონიის წინ ჩამწკრივებულ ბანერთაგან ერთ-ერთზე ერთი, მართლა კარგი კაცის სურათს, კაცისა, რომელიც ნაღდი თბილისელია, წააწერეს: „თბილისის სირცხვილი". მეორე დღეს თბილისელებმა ეს წარწერა წაშალეს.

თბილისის სირცხვილს თუ ეძებდით, მოგეცადათ ცოტა და თვით სააკაშვილი წარმოგიდგენდათ მთელ გუნდს, რომელმაც სირცხვილის გილიოტინაში საკუთარი ნებით შეყო კოლექტიური თავი.

ასე „ჩაესახება სიმრუდე, დაორსულდება უკულმართობით და შობს სიცრუეს" (ფს. 8,15). სიცრუეს და სიყალბეს შობს ეს ჩვენი ხელისუფლება, რომელიც შიშითაა დაორსულებული და ვაჟკაცურად აყალბებს სინამდვილეს საკუთარი თავის დასამშვიდებლად: ხან მუხროვანის „ამბოხს" ერთი ხელის მოსმით „ახშობს", ხან „მაესტროს" უფეთქებს ხელყუმბარას — შიშის ალოგიკურობა! ხომ მიაქციეთ ყურადღება ყალბი რეჟისორების მიერ დადგმულ ყალბ სცენას, გასულ კვირას რომ წარმოგვიდგინეს ტელეეკრანებზე: **წითელჩოხიანი პატარა ბიჭები შემოეხვევიან მიხეილ სააკაშვილს და იწყებენ უფროსების ნაკარნახევი ლოზუნგის სკანდირებას — „ჩვენ შენ გვიყვარხარ!"**

პასუხიც არ აყოვნებს, მუდმივად მოღიმარ ბაგეთაგან სასხვათაშორისოდ გადმოგდებული: „მეც მიყვარხართ თქვენ".

**„ლენინს უყვარდა ბავშვები, ბავშვებს უყვარდათ ლენინი".**

სიახლე კარგად დავიწყებული ძველია, როგორც სამყარო. „ყალბი" არაბულიდან შემოსული სიტყვაა და არანამდვილს ნიშნავს. ნამდვილი „სირცხვილის დერეფნებია", რომლებშიც გავლა არავის რცხვენია. „სირცხვილის აივანი" სუპერსიახლეა, რომელიც ასე წარმატებით გამოიყენა ხელისუფლებამ შემოქმედებითი ინტელიგენციის „რჩეული" ნაწილის სახელის გასატეხად — გამოფინა მაისის ამ ქარიან დღეს ავტორიტეტის გამოსაფიტად და გამოსაშრობად. ისე აბნევდა ჩარეცხილებს მკერდზე ლაურეატობის მედლებს, როგორც ახლად გარეცხილ თეთრეულს „შპილკებით" — თოკზე.

**თოკზე გარკვეულ შემთხვევაში არ ლაპარაკობენ. გუშინწინდელი ფაქტი ის შემთხვევა არ არის, ამიტომ ვამბობ: ის თოკი შეიძლება გაწყდეს, რადგან გაცვეთილია... ქუჩა კი, მოგეხსენებათ, ჭუჭყითაა სავსე.**

ის ქურთის ქალიც რომ არსად ჩანს, რომელიც კნეინას (აივნიდან პომიდორი რომ გადმოუვარდება და ქვაფენილზე დაეთხაპნება — თხლაშ!) გაბრაზებული ამოსძახებს:

**— შენი სახელი შ-ზე იწყება?**

**— შენ რა იცი, რომ შორენა მქვია?!**

**— შორენა არა...**

ამ პოპულარული ანეკდოტის ფინალური ფრაზა თქვენთვის ცნობილია...

საქართველოს კი ახალი ლაურეატები ჰყავს: როცა დიქტატორი დასასრულს იგრძნობს, მაშინ იწყებს ჯილდოების დარიგებას შემორჩენილი ერთგულებისთვის.

**ლაშა გიორგიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ჯიმი ჯალიაშვილი:

# დღეს საქართველოს აშშ ელჩი მართავს, ფაქტობრივად, ის არის ჩვენი პრეზიდენტი



**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ჯიმი ჯალიაშვილს ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე ვესაუბრეთ. ამჯერად კი გთავაზობთ მასთან ინტერვიუს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის ფორმირებაში დასავლეთის დიპლომატიური წვლილის შესახებ...**

— **ბატონო ჯიმი, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ პროტესტი დღითიდღე იზრდება, დასავლელი პოლიტიკოსები სააკაშვილს რაიმე სერიოზული დათმობისკენ არ მოუწოდებენ. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება, რომ დემოკრატიული სამყარო — ამერიკა და ევროპა — ქართველი ხალხის ერთსულოვან ნებას — დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები — ერთსულოვან სრულ იგნორირებას უკეთებს?**

— ის, რომ დასავლეთი და, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატები თითქმის ერთხმად უჭერენ მხარს დღევანდელ ხელისუფლებას, ეს არ არის სააკაშვილის დამსახურება. უბრალოდ, თეთრი სახლისთვის მისაღებია ის პოლიტიკა, რომელსაც დღეს სააკაშვილი ატარებს. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, ამერიკა მოქმედებს საკუთარი გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ნიშნავს, რომ მისთვის სატელიტ ქვეყნებში მიმდინარე შიდაპროცესები, იქნება ეს დემოკრატიული თუ სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანია...

დღეისათვის საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეშია მოქცეული, სადაც ძალიან დიდი წნეხით ხორციელდება ამერიკის გეოპოლიტიკური მიზნები! უწინარესად ამას ეწირება ჩვენი ეროვნული ინტერესები, რაც ნათლად იგრძნობოდა განვლილი უახლოესი წლების მანძილზე და, განსაკუთრებით, აგვისტოს ომის დროს... ასე რომ, გეოპოლიტიკურ მიზნებს რომ ვსაყვედურობთ რუსეთს, ამ დროს იგივე მიზნებს, ოღონდ შეფარული ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტებით, გაცილებით უფრო აქტიურად ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატები...

— **დღეს, როცა საქართველოს საგარეო-პოლიტიკას მთლიანად დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა პოლიტიკური რეკომენდაციები განსაზღვრავს, რატომ ვერ ხერხდება რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება? თვითონ დასავლეთი ხომ ცდილობს კრემლთან საერთო ენის გამონახვას?**

— საქმე ისაა, რომ ამერიკას რუსეთთან გარკვეული კონფრონტაცია სჭირდება გავლენის სფეროების მოსაპოვებლად, ანუ, ამ შემთხვევაში, კრემლის წინააღმდეგ სამოქმედოდ საქართველოს სახით ის იქმნის ბერკეტს. ვაშინგტონს, რა თქმა უნდა, აწყობს რუსეთთან დაპირისპირებული საქართველო, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ ზღვრამდე, რა ზღვარიც მისთვის ხელსაყრელია მისი ინტერესებისა და გავლენის კავკასიაში გასამყარებლად.

**...როცა ილანძღება ერეკლე მეორეს გადაწყვეტილება (გეორგიევსკის ტრაქტატი) და, ამავე დროს, უშიშროების კონცეფციაში იწერება, რომ თურქეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ეს პირდაპირ მიანიშნებს ერთ რამეზე — ჩვენი ისტორია გაყალბებულია, რაც ბოლო წლების მანძილზე რატომღაც „ჩვეულებრივ“ მოვლენად იქცა საქართველოში...**

აგვისტოს ომით ჩვენ უკვე გადავცდით იმ ფარგლებს, რომელსაც შეერთებული შტატები მოითხოვდა, ჩვენ წავედით ღია კონფრონტაციაზე — ომზე...

— **ანუ ეს არ იყო ვაშინგტონთან შეთანხმებული?**

— ამერიკას არ აწყობს მისი რომელიმე სატელიტი ქვეყნის ღია კონფრონტაცია რუსეთთან, ვინაიდან ეს უკვე ნიშნავს მთლიანად დასავლეთის გეოპოლიტიკური ინტერესების რუსეთთთან მისთვის მიუღებელი ფორმით დაპირისპირებას... მითუმეტეს, ამ ეტაპზე ამერიკა საქართველოში ვერაფერს ვერ ფლობს იმისათვის, რომ აქედან ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები აწარმოოს რომელიმე სახელმწიფოსთან, მით უფრო რუსეთთან...

ის პროცესი, რომ საქართველოში „ნატოს“ ბაზები განლაგდეს, ჯერ კიდევ შორეული მომავლის პერსპექტივაა. ეს კარგად ესმის დასავლეთსაც და ამიტომ ერიდება კრემლის წინააღმდეგ რადიკალური ნაბიჯების გადადგმას... თავის მხრივ, კრემლიც ადეკვატურად აღიქვამს ამ ვითარებას და ყველანაირად ცდილობს, ერთ სუვერენულ სახელმწიფოსთან — საქართველოსთან დაპირისპირება ამ უკანასკნელის მხარდამჭერ სახელმწიფოებთან ურთიერთობის უკიდურეს გამწვავებაში არ გადაზარდოს...

— **თქვენ სუვერენიტეტი ახსენეთ, გუშინ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თვრამეტი წელი შესრულდა. როგორ ფიქრობთ, ამ ხნის განმავლობაში რეალურად ვიყავით თუ არა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო?**

— თანამედროვე მსოფლიოში პატარა ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ დამოუკიდებლობის მოპოვებას და შენარჩუნებას, უნდა ესმოდეთ, რომ გლობალიზაციის პირობებში აბსოლუტური დამოუკიდებლობა შეუძლებელია. ამის მაგალითი ჩვენ გვაქვს ჩვენს უახლეს ისტორიაში — საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა სწორედ სრული დამოუკიდებლობის იდეას ატარებდა, რამაც ცნობილი შედეგები გამოიღო.

მეორე ხელისუფლებას, ვინც უნდა ყოფილიყო, უნდა გაეწონასწორებინა აქ მეტოქე ძალები — რუსეთი და ამერიკა...

მესამე ხელისუფლება კი ისეთი რადიკალურია, რომ გამსახურდიასავით საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას კი არ თხოულობს, არამედ ამ სივრცის (საქართველოს) სრულ გასხვისებას... რაც ყველაზე საყურადღებოა, ეს ვალდებულება სააკაშვილის ადევს, რომ საქართველო ნებისმიერ შემთხვევაში იქნება ამერიკის პირდაპირი გავლენის სფერო — სატელიტი... ამიტომაც არ სურს თეთრი სახლის ადმინისტრაციას ამ ხელისუფლების შეცვლა, თუმცა ოპოზიციაში რომ ეგულებოდეს ვინმე ისეთი, ვინც უფრო სწრაფი ტემპით წაიყვანდა საქართველოს ნატოსკენ, რა თქმა უნდა, მას დაუჭერდა მხარს...

რაც შეეხება დამოუკიდებლობას, ყველა სახელმწიფო თავის დამოუკიდებლობას განსაზღვრავს იმის მიხედვით, თუ რომელ გეოპოლიტიკურ სივრცეში იმყოფება იგი. ამის მიხედვით მუშავდება საგარეო-პოლიტიკური სტრატეგია და ქვეყნის პრიორიტეტული ამოცანები. მსოფლიო მრავალფეროვანია ზომით, წონით, ფერით... ჩვენ უნდა ვიცოდეთ, სად ვცხოვრობთ. თუ ჩვენი ქვეყანა რამდენიმე დიდი სახელმწიფოს ინტერესთა გადაკვეთის წერტილია, მაშინ მისი სტაბილურობის მიღწევა ამ სახელმწიფოთა მხრიდან ჩვენს საშინაო საქმეებში ჩაურევლად შეიძლება.

დღეს საქართველოს საშინაო პოლიტიკა, ისევე, როგორც საგარეო, მთლიანად დამოკიდებულია ერთ სახელმწიფოზე — ამერიკაზე. საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებებს ვაშინგტონში ღებულობენ და ჩვენს ხელისუფლებას მზა ინსტრუქციებს უგზავნიან. მოკლედ, დღეს საქართველოს რეალურად შეერთებული შტატების ელჩი მართავს, ფაქტობრივად ის არის ჩვენი პრეზიდენტი და ყველაფერს ის წყვეტს, რაც უაღრესად მძიმე შედეგების მომტანი იქნება ჩვენთვის და ჩვენი მომავალი თაობებისათვის.

— **სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მართლმადიდებლური ეკლესიის მიზანმიმართული დისკრედიტაცია დაიწყო. როგორ ფიქრობთ, ესეც დასავლეთის რეკომენდაცია იყო? საერთოდ, რა მიზანი ჰქონდა ამ ქმედებას?**

— მარტივ მაგალითს მოვიყვან. როცა მეზობელს ფინანსურად ვეხმარები და თან ისიც ვიცი, რომ ვალს ვერასოდეს დამიბრუნებს, ეს ნიშნავს, რომ მე მას ვიმორჩილებ და ვიმონებ. თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფოთა შორის სივრცის გაფართოება ან შევიწროება ამ გზით ხდება — მდიდარი სახელმწიფო ჯერ ფინანსურად იპყრობს სუსტ ქვეყნებს და შემდეგ მათი ტერიტორიები თავისთავად იქცევა მისი გავლენის სფეროდ.

**...თუ საქართველო გაწევრდება ნატოში და თვისობრივად გახდება დასავლური სამყაროს შემადგენელი ნაწილი, ამით საფრთხე დაემუქრება ქართულ ეროვნულ ფასეულობებს, მათ შორის, რელიგიასაც. ევროპასა და ამერიკას მხოლოდ ისეთი საქართველო სჭირდებათ, რომელიც თავისი ტრადიციულობითა და ეროვნული თვითმყოფადობით მათ არ შეუქმნის დისკომფორტს...**

თუ საქართველო გაწევრდება ნატოში და თვისობრივად გახდება დასავლური სამყაროს შემადგენელი ნაწილი, ამით საფრთხე დაემუქრება ქართულ ეროვნულ ფასეულობებს, მათ შორის რელიგიასაც. ევროპას და ამერიკას მხოლოდ ისეთი საქართველო სჭირდება, რომელიც თავისი ტრადიციულობითა და ეროვნული თვითმყოფადობით მას არ შეუქმნის დისკომფორტს...

— **აგვისტოს ომის შემდეგ თურქეთსა და სომხეთს შორის დაწყებული მოლაპარაკებები ექსპერტთა წრეში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. არსებობს მოსაზრება, რომ ამ ორი ქვეყნის ინტერესების დაკმაყოფილება თითქოს საქართველოს ინტერესების ხარჯზე შეიძლება მოხდეს... რეალურია დღეს ეს საფრთხე?**

— ჩვენ ახლა ერთ-ერთ სუსტ სახელმწიფოს წარმოვადგენთ რეგიონში... თუ რაიმე გეოპოლიტიკური გადათამაშებები იქნება, რა თქმა უნდა, არც თურქეთი იტყვის უარს საქართველოს ტერიტორიაზე და არც — სომხეთი. ამიტომ საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამიჯნოს ერთმანეთისგან მის წინაშე არსებული საფრთხეები და განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობები; უნდა მივხვდეთ და გავიაზროთ, ჩვენთან მიმართებაში რა მიზნები და ამოცანები ამოძრავებს დასავლურ სამყაროს, ამერიკას — ისაა მართალი, რასაც ყოველდღე ტელევიზორით ვისმენთ, თუ ის, რაზეც უკვე ვისაუბრეთ?..

— **როდესაც საუბარია საქართველოს დაშლაზე და დაქუცმაცებაზე, რამდენად მისაღებია რუსეთისთვის დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში დანაწევრებული საქართველო?**

— შეიძლება, ამ ეტაპზე მისაღები არ არის და ამიტომაც არ გრძელდება საქართველოს რღვევის პროცესი, მაგრამ ამ ხელისუფლების ქმედებებმა შესაძლოა, რუსეთს გაუჩინოს ასეთი ინტერესი. უწინარესად, ვგულისხმობ იმას, რომ ქართველ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი ძალიან უხეშად გაერია პოლიტიკაში. მათ დაკარგეს ყველანაირი ობიექტურობა და ისტორიულ ფაქტებს თავისებური ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენენ...

...როცა ილანძღება ერეკლე მეორეს გადაწყვეტილება (გეორგიევსკის ტრაქტატი) და ამავე დროს უშიშროების კონცეფციაში იწერება, რომ თურქეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ეს პირდაპირ მიანიშნებს ერთ რამეზე — ჩვენი ისტორია გაყალბებულია, რაც ბოლო წლების მანძილზე რატომღაც „ჩვეულებრივ“ მოვლენად იქცა საქართველოში...

— **რაც შეეხება ხელისუფლების მხრიდან ბოლო დროს სამხედროებზე განხორციელებულ ზემოქმედებას, დღეს ოპოზიციისა და საზოგადოების წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ, რომ სააკაშვილი და მისი გარემოცვა ჯარის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას ეწევიან; მაგალითად მუხროვანის „ამბოხი“ მოჰყავთ. თქვენი აზრით, რამდენად სწორი და ადეკვატურია ეს შეხედულება?**

— დღეს უკვე ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ჯარის დასათრგუნად და გასატეხად. ეს პროცესი უკვე კარგა ხანია, მიმდინარეობს. სააკაშვილმა ადრე დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ომი მან კი არა (როგორც ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა), „მოღალატეებმა“ წააგეს... რაც ყველაზე სამწუხაროა, ამ „მოღალატეებში“ ღირსეული და დამსახურებული ადამიანებია ნაგულისხმები.

— **ორთვიანი საპროტესტო ციებ-ცხელების შემდეგ პოლიტიკური პროცესები პიკს უახლოვდება — ოპოზიცია და საზოგადოება ხელისუფლების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას მართავს. რას ურჩევთ ოპოზიციას და საზოგადოებას?**

— ოპოზიციას რჩევა უამრავი სჭირდება, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაზე მთავარი მაინც ერთია — მათ არ აქვთ კონკრეტულად ჩამოყალიბებული გეგმა, როგორც ხელისუფლების შეცვლისა, ისე ხელისუფლების შეცვლის შემდგომ პროცესების წარმართვისა. ამიტომ ლოზუნგების — „გადადგეს სააკაშვილი“, „საქართველო სააკაშვილის გარეშე“ და ა.შ. — გარდა კონკრეტული და გარკვეული მიზანმიმართული გეგმების შემუშავებაზეც უნდა იფიქრონ... ოპოზიციამ უნდა გამოხატოს პოლიტიკურად განსხვავებული საკუთარი მოსაზრება და დაიყვანოს ხალხისთვის გასაგებ მარტივ ენაზე; სხვაგვარად ხალხი ბოლომდე ვერ გაჰყვება ვერცერთ ლიდერს და საბოლოოდ პროცესები არასასურველ ხასიათს შეიძენს.

1917 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ბოლშევიკებს ჰქონდათ ასეთი ლოზუნგი: „მიწა — გლეხებს, ქარხნები — მუშებს“. ეს ხალხმა ისე გაიგო, როგორც გადატრიალების კონკრეტული ამოცანა და მას მიემხრო, მაგრამ მაშინდელი რევოლუციის ბელადებს ლოზუნგად რომ ჰქონდათ „რუსეთი ნიკოლოზის გარეშე“, როგორ უნდა გაეგო ეს მოსახლეობას და ვისთვის უნდა დაეჭირა მხარი?!.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ის ლოზუნგები, რაც დღეს ოპოზიციას აქვს, არაა შექმნილი ვითარების ადეკვატური. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ოპოზიციის ლიდერები არ არიან პოლიტიკურად მოწიფულნი და მომზადებული იმ ძირეული ცვლილებებისთვის, რასაც დღეს საქართველო საჭიროებს...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გა [illegible] ეხუღნი



**ილია მეორე,**
საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

ყველა ადამიანს აქვს თავისი აზრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის აზრია ერთადერთი და ჭეშმარიტი და აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ადამიანმა უნდა მოუსმინოს სხვას და არა ერთს და უნდა გამოიტანოს უკეთესი აზრი მოსმენის საფუძველზე.



**მიხეილ სააკაშვილი,**
საქართველოს პრეზიდენტი

კავკასიაში არის ნიჭიერი ხალხი, რომელსაც შეუძლია ხატვა, ცეკვა, სიმღერა, მეცნიერებაშიც მაგრები არიან, მაგრამ ერთი რამ არ შეუძლიათ — ვერ ქმნიან ვერასდროს სახელმწიფოს. ისინი ყოველთვის ერთმანეთს დაჭამენ, დაერევიან, წაიჩხუბებიან, ყოველთვის კანონის წინააღმდეგ გამოვლენ, არ დაიცავენ კანონებს, არ დაემორჩილებიან ინსტიტუტებს, თავისივე დაწერილ კანონებს და წესებს არავითარ შემთხვევაში არ გაითვალისწინებენ.



**გია გაჩეჩილაძე,**
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი

პატრიარქმა ის განცხადება არ გააკეთა, რისი გაკეთებაც უნდოდა... უწმინდესი შეაშინეს და დღეს მან სხვა განცხადება გააკეთა, რეალურად კი სხვა რამის თქმა უნდოდა... არანაირად არ მინდოდა რკინიგზისა და აეროპორტის გადაკეტვა. არ ისვენებენ და თავისას მიიღებენ... ხალხის მოთმინების ფიალა ივსება და მათ ვერავინ გააჩერებს.



**შალვა ნათელაშვილი,**
ლეიბორისტთა ლიდერი

ეს არის დღე, როდესაც ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავს არა მთავრობა, არამედ — ხალხი. ხალხი არის მთავარსარდალიც, ჯარისკაციც, მბრძანებელიც, პარლამენტიც, პრეზიდენტიც და მთავრობაც.



**დავით გამყრელიძე,**
„ახალი მემარჯვენეების“
ლიდერი

გარდამავალი პერიოდის ხელისუფლებამ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების გატარება, მათ შორის, მედიისა და სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველყოს... დღეს დაღლის დრო არ არის, არც პაუზის დროა: საქმე ბოლომდეა მისაყვანი და მე გპირდებით, რომ უახლოეს დღეებში ამ ბრძოლას აუცილებლად დავამთავრებთ.



**დავით ბერძენიშვილი,**
„რესპუბლიკური პარტია“

ძალიან უბედური ადამიანია სააკაშვილი, რომელიც ქართველი ხალხის მიღმა აღმოჩნდა... ეს აქცია გახსნა საქართველოს ჰიმნის ავტორმა დავით მაღრაძემ. წარმოიდგინეთ, რა უბედურია სააკაშვილი, რომ ჰიმნის ავტორი მის საწინააღმდეგო აქციებს ხელმძღვანელობს!..



**ჯაბა ჯიშკარიანი,**
მოძრაობა „9 აპრილი“

მიშას არ აქვს უფლება, საქართველოს ბიუჯეტი პირადი სიამოვნებისთვის და მუცლის ამოსაყორად ხარჯოს, თუ გახსოვთ, პირველი აქცია რესტორან „საკურასთან“ მოვაწყვეთ, როდესაც ის საკმაოდ ძვირადღირებულ სუშს მიირთმევდა და ზედ „ჯონი ვოკერ ბლუს“ აყოლებდა, რომელიც ვისკის სახლში 850 ლარამდე ღირს, ხოლო რესტორანში მისი ღირებულება დაახლოებით 1500 ლარია.



**კონსტანტინე გამსახურდია,**
„თავისუფლების“ ლიდერი

ჩვენ შედეგზე ვართ ორიენტირებული და, ჩვენი აზრით, უფრო მეტი შედეგი უნდა მიგველო.

# რატომ არ არის



**ჩვენს თავს დატრიალებული პოლიტიკური კრიზისის გადამკიდე, ბოლო დროს რეგიონში განვითარებული მოვლენებისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიგვიქცევია. პროცესები კი საკმაოდ საინტერესოდ ვითარდება, რაც ჩვენი ქვეყნის მომავალზე უთუოდ აისახება.**
**ბევრი დამკვირვებელი შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციისაგან როგორც საგარეო-პოლიტიკურ, ისე შიდაეკონომიკურ ფრონტზე სერიოზულ, ლამის რევოლუციურ გარღვევას ელოდა. ძნელი დასადგენია, რას ეფუძნებოდა ეს მოლოდინი, თუმცა ფაქტია, რომ დიდად არაფერი შეცვლილა: აშშ პოლიტიკა ჩვენს რეგიონში ისევ იგივე — რუსეთთან და ირანთან კონფრონტაციაზე აგებული — რჩება. ყოველ შემთხვევაში შტატების ჯერჯერობით უშედეგო მცდელობა, რომელიც ითვალისწინებდა სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნას და ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების ,,დღის წესრიგის“ ჩამოყალიბებას, რუსეთმა და ირანმაც აღიქვა, როგორც მათი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედება და ამ გეგმის ჩაშლაზე დაფიქრდა.**

### ირანის ლომი იღვიძებს

**ცხადია, სომხეთის საზღვრების გახსნა არა მხოლოდ ახალი ტრანსკავკასიური დერეფნის გაჭრას ნიშნავს. იდეაში ეს (როგორც მინიმუმი) გულისხმობს სომხეთის თანდათანობით გამოსვლას რუსეთის გავლენის სფეროდან, მეტიც (როგორც მაქსიმუმი) ამ სახელმწიფოს ჩათრევას მომავალ ანტიირანულ კოალიციაში, რომლის შექმნა, მიუხედავად თეთრი სახლის შერბილებული რიტორიკისა, დღის წესრიგში კვლავინდებურად დგას.**

დრო ირანის წინააღმდეგ გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელებისთვის არც ისე ბევრია, რადგან, როდესაც ეს სახელმწიფო ბირთვულ იარაღს დაეუფლება, მის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების ჩატარება გაცილებით დიდ რისკებს დაუკავშირდება. აშშ-ირანის სავარაუდო ომს არ შეიძლება ,,გარდაუვალი“ ვუწოდოთ, მაგრამ მისი ალბათობა კვლავინდებურად დიდია.

საინტერესოა ამერიკის ბოლო დროის მიდგომა ირანის შიდაპოლიტიკური პროცესების მიმართ. **მიუხედავად იმისა, რომ ირანელი პოლიტიკოსისთვის თეთრი სახლის მხარდაჭერა ამომრჩევლების თვალში ლამის მომაკვდინებელი ცოდვის ტოლფასია და მისი რეიტინგის დაცემას იწვევს, ვაშინგტონი ჯიუტად განაგრძობს პოლიტიკური ავანსების გაცემას ალი ლარინჯანის, მირ-ჰოსეინ მუსავის და სხვა ზომიერი ირანელი პოლიტიკოსების მიმართ.** შედეგად, პრეზიდენტმა აჰმადინეჯადმა უფრო თავდაჯერებულად იგრძნო თავი 12 ივნისს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რომელშიც გამარჯვება ჯერ კიდევ წლის დასაწყისში გარანტირებული ნამდვილად არ ჰქონდა (ახლა ამის ალბათობა ძალზე დიდია). რა იყო ეს?.. შეცდომა თუ შეგნებული მოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობდა ირანის სათავეში ისეთი ადამიანის დარჩენას, რომელიც (საჭიროების შემთხვევაში) ამერიკის მტრის, არაპროგნოზირებადი დიქტატორის როლს ძალიან კარგად მოერგება?

გასულ კვირას ქალაქ სემნანში გამოსვლისას ირანის პრეზიდენტმა საგულისხმო რამ თქვა:

**,,ირანი გასრესს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაც გამოყენებული იქნება, როგორც ირანის წინააღმდეგ მიმართული პლაცდარმი შესაძლო სამხედრო ოპერაციისთვის. დღეს ირანს აქვს შესაძლებლობა, ჯოჯოხეთში ჩააგდოს ნებისმიერი სამხედრო ბაზა, რომლიდანაც ირანის მიმართულებით თუნდაც ერთი ტყვია იქნება გამოშვებული. წარსულში ზოგიერთი გვემუქრებოდა, მაგრამ დღეს შეუძლებელია, თეირანს საკუთარი სამხედრო ძალებით დაემუქრონ“.**

ამ ,,ზოგიერთში“ რამდენად შესაძლებელია, ირანის პრეზიდენტმა ჩვენი ქვეყანაც იგულისხმოს? ჯერ კიდევ 2006 წლის თებერვალში „Jerusalem Post“ წერდა: **,,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანმა გვითხრა, რომ ამერიკელები საქართველოს მთავრობის განწყობის წინასწარ ზონდირებას ახდენენ, იმ სამხედრო დარტყმის შემთხვევისთვის, რომლითაც ირანს ბირთვული იარაღის შექმნაში ხელს შეუშლიან...საქართველოს მთავრობის ჩინოვნიკებმა თქვეს, რომ თბილისს აშინებს ირანის ხისტი პასუხი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, თუ ამერიკული შეიარაღებული ძალები ირანისთვის დარტყმების მიყენების მიზნით მის ტერიტორიას გამოიყენებენ; მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავს მოვალედ თვლიან, დათანხმდნენ შეერთებული შტატების მსგავს თხოვნას, ამერიკულ დახმარებასა და მხარდაჭერაზე ძლიერი დამოკიდებულების გათვალისწინებით“.** ეს ვერსია ოფიციალურად არ დადასტურებულა, თუმცა აღნიშნული თემა მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების განხილვის საგანი არაერთხელ გამხდარა. იყო თუ არა ეს კვამლი ცეცხლის გარეშე, თუ ყველა უბედურებას, რომელიც თავს დაგვატყდა, ირანული რაკეტებიც უნდა დაემატოს?

**მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი, თურქეთი და აზერბაიჯანი ჯერაც ინარჩუნებენ შეუვალ პოზიციებს და ძალიან მოხერხებულად (ჩვენგან განსხვავებით) ევაჭრებიან ვაშინგტონსა და მოსკოვს, შექმნილი ბალანსის დარღვევისა და პროცესების მკვდარი წერტილიდან დაძვრის ალბათობა, კვლავინდებურად მაღალი რჩება. ამ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს მხარეთა შორის ,,სუსტის ხარჯზე“ კომპრომისის მიღწევის საფრთხე.**

რეგიონის ყველაზე სუსტი სახელმწიფო საქართველოა, რომელიც სულ უფრო ღრმად ეფლობა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ჭაობში; გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული ჯარის გარშემო ბოლო დროს საკმაოდ საგანგაშო ვითარება შეიქმნა.

### შეთქმულების თეორია და პრაქტიკა

**მთელი რიგი პოლიტიკოსებისა და სამხედრო ექსპერტების განცხადებების თანახმად, ჯარში მეტად რთული მდგომარეობაა. თუმცა ინფორმაციის ნაკლებობა ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების სა-**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მიშა ალექსანდრე

**შუალებას არ გვაძლევს. ამიტომ შეფასებებს გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა ვერსია, რომ ხელისუფლებამ ჯარში რეპრესიები მას შემდეგ დაიწყო, რაც სამხედროებმა მომიტინგეების დარბევაზე უარი განაცხადეს.**

თუ ეს ვერსია სიმართლეს შეეფერება, მნიშვნელოვანია ერთი გარემოების დადგენა: იყო თუ არა ეს უარი ხელისუფლებისთვის სიურპიზი, თუ მან წინასწარ იცოდა, რომ უარს მიიღებდა და განგებ შეუწყო ხელი იმ სიტუაციის შექმნას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა ჯარში რეპრესიების დაწყებას? ის, რომ სამხედროები უარს იტყოდნენ კანონის და ზნეობის ნორმების წინააღმდეგ ემოქმედათ, არცთუ რთული გასათვლელი იყო. პირველ შემთხვევაში, საქმე ხელისუფლების მიერ რეალობის შეგრძნების დაკარგვასთან გვაქვს, მეორე ვარიანტი კი უფრო სერიოზულ დაკვირვებას საჭიროებს.

რა სურათი გვაქვს დღეისათვის? — მუხროვანის ინციდენტის შემდეგ პატიმრობაში 32 პირი რჩება (მათ შორის, 20 სამხედრო და 12 სამოქალაქო), რაც ტელეკომპანია ,,რუსთავი-2"-ის ეთერში დეპუტატმა გივი თარგამაძემ დაადასტურა. რა მდგომარეობაში არიან ეს ადამიანები? სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ, როდესაც 11-12 მაისს მისი აპარატის წარმომადგენლები 5 დაკავებულს შეხვდნენ, მათი მდგომარეობა ასეთი იყო: ,,ყველა ამ ადამიანს აღენიშნება ძალიან სერიოზული დაზიანებები და ზოგიერთ შემთხვევაში აშკარად ჩანს წამების კვალი". **შს სამინისტრომ უარყო სახალხო დამცველის ეს განცხადება, თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი სერიოზული განხილვის საგნად იქცა და შეშფოთება გამოიწვია; რადგან, შეთქმულებას ადგილი რომც ჰქონოდა (რაც საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ეჭვქვეშ არაერთგზის დააყენეს), ეს ადამიანთა წამების გამართლების საფუძველს არ იძლევა. დაპატიმრებები აგვისტოს ომის შემდეგ; დაპატიმრებები 5 მაისის ინციდენტის შემდეგ; სამხედროების ,,დატუქსვის" კოშმარული სცენა, რომელიც მუხროვანში მოეწყო; ბრალდებები ამბოხის ორგანიზებასა და რუსეთთან კავშირში; საკადრო გადაადგილებები, რომელიც ჩვეულებრივი ლოგიკის კი არა, ზოგადი ფსიქოპათოლოგიის ჩარჩოებშიც აღარ ჯდება; ძალიან საეჭვო გარემოებებში გია კრიალაშვილის დაღუპვა... — ასეთ დროს, ალბათ, მთავარია, შემდეგ კითხვას ვუპასუხოთ: ყოველივე ეს ხელისუფლების ქაოტური მოქმედებაა თუ წინასწარ მომზადებულ სცენარზე დაფუძნებული? ხომ არ გვაქვს საქმე ჯარის გეგმაზომიერ, თანდათანობით დაშლასთან, რომელიც შესაძლოა, ერთ-ერთ ზესახელმწიფოსთან მიღწეული ფარული შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება? — მორალური ტერორის კამპანია შეიძლება ამ პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყოს.**

სამხედროებს ძალიან ბევრი რამის ატანა შეუძლიათ, მაგრამ დამცირებას ნამდვილად ვერ ეგუებიან. ამან შეიძლება მათ შეიარაღებული ძალების რიგების დატოვებისკენ უბიძგოს. აგვისტოს ომისა და მის შემდგომ განვითარებული პროცესების (დაპატიმრებები, საკადრო გადაადგილებები და ა.შ.) შემდეგ ბევრი პროფესიონალი იძულებული გახდა, ჯარი დაეტოვებინა. ახლა მათ შეიძლება სხვებიც მიჰყვნენ, ხოლო დარჩენილთა შორის უიმედობამ და აპათიამ დაისადგუროს. ასეთ სიტუაციაში, ალბათ, საზოგადოების მოვალეობაა, დაიცვას ჯარი, ისე, როგორც ჯარი იცავს ქვეყანას განსაცდელის ჟამს და მხარდაჭერა აგრძნობინოს. ბუნებრივია, უნდა გამოირიცხოს ჯარის ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში.

## იმედი არ მოუშალა

**ვინაიდან სპარსებით დავიწყეთ და სამხედრო პრობლემატიკით გავაგრძელეთ, ალბათ, უმჯობესია, დასასრულს ორივე თემა შევაკავშიროთ, მითუმეტეს რომ ერთი, ძველი ისტორია, დღევანდელი პოლიტიკური კრიზისის ფონზე საგულისხმო მომენტებს შეიცავს.**

გადმოცემის თანახმად, სპარსეთზე ლაშქრობის დაწყებისას ალექსანდრე მაკედონელთან ერთი ბრძენკაცი, გამომგონებელი მიუყვანიათ. ბრძენი პატრიოტი იყო, სპარსების მოძულე (შესაძლოა ექიმიც; ამ ჰუმანური პროფესიის წარმომადგენლები ხანდახან ფრიად საშინელ რაღაცებს იგონებენ; მაგალითად, ჰილიოტინას ან ტყვიამფრქვევს). **მან ალექსანდრეს უჩვენა მსუბუქი ხის დაფა, რომელშიც გარჭობილი იყო გრძელი, განსაზღვრული კუთხით დახრილი ლურსმნები. ეს იყო ერთგვარი ანტიკური ნაღმი. მასზე დაბიჯებისას ცხენი დაკარგავდა ფლოქვს ან ფეხს, ხოლო დაცემულ მხედარს წამებით ამოხდებოდა სული. გამომგონებელმა ამ დაფების გამოყენების წესიც შეიმუშავა — საჭირო მომენტში მაკედონური ფალანგის სიახლოვეს წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე რამდენიმე ათეული ასეთი დაფის დაწყობა შეაჩერებდა სპარსული კავალერიის ნებისმიერ იერიშს, რომელიც განსაკუთრებით საშიში ზურგიდან და ფლანგებიდან იყო.**

**ალექსანდრე (რომელიც საკუთარ თავს ზევსის ძედ ასაღებდა) ყურადღებით დააკვირდა გამომგონებელს და ჰკითხა:**

**— სხვამ თუ იცის ამის შესახებ?**

**— არა, მბრძანებელო, მხოლოდ შენ, მხოლოდ შენთვის...**

**აქ კი ალექსანდრემ გააწყვეტინა და მცველებს შესძახა:**

**— მოკალით იგი! სწრაფად, პირის დაღება რომ ვერ მოასწროს!**

შემდეგ მან დაამატა კიდევ რაღაც იმის შესახებ, რომ ომის ბედი ღირსეულთა ბრძოლაში წყდება, თუმცა ეს უკვე პიარი იყო. საქმე კი ის გახლდათ, რომ წინა წამებში ალექსანდრემ მოახერხა მიმდინარე ომისთვის ერთდროულად უბრალო ჯარისკაცის და მხედართმთავრის თვალით შეეხედა და მომავალიც განეჭვრიტა. ერთი შეხედვით, ახალი გამოგონება მისი გამარჯვების შანსებს ზრდიდა, მაგრამ... **მაკედონური ფალანგა ძლიერი რამ იყო, თუმცა სპარსეთის მეფეს, დარიუსს მაინც ჰქონდა იმედი, რომ მისი არმიების გააფთრებული იერიშები გამარჯვებას მოუტანდა. თუ ფალანგა არა მხოლოდ ძნელად დასამარცხებელი, არამედ მიუდგომელიც (ხსენებული „ნაღმების" გამოყენების შემთხვევაში) გახდებოდა, დარიუსი გვერდზე გადადებდა ყოველდღიურ საზრუნავს ჯარის შეგროვებასა და მომარაგებაზე და ომის წარმოების ფუნდამენტურ საკითხებზე დაფიქრდებოდა. გამოსავალი ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, გახდებოდა პრიორიტეტის გადატანა მსუბუქი ,,სკვითური" ტიპის კავალერიის გამოყენებაზე, რომელიც მტერთან უშუალო შეხებაში არ შევიდოდა — დააყრიდა ისრების წვიმას და ისევ გაუჩინარდებოდა, იმოქმედებდა კომუნიკაციებზე, მოსპობდა ყველა საარსებო საშუალებას მაკედონელებისთვის ხელმისაწვდომ არეალში. მოგვიანებით, დარიუსის დამარცხების შემდეგ, როდესაც აზიის შუაგულში ალექსანდრეს მსგავსი ტიპის წინააღმდეგობა შეხვდა, მისი ჯარი სტრატეგიული მარცხის პირას დადგა.**

ამ ვითარებაზე საინტერესოდ წერს გამოჩენილი სამხედრო თეორეტიკოსი ალექსანდრე სვეჩინი: **,,რატომ არ მიმართეს სპარსებმა, ბუნებით ცხენოსნებმა და მეისრეებმა, ამ სკვითურ სტრატეგიასა და ტაქტიკას, არამედ სამჯერ სცადეს მაკედონელთა არმიის შეჩერება დიდ ბრძოლებში?.. იმისთვის, რომ თავი აარიდო ბრძოლას გაშლილ ველზე, გაუხსნა მტერს გზა ქვეყნის სიღრმისკენ და შემოიფარგლო მხოლოდ ძლიერი გამაგრებული პუნქტების დაცვითა და მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე მოქმედებით, სახელმწიფოს დიდი შინაგანი შეკავშირებულობა და წინააღმდეგობის გაწევის მორალური უნარი უნდა გააჩნდეს. მონარქია კი მყარად შეკრული არ იყო, ხელისუფლების ავტორიტეტი შერყეული იყო კარის გადატრიალებით, რომელმაც დარიუსი ტახტზე აიყვანა. სპარსეთს შინაგანი სისუსტე აიძულებდა, ბედი გადამწყვეტ ბრძოლაში ეძებნა, რისთვისაც სპარსული არმია, მიუხედავად დარიუსის ძალისხმევისა საკმარისად მომზადებული არ იყო. პოლიტიკურმა პირობებმა შესაძლებლობა მისცა ალექსანდრეს, საკუთარი გათვლებიდან გამოერიცხა მოწინააღმდეგის მიერ გადამწყვეტი ბრძოლის არიდება, როდესაც იგი სპარსეთის შუაგულისკენ გაემართა".**

ამგვარად, გამომგონებლისთვის რომ მოესმინა, ალექსანდრე საკუთარი ხელით უბიძგებდა დარიუსს მძიმე, მაგრამ მისთვის მომგებიანი, ერთადერთი გადაწყვეტილების მიღებისკენ, მაგრამ ვიდრე სპარსეთის მბრძანებელს გენერალური ბრძოლის შედეგად გამარჯვების მოპოვების იმედი რჩებოდა, ალექსანდრეს შეეძლო საკუთარი ჯარის უპირატესი საბრძოლო თვისებების იმედად ყოფილიყო.

სწორედ ასეთი ტიპის შეცდომა დაუშვა სააკაშვილის ხელისუფლებამ. მან ოპოზიციურ ძალებს მოუსპო იმის მცირედი იმედიც კი, რომ გამარჯვების მიღწევას ნორმალური პოლიტიკური პროცესის ფარგლებში, არჩევნების დროს შეძლებდა. ამგვარად, თავადვე უბიძგა ოპოზიციას, განსხვავებული სტრატეგიისთვის მიემართა, რომელმაც ხელისუფლება ძალიან მძიმე დღეში ჩააგდო. ხელისუფლებამ გამარჯვების (პირობითად) 60%-იანი გარანტიის ნაცვლად 100%-იანი გარანტიის მოპოვება მოისურვა და ეს მოწადინება მისთვის სავალალო შედეგით დასრულდა. რას იზამ, ყველა ვერ იქნება მაკედონელივით ბრძენი!

**დიმიტრი მონიავა**

## რედაქციისაგან:

**რამდენიმე დღის წინათ „მაესტროს" ოფისს ხელყუმბარა ესროლეს. თავდამსხმელს ჯერ ვერ მიაკვლიეს, თუმცა შეიძლება თქმა, რომ მისი (ან მათი) მიზანი ტელეკომპანიის თანამშრომლებზე ზეწოლა და მაუწყებლობის შეჩერება ან სატელევიზიო პოლიტიკის შეცვლა იყო.**

**„საქართველო და მსოფლიო" უერთდება კოლეგების აღშფოთებას მომხდარი თავდასხმის გამო და, თავის მხრივ, გმობს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას, მით უმეტეს, ძალადობის ამგვარი ფორმით გამოვლინებას.**

**იმედს გამოვთქვამთ, რომ „მაესტროს" თანამშრომლებს ჟურნალისტური სოლიდარობა და მაყურებლის თანადგომა უფრო მეტ მოტივაციას შესძენს ავტორიტარულ-ტოტალური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

## გა ჟრიჟ ებულნი



**ედუარდ შევარდნაძე,**
საქართველოს ექს-პრეზიდენტი

ხალხი ქუჩაში რომ გამოვა, ბოდიში უნდა მოიხადო, დაიხურო ქუდი და უნდა წახვიდე. მე ასე მოვიქეცი და ვამაყობ. სისხლის პირველი ნიშნები უკვე გაჩნდა და ამას რა ჰქვია? — რეპრესიების დასაწყისი.



**ირაკლი ალასანია,**
„ალიანსი საქართველოსთვის"

სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენი ერთად დგომით ეს ხელისუფლება და ხელისუფლების შინაარსი მალე შეიცვლება! ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ყველა ერთად გავიმარჯვებთ იმ ბოროტებაზე, რომელსაც 20 წელია, ვებრძვით და ვიცხოვრებთ თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც ყველა მოქალაქეს ექნება დემოკრატიული არჩევანის შესაძლებლობა, იქნება დაცული დემოკრატიული ინსტიტუტები და საფრთხე არ დაემუქრება ადამიანების სიცოცხლეს.



**ლევან გაჩეჩილაძე,**
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი

დღევანდელი დღე უნდა შემდგარიყო. ნუ უყურებთ პროცესს ისე, რომ რადგან ამდენი ხალხი შევიკრიბეთ, აუცილებლად სადღაც უნდა შევვარდნილიყავით. ამის გაკეთება რომ გვინდოდეს, აქამდეც გავაკეთებდით. სიკეთის გარდა სხვა ბრძოლაში მე არ გამოგადგებით. სააკაშვილის გამო ქართველების მოკვლა არ შემიძლია. თავზე თუ დამესხმებიან, მოგერიება შემიძლია. დღევანდელი დღე ძალიან აღმატებული იყო... ცხელ ტყვიასა და მოთმინებას შორის ზღვარია.



**სალომე ზურაბიშვილი,**
„საქართველოს გზის" ლიდერი:

მე მოვდიოდი ამ ქვეყანაში და მეუბნებოდნენ, რომ ეს ის საქართველო აღარ არის, რომელზეც ვოცნებობდი. დღეს მადლობა იმისთვის, რომ თქვენ ის ხალხი ბრძანდებით, იმ ქართველების მემკვიდრეები, რომლებიც უკან არასდროს იხევდნენ და ბოლომდე იბრძოდნენ.



**გია მაისაშვილი,**
„კოალიცია თავისუფლებისათვის"
ერთ-ერთი ლიდერი:

განა ადვილი იყო ზვიად გამსახურდიასთვის დამოუკიდებლობის მოპოვება? ეს ერი გამარჯვებული იქნება, თუ ერთობას შევინარჩუნებთ. ერის ერთობა სამართლიანობაზეა დამოკიდებული და არა — გარიგებაზე.



**ნონა გაფრინდაშვილი,**
მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი:

მე მინდა, რომ ყველა ეროვნების ადამიანს ეამაყებოდეს საქართველოს მოქალაქეობა. ასეთ პოზიციაზე ძალიან ბევრნი ვართ და აქ მხოლოდ ერთი ნაწილია მოსული. ვიყოთ ერთად და აუცილებლად შევასრულოთ მისია, რომელსაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების შეცვლა ქვია.



**ნინო ბურჯანაძე,**
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი:

ხალხმა არ აპატია ხელისუფლებას უცნობი ჯარისკაცების საერთო სამარხები, უმიზნოდ სისხლის დაღვრა. ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს ამაზე. ეს შეკრება დასტურია, რომ ერთადერთი საკითხი, რაზეც სააკაშვილთან ლაპარაკი შეიძლება, ეს მხოლოდ მისი გადადგომის თემაა. ნებისმიერ სხვა თემაზე მასთან შეხვედრა ხალხის ღალატი იქნება.



**ეკა ბესელია,**
ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი

გამოვაცხადოთ კანონგარეშედ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, გამოვაცხადოთ დაუმორჩილებლობა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გურამ ოდიშარიას მამის საფლავს

## გურამ ოდიშარია:
# აფხაზებს კი არა, შუამავლის გარეშე ქართველები ვეღარ ველაპარაკებით ერთმანეთს

**„ხან მამა მესიზმრებოდა, ხან — სასაფლაო, ხან — ჩემი სახლი... ჩვენ, დევნილებს, ხშირად გვესიზმრება ხოლმე ჩვენი მშობლიური ადგილები. ეს იცოდნენ ჩემმა მეგობრებმა და ამიტომაც მიმიწვიეს აფხაზეთში, რაც ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო“... — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი მწერალმა გურამ ოდიშარიამ, რომელსაც შარშან კორეაში მშვიდობის ელჩის სტატუსი მიანიჭეს. როგორც წესი, ამ ტიტულის მინიჭება გაეროს დონეზე წყდება... ბატონი გურამი სოხუმიდან რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდა...**




სოხუმი, 2009 წელი

**— ბატონო გურამ, როგორ გარისკეთ ამ ვითარებაში აფხაზეთში წასვლა?**

— ომის შემდეგ სოხუმში მეორედ ჩავედი. პირველად ხუთი წლის წინათ ვიყავი. გალში გადავდიოდი ხოლმე, სოჭიდანაც გადმოვსულვარ საზღვარზე და ყოველთვის კონტაქტი მქონდა აფხაზებთან, ომისშემდგომი ერთი-ორი წლის რთული პერიოდის გარდა. სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. ბევრი აფხაზი მეგობარი მყავს. რამდენიმე მათგანს იქ დიდი თანამდებობა უჭირავს და მათი მიპატიჟებით ჩავედი. ყველაფერი ოფიციალურად გაკეთდა, დიდხანს მზადდებოდა ეს საკითხები. თბილისიდან ბათუმში გაეროს თვითმფრინავით ჩავფრინდი, იქიდან — ბათუმი-სოხუმის რეისით, ვისარგებლე გაეროს ვერტმფრენითაც. გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე გავიგე, რომ ჩემთან ერთად მოდიოდა გაზეთ „აფხაზსკიე მერიდიანის“ ჟურნალისტი დევი ფუტკარაძე... მამა და ბებია იქ არიან დაკრძალული. სოხუმის რაიონის სოფელ აბჟაყვაში ჩვენი საოჯახო სასაფლაო გვაქვს.

ჩემს მეგობრებს უთქვამთ, გურამი კარგა ხანია, მამამისის საფლავზე არ ყოფილაო და მიმიპატიჟეს.

პირველად მამას საფლავზე ავედი. იგი სამხედრო ოფიცერი იყო, მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა. სწორედ 9 მაისს მოვხვდი სოხუმში. მამას ყველაზე მეტად ახალი წელი და 9 მაისი უყვარდა... საფლავი მოვლილი დამხვდა, საფლავის ქვაც ადგილზეა და ქართული წარწერა — „ნიკოლოზ ლევანის ძე ოდიშარია“ — დღემდე ამშვენებს...

უნდა აღვნიშნო, რომ საფლავთა უმეტესობა ხელუხლებელია, თუმცა ეკალ-ბარდია მოძალებული. მინდოდა, ჩემი ნათესავების საფლავებიც მენახა, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა... 10 მაისს მეგობრებს ვთხოვე, გაგრაში, ჩემს საყვარელ ქალაქში წავსულიყავით... ჩავედი ბიჭვინთაში, ახალ ათონშიც...

**— გინდათ, თქვათ, რომ ადამიანური ურთიერთობის რესურსი დღემდე არსებობს?**

— აგვისტოს მოვლენების მიუხედავად, ადამიანური ურთიერთობის რესურსი არსებობს. სამწუხაროდ, ჩვენ ერთმანეთისგან იზოლაციაში ვართ და, ძირითადად, მედიის ინფორმაციას ვეყრდნობით, რაც პოლიტიკური კონიუნქტურითაა გაჯერებული. მაგალითად, ბოლო დროს სულ ისმის, რომ რუსებმა შეიყვანეს ჯარი აფხაზეთში და სხვა. რუსები მართლა დგანან იქ, მაგრამ პირადად მე ოთხი დღე ვიყავი იქ და ერთი სამხედრო მანქანაც არ დამინახავს. ალბათ, დისლოცირებული არიან კონკრეტულ ტერიტორიაზე, მაგრამ ქუჩაში ერთი რუსი სამხედროც კი არ შემხვედრია.

**— ინფორმაცია, რომ დიდი რაოდენობით რუსული ჯარი და ტექნიკაა შემოყვანილი, სიმართლეს არ შეესაბამება?**

— სოხუმსა და გაგრაში ეს თვალშისაცემი არ არის. რუსული ჯარი, ძირითადად, გალში დგას. ეს ვიცოდი და აფხაზებიც ამბობენ, რომ საზღვარს ამაგრებენ, მაგრამ, როგორც გითხარით, სოხუმში ისინი არ დამინახავს.

**— სოხუმში რომ მიდიოდით, არ გიფიქრიათ იმაზე, რომ ამის გამო ხელისუფლებას შეიძლება სამშობლოს მოღალატედაც კი შეერაცხეთ?**

— შესაძლოა, ეს „პერსპექტივა“ ჯერ კიდევ წინ მაქვს, მაგრამ იქაური ხელისუფლება მიცნობს როგორც მწერალს და შემოქმედს. აფხაზებს ხშირად ვხვდები და სწორედ ამან მომცა საშუალება, ვიცოდე, რა პრეტენზია აქვთ ჩვენთან. ამ პრობლემის შესწავლის შემდეგ დავწერე „ზღვა, რომელიც შორია“ და შემდეგ ეს ნაწარმოები სცენაზე დადგა შესანიშნავმა რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ. სოხუმის თეატრის მსახიობებმა არაჩვეულებრივად ითამაშეს და ჩვენ ყველამ ერთად მოვახერხეთ დიალოგი. ამ სპექტაკლის შემდეგ საფიქრალი ბევრია. ჩვენ საუკუნეების მანძილზე ერთად ვცხოვრობდით და დასაკარგად არ გვემეტება ეს ხალხი. პოლიტიკოსებმა იმუშაონ მსოფლიო მასშტაბით — ამერიკასთან, რუსეთთან, ევროპასთან, მაგრამ აფხაზებთან კავშირი და დიალოგი არ უნდა შევწყვიტოთ.

შეიძლება ამ დიდმა სახელმწიფოებმა ერთ მშვენიერ დღეს რაღაცას მოაწერონ ხელი, მაგრამ თუ ადამიანებს შორის სიძულვილი იქნება და ერთმანეთთან კონტაქტს საბოლოოდ გაწყვეტენ, პოლიტიკოსების გადაწყვეტილებები ვერაფერს შეცვლის. უნდა გითხრათ, რომ ამ „დიდი საუბრების“ არ მჯერა და არც მეხერხება. სამაგიეროდ, კარგად გამომდის ადამიანებთან საუბარი. არაფერს ვმალავ, თუ რამ ინფორმაცია მაქვს, ყველაფერი ჩემს წიგნებში იწერება, რომლებიც რუსულ ენაზეც გამოდის.

სოხუმში ბევრმა რამემ გამაოცა; როდესაც სხვებს ჩემს თავს აცნობდნენ, აღმოჩნდა, რომ ბევრი მიცნობდა, წაკითხული ჰქონდა ჩემი „ულელტეხილზე გადასვლა“, ენახა დივიდი...

უკან დაბრუნებულს ერთმა ახალგაზრდამ, ალბათ, სასაზღვრო სამსახურის თუ საბაჟოს თანამშრომელმა, მკითხა, რა მომეწონა აფხაზეთში და რა — არა... როცა უთხრეს, ვინც ვიყავი, აღმოჩნდა, რომ ჩემი მოთხრობა „სიზმარი“ წაკითხული ჰქონდა. მერე ეს ადამიანები რაღაცნაირად იხსნებოდნენ ჩემთან საუბარში, მიამბობდნენ თავიანთ პრობლემებზე... უმეტესობამ მითხრა, მე რომ პოლიტიკოსი ვყოფილიყავი, არ მიმიღებდნენ, რადგან ამას ბევრი მერე, თურმე, პიარისთვის იყენებს...

სამშობლოს მოღალატის იარლიყის მოწებების ნამდვილად არ მეშინია, რადგან მართალი ვარ! თუმცა ხელისუფლებას ყოველთვის შეუძლია ამ ფაქტის გამოყენება, მაგრამ, რასაც ვფიქრობ, ტელეფონითაც ვსაუბრობ, ვწერ კიდეც და ინტერვიუებსაც ვიძლევი. ამ დროს, საშიშროება და დაძაბული სიტუაცია იქაცაა.

**— კერძოდ, რა საშიშროება?**

— დეკემბრის პირველ ნახევარში არჩევნების ჩატარებას აპირებენ და ბრძოლა თანდათან მძაფრდება. სოხუმში ჩასვლა სარისკო იყო ჩემთვისაც და ჩემი მეგობრებისთვისაც იმ თვალსაზრისით, რომ მათაც შეიძლება, დააბრალონ, რომ, რადგან ქართველი კაცი მიიღეს ესე იგი ქართულ პოლიტიკას კარგი თვალით უყურებენ და ეს შეიძლება, პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოიყენონ. სექტემბერ-ოქტომბერში ეს ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდება. ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობას დანაღმულ ველს ვადარებ. არის თითო-ოროლა ადამიანი, რომელსაც ამ ველზე ისე შეუძლია სიარული, რომ არ აფეთქდეს, მაგრამ გარანტირებული არავინაა. ასეთ დროს მომლაპარაკებელი თუ შემრიგებელი, არ ვიცი, რა დავარქვა ასეთ კაცს, ყოველთვის რისკის ქვეშაა, ერთი მხარისთვის ის მოღალატეა, მეორისთვის — მტერი. ეს ჩვენი უბედურებაა — ქართველებისა და აფხაზების, მაგრამ არ უნდა შეგვეშინდეს. თუ გულით უნდა კაცს სიკეთის გაკეთება, თუ მართლა უყვარს როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, უნდა გარისკოს და დანაღმულ ველზე გაიაროს.

**— ბუნებრივია, ისაუბრებდით აგვისტოს მოვლენებზე. როგორ აფასებენ მომხდარ ტრაგედიას?**

— დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება მათთვისაც მოულოდნელი იყო, რასაც ასე სწრაფად არ ელოდნენ, თუმცა ჩაფიქრებულები არიან. მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ ორმა ქვეყანამ ცნო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი გაეროს წევრი ქვეყანაა და გაეროსაც კი არ გაუკიცხავს ამისთვის. შემდეგ ჯარი შეიყვანა, ზღვაში თავისი სამხედრო გემები ჰყავს, რაც აფხაზებისთვის უსაფრთხოების გარანტია. მათ სულ ჰქონდათ შიში, რომ საქართველო დღეს-ხვალ აუცილებლად დაიწყებდა ომს. შუქურას რაიონში ერთმა აფხაზმა მითხრა, — აღიარებამდე ერთხელ გაზის ბალონი აფეთქდა და გვეგონა, ქართველებმა ჩვენი დაბომბვა დაიწყეს, ახლა კი მშვიდად გვძინავსო. მშვიდად იმიტომ სძინავთ, რომ თუ სამხედრო მოქმედებას დავიწყებთ, ჰყავთ გარანტი, ვინც მათ დაიცავს. ამავე დროს, იციან, რომ პოლიტიკური სიტუაცია სწრაფადცვალებადია; როგორც მოულოდნელად მოხდა აღიარება, ასევე მოულოდნელად შეიძლება სხვა „რაღაცებიც“ მოხდეს. 5 წლის წინანდელთან შედარებით, დღევანდელი სოხუმი ბევრად უკეთესია.

**— ბევრი რამ დაგხვდათ გაკეთებული?**

— ასეა... შენობები აღდგენილია, სანაპირო შესანიშნავადაა გაკეთებული, შენობები შეღებილია, გზები — გაყვანილი, სოხუმი ღამე უფრო განათებულია, ვიდრე ომამდე მახსოვს. აფხაზებს ვეხუმრე კიდეც — სააკაშვილს ბაძავთ-მეთქი...

**— თქვენს ხუმრობაზე რა რეაქცია ჰქონდათ?**

— მეგობრებთან ვიხუმრე და გაეცინათ. სხვათაშორის, ერთმა თქვა, — ჩვენ პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ვართ, მაგრამ ყველაფერს ვაანალიზებთ და მისი მოქმედების დასაწყისი მოგვეწონაო. სამეზობლოში „გაი“ ყველგან შენარჩუნდა, კორუფცია არის და მათ მოსწონთ, რომ აქ პატრული სხვა სახელითაა. მოსწონთ, უმაღლეს სასწავლებელში ნაცნობობით და ნათესაობით მოწყობა შეუძლებელი რომ გახდა. მართალია, ვიღაცები ამბობენ, რომ შესაძლებელია, მაგრამ... ანალიტიკოსი მეგობრები მყავს, მწერლები, თქვენი კოლეგები და ისინი ამბობენ, რომ სააკაშვილმა კარგად დაიწყო, მაგრამ მერე დინამიკა დაიკარგაო.

ხედავენ, რომ დღეს არ ვართ კარგ დღეში. აფხაზები რომ მოიპატიჟო და უთხრა, ჩვენთან არ გირჩევნია, ვიდრე რუსთანო, გიპასუხებს, — შენ სულ მიტინგები გაქვს, არც ერთი პრეზიდენტი არ დააყენე (კარგია თუ ცუდი, ეს სხვა საკითხია, — გ. ო.)... უყურებენ ჩვენს მიტინგებს, როგორ ვუმტვრევთ ერთმანეთს ცხვირპირს... დაახლოებით, ისეთი სიტუაციაა, მეზობელმა რომ შემოგთავაზოს ერთად ცხოვრება და ამ დროს მისი ოჯახიდან სულ აყალმაყალი ისმოდეს... არ მოგინდებათ იმასთან ცხოვრება.

**— საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ან საქართველოს ხელისუფლებაზე რას ამბობენ?**

— ჩემთან მწვავე შეფასებებს მოერიდნენ, რომ რამე არ მწყენოდა. პოლიტიკოსებს ნაკლებად შევხვდი, თუმცა მათთანაც მქონდა საუბარი, მაგრამ ეს ადამიანურ ურთიერთობებს არ გასცდენია. სპექტაკლი რომ დავდგით, იქ არის მომენტი, სადაც აფხაზი უვლის ქართველის საფლავს, ძალიან მწვავედ ეკამათებიან ერთმანეთს, მაგრამ ქართველი ამბობს: მამაჩემის საფლავზე ავედი და მოვლილი იყოო.

ეს ჩემს მეგობრებს გულზე მოხვდათ და იმიტომ დამხვდა მამაჩემის საფლავი მოვლილი. ეს კი ჩემთვის დიდი ბედნიერებაა! გარდა ამისა, კიდევ მეტი იმედი მომეცა, რომ ხელოვნებასა და კულტურას შეუძლია ერთმანეთთან ჩვენი დაკავშირება. მაგალითად, აფხაზებმა არ იცოდნენ ულელტეხილის ამბები და ჩემი წიგნებით გაუგიათ, ხალხი რა დღეში ჩავარდნილა...

**— როგორია თქვენი შთაბეჭდილება, არის სურვილი, რომ ქართველებმა და აფხაზებმა ერთად იცხოვრონ?**

— სურვილი იმისა, რომ ადამიანური ურთიერთობა ჰქონდეთ ქართველებთან, უდავოდ თვალშისაცემია. ამასთან, ჩვენ და აფხაზები მონათესავე ერები ვართ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართული და აფხაზური სუფრაც კი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მეტსაც გეტყვით, ქართველებთან ქეიფიც კი ენატრებათ. გამომკითხეს, ვინ სად და როგორ არის. პოლიტიკურ თანაცხოვრებაზე არ გვისაუბრია. ახლაც ვფიქრობ, მცდარი იყო ფორმულირება — დავიბრუნოთ აფხაზეთი კვადრატ-კვადრატ! აფხაზ-აფხაზ რომ დაიბრუნებ აფხაზეთს, ის მიწა-წყალიც დაგიბრუნდება კვადრატ-კვადრატ. ჩვენც დავუშვით შეცდომები... 1997 წელს, როდესაც პრიმაკოვის ინიციატივით შეხვდნენ არძინბა და შევარდნაძე და გადაკოცნეს ერთმანეთი; მერე ჟენევაში საგარეო საქმეთა მინისტრები მენაღარიშვილი და შამბა შეხვდნენ; არსებობდა პროექტი, საუბარი ვიზებით მიმოსვლაზე და რუსეთიც თანახმა იყო ამაზე. თუ არ ვცდები, ჯარი ერთი უნდა ყოფილიყო და ფულადი ერთეულიც, მაგრამ აფხაზეთი ეკონომიკას დამოუკიდებლად წარმართავდა. ამ დოკუმენტს შამბამ მოაწერა ხელი, მენაღარიშვილმა — არა. აფხაზები კი იმედოვნებდნენ, რომ ამ შეთანხმებას შევარდნაძე მაინც მოაწერდა ხელს, მაგრამ ასე არ მოხდა. მიმაჩნია, რომ ეს ხელიდან

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აფხაზები უვლიან

გაშვებული შესაძლებლობაა. ერთი წლის შემდეგ გალში შევედით და რითაც დამთავრდა, ყველამ ვნახეთ.

**— სამწუხაროდ, შეცდომა მრავლად იყო...**

— ძალიან ბევრი კონფლიქტური რეგიონი ოცნებობს ისეთი სიტუაციის შექმნაზე, როგორიც ერგნეთში იყო. ერთმა მეგობარმა მიამბო, როგორ მოხვდა ერგნეთში და გაოცდა, როცა ოსები და ქართველები სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან ისხდნენ და ქეიფობდნენ. მეომრების სუფრასთან კი ერთი მებრძოლი უამბობდა მეორეს, ომის დროს როგორ ხედავდა მას და შესაშინებლად ჰაერში როგორ გაისროლა. მეორემ უპასუხა, — მე „გრანატამიოტიდან" გესროლე, მაგრამ განზრახ აგაცდინე, სასიკვდილოდ ვერ გაგიმეტეო... ამ საუბრის შემდეგ ამ ნაომარმა ბიჭებმა ერთმანეთი გადაკოცნეს... საოცარი სურათი იყოო...

გახსოვთ, ალბათ, ავტობუსიც დადიოდა ცხინვალი-გორი, ცხინვალი-თბილისი, ქართულ სოფლებს ქართული წარწერები ჰქონდა, მაგრამ ჩვენ შეცდომები დავუშვით. ამ მდგომარეობამ ჩაითრია ადამიანური ურთიერთობებიც...

ერთმა აფხაზმა ქალბატონმა მიამბო: ერთი შვილი ომში დამეღუპა, მეორე ადრე გარდაიცვალა, მათ გვერდით ქართველი ბიჭის საფლავია და მასაც ისევე ვუვლი, როგორც ჩემი შვილების საფლავს, იმიტომ, რომ დედამისი ვერ ჩამოდისო...

ის ქალბატონი ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც ერთსა და იმავეს იმეორებს უშედეგოდ.

კვიპროსში მუსლიმანებმა და ბერძნებმა მთავრობის ჩაურევლად მოილაპარაკეს და კონკრეტულ დღეებში თავიანთი მიცვალებულების საფლავებთან მიდიან. ასე რომ, ხალხმა მოძებნა გამოსავალი და საერთო ენა... ოსეთში 2004 წელს მომხდარ შეტაკებას შეგახსენებთ. მანამდე მეც და ბევრი ჩემი ნაცნობიც ჩავდიოდით ცხინვალში ქართულნომრიანი მანქანებით, მეგობრებს ვხვდებოდით, გვქონდა კავშირი, მაგრამ ამ შეტაკების შემდეგ ეს კავშირი დაიკარგა. პატარ-პატარა ბრძოლების შემდეგ დაიწყო ეს დიდი უბედურება. ასეთი ამბების შემდეგ ცდილობ, ღრმად გააანალიზო მომხდარი, მაგრამ არ გაქვს საკმარისი ფაქტები, თუმცა ინტუიციურად ვგრძნობ, რომ ამ უბედურების თავიდან აცილება შეიძლებოდა.

არ ვიცი, რამდენად შეძლებს ჰაიდი ტალიავინის კომისია ყველა მასალის მოძიებას, მაგრამ, როგორც ამბობენ, ივნისში თავის დასკვნას დადებს. კოსმოსიდან არის დაფიქსირებული, იყო თუ არა დაბომბვა და, ჩვენდა სამწუხაროდ, მგონია, რომ ეს დასკვნა ჩვენთვის სასარგებლო არ იქნება.

**— ხელისუფლებამ თუ გამოიჩინა ინიციატივა, რომ ამ საკითხებზე უფრო აქტიურად იმუშაოთ?**

— სამწუხაროდ, ასეთი რამ არ მომხდარა. ყველამ იცოდა, რომ მაქვს ურთიერთობა... გაზეთებშიც ვწერდი, რის გაკეთება ჯობია, აფხაზ ხალხს რა სტკივა, როგორ ვისაუბროთ მათთან, რა გაუხარდებათ, რა ეწყინებათ, მაგრამ რჩევაც კი არავის უკითხავს. შეიძლებოდა ორისამი კაცისგან ჯგუფის შექმნა ან საბჭოს ჩამოყალიბება, რომ გვემუშავა იმ საკითხებზე. ეს წყალში გადაყრილი რესურსია...

**— გამოდის, ხელისუფლება კონფლიქტის მოგვარებით არც არასდროს ყოფილა დაინტერესებული...**

— სამწუხაროდ, არც სურვილი იყო და არც უნარი იმისა, რომ ეს მოგვარდეს მშვიდობიანად. აღმოჩნდა, რომ ჩვენ არ ძალით შეგვიძლია საკითხის მოგვარება. ერთიორჯერ ირაკლი ალასანიასთან მქონდა საუბარი, როდესაც ამ კონფლიქტის დარეგულირებაში იყო ჩართული, ვისაუბრეთ და მიიღეს კიდეც აფხაზეთში... უხეშად რომ ვთქვათ, რაღაც ილუზიებს ავყევით, რომ ამერიკა ამოგვიდგებოდა მხარში, შეაშინებდა რუსეთს, რომელიც მერე შეეშვებოდა აფხაზეთს. ასეთი არასერიოზული მიდგომით მივედით ამ შედეგამდე. ის ხალხი არ ამოიყენა ხელისუფლებამ გვერდით, ვინც შუამავლის გარეშე ელაპარაკება აფხაზს და ოსს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ, აფხაზებს კი არა შუამავლის გარეშე ქართველები ერთმანეთს ვეღარ ველაპარაკებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა იღუპება. ცოტა ხანში საქართველო დიდი კრიზისის წინაშე აღმოჩნდება. უფსკრულის პირას დავდგებით.

**— თქვენი მეგობრები ხომ არ აპირებენ ჩამოსვლას?**

— შეიძლება ჩამოვიდნენ... როგორც აფხაზებისთვის, ისე ქართველებისთვის მიმოსვლა ვაჟკაცობასთანაა დაკავშირებული, იქაც ბევრ რამეს დააბრალებენ, აქაც შეიძლება თქვან, — რატომ ჩამოვიდა, რაიმე ინფორმაციის წაღებას ხომ არ აპირებსო? *(იცინის)* რა ინფორმაცია უნდა წაიღონ, განა დღეს სხვაგვარად ინფორმაციის მიღება პრობლემაა? მითუმეტეს, როცა აფხაზებზე ვლაპარაკობთ?!

**— ქართველები არიან სოხუმში?**

— ბევრი არა, მაგრამ არიან. აბჟაყვაში ვნახე რამდენიმე ქართველის მოვლილი სასაფლაო. ბაზარშიც ვნახე ქართველები. გალელები ჩადიან, რომლებსაც პროდუქტი ჩააქვთ. გულრიფშელი ქართველებიც ვნახე. ბევრნი არა, მაგრამ არიან.

როცა იგებდნენ, რომ ქართველები ვიყავით, დადებითი რეაქცია ჰქონდათ. სიძულვილი არავისგან მიგრძვნია. ეს დაუვიწყარი დღეები იყო ჩემთვის! უმთავრესია, ხალხთა კავშირი არ დაიკარგოს!

მითხრეს, რომ სახლთან მისვლა გამიჭირდებოდა. ბუნებრივია, ძალიან განვიცადე, მაგრამ ჩემთვის მთავარია, ხვალ როგორი იქნება ურთიერთობა.

**— ალბათ, თქვენს სახლშიც აფხაზი ცხოვრობს...**

— ასეა... არც მივსულვარ სახლში... არ შევაშფოთე ის კაცი... იყოს, იცხოვროს... მამაჩემის სახლშიც აფხაზი ცხოვრობს და არც იქ მივსულვარ...

ის სახლი იქნება და იქნება და თუ ჩვენ ასე შორი-შორ ვიქნებით, ისე გაილევა ჩემი ცხოვრება, რომ იმ სახლს ვერ ვნახავ, მაგრამ ჩემთვის მთავარი ჩვენი ურთიერთობაა!

მოსალოდნელია, რომ ჩვენი ურთიერთობები დათბება. რაც შეეხება სახლს, ის მხოლოდ აგური და ქვიშაა, ადამიანთა ურთიერთობებია მთავარი...

ესაუბრა
**მანანა ჩხეიძე**



აფხაზი მწერალი დაურ ნაჭყებია და გურამ ოდიშარია. სოხუმი, ამრა, 2004 წელი

# პატრიარქმა იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში რუსულად წირვა-ლოცვა აღადგინა



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას ბრძანა: — „საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს ბევრი რამ შეუძლიათ, გააკეთონ ჩვენი ქვეყნების სასიკეთოდ", — და იმავე დღეს სამების ტაძრის მოძღვარი მამა ადამი იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის წინამძღვრად აკურთხა. პატრიარქის ამგვარ გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი საკითხი უძღოდა წინ.**

ცოტა ხნის წინათ თბილისის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის რუსულენოვანმა მრევლმა დასახმარებლად ერეკლე მეორეს საზოგადოებას მიმართა — რუსულენოვანი მრევლისათვის ტაძარში წირვა-ლოცვა რუსულ საეკლესიო ენაზე სრულყოფილად აღარ ტარდებოდა, შეიზღუდა რუსული საგალობლები, გადააადგილეს რუსული ხატებიც. აღშფოთებულმა მრევლმა დახმარებისათვის საპატრიარქოს მიმართა, დახმარების თხოვნით არა ერთი წერილი გაგზავნეს, მაგრამ, როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, როგორც ჩანს, პატრიარქამდე ერთსაც არ მიუღწევია. ერეკლე მეორეს საზოგადოებამ პატრიარქთან შეხვედრა ითხოვა. უწმინდესი და უნეტარესი ჯერ აღნიშნული საზოგადოების წარმომადგენელს შეხვდა, შემდეგ კი მრევლს და დაჰპირდა, რომ პირადად იზრუნებდა პრობლემების მოგვარებაზე. ამის შემდგომ მომხდარმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — უწმინდესი კვირა დღეს თავად მიბრძანდა ტაძარში, ახალ წინამძღვრად მამა ადამი აკურთხა და წირვა-ლოცვამ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, თავიდან ბოლომდე რუსულ ენაზე ჩაიარა. პატრიარქმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია, აღდგეს კეთილმეზობლური ურთიერთობები ერთმორწმუნე რუს ხალხთან.

25 მაისს ერეკლე მეორეს საზოგადოებამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა, რომელიც მომხდარის შეფასებას, პატრიარქისადმი მადლიერების გამოხატვას და ერთმორწმუნე ქართველ და რუს ხალხებს შორის კეთილმეგობრული ურთიერთობების აღდგენას მიეძღვნა.

**ერეკლე მეორეს საზოგადოების ხელმძღვანელი არჩილ ჭყოიძე:**

— მადლობა უწმინდესსა და უნეტარესს, რომელმაც, როგორც ყოველთვის, ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო და რუსულენოვან მრევლს მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების შესაძლებლობა დაუბრუნა. ეს ხომ მხოლოდ ერთი ეკლესიის მრევლის პრობლემა არ იყო, ეს საერთოდ ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ამ ურთიერთობების მოგვარების რეალური რესურსი რომ არსებობს, უწმინდესის მოსკოვში ვიზიტის დროსაც დავრწმუნდით.

მინდა, ულრმესი მადლობა გადავუხადო რუსეთის საპატრიარქოს, პირადად რუსეთის კათალიკოს-პატრიარქს კირილს იმის გამო, რომ მათ არანაკლებ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეს, როდესაც არ აღიარეს სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ეპარქიები. უწმინდესმა ბრძანა, რომ ქართველ და რუს ხალხს ბევრი საერთო აქვთ. ყველაზე დიდი კი, რაც ჩვენ მართლაც გვაახლოებს და გვაერთიანებს, ჩვენი რწმენაა. ჩვენ არ ვართ მხოლოდ მეზობლები და ვერ გვექნება მხოლოდ კეთილმეზობლური ურთიერთობები, ჩვენ სულიერი ძმები ვართ და სიყვარული უნდა გვაერთიანებდეს. ყველას მოვუწოდებ, მოისმინონ პატრიარქის გუშინდელი ქადაგება და აასრულონ ერის სულიერი მამის სიტყვები.

**საზოგადოება „ისტორიული მემკვიდრეობის" ხელმძღვანელი ტარიელ გაბინაძე:**

— მადლობა პატრიარქს, რომ მან ესოდენი გულისხმიერება გამოიჩინა რუსულენოვანი მრევლისა და ერეკლე მეორეს საზოგადოების თხოვნის მიმართ. დღევანდელი დღე კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ეკლესია არის უდიდესი ძალა ორი ერთმორწმუნე ხალხის დასაახლოებლად და სასიხარულოა, რომ უწმინდესი და უნეტარესი საამისოდ ძალისხმევას არ იშურებს. იმედს ვიტოვებ, რომ პატრიარქის ასეთი პრინციპული ჩარევა ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საქმეში იქნება გაკვეთილიც და გაფრთხილებაც წყლის ამღვრევის მოსურნეთათვის. რუსულენოვანი მრევლის ეკლესიაში რუსულად წირვა-ლოცვის გაუქმება არანაირი ლოგიკის ჩარჩოებში არ თავსდება, მაგრამ ამას შეეძლო, კიდევ ერთხელ მიეყენებინა ჩრდილი საქართველოს ავტორიტეტისთვის. რა, უკვე იმდენი მოვახერხეთ, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანთა ქვეყანაში – საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლს ეთნიკური და ენობრივი ნიშნით ავიწროებენ? ვის და რატომ მოუვიდა თავში ეს ავადმყოფური აზრი? ამის გარკვევა მისი უწმინდესობის კომპეტენციაა. წესით, ამით სხვა ორგანოებიც უნდა დაინტერესდნენ.

კიდევ ერთხელ გულწრფელად ვუხდი მადლობას, უპირველესად, პატრიარქს, შემდგომ კი ამ საკითხის მოგვარებაში მონაწილე თითოეულ ადამიანს, რომ ესოდენ აქტიური პოზიცია დაიკავეს.

**მწერალი, რუს მწერალთა საზოგადოების წარმომადგენელი მიხეილ რაზმაძე:**

— ძალიან დიდი საქმე გაკეთდა, არა მხოლოდ დაგვიბრუნდა თვითმყოფადობა ჩვენ, რუსული ეკლესიის მრევლს, არამედ გადაიდგა ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთობების აღდგენისაკენ. გლობალიზაციის ეპოქაში პატარა ქვეყნებს მძიმე ხვედრი აქვთ, მათ საკუთარი ადგილი უნდა მოიპოვონ ამ ერთიან სივრცეში და, რაც მთავარია, უნდა შეინარჩუნონ თავიანთი ეროვნულობა. სწორედ ეროვნულობის მოსპობისკენაა მიმართული ყველა ის მცდელობა, რომელსაც საქართველოზე „ზრუნვით" შემოგვაჩეჩებენ ხოლმე. სინამდვილეში საქართველოს ერთმორწმუნე რუს ხალხთან მეგობრული ურთიერთობა სჭირდება და არა მხოლოდ საქართველოს, ეს სჭირდება რუსეთსაც. როდესაც მრევლმა რუსული წირვა-ლოცვისთვის ბრძოლა დაიწყო, სიმართლე გითხრათ, იმედი არ მქონდა, რომ რაიმე მივაღწევდით, მაგრამ მომხდარმა უდიდესი იმედი ჩამისახა, მთლად განწირული არ ყოფილა მდგომარეობა, თურმე ნამდვილად გვაქვს რესურსი იმისა, რომ ერთად დავძლიოთ ყველაფერი, რაც ჩვენს ძმობას დაუდგება წინ და თუ მოვინდომებთ, ნამდვილად ყველაფერი გამოგვივა.

**მაია სვიანაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო



**საქართველოს პრეზიდენტმა ფოთში მალულად მოწყობილ ერთ-ერთ შეხვედრაზე განაცხადა, რომ მოსახლეობა მას „არქიტექტურულ გადახრებში“ ადანაშაულებს. არადა, ფასადების შეღებვა, ძვირადღირებული შადრევნები, მშენებლობისადმი მანიაკური ლტოლვა და უგემოვნობა არ არის ერთადერთი ნაკლი, რის გამოც მისი პიროვნება ქართველი საზოგადოებისთვის მიუღებელი გახდა. არქიტექტურულის გარდა, სააკაშვილს ქვეყნის მოსახლეობაც და კომპეტენტური ექსპერტებიც გადახრების მთელ კომპლექსში სდებენ ბრალს. ფსიქიკური გაუწონასწორებლობა, აღვირახსნილი ცხოვრების წესი, ზნეობისა და მორალის უქონლობა... აი, მცირე ჩამონათვალი სააკაშვილის ხასიათის იმ შტრიხებისა, რამაც საქართველო ტერიტორიების დაკარგვამდე მიიყვანა, დახლიჩა და დაანაწევრა.**



## თემურ შაშიაშვილი: კომიტეტის სხდომაზე მიშა ორი ჰალსტუხით მივიდა

## შალვა ნათელაშვილი: სააკაშვილის გარემოცვა მანიაკების სექტაა

პირველი ლეიბორისტი **შალვა ნათელაშვილი** კი ფიქრობს, რომ თავის დროზე მიხეილ სააკაშვილის გადახრების ჩამონათვალი მრავალ საგამოძიებო ტომს დაიკავებს. მისთვის სამწუხაროა მხოლოდ ის ფაქტი, რომ საზოგადოებისთვის ეს ყველაფერი რევოლუციამდეც იყო ცნობილი და სააკაშვილი მაინც გააკერპეს და გააფეტიშეს. **„მიხეილ სააკაშვილის არასერიოზული ქცევა, მისი ფსიქოპორტრეტი ხალხისთვის ნაცნობი იყო, მაგრამ თქვეს, — მერე რა, კაცია და ბევრი უნდა ჭამოს, კაცია და ქალებში უნდა იაროს, კაცია და რესტორანში უნდა წავიდეს, კაცია და უნდა იმოგზაუროს... ეს ყველაფერი გასაგებია, ოღონდ პრეზიდენტის ფუნქცია ისაა, რომ მისმა მოქალაქეებმა იარონ ქალებში, რესტორნებში, საზღვარგარეთ, იცხოვრონ კარგად და მხოლოდ ამის შემდეგ ხანდახან მისცეს თავს რაღაც-რაღაცების უფლება. როცა ამ ყველაფერს მარტო პრეზიდენტი აკეთებს და მთელი ქვეყანა მშიერ-ტიტველია, ეს უკვე ძალიან სერიოზული გადახრაა“,** — აღნიშნა ბატონმა შალვამ ჩვენთან საუბრისას.

ყველა სიკეთესთან ერთად, იმ ადამიანს, ვის გადაწყვეტილებებზეც საქართველოს ბედია დამოკიდებული, მუდმივად კონტრრევოლუცია ელანდება. **„მიხეილ სააკაშვილი არის პათოლოგი ავადმყოფი. ის, ამერიკისა და რუსეთის ხელშეწყობით, გადატრიალების გზით მოვიდა ქვეყნის სათავეში. შეიარაღებული შტურმით აიღო პარლამენტისა და კანცელარიის შენობები (რაც ოქრუაშვილმა ახლა დაადასტურა). ამდენად, ძალით მისულ ასეთ დიქტატორებს ყოველთვის ელანდებათ, რომ ასეთივე გზით გაუშვებენ და არც თუ უსაფუძვლოდ“,** — მიიჩნევს ნათელაშვილი.

ლეიბორისტების ლიდერის განმარტებით, დღეს ქვეყანაში მხოლოდ პირველი პირის პრობლემა არ დგას, რადგან ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსების დიდი ნაწილიც აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევა: — **„ავილოთ გივი თარგამაძე. ვინ არის? — კაცმა გადატეხა ბოთლი და გადატეხილი ბოთლით კლავდა პოლიციელ დონაძეს შევარდნაძის დროს, ეს ხომ მანიაკური თვისებაა?! გაუპატიურებაშიც არის მხილებული და ამის მასალები დევს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ჯალალ-ედ-დინი, თემურ ლენგი, შაჰ-აბასი და მურვან ყრუ რომ გააერთიანო ქართველთა მოძულეობის საქმეში, ეს ყველაფერი ბოკერიაშია ასახული. მამა-შვილ გაბაშვილს ყველაფერი ქართული სძულთ და, საერთოდ, სააკაშვილის გარემოცვა მანიაკების სექტაა, რომელიც ზოოპარკში უნდა დაამწყვდიო და აჩვენო, როგორი არ უნდა იყოს ადამიანი“.**

ჩვენდა სავალალოდ, მიხეილ სააკაშვილის ეს გადახრები, რაც არქიტექტურულ ჩარჩოებს დიდი ხანია, გასცდა, პრეზიდენტის პოსტზე უმძიმეს დანაშაულებებში გადაიზარდა. ეს გახდა კიდეც დღევანდელი რადიკალური აქციების მიზეზი. თუმცა ჩემი, როგორც ჟურნალისტის, მიზანი პირველი პირის მხოლოდ უარყოფითი მხარეების ჩვენება როდია; შევეცადე, გამერკვია, რა დადებითი თვისებების მატარებელია იგი. სამწუხაროდ, ხელმოცარული დავრჩი...

„სააკაშვილი სულელია, ამით შეიძლება გაერთო, ოღონდ, თუ ის რიგითი ოპოზიცია იქნება და არა პრეზიდენტი. ძალაუფლება კი ასეთი კაცის ხელში ტრაგედიაა“, — განაცხადა ბატონმა შალვამ.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიხეილ სააკაშვილის გადახრების ნათელსაყოფად (მკითხველმა შეგვინდოს ამ ტერმინის არაერთგზის გამოყენება, მაგრამ ეს ერთ-ერთი ის იშვიათი მარგალიტთაგანია, რომელსაც ხალხთან ურთიერთობისას ხშირად აფრქვევს პირველი პირი და რომელიც ზუსტად ახასიათებს მის პიროვნებას) ახალი პოლიტიკური ძალა „თეთრების“ საინიციატივო ჯგუფის წევრს, ბატონ **თემურ შაშიაშვილს** დაუკავშირდა.

**— ბატონო თემურ, პრეზიდენტი, შეიძლება ითქვას, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სარკეს წარმოადგენს უცხოეთში. როგორია მიხეილ სააკაშვილი, როგორ წარგვადგენს ის მსოფლიოს წინაშე?**

— მიხეილ სააკაშვილი უცხოეთშიც არარაობაა და საქართველოშიც. კაცი რომ სამი თვე კაბინეტში ვერ შევა, თუნდაც, ერთი თვე ან ათი დღე, და მაინც პრეზიდენტობაზე იფიქრებს, კატასტროფაა. ვინმემ შეიძლება იკითხოს, რომ, იქნებ, ამ კაცს მართლა უყვარს საქართველო და იმიტომ იქცევა ასე? — არა! რადგან მან გარედან კარნახით იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ პოსტის დატოვება მისთვის კატასტროფა იქნება; მაშინვე გაიხსნება ყველა შეკვეთილი მკვლელობა, ჟვანიათი დაწყებული, ბოლო მკვლელობებით დამთავრებული; გაიხსნება ის, თუ რა დიდი კორუფციაა ქვეყანაში, რამდენი ფული შემოდის და სად მიდის, რომ საქართველოს საგარეო ვალი ორ წელიწადში კატასტროფულად — 5,5 მილიარდით გაიზარდა და ა.შ.

შარშან კონფერენციაზე ვისაუბრე საქართველოს ისტორიის შესახებ, რომ ჩვენ ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ქვეყანა ვართ და ვთხოვე ყველას, ეს გაეთვალისწინებინა. ბევრი პიროვნება, მათ შორის, ერთი ინგლისელი გამწარებული უსმენდა ჩემს შეფასებებს და ამ რამდენიმე ხნის წინ კიევში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც 15-20 ექსპერტი ესწრებოდა, სწორედ ამ პიროვნებამ ტრიბუნიდან აჩვენა გორში მიწაზე გართხმული სააკაშვილის სურათი და თქვა: — „ეჭვი მეპარება, რომ საქართველო ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ქვეყანა იყოს. ამას რომ ჩერჩილი არ გააკეთებდა, ინგლისში არავის ეჭვი არ ეპარება, ქალია, მაგრამ ტეტჩერი რომ ამას არ იზამდა, ამაშიც დარწმუნებულნი ვართ. ბრაუნი თუ მოიქცეოდა ამგვარად, ქუჩაში ვერ გამოვიდოდა, რადგან ჩაქოლავდნენ, შეაფურთხებდნენ. საერთოდ, ლონდონში ვერ გამოჩნდებოდა, თავისი გადადგომის შესახებ განცხადებას გამოაგზავნიდა, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ ბრაუნია ძლიერი, არამედ ინგლისელები ვართ ასეთნი. თუნდაც, ინგლისს დავანებოთ თავი, მთელი მსოფლიოს ისტორიაში ერთი ტომის ბელადსაც ვერ იპოვით, ვინც ასეთი რამ გააკეთა და არ ჩაქოლეს. თანაც, სააკაშვილი იმიტომ წავიდა გორში, რომ მსოფლიოსთვის საკუთარი სიმამაცე ეჩვენებინა და ამის ნაცვლად სტუმრად მყოფი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიატოვა და მიწაზე დაწვა. ეს უკანასკნელი კი გაკვირვებული შეჰყურებდა მას“...

მთელ ევროპაში სააკაშვილმა, როგორც პიროვნებამ, როგორც კაცმა, სახე დაკარგა და ამ ინგლისელზე უკეთესად პრეზიდენტს ვერ დაგიხასიათებთ.

**— სად მიდის ის მილიარდები, რომელიც ვალად ედება ჩვენს ქვეყანას? ბევრს მიაჩნია, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი პრეზიდენტის პირად სიამოვნებაზე იხარჯება...**

— არიან ადამიანები, ვისაც კომიტეტის სხდომაზე ორი ჰალსტუხით მისული მიხეილ სააკაშვილი უნახავს. მაშინ ზურაბ ჟვანიამ უთხრა: — „მოდა კარგია, მაგრამ ორი ჰალსტუხით მოდა არ გამიგიაო“...

მერეღა შეამჩნია, რომ ორი ეკეთა. ანუ ჰალსტუხების ამბავი ახლა არ დაწყებულა, მაგრამ ტელევიზიები არ აშუქებენ ამგვარ ამბებს.

**დღეს დამალულია 2001 წლის ავტოავარიის ფაქტი (როცა ორი პიროვნება დაიღუპა), იჯდა თუ არა მაშინ საჭესთან სააკაშვილი. ბადრი პატარკაციშვილს შესყიდული ჰქონდა ეს მასალა და ამჟამად არავინ იცის, სად არის. მასვე ჰქონდა ფაქტები იმ სამასი მილიონის შესახებ, რომელიც ფოთის პორტში ერთ-ერთ ანგარიშზე ირიცხებოდა.**

**— ბატონო თემურ, მიხეილ სააკაშვილის ოჯახი როგორი მაგალითია ქართველებისთვის?**

— როგორც ამერიკელებისგანვე ვიცი, სანდრა რულოვსი სპეციალური ორგანოების წარმომადგენელია და ამ როლს ბრწყინვალედ ასრულებს. ის პირველად მოსკოვიდან სოხუმის გავლით ჩამოვიდა ქუთაისში და მისი მოთხოვნა იყო, ჩემს სართულზე ჰქონოდა ოფისი.

დღეს სანდრა, რომელიც მართლმადიდებელი არ არის, ეკლესიაში გალობს, პრეზიდენტი ამბიონზე გარბის და იქ ატარებს აქციებს. ეს ჩვენი რწმენის შეურაცხყოფაა, და რომ არა ქართველთა ტოლერანტობა, ამას არ აპატიებდნენ. იმასაც გეტყვით, რომ

**აგვისტოს ყველაზე მძიმე დღეებში, შვიდში, რვასა და ცხრაში, პრეზიდენტის დედამ იყიდა ტექნიკური უნივერსიტეტის ორი კორპუსი და სტადიონი. სხვათა შორის, ეს ქალბატონი, რომელსაც დიდი ხანია, ვიცნობ, კომკავშირის პრემიის ლაურეატია, რაზეც ნაკლებად საუბრობს. ის დღეს ექვსი თუ შვიდი უნივერსიტეტის პატრონი, ხელმძღვანელი, დირექტორი და კათედრის გამგეა.**

ვერ ვხვდები, ასეთი რა ნიჭი აქვს, რომ ყველგან ახერხებს მუშაობას, როცა ზოგიერთ ოჯახში ექვსი პროფესორი ცხოვრობს და ექვსივე უმუშევარია... იგი თურქოლოგია, რომელმაც ისეთი რამეები გააკეთა, რომ ლაპარაკი არ ღირს... სააკაშვილის მამინაცვლის ძმამ ზურაბ ანჯაფარიძისგან სამი ათას დოლარად იყიდა მილიონად შეფასებული წავკისის აგარაკი. უმცროს ზურაბ ანჯაფარიძეს კი, რომელსაც დიდი მომავალი აქვს, ის ექვსასლარიანი სტიპენდია წაართვეს, რომელიც ვარდების რევოლუციამდე ჰქონდა დანიშნული. დღეს ანჯაფარიძეების ოჯახი ბინის გაქირავებით ცხოვრობს. მე არ ვარ მათი დამცველი, უბრალოდ, სამწუხაროა, რომ ამჟამად საქართველოში ბევრ მეცნიერს პურის ფულიც არ აქვს, მაშინ, როცა მიშას ოჯახი დუღს და გადადუღს. სააკაშვილი იმხელა დაცვით დადის, მსოფლიოში არც ერთ პირველ პირს არ ჰყავს. შვეიცარიის პრეზიდენტმა ჩემ თვალწინ საკვოიაჟით გაიარა.

**— ჩვენი პრეზიდენტიც ხომ მგზავრობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით...**

— მაშინ ხალხს აწონებდა თავს.

**— თავის დროზე ყველას კარგად მოეხსენებოდა მისი ცხოვრების წესი, რატომღაც მის მიმართ მაინც დადებითად იყვნენ განწყობილნი. რატომ, მნიშვნელობა არ აქვს ქვეყნის პირველი პირის პირად ცხოვრებას?**

— ერთ ფაქტს გავიხსენებ: როცა რუსთაველის პროსპექტზე შიმშილობდნენ, დავით გამყრელიძე და „ახლები“ პარლამენტის მისაღებში აწყობდნენ ანალოგიურ აქციას, ანზორ ბურჯანაძეს იუბილე აღუნიშნეს „ტრიუმფში“. 400-500-კაციანი სუფრა იყო გაშლილი, მიწვეული გახლდათ ამერიკის ელჩი და სხვა საპატიო სტუმრები. საქართველოს პრეზიდენტი ისე იქცეოდა, ისე ჭამდა, რომ ყველა გაკვირვებული შესცქეროდა. უცხოეთში ყველამ კარგად იცის მისი ეს ჩვევები, მაგრამ იმდენად დიდია ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესი, იმდენად სჭირდებათ აქ ფეხქვეშგაგებული, გარედან ადვილად მართვადი პიროვნება, რომ ითმენენ. ჩვენ კი ეს საკმაოდ ძვირად გვიჯდება და ვილანძღებით. დღეს რუსეთსაც არ სჭირდება გაწონასწორებული პრეზიდენტი, მათთვის მისაღებია, თუ მიხეილ სააკაშვილი მომავალი წლის მარტ-აპრილამდე შეინარჩუნებს პოსტს.

**— მიხეილ სააკაშვილმა ფოთელებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მას „არქიტექტურულ გადახრებში“ ადანაშაულებენ, როგორ ფიქრობთ, მარტო არქიტექტურაა მისი პრობლემა?**

— არ ვიცი, რა არქიტექტურულ გადახრებზე ლაპარაკობს, ის ერთი მთლიანი გადახრაა და იმ ადამიანში, ვინც სააკაშვილი თავის დროზე აღმაშენებელს შეადარა, სატანა სახლობს.

**— მიხეილ სააკაშვილი ზურაბ ჟვანიას კადრი იყო. რატომ გააკეთა მან არჩევანი ასეთ არაპროგნოზირებად პიროვნებაზე?**

— მიხეილ სააკაშვილს ამერიკულ-სომხური ლობის, „პეტერსონ ბელქნაფის“ რეკომენდაცია ჰქონდა. ჟვანიამ იქიდან გაიცნო ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტი.

დღეს არაქართული წარმომავლობის პიროვნებები ქართველებზე მეტად ქართველობენ, რადგან კომპლექსი აქვთ. სამწუხაროდ, ძალიან ბევრმა იცოდა სააკაშვილის პიროვნული ნაკლოვანებები, მაგრამ სჭირდებოდათ. მისი დახმარებით იშოვეს პოლიტიკური კაპიტალი, ფული, თანამდებობა და ახლა ამ ფულით იბრძვიან სააკაშვილის წინააღმდეგ.

**ნათია ქადაგიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვის რაში სჭირდება ტყუილზე აგებული ისტორია?

## ტარიელ გაგნიძე:

# პირველებმა ამ მავნებლური ტენდენციის წინააღმდეგ ხმა ქართველებმა ამოვიღეთ

**2009 წლის 19 მაისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა თავისი განკარგულებით შექმნა ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის კომისია. მკითხველს შევახსენებთ, რომ ჩვენთან, საქართველოში, მოქმედებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“, რომელიც აქტიურად საუბრობს ისტორიის ფალსიფიკაციის მანკიერ პრაქტიკაზე და ამ თემაზე მოსკოვში გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილეც იყო. ვესაუბრებით ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ბატონ ტარიელ გაგნიძეს:**



**— ბატონო ტარიელ, რითაა გამოწვეული ისტორიის ფალსიფიკაციის ფენომენი?**

— საერთოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებაში დასკვნები ხშირად შეფერილია კვლევის ობიექტისადმი მკვლევარის სუბიექტური დამოკიდებულებით, კვლევის საგნის სუბიექტური აღქმით, მაგრამ ის, რაც ისტორიასთან მიმართებაში ხდება, ეს ერთი ცალკე მკვლევარის სუბიექტური დამოკიდებულება არაა. მიზანში ამოიღეს კონკრეტული ქვეყნების კონკრეტული პერიოდი და ისტორიის ურცხვად დამახინჯება-გადაწერა მავანთა კონიუნქტურული მისწრაფებების მიხედვით მიმდინარეობს.

უკანასკნელ ხანს ტყუილი და სიყალბე საერთაშორისო და შიდა პოლიტიკის ინსტრუმენტად აქციეს პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, საქართველოშიც. პრიორიტეტად აიღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხების და ჩვენთან მიმართებით საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების ისტორია.

**— უფრო კონკრეტულად, რას გამოყოფდით ისტორიის გაყალბების ტენდენციაში?**

— რა გვესმის დღეს და როგორ ისტორიას ვისმენდით უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში? — რომ საბჭოთა კავშირი იყო „ხალხების ციხე“ (ე.ი. რუსებს ქართველები ციხეში ვყავდით გამომწყვდეული), რომ რუსეთი იყო და არის სასტიკი და ულმობელი იმპერია (ე.ი. ჩვენ — ქართველებს რუსეთი სასტიკად და ულმობლად გვექცეოდა და გვექცევა), რომ ეს იმპერია დაპყრობილი ხალხების სისხლსა და ძვლებზე იყო აგებული (ე.ი. ქართველების სისხლსა და ძვლებზეც), რომ რუსეთის იმპერია სპობდა და ანადგურებდა მის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებსა და ხალხებს (ე.ი. ქართველებსაც გენოციდს გვიწყობდა), რომ რუსეთის იმპერიას მისი ზეობის ხანაში სათავეში ედგა ყველაზე პირსისხლიანი დიქტატორი კაცობრიობის ისტორიაში – ქართველი იოსებ სტალინი, ხოლო მის რეპრესიულ მანქანას ხელმძღვანელობდა განთქმული ჯალათი, ასევე ქართველი ლავრენტი ბერია (ქართველები მხოლოდ სიგლახეში ვჯობივართ ყველას და მხოლოდ ცუდი გამოგვდის ხელიდან), და ა.შ. და ა.შ. მაგრამ რუსეთი დიდია და „საშიში“, საქართველო — პატარა, სუსტი და, თანაც, „ქართველებს მხოლოდ ცუდი გამოგვდის ხელიდან“.

რა ვქნათ? ამ ფიქრში რომ ვართ, მაშინვე გამოჩნდნენ „ძლიერი“ და „კეთილი“ ამერიკელები. ისინი ხომ ყველგან ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის „ქომაგები“ და „დემოკრატიის მებაღეები“ არიან. როცა ჩვენი გასაჭირი შეიტყვეს, დასახმარებლად გამოეშურნენ, დემოკრატია გვასწავლეს და რუსეთისაგან გადასარჩენად მაშინვე შემოგვთავაზეს ნატოში შეყვანა, რომელიც, თურმე, სწორედ გამხეცებული რუსეთისაგან დანარჩენი მსოფლიოს გადასარჩენად შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი ყოფილა. ჩვენც მეტი რა გვინდა, ქართველებს? შრომა არ დაგვჭირდება, ამერიკელები გაგვიწევენ ფინანსურ დახმარებას — ფულს მოგვცემენ; მრეწველობა და სოფლის მეურნეობა რად გვინდა, თავის შეწუხება სჭირდება და, თანაც, კეთილი ამერიკელები ჰუმანიტარულ დახმარებას გვიგზავნიან; არც დამოუკიდებელი საშინაო და, მით უმეტეს, საგარეო პოლიტიკა გვჭირდება (მაინც არ გამოგვდის არასოდეს არაფერი), ამერიკელები გამოგვიგზავნიან კონსულტანტებს და ისინი გვიკარნახებენ, როგორ მოვიქცეთ (როგორ მოვუწყოთ პროვოკაციები რუსეთს, რომ რაც შეიძლება ძლიერ გავაბრაზოთ და აგრესორისა და მტარვალის იმიჯი შევუნარჩუნოთ); და ყველაზე მთავარი — რუსეთმა რომ საბოლოოდ არ გადაგვყლაპოს და არ მოგვსპოს, ჩვენთან ჩააყენებენ ნატოს სამხედრო ბაზებს, დადგამენ აქ ბირთვულ რაკეტებს და, აბა, მერე ვუჩვენებთ სეირს რუსებს — ერთი რამე გაბედონ, მაშინვე ამერიკული ბირთვული ბომბი მოხვდებათ თავში. მოგეცათ ლხენა, ხომ მაგარია? სად იყვნენ აქამდე ეს დალოცვილი ამერიკელები?!

რა განწყობა ეუფლება პრობლემაში ჩაუხედავ ადამიანს ყოველივე ზემოთქმულის მოსმენის შემდეგ? ბუნებრივია, აგრესია გაუჩნდება და ბრაზი დაარხრჩობს, ვინ არიან ეს რუსები, მაგათი ასე და ისე... რა შედეგი მოჰყვება ამას? რუსეთისა და რუსების ათვალწუნება და მათდამი მტრული დამოკიდებულება — ადამიანურ დონეზე, სახელმწიფოებრივ დონეზე — გაუცხოება და ანტაგონისტური, კონფრონტაციული პოლიტიკა.

ახლა სხვა კუთხით შევხედოთ ვითარებას.

აყალბებენ ისტორიას — ნიშნავს, სიმართლეს მალავენ; თუკი მალავენ, ე.ი. სიმართლე ხელს უშლით. რაში უშლით ხელს? სხვანაირად რომ ვთქვათ, რა მიზნისთვის სჭირდებათ ტყუილი? ამაზე პასუხი თვითონ სიყალბეში უნდა ვეძებოთ და იმ განწყობაში, რასაც მკითხველში ეს ტყუილი აღძრავს. ყალბისმქმნელები სწორედ ამ შედეგს ესწრაფვიან.

პირველებმა ამ მავნებლური ტენდენციის წინააღმდეგ ხმა ქართველებმა ამოვიღეთ. 2007 წლის 27 სექტემბერს ქართველმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ რუსულ პრესაში რუსულად, პირველ რიგში, რუსებისვე გასაგონად გამოაქვეყნა წერილი სათაურით „საჭიროა ისტორიული სიმართლე“. ამ წერილში მან პირველმა ილაპარაკა საჯაროდ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ისტორიის გაყალბებაზე, ამ სიყალბის კონკრეტულ ავტორებზე და ამ მავნე პროცესის შედეგებზე. ამ წერილით პოლიტოლოგმა დასაბამი მისცა ამ ფრიად საჭირბოროტო საკითხის საჯარო განხილვას და ამ თემას საზოგადოების ყურადღება მიაპყრო. მთავარია, რომ რუსეთის ხელისუფლება მთელი სერიოზულობით მოეკიდა ბატონი ჭაჭიას ნათქვამს.

ცოტა მოგვიანებით, 2009 წლის დასაწყისში, იგი იყო ინიციატორი, შექმნილიყო არასამთავრობო ორგანიზაცია, რათა უფრო ორგანიზებული გამხდარიყო მუშაობა ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. შედეგად შეიქმნა ჩვენი ორგანიზაცია, რომელსაც „ისტორიული მემკვიდრეობა“ ვუწოდეთ. ჩვენ მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები იყო ის, რომ დავიწყეთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ამსახველი ისტორიული დოკუმენტების სისტემატიზაცია და კრებულებად გამოცემა (დღეისათვის უკვე ექვსი კრებულია გამოცემული, მზადდება მეშვიდე), აგრეთვე რუსეთის პრეზიდენტს მივმართეთ წერილით, რომელშიც ვატყობინებდით ჩვენი წამოწყების შესახებ და ვთხოვდით, ანალოგიური შინაარსის საქმიანობა წარმართულიყო რუსეთშიც.

შეიძლება ითქვას, ჩვენ პროცესების კატალიზატორის როლი შევასრულეთ.

ბატონი მედვედევი სულ რამდენიმე დღეში გამოეხმაურა ჩვენს მიმართვას. 2009 წ. 27 მარტს მივიღეთ მისი საპასუხო წერილი, რომელშიც იგი მიესალმა ჩვენს ინიციატივას, უწოდა მას დროული და აქტუალური და ხაზი გაუსვა, რომ ქართველმა და რუსმა ხალხებმა ერთად უნდა ვიამაყოთ ჩვენი ერთობლივი წარსულით.

პრეზიდენტის საპასუხო წერილიდან ერთ თვეში – 2009 წლის 28 აპრილს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით მოსკოვში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე — „ორი ქვეყნის საზოგადოების წარმომადგენლები ჩვენი საერთო ისტორიის შესახებ“.

შემდეგ ამას მოჰყვა 2009 წლის 9 მაისი, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 64-ე წლისთავი, როდესაც დ. მედვედევმა ქართველ ვეტერანებს ცალკე, გამორჩევით მიულოცა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი და ამ მიმართვაში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ დაუშვებელია ჩვენი წარსულის ინტერპრეტაცია და რომ აუცილებელია, ჩვენმა სულიერად ახლობელმა ხალხებმა შეინარჩუნონ ისტორიული წარსული და ისტორიული მეხსიერება.

**ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სისტემური ხასიათის მისაცემად რუსეთის პრეზიდენტმა სულ ახლახან, 19 მაისს, გამოსცა განკარგულება, რომლითაც შექმნა წარმომადგენლობითი კომისია და მას ზუსტად ასეთი სახელი უწოდა:**

**„კომისია რუსეთის ინტერესების საზიანოდ ისტორიის ფალსიფიკაციის მცდელობების აღსაკვეთად“.**

ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთში გაიაზრეს, რაოდენ დიდი ზიანი მოაქვს ისტორიის გაყალბებას ქვეყნისთვის, მისი ავტორიტეტისთვის, მისი მომავლისთვის და რომ სიყალბეს სწორედ საამისოდ იგონებენ; სწორედ ამიტომ აიყვანეს ისტორიის ფალსიფიკაციასთან ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში.

**— რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?**

— სამწუხაროდ, სრულიად საპირისპირო. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყალბი ისტორია ერთნაირად საზიანოა რუსეთისთვისაც და საქართველოსთვისაც. რუსეთმა სახელმწიფო დონეზე დაიწყო ფალსიფიკაციასთან ბრძოლა, ჩვენი ხელისუფლება კი თვითონაა სიყალბის ეტალონი და მისაბაძი მაგალითი. მათგან განსხვავებით, ჩვენ ჩვენი ძალებით ვცდილობთ, საზოგადოებამდე მივიტანოთ ისტორიული სინამდვილე და ხალხს შევახსენოთ ჩვენი საამაყო წარსული.

ესაუბრა
**მაია სვიანაძე**

**არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტ. 38-41-97.**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სომხეთი საქართველოსგან დამოუკიდებელი ხდება!



**„ს“ და „ა“ მილზე ისხდნენ... ვინ იფიქრებდა, რომ ამდენი წლის შემდეგ ამ საბავშვო გამოცანაზე თავის მტვრევა მოგვიწევდა?! თავიდან ყველაფერი ნათელია: „ს“ (საქართველო) და „ა“ (აზერბაიჯანი) მათ ტერიტორიებზე გამავალ მილზე „სხედან“, რომელიც ევროპას კასპიის ნავთობით (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-სუფსა), ხოლო თურქეთს გაზით (ბაქო-თბილისი-ერზერუმი) ამარაგებს.**

კოლიზია შემდეგ იწყება: „ა“ დავარდა, „ს“ დაიკარგა. ვინ დარჩა მილზე? ვის **კონტროლქვეშ აღმოჩნდება ეს მილები, თუ „ა“ ვერ გაუძლებს ზეწოლას და „დავარდება“ (საბოლოო არჩევანს გააკეთებს ერთ-ერთი კონკურენტის სასარგებლოდ), ხოლო „ს“ საერთოდ „დაიკარგება“ (არსებობას შეწყვეტს როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო კავკასიაში გავლენისათვის მებრძოლი დიდი სახელმწიფოების მეტოქეობის შედეგად),** განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ახალი მაგისტრალური გაზსადენის „ნაბუკოს“ პროექტს — უკვე გაყვანილი ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაგრძელებას პლუს ტრანსკასპიური მონაკვეთი, რომელიც ევროპას ცენტრალური აზიის გაზის საგანძურისკენ უხსნის გზას?

არ ვიცი, ვინ დარჩება „მილზე“ ან „ცხენზე“ (რაც მოცემულ შემთხვევაში ერთი და იგივეა!), რა დავარდება ან დაიკარგება, მაგრამ ამ აზარტულ თამაშში უთუოდ იქნებიან მოგებულები და წაგებულები, ვინაიდან რაღაცაზე ჯდომა — ეს მხოლოდ ფული და სიამოვნება კი არა, საფრთხე და დიდი პასუხისმგებლობაცაა...

ერთმნიშვნელოვნად გამარჯვებულის გამოცნობა დღეს შეუძლებელია, სავარაუდოდ, გამარჯვებული არც არავინ იქნება, თუმცა ქულების გამოთვლით შესაძლებელია მისი გამოვლენა, ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

2008 წლის ივლისში რუსეთის პრეზიდენტის დ. მედვედევისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ი. ალიევის მიერ ხელმოწერილი **დეკლარაცია რუსეთისა და აზერბაიჯანის მეგობრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ** და **ხელშეკრულება 2010 წლის იანვრიდან რუსეთისათვის აზერბაიჯანული გაზის მიწოდების თაობაზე;**

ფაქტი, რომ **აზერბაიჯანს არ აქვს იმდენი ენერგომატარებელი, რომ ერთდროულად ხელშეკრულებით მიაწოდოს ის რუსეთს, უზრუნველყოს საქართველო და დააკმაყოფილოს სუამის სხვა ქვეყნების მოთხოვნილებაც, ხოლო მომავალში გაზით შეავსოს „ნაბუკოს“ გაზსადენი** (და, ამგვარად, ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ევროკავშირის ქვეყნების მოთხოვნები, რომლებიც ყოველწლიურად 600-700 მილიარდ კუბურ მეტრს მოიხმარენ, ხოლო ყველაზე ოპტიმისტური მონაცემებით, გაზსადენ „ნაბუკოს“ სიმძლავრემ წელიწადში დაახლოებით 26-30 მილიარდი კუბური მეტრი უნდა შეადგინოს);

ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების ერთდროულად განხორციელებას აზერბაიჯანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ **მოქმედი გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზერუმი გაზის საბადოებით უმდიდრესი კასპიის აუზის აზიურ ქვეყნებს — უზბეკეთს, ყაზახეთსა და თურქმენეთს შეუერთდება;**

ფაქტი, რომ **უზბეკეთი და ყაზახეთი რუსეთთან, ტაჯიკეთთან, ყირგიზეთთან, ბელარუსსა და სომხეთთან ერთად სამხედრო-პოლიტიკური კავშირის — ОДКБ-ს** (კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების ორგანიზაციის) **წევრები არიან.**

ნებისმიერ შემთხვევაში მოგებულთა შორის არანაირ მილზე „მჯდარი“ კიდევ ერთი კავკასიური ქვეყანა — **სომხეთი** აღმოჩნდება, რომელმაც გუშინ – **საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს საქართველოსგან დამოუკიდებლობისკენ გადადგა ნაბიჯი: 2009 წლის 26 მაისს ლაიფციგში რუსეთის შავი ზღვის პორტ „კავკასსა“ და თურქეთის „სამსუნს“ შორის საბორნე მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი.** ამის თაობაზე გაერთიანებული სააქციო საზოგადოება „როსიისკაია ჟელეზნაია დოროგას“ ვიცე-პრეზიდენტმა **ავთანდილ გორგილაძემ** (აი, როგორ „ავიწროებენ“ რუსეთში ქართველებს!) ერევანში განაცხადა. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ პროექტში მონაწილეობას მიიღებს კომპანია „bleq si ferris limited“, რომლის საწესდებო კაპიტალში 51 %-იანი წილი რუსეთის რკინიგზას (რუსეთის სახელმწიფოს!) ეკუთვნის.

**თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სატრანსპორტო მიმოსვლის გახსნა სომხეთსა** (რუსეთის სტრატეგიული მოკავშირის და ОДКБ-ს წევრის) **და თურქეთს** (რუსეთის სტრატეგიული პარტნიორის, რომელიც ევროკავშირში არ მიიღეს) **შორის არცთუ შორეული მომავლის საქმეა, მივხვდებით, რომ საქართველოს ეს ალტერნატიული** (ფოთისა და ბათუმის პორტების გავლით) **სატრანსპორტო მარშრუტი** (თურქეთის გავლით ევროპასა და რუსეთში) **შესაძლოა, სომხეთისთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდეს, ვიდრე ირანზე გამავალი გზა** (ბანდარ-აბასის პორტი — ინდოეთისკენ, ჩინეთისკენ, არაბეთის გაერთიანებული ემირატებისკენ და ა.შ.).

**საინტერესოა, ამის შემდეგ რას მისცემს ხმას გეოეკონომიკური ჩიხიდან გამოსული სომხეთი, თუ რუსეთი** რლკქ**-ს ყველა წევრს დაუყენებს საკითხს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ?!**

რას მისცემს ხმას სომხეთი, რომელიც განაწყენებულია საქართველოზე იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ჯერ კიდევ 6 წლის წინათ წინასწარი გადასახადის სახით 250 მლნ დოლარი გამოართვა (სომხეთის წილი) ავტომაგისტრალის — ერევანი-ნინოწმინდა-გოძერის უღელტეხილი-ბათუმის ასაგებად, რომლის მშენებლობა დღემდე არ დაწყებულა?!

რას მისცემს ხმას სომხეთი, რომლისთვისაც საქართველო არ ჩქარობს რუსეთის მიერ 3 წლის წინათ „სარემონტოდ“ დაკეტილი საბაჟო-სასაზღვრო გადასასვლელის — ზემო ლარსის გახსნას (რის გამოც სომხეთს მთელი ამ წლების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო მოსავალი უფუჭდებოდა), რომელიც დღეს უმაღლესი სტანდარტების მიხედვითაა გარემონტებული და რუსეთის მხრიდან ექსპლუატაციაშია გაშვებული?!

რას მისცემს ხმას სომხეთი, რომელიც პროტესტის ნიშნად უარის თქმას აპირებს ქართული მინერალური წყლის „ბორჯომის“ შესყიდვაზე იმის გამო, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კომპაქტურად დასახლებულ სომხებს მეორე წელია, კარტოფილი ულპებათ (ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო!), რადგან თურქეთის იმავე დასახელების იაფფასიან პროდუქტთან კონკურენციას ვერ უძლებს?!

**საინტერესოა, რას ფიქრობენ ამაზე მთავრობასა და საქართველოს პრეზიდენტის აპარატში?! იქნებ, მათი წყალობით გადაუჭრელი ეს პრობლემები (და არა — რუსული ფე-ეს-ბე და გე-რე-უ!) „ასაზრდოებენ“ სხვადასხვა ჯურის „დაშნაკცუცუნებისა“ და „ვირქების“ საქმიანობას?! როდემდე გამოცდიან ისინი „ჰაოსისა და ქართლოსის ძმური კავშირის“ სიმყარეს, ისევე, როგორც აქამდე ცდიდნენ რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას?!**

**და კიდევ — ესმის თუ არა ჩვენს ხელისუფლებას, რომ ამ თამაშში რუსეთისა და ამერიკის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა — ამერიკას, რუსეთის მსგავსად, „სულაც რომ არ აწყენდა“ გაზსადენებზე კონტროლი და ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი რომ არ სჭირდება?!**

მოვლენების შესაბამისი განვითარებისას თავის სიტყვას იტყვის **თურქეთიც** — სატრანზიტო ქვეყანა, რომელიც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ყველა გაზსადენის შეუფერხებელი და უსაფრთხო ექსპლუატაციით, რისი უზრუნველყოფაც შესაძლებელია **ერთადერთი და არა ორი „კურატორის“** მიერ მათი გაკონტროლების შემთხვევაში! ეჭვიც არ მეპარება, რომ **თურქეთი არჩევანს საქმეში გამოცდილი პარტნიორისა და ტრადიციული რეგიონული მოთამაშის — რუსეთის სასარგებლოდ გააკეთებს, რომელიც, ამერიკისაგან განსხვავებით, კავკასიის „ორგანიზმისთვის“ უცხო, მუდმივად შეუთავსებელ „სხეულს“ არ წარმოადგენს და, ამასთან, თვითონ ფლობს მსოფლიოში უდიდეს ნახშირწყალბადის ბუნებრივ საბადოებს, რომ აღარაფერი ვთქვათ სამაგისტრალო მილსადენების უზარმაზარ ქსელზე, მთელ ევროპას რომ გაზით ამარაგებს!**

ისტორიის გაკვეთილებისა (მაგალითად, 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების) და დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, იმის განჭვრეტაც შეიძლება, თუ რას მოიმოქმედებს თურქეთი. მოვიყვან ციტატას **გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე ჭაჭიას** 2008 წლის 4 აპრილის ინტერვიუდან, როცა მას საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების ევროპული ორიენტაციისა და ნატოში გაწევრების კურსის შეფასება სთხოვეს: ***„გასაგებია თურქეთის ინტერესიც: ნატოს ეგიდით ხომ საქართველოში სწორედ თურქული სამხედრო ბაზები განთავსდება, რაც თურქეთს საშუალებას მისცემს, არა მხოლოდ გააკონტროლოს საქართველო, რომელსაც თურქეთის ელიტა მუდამ თავის ვასალ ტერიტორიად მიიჩნევდა, არამედ პირდაპირ შეხებაში აღმოჩნდეს თურქეთისადმი ლოიალურად განწყობილ ჩრდილოკავკასიელ ხალხთანაც, ანუ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას „დიდი თურანის“ იდეის სარეალიზაციოდ... აფხაზეთი მაგნიტივით მიიზიდავს ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების სეპარატისტულ წრეებს, რომლებიც დიდი ხანია, ზღვაზე პირდაპირ გასასვლელზე ოცნებობენ. კვლავ აღორძინდება თავის დროზე თურქული გენშტაბის მიერ შემუშავებული იდეა აფხაზეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ერთიან სახელმწიფოდ გადაქცევის შესახებ. გავიხსენოთ: ამ იდეის რეალიზაცია სცადეს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის შექმნით, რომლის დედაქალაქიც სოხუმი უნდა ყოფილიყო. მიაქციეთ ყურადღება: არა კავშირი, არა ხალხთა ასოციაცია, არამედ სწორედ კონფედერაცია, ანუ სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა. ამასთან, აფხაზეთის დამოუკიდებელი სტატუსი მას საშუალებას მისცემს, უშუალო სახელმწიფოთაშორისი სახელშეკრულებო ურთიერთობები დაამყაროს თურქეთთან და ვერავინ განჭვრეტს, რა შედეგები შეიძლება გამოიღოს ამან.“***

აი, თქვენ ის შემთხვევაც, როცა „ს“ „დაიკარგა“: საქართველო შესაძლოა, არშემდგარ სახელმწიფოდ **(failed state)** მიიჩნიონ, რომელიც თავის არსებობას მხოლოდ სატრანზიტო ტერიტორიად განაგრძობს!

**ილუზიები — აი, რა გვიბიძგებს უფსკრულისკენ!**

**ილუზიები ჩვენი — „მსოფლიოში საუკეთესო და ყველაზე ტოლერანტული ეთნოსის“ განსაკუთრებულობის შესახებ!** სწორედ ამან დაგვაკარგვინა აფხაზეთი და სამაჩაბლო;

**ილუზიები, რომ საქართველო შეუცვლელი სატრანსპორტი დერეფანია და რომ დიდი აბრეშუმის გზის აღორძინება სატრანსპორტო ტრანზიტისა და ტურიზმის შემოსავლებით ოქროში ჩაგვსვამს!** ედუარდ შევარდნაძის სწორედ ამ მკვდრადშობილ პირმშოს ვასაფლავებთ დღეს ამერიკისა და ევროპისგან ნასესხები ფულით;

**ილუზიები, რომ ენერგომატარებლების ტრანზიტით მიღებული პროცენტები საქართველოს ბიუჯეტს მკვეთრად პროფიციტულად აქცევს, ჩვენ კი ქუვეითის შეიხებივით გაგვამდიდრებს.** ხოლო აშშ მთელი სამხედრო-საჰაერო ფლოტი დღედაღამ იმორიგევებს საქართველოს ცაზე — დაიცავს ამ მილებს და ბუზებს აუქშევს მწვადს, რომელსაც ჩვენ, მისი გამდიდრებული მოქალაქეები, უსაქმურობისგან დღედაღამ მივირთმევთ და ზედ კახურ ღვინოსაც ვაყოლებთ;

**ილუზიები, რომ კავკასიას შეუძლია, ნეიტრალური იყოს და რომ ნეიტრალიტეტი პასიურიც არსებობს (შევარდნაძის მიხედვით) და აქტიურიც.** ამას შთაგვინერგავენ სხვადასხვა ჯურის პოლიტავანტიურისტები და ავიწყდებათ, რომ ცნებები **„აქტიური“** და **„პასიური“** უფრო მეტად **სექსუალურ უმცირესობებს** ესადაგება, ვიდრე ნეიტრალიტეტს, რომელსაც მხოლოდ **ნეიტრალური** შეუძლია იყოს! კავკასიის სახელმწიფო საბჭოს მოწვევა კი დღეს არარეალურია, საქართველოს ხალხების ასამბლეას თუ მოვიწვევთ სტამბულში ან კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას — სოხუმში;

**ილუზიები,** რომ, თურმე, *„ევროპისთვის ბუნებრივი გაზის საექსპორტო მიწოდების პრობლემა რუსეთის ეკონომიკისა და პოლიტიკის ყველაზე სუსტი ადგილია და ამ ბერკეტს დასავლეთი სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტის საკითხის დასარეგულირებლად გამოიყენებს“*. ასეთი აზრი გამოთქვა ხაბაროვსკის სამიტზე ერთ-ერთმა ახალგაზრდა პოლიტავანტიურისტმა, რომლის წარმოჩენასაც ბოლო ხანებში აქტიურად ცდილობენ საქართველოს ხელისუფლების „ჯიბის“ ტელეარხები, თავი რომ ექსპერტებად მოაქვთ და პროქტოპოლიტოლოგების (წარსულში — სკკპ ისტორიის დამსახურებული პროპაგანდისტები, რომლებმაც ხანდაზმულობაში სული დოლარებზე მიჰყიდეს ამ დოლარებისავე მწარმოებელი ქვეყნების სპეცსამსახურებს...) საქმეს აგრძელებენ. ეტყობა, ამ დამწყებ ცრუპენტელასა და ორპირს დაავიწყდა, რომ **სწორედ ევროპა და არა რუსეთი იყინებოდა წლევანდელ ზამთარში, როდესაც რუსეთმა (სატრანზიტო ქვეყნის — უკრაინის ბრალეულობით) შეუწყვიტა მას ბუნებრივი გაზის მიწოდება: მაშ, ვის უპყრია ხელთ ეს ბერკეტი, უფრო სწორად, — ვენტილი?!**

**დიახ, პოლიტილუზიონისტები გამუდმებით გვატყუებენ, მაგრამ ის, ვინც მუდმივად იტყუება და გამუდმებული ილუზიებით ცხოვრობს, ან უიმედო იდეალისტია, ან — სრული იდიოტი...**

ხოლო ქუვეითის შეიხივით მდიდარი ყველა ჩვენგანს შეეძლო ყოფილიყო, თუკი მილიარდობით საერთაშორისო ტრანში სხვადასხვა მეხუთეხარისხოვან საჭიროებასა და მდარე შოუზე, „ფასადურ“ რეფორმებსა და უხარისხო იარაღის შეძენაზე კი არ გაიფლანგებოდა, არამედ ელემენტარულად გადაუნაწილდებოდა ბედკრული საქართველოს დარჩენილ სამ მილიონ მოქალაქეს და აგრარული სექტორის აღორძინებას მოხმარდებოდა...

## თამუნა შანიძე:

# გია კრიალაშვილი 21 მაისს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს არ მოუკლავთ

**21 მაისს მუხროვანის ამბოხების ორგანიზებაში ეჭვმიტანილთა დასაკავებლად ჩატარებულმა სპეცოპერაციამ კიდევ ერთხელ შეაჯანჯღარა ეროვნული ცნობიერება და აშკარად დაგვანახა, რომ ქვეყანა პოლიტიკურმა კრიზისმა უფსკრულის პირას მიიყვანა. გია კრიალაშვილის ლიკვიდაციამ ფარდა ახადა არსებულ რეალობას. ბოლო წლებში პოლიტიკური მკვლელობების ციკლმა, პრემიერ-მინისტრიდან დაწყებული, პოლკოვნიკ კრიალაშვილით დამთავრებული, ყველაზე მნიშვნელოვანი რამ დაგვაკარგვინა ქართველებს — ადამიანური ბუნების კეთილი არსის რწმენა. სპეცოპერაციის შედეგად დახვრეტილი პოლკოვნიკის თავდახურულ კუბოსთან ძაძითმოსილი 80 წელს გადაცილებული დედა დაჭრილივით კვნესოდა, ცრემლად იღვრებოდა და ხმამაღლა მოთქვამდა...**





**შენი ენა გახმეს, ღვალაძე, როგორც ჩემი ძმა ტყუილად ახსენე. ბიჭო, არც გვარი იცოდი ჩემი ძმისა და არც სახე. ის არც წკრიალაშვილი იყო და არც გენერალი. არ იცოდი, არ იცნობდი და რა გალაპარაკებდა, რას ან ვის ემსახურებოდი?..**

**რაღა საჭირო იყო მკერდში სროლა, ფეხებში დაჭრილი კაცი სად უნდა გაქცეულიყო?.. ვინ არის პოლკოვნიკი ღვალაძე? ის არაა სამხედრო პირი, უშიშროების კადრია.**

**პირველად გია კრიალაშვილის ყოფილი თანამშრომელი მიმოზა ოჩიგავა გამომელაპარაკა:**

— 90-იან წლებში გიამ თავისი ავტომანქანა გაყიდა, რათა ჯარისკაცებისთვის სურსათი მიეტანა... კიევის სამხედრო აკადემია დაამთავრა... არაფრის ეშინოდა. აფხაზეთში იბრძოდა და ჭუბურხინჯიდან გადმოსვლისას ოთხი მეომარი გადაარჩინა დაღუპვას. მათი ტანკი მთის ცივ და სწრაფ მდინარეში გადავარდა. ძალიან გაუჭირდა მეოთხე მეომრის ამოყვანა, ლამის თვითონაც გადაჰყვა... ამისთვის გორგასლის ორდენით დააჯილდოვეს. ბატალიონში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ღრმად მორწმუნე გახლდათ... მისი მოკვლა დიდი ბრალია, დიდი და მიუტევებელი...

**განსვენებულის დას — ლია კრიალაშვილს მივუახლოვდი და ვკითხე:**

**— ქალბატონო ლია, როგორც ვიცი, 2001 წლის მუხროვანის ბატალიონის ცნობილი ამბების შემდეგ გია საქართველოდან წავიდა და 8 წლის განმავლობაში უკრაინაში ცხოვრობდა. როდის და რა მიზნით დაბრუნდა?**

— სააღდგომოდ ჩამოვიდა. ძმასავით შეზრდილი დეიდაშვილის წლისთავი გვქონდა. მამის საფლავზეც უნდა გავსულიყავით. მერწმუნეთ, მუხროვანის ახლანდელ ამბოხთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. 5 მაისს ჩემთან იყო. მთელი ღამე ჩემს მეუღლესთან ერთად ნარდს თამაშობდა. გვიან დაწვნენ დასაძინებლად. დილით რომ ავდექი, უკვე წასულიყო. მუხროვანში მომხდარი ამბავი დილის 12 საათზე ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებიდან გავიგე.

***ქალბატონი ლია მოთქმით ატირდა:***

— ვაიმე ღვალაძე... შენი ენა გახმეს, ღვალაძე, როგორც ჩემი ძმა ტყუილად ახსენე. ბიჭო, არც გვარი იცოდი ჩემი ძმისა და არც სახე. ის არც წკრიალაშვილი იყო და არც გენერალი; არ იცოდი, არ იცნობდი და რა გალაპარაკებდა, რას ან ვის ემსახურებოდი? არც „მხედრიონი“ დაუარსებია, „თეთრი გიორგის“ დამაარსებელი იყო. „თეთრი გიორგის“ ბიჭები იყვნენ... მკვლელ სატანას სურდა, ჩემი ძმა ქვეყნის მოღალატედ გამოეცხადებინა, ჭუჭყიანი და ცოდვით დასვრილი ხელები მასზე შეეწმინდა, მაგრამ ხალხმა გმირად და შეწირულ ზვარაკად მიიჩნია. დღეს მას საქართველო დასტირის. მკვდარმაც გაჯობათ, ლახვარი ჩაგცათ გულში...

ხალხო, ჩემი ძმა მკვდარიც სჯობია ზოგიერთ ცოცხალს. ლაჩრებო, მხდალებო, მარტო მოიმწყვდიეთ... კიდევ შესვით ქართველი კაცის სისხლი. ჩემი ძმა გმირია...

***ქალბატონი ლია მაჩვენებს ძმის ჩანთას, სადაც ლოცვების კრებული და სუფთად გადახვეული სანთლები იდო.***

— ნარდს ითამაშებდა კაცი, რომელიც ამბოხს აპირებდა?.. მენატრებოდა, თავს ვევლებოდი. გიჟ დას მეძახდნენ... გია ჩემი მეორე სუნთქვა იყო. მეუბნებოდა: — „უფალმა თუ გამაძლიერა, მერე ბერად უნდა აღვიკვეცოო“.

**გია კრიალაშვილის მეუღლე, ქალბატონი თამუნა შანიძე:**

— პირველად გირგვლიანი რომ ვნახე ტელევიზიით, გავიფიქრე: „ვაი, უბედურ დედაშენს, რა ბიჭი მოკლეს...“ სანდროც ამ ნაძირალებმა მოკლეს და ჩემი მეუღლეც. გირგვლიანების ერთი ტრადიციული, ინტელიგენტური, ქართული ოჯახი მთლიანად ამოწყვიტეს, რატომ? ზვიადი არ მოგვწონდა, ედუარდი არ მოგვწონდა, მაგრამ იმათ ამდენი ოჯახი ერთად არ გაუმწარებიათ, რამდენიც სააკაშვილის სისხლიანმა ხელისუფლებამ გაამწარა.

**რად მინდა ამათი დაგებული გზები, თუ სიმართლის გზა არ იქნება და ასეთი გამწარებულები ვიქნებით. რისთვის და ვისთვის გვინდა ქვეყანა და ხელისუფლება, თუ გამორჩეულ ვაჟკაცებს დაგვიხოცავენ...**

ათას ჭორს მოგაწერენ და ცილს დაგწამებენ... ვინმე სალახანას გამოიყენებენ, რომელიც ყველაფერზე წამსვლელია. ეს მათი ხელწერაა... ჯერ გამოძიება არ დამთავრებულა, ღვალაძე კი აცხადებს (თანაც, გვარიც შეეშალა, რადგან სცენარის ტექსტი კარგად ვერ დაიზეპირა), რომ „წკრიალაშვილს“ რუსეთის ძალები შემოსაყვანად მობილიზებული ჰყავდა... ამიხსნან, რუსები რომ ახალგორში შემოვიდნენ, გორში რომ დადგნენ, ბორჯომამდე და ახალდაბამდე რომ მოვიდნენ, კრიალაშვილსა და კობალაძეს ჰკითხეს რამე?.. ღვალაძემ მოღალატეებად მოიხსენია, რუსეთთან შეკრულებად, რითაც ჩემი მეუღლე ფიზიკურ განადგურებამდე მორალურად მოკლეს, ჩირქი მოსცხეს...

**ორი ვაჟკაცი მეზრდება და ამ სულმდაბალმა და სულგაყიდულმა სალახანამ წმინდა გიორგის ჯვრის მფლობელი მამა ჩემს შვილებს მოღალატედ გამოუცხადა. მკვდარიც ამიტომ მეცოდება.**

ღვალაძე იმდენად თავხედია, რომ მალევე განაცხადა: „მე, როდის ვთქვი, ამ საქმეში რუსეთის ხელი ურევიაო“... მან კანონიც დაარღვია და ზნეობაც. უდანაშაულო კაცს, რომელსაც არ იცნობდა და მის შესახებ არაფერი იცოდა, სწორად მისი გვარიც ვერ ამოიკითხა, უსაზიზღრესი ცილი დასწამა. ამ უნამუსო კაცის ცილისწამების ღირსი არ იყო გია, ამიტომ მებრალება და მეცოდება, ის ასეთ საქმეზე წამსვლელი არასოდეს იქნებოდა.

ღვალაძე კი კანონიერად უნდა დაისაჯოს, მაგრამ არ ვიცი, ეს საკითხი მათ სცენარში რამდენად შედის...

**— ქალბატონო თამუნა, როგორც ამბობენ, მუხროვანის ინციდენტი გამოიწვია სამხედროების უარმა დემონსტრანტების წინააღმდეგ გასვლაზე, რაც სააკაშვილისთვის უდიდესი დარტყმა იყო... როგორია თქვენი ვერსია?**

— ვფიქრობ, მუხროვანის ბატალიონში უთანხმოების მიზეზი ცალსახაა. სამხედრო პირი მამაცია, პირდაპირი და ღირსეული, თანაც, თავდაცვის უნარიც აქვს და როცა ასეთ ვაჟკაცებს თავდაცვის მინისტრის მოადგილედ სამხედრო სტრუქტურაში სადიზმისკენ მიდრეკილ ავტორიტეტშელახულ ბაჩო ახალაიას უნიშნავ, მათი ღირსება და სამხედრო დისციპლინა ამგვარ პიროვნებას ვერ აიტანს. შეუძლებელია, ბაჩო ახალაია პატრონობდეს ქართულ ჯარს, რადგან იქ არიან ფსიქოლოგიურად სრულიად განსხვავებული სულისკვეთების ვაჟკაცები. სცენარისტის უნიჭობის მიუხედავად, მუხროვანში, ალბათ, იყო რაღაც უთანხმოება, ზუსტად არ ვიცი, რა, მაგრამ რაღაც მაინც მოხდა. პრეზიდენტმა გაიხსენა ძველი მუხროვანი და მივიწყებული არასასურველი პიროვნებანი, რასაც მოწმობს მისი ისტერიკა: — „კრიალაშვილი მიწიდან ამომიღეთო“, შემდეგ პაუზა გააკეთა, ალბათ, ლიკვიდაცია უნდა ეთქვა, მაგრამ მიხვდა, რომ ასეთი რამ ტელეეკრანიდან არ უნდა ეთქვა და სიძულვილით აღსავსე ხმით დასძინა: „დააკავეთო!“ „რუსთავი 2“-ში ამ კადრების მოძიება შეიძლება... გიას მკვლელობა ბევრ შავ ლაქას შეიცავს და მომავალი უფრო მეტს გამოაჩენს.

**— რას გულისხმობთ შავ ლაქაში?**

**პირველი:** თუ ხელისუფალი ხარ და იცი, რომ სამხედროები გადატრიალებას ამზადებენ, რატომღა ელოდები „ტანკების დაქოქვას?“ დაიჭირე ეჭვმიტანილები, გამოიძიე და საკადრისი მიუზღე. საქმის სისხლისღვრამდე მიყვანა უკიდურესი გამძაფრებაა და ხელისუფალთა უმძიმესი დანაშაული. ჩემი ქმრისა და სხვათა სახელები თავიანთი გალესილი ეჭვების ჩასახშობად გამოიყენეს. თევზაძე და ყარყარაშვილი კიდევ შეიძლება ერთმანეთს რაღაცნაირად დაუკავშირო, მაგრამ გახოკიძე და ფირცხალაიშვილი აშკარად არაადეკვატური სინთეზია...

**მეორე:** სპეცრაზმის განმარტებით, ჩემს ქმარს პირველად ფეხებში ესროლეს, რადგან გაქცევას ცდილობდა. რაღა საჭირო იყო მკერდში სროლა, ფეხებში დაჭრილი კაცი სად უნდა გაქცეულიყო? აეყვანათ, საქმე გამოეძიებინათ და სათანადოდ გაესაჯათ.

**მესამე:** არამიანცის საავადმყოფოს პროზექტურაში გადმოსვენებისას ექსპერტიზამ ოჯახის წევრებს დასკვნა არ მოგვცა (გრიფით საიდუმლოა და ვერ გაგატანთო). ვერც ერთმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა ექსპერტიზის ჩატარება ვერ გაბედა, ისე არიან პოლიციურ სახელმწიფოში დამფრთხალ-შეშინებულნი, თანაც, იურიდიულად მიმართვა სჭირდებათ გამომძიებლისგან ან ადვოკატისგან.

**მეოთხე:** გვამმა ბალზამი არ მიიღო (ექიმის განმარტებით, ბალზამს ორგანიზმი დაღუპვიდან 24 საათის განმავლობაში იღებს, ამ განსაზღვრული დროის შემდეგ ბალზამი აღარ მიიღება), როცა მაინც შევეცადეთ, მიცვალებულს თავი გაუსივდა, ამიტომაცაა კუბო თავდახურული და ყინულებით სავსე. არის ეჭვი, რომ გია კრიალაშვილი 21 მაისს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს არ მოუკლავთ. იგი მანამდეა მკვდარი, ოღონდ — არა ტყვიით, 5-6 დღით ადრე — აწამეს, მოგუდეს და მოკლეს. ამ ეჭვს ისიც ამტკიცებს, ხომ

**თვითმხილველთა ინფორმაციით, სოფელ გლდანში მოსული სპეცრაზმი ტყვიას ჰაერში ისროდა და გზას ხალხისგან ათავისუფლებდა, შემდეგ კი გვამი გზაზე დააგდეს.**

**მეხუთე:** სოფელ გლდანის გზის იმ მონაკვეთზე, სადაც სპეცოპერაცია ჩატარდა, მეორე დღესვე სასწრაფოდ ხელმეორედ დააგეს ასფალტის საფარი იმის დასამალად, რომ თუ იქ ხალხი მართლა დაჭრეს, არ შეიძლებოდა სისხლის ან რაიმე სხვა კვალი არ დარჩენილიყო.

**მეექვსე:** კობა ოთანაძის ახლობლები 8 თვის ბავშვთან ერთად დააპატიმრეს ძებნილთა კვალზე გასასვლელად, რატომ არ განახორციელეს იდენტური ოპერაცია გია კრიალაშვილის ოჯახსა და ახლობლებზე?

**მეშვიდე:** კობა ოთანაძე, ლევან ამირიძე და გია კრიალაშვილი ძებნილებად გამოცხადებიდანვე აღარ იყვნენ ერთად. ისინი მთელი ცხოვრება ტაქტიკასა და სტრატეგიას სწავლობდნენ და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ისიც, მიკროავტობუსში, სამივე ერთად როგორ ავიდოდა. ესეც სიცრუეა.

დაბოლოს, ვინ არის პოლკოვნიკი ღვალაძე? — ის არაა სამხედრო პირი, უშიშროების კადრია, ზუსტად ისეთი, როგორიც დღევანდელ ხელისუფლებას უყვარს, ყველაფერზე ხელისმომწერი და წამსვლელი. ამ ამბის კანონზომიერება ბევრი ფაქტითაა დარღვეული, რასაც დრო ახდის ფარდას, მაგრამ ვაი რომ დაღუპულს ვერაფერს ვუშველით...

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## ზურაბ გაგნიძე:

# დავით ბაქრაძე მარგინალია

**ნებისმიერი ადამიანის ფსიქოპორტრეტის შედგენა ძნელია, რადგან მის სულში აფათურებ ხელს. ეს კი მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ მას ეხმარები საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში ან საზოგადოებას აჩვენებ იმ პიროვნების ავ-კარგს, ვისაც ქვეყნის ბედი აქვს მინდობილი. მყარი, ჯანმრთელი ფსიქიკის პატრონები არ ცდილობენ, საკუთარი ნაკლი ან შეცდომა დაფარონ და არც გამკილავი კრიტიკის ეშინიათ, რადგან იციან, ისეთნი არიან, როგორიც არიან. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის ფსიქოპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით დავით ბაქრაძის ფსიქოტიპის ძირითად შტრიხებზე, რამდენად შეეფერება ბატონი დავითის სულიერი სამყარო ლიდერის მოთხოვნებს?**

— დასაბამიდან დღემდე ერის ხასიათში ლიდერის გამოვლენისთვის უცვლელი კრიტერიუმები არსებობს. მათ შორის უმთავრესია პიროვნების თანაზიარობა ერის ბედთან. პარლამენტის თავმჯდომარე თავად ამბობს: „სრულიად ვაცნობიერებ უდიდეს პატივსა და პასუხისმგებლობას ჩვენი ამომრჩევლის წინაშე იმ დანაპირებზე, რომელიც მივეცით თანამოქალაქეებს“. ძნელი მოსასმენია ამგვარი განცხადება, როდესაც, რბილად რომ ვთქვათ, ქვეყანა წართმეულია, თავისუფლება — დაკარგული, ეკონომიკა და, საერთოდ, ყველაფერი — სიყალბეზე, სიცრუესა და ძალადობაზე აგებული, ქუჩებში კი ათასობით ამომრჩეველი საპროტესტო აქციებს მართავს. ამდენად, ნდობის მანდატის მიუხედავად, ბატონი დავითი ვერ ამართლებს ხალხის მოლოდინსა და მოთხოვნას, რადგან მან ვერ შეძლო საკუთარი ქვენა გრძნობების დათრგუნვა, არ არის ასკეტური ფსიქიკის მატარებელი, არც — შორსმჭვრეტელი და გამჭრიახი პოლიტიკოსი, რომელიც ხალხს თავის თავში გადარჩენის უნარსა და გზას მოანახვინებს.

დღეს ის პარტოკრატიის დღევანდელ მოთხოვნებს უფრო ამართლებს, რაც რადიკალურად შორს დგას ერის შემეცნებისგან და სრულიად პასუხობს გაბატონებულ გემოვნებას — მოდაში შემოსულ ლიდერის მონაცემებს, „წუთისოფლის ჭიქაში წვეთის არდატოვების“ არხეინ თეორიას. დავით ბაქრაძე თბილისელია, დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ — საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი და სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტი, გახდა სახელმწიფო მართვის მაგისტრი და ელექტრონული ტექნიკის ინჟინერი; ცოდნა გაიღრმავა ჟენევაში, შვეიცარიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში (1997 წ.); გერმანიაში — ევროპული უსაფრთხოების საკითხთა კვლევის ცენტრში (1998 წ.); იტალიის ნატოს თავდაცვის კოლეჯში (2001 წ.).

ამ მყვირალა დასახელებების უკან არსებული რამდენიმეთვიანი კურსები ბევრს ვერაფერს მატებს პიროვნების განათლებასა და პროფესიონალიზმს, მაგრამ, სამაგიეროდ, მაგიური ძალით მოქმედებს სნობიზმითა და პროვინციალიზმით დაავადებულ ჩვენს გაფუყულ, ქვეყნის სათავეში მდგომ საქმოსან, აზროვნებაშეზღუდულ ხელმძღვანელობასა და მათ მიმდევრებზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დავით ბაქრაძე სამთავრობო კარუსელის ერთ-ერთი წამყვანი პერსონაჟია: 1997 წელს ინიშნება საგარეო საქმეთა სამინისტროში განიარაღებისა და შეიარაღების კონტროლის სამმართველოს უფროსის მოადგილედ და რაღაც ერთ წელიწადში ამავე სამმართველოს უფროსიც ხდება. 2000 წელს კი ამავე სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ ინიშნება. 2002-2003 წლებში ეროვნული უშიშროების საბჭოში უშიშროების საკითხთა სამსახურის უფროსი ხდება, სულ მალე კი — საგარეო პოლიტიკური უსაფრთხოებისა და კონფლიქტების დეპარტამენტის დირექტორი. 2004-2007 წლებში მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეა; 2008 წელს კი უკვე სახელმწიფო მინისტრია კონფლიქტების მოგვარების საკითხში და სულ რამდენიმე თვეში საგარეო საქმეთა მინისტრად გვევლინება, ხოლო 2008 წლის მაისიდან მე-7 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარეა.

ბაქრაძემ პარლამენტში შეაღწია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიის №1 ნაციონალად. ამ პიროვნების კარიერის საფეხურები ცხადყოფს, რომ მისი ფსიქიკის სულიერ სიჯანსაღეში არ ჩანს ინდივიდუალობა, სიმწიფეს მიღწეული პიროვნების სულიერი სიმტკიცე, რაც აუცილებელი ატრიბუტია, რომ ინდივიდი იყოს საღი, ღრმა და სანდო ადამიანი. მისი ნებელობა იმდენად შესუსტებულია, რომ იგი სათამაშო ფიგურაა ძლიერთა ხელში, აშკარად აკლია ინდივიდუალური ოპტიმუმი, რათა შეძლოს, დამოუკიდებელი ძიებით წარმართოს პიროვნული წინსვლა და დასაქმების ადგილთა მონაცვლეობა. ამასთან, ის ფლეგმატური ტემპერამენტისაა და ადვილად ექცევა წინმდგომის შფოთიანი ნერვიულობისა და ფეთიანობის გავლენის ქვეშ, რომელიც ვამპირივით ნთქავს მასში ისედაც შესუსტებულ ნებელობას. ამ დასკვნის გამოტანის უფლებას მაძლევს ის ფაქტიც, რომ ფლეგმა, ფსიქოტიპის შინაგანი რითმი, ასეთ სწრაფ ცვალებადობებს სავსებით გამორიცხავს. თუ ბატონი დავითი თავის საკუთარ ტემპორიტმს გააცნობიერებს, მას ხელთ ექნება თვითმართვის ძლიერი ბერკეტი, ხოლო მისი ფსიქიკა ზეწოლისგან უფრო თავისუფალი გახდება.

**— ბატონო ზურაბ, იქნებ ეს კაცი ინდივიდუალობას მოკლებულ ფლეგმატურ პიროვნებას თამაშობს, რადგან ასე სჭირდება? ბევრი ხომ ვერ დაიკვეხნის ბაქრაძისეულ ინტელექტს?**

— გონებრივი უნარების ჰორიზონტი სულაც არ გულისხმობს სულიერ სისუფთავესა და სიძლიერეს. შესაძლოა, კაცს ჰქონდეს ნიჭი, შესაშური მეხსიერება და განათლება, მაგრამ აკლდეს კეთილგონიერება და კეთილშობილება, ღირსების გრძნობა.

დავით ბაქრაძე უკვე 12 წელია, საპასუხისმგებლო პოსტებზეა და ამ ხნის განმავლობაში მისი მხრიდან არასოდეს გვსმენია მებრძოლი, ომახიანი კაცის უკომპრომისო შეძახილი ან თანამედროვეობის მანკიერ მხარეთა გაბედული კრიტიკა. მედროვე სნობების მიერ ინტელექტუალ პოლიტიკურ ფიგურად აღიარებული ბაქრაძისგან არ გვახსოვს პოლიტიკურ ოპონენტებთან დისკუსიაში ჩაბმა, რაიმე საორჭოფო სიტყვა. მის ამაო და ყალბ შეფასებებს კი გამუდმებით ვისმენთ, თავისი გამოსვლებით ყოველთვის ტაშსა და კვერს უკრავს კვარცხლბეკზე შემდგართ, თავისი მსოფლმხედველობით არაფრით განსხვავდება ხალხის მიერ ათვალწუნებული მმართველი გუნდისაგან, ცხოვრების წესითა და მიზნებით სამშობლოსა და ხალხთან მიმართებაში.

ჩემი პროფესიული ხედვით, მის პიროვნებაში ინდივიდუაციის პროცესი, რომელიც „მეს“ ჩამოყალიბებით მთავრდება, შეფერხებულია, რის გამოც ვერ ახერხებს კოლეგათა ფსიქოლოგიისგან გამიჯვნას და ინდივიდუაციას, ანუ ცნობიერი ცხოვრების გაფართოებას. აქვს ძლიერი გონებრივი უნარები, მაგრამ სულიერი უნარები — შესუსტებული, რასაც ემატება ფლეგმატური ტემპერამენტის გამაღიზიანებელი, შენელებული მოქმედება. ის გაურბის გონიერი უნარებით გამოღვიძებულ არაცნობიერს.

**— დღევანდელი პოლიტიკური კრიზისის ფონზე რა ფსიქიკურ შტრიხებს ავლენს დავით ბაქრაძე თავისი გამოსვლებით, შეფასებებითა და ანალიზით?**

— ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამგვარი ფსიქოტიპისთვის სავსებით უცხოა მოვლენის ლოგიკურად გაანალიზება. ის მხოლოდ თავისთვის გასაგები კანონებით ცხოვრობს, ამიტომ ხშირად გულუბრყვილო საზოგადოების ნაწილზე ინფანტილურობის შთაბეჭდილებას ტოვებს, უფრო გამჭრიახნი კი მის ნატურას ცუღლუტს უწოდებენ.

ამის დასტურია მისი რეაქცია პარლამენტში ნაციონალების ყოფილი ლიდერის მაია ნადირაძის აბრაკადაბრა გამოსვლაზე, რაც ტელეოპერატორის მახვილმა თვალმა დააფიქსირა (როცა დავით ბაქრაძე მრავალმნიშვნელოვნად, სიცილით უკრავდა თვალს კოლეგებს). ეს კი ნიშნავს, რომ საქმიან გარემოში ის ზერელე და ქარაფშუტაა, ვერ ფლობს სიტუაციას, არ ახასიათებს წესრიგისადმი პატივისცემა და სერიოზული დამოკიდებულება. მთავარი შტრიხი კი ისაა, რომ მისი ფსიქოტიპი ასხლეტილია რეალობას, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მას არ შეუძლია საყოველთაოდ მიღებულ აზრთა გაზიარება, რის გამოც სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლას „ოპოზიციის მავნე ილუზიას“ უწოდებს და ხმამაღლა აცხადებს: „ამით ხელისუფლება არც ერთ ქვეყანაში და არც საქართველოში არ წავა და არც ვაპირებთ წასვლს“ („სარკე“, 18-24.II.09წ.).

ეს ფრაზა ფსიქოლოგიური დატვირთვით უაღრესად ბევრისმთქმელია: შეიცავს შეფარული კამათის ინტონაციას თავის ქვეცნობიერთან და ავტორი აშკარად დუბლირებულია პრეზიდენტის პერსონასთან, რადგან მოთხოვნას — „წადი, მიშა!“ — მთელ მთავრობაზე იღებს. ამ დროს უნებურად გვახსენდება საბჭოური მენტალობა — „ვამბობთ ლენინს და ვგულისხმობთ პარტიას!“... მიძინებული არაცნობიერი მის თითოეულ სიტყვასა და ქცევაში იჩენს თავს, ბაქრაძის ყოველი გამოსვლა ორმაგად იკითხება, რადგან მის ფსიქოტიპში ხდება ცნობიერისა და არაცნობიერის დიფერენცირებული ურთიერთობა. ეს კი მთელ მის ფსიქოტიპს განსაზღვრავს.

ამის ნათელი მაგალითია ბაქრაძის მიერ გაკეთებული განცხადება აგვისტოს მოვლენების დროს: — „რაც ხელში მოგხვდებათ — დანები, ჩანგლები, იმით დაიცავით თავი“... მოგვიანებით თავის ინტერვიუში ამას ასე განმარტავს: — „თუ რუსები მშვიდობიანი მოსახლეობის დაწიოკებას დაიწყებდნენ, ამას შორიდან ვერ ვუყურებდით, იძულებულები გავხდებოდით, პარტიზანული მოძრაობა დაგვეწყო და ავღანეთის ან ჩეჩნეთის სცენარზე წავსულიყავით“... აი, როგორ აღიქვამს და აანალიზებს მოვლენებს ქვეყნის მეორე პირი.

მოვლენათა ასეთი არაადეკვატური შეფასება დღეს ხელისუფალთა გამოსვლების ნორმადაა ქცეული. ფსიქოლოგიური შეფასება კი ასეთია: მას არ შეუძლია რეალობის სწორი აღქმა და მისი ზუსტ, სიტყვიერ განზომილებაში გადმოტანა. მიზეზი კი ერთია — სუბიექტს არ გააჩნია ძლიერი, შინაგანი პრინციპები და აღნიშნულ ფაქტთა მიმართებაში ჩამოყალიბებული პოზიცია. ყოველივე ამის გამო ახალი შთაბეჭდილებების მიღებისას მისი უნარები უკავშირდება სპონტანურ განცხადებებსა და უპასუხისმგებლობას. თანაც, სამწუხაროდ, მას აშკარად ერევა მიზნები და საშუალებები, თორემ რუსულ ავიაგამანადგურებლებს დანა-ჩანგლით რომ ვერ ჩამოვაგდებდით, ცხადია.

ბაქრაძის სურვილი პარტიზანულ ბრძოლებზე ოპტიმისტური ტრაგედიაა, თანაც, აშკარად ცხადყოფს, რომ ქვეყნის მესვეურთ სხვა თავდაცვითი პოზიცია არ აქვთ.

ასეთსავე უპასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული მიმდინარე საპროტესტო აქციებისას პარლამენტის მუშაობის შეჩერება. კრეატულობა აქტუალიზებულ ადამიანთა მუდმივი ატრიბუტია. აშკარაა, რომ დღევანდელი პარლამენტი და მისი თავმჯდომარე ვერ ფლობენ დიდ პიროვნულ სიმწიფეს და არ გააჩნიათ პროფესიული პასუხისმგებლობა.

უფრო მეტიც, დავით ბაქრაძეს ამ ფონზე ჰყოფნის პიროვნული თავხედობა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა საკუთარი კეთილდღეობის იდენტურობით აღიქვას: „ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს“. ამ სიტყვებით მან თავისი ფსიქიკური სტრუქტურის ფრიად მნიშვნელოვანი შტრიხი გამოავლინა — მის პიროვნულ სიმწიფეს მაღალი ხარისხი არ გააჩნია, მზადაა, საკუთარი მდგომარეობის განსამტკიცებლად მასების ინტერესი შეზღუდოს. ეს კი აჩვენებს, რომ ხალხის რჩეულ დეპუტატსა და ქვეყნის პირველ პარლამენტარს ხასიათის დემოკრატიული სტრუქტურა არ გააჩნია. როგორც ყველა უმწიფარი პიროვნება, ისიც თვლის, ოღონდ თვითონ არ დაზარალდეს და ქვეყანას ჯოჯოხეთამდე გზა ჰქონია.

### დავით ბაქრაძის ინტელექტს აკლია ინტელექტუალური ორგანიზაცია, რადგან ვერ ფლობს პრობლემის გადაჭრის შესატყვის უნარებს, სამაგიეროდ, კარგად აქვს განვითარებული ეგოისტური უნარები და საკუთარი თავის დაცვითი პოზიცია.

**— ბატონო ზურაბ, რით ახსნით იმ ფაქტს, რომ ხალხი ბაქრაძის ღიმილს „ბერიას ღიმილს“ ეძახის, ეს გარეგნული მსგავსებითაა გამოწვეული თუ სულიერი ნათესაობით?**

— დავით ბაქრაძის ფსიქოტიპში აგრესიული იმპულსი მიღებული ცოდნითაა შენიღბული, მაგრამ მისი აგრესია მაინც ჟონავს. ნებისმიერი ადამიანი ღირებულებათა გარკვეულ ორიენტაციას მიჰყვება, რომელიც ინდივიდის სულის შინაგან არსს გამოხატავს. როცა ბაქრაძის ნებელობას წინსვლისა და განდიდების ავანტიურისტული ვნება დაეუფლა, მის სულიერ არსენალში ღირებულებათა მკვეთრი აღრევა მოხდა. ის გახდა პირმოთნე, ცბიერი, მდაბალი, ხარბი, პატივმოყვარე და მლიქვნელი. ვნებამ მისი გონება იმდენად გადაფარა და დააბრმავა, რომ განსჯას ველარ ემორჩილება. ღირებულებათა აღრევისას ადამიანი ცდილობს, ხელოვნურად შენიღბოს საკუთარი ვნებანი და მანკიერებანი. თანამედროვე ფსიქოლოგიის აზრით, ამ დროს ადამიანში ჩნდება სულიერების გამოხატულების გრიმასა, ანუ იდეა-სულის გარეგანი გამოვლენა. გამო-

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

რიცხული არაა, ხალხი „ბერიას ღიმილში“ გულისხმობდეს მედროვეობას, ფარისევლობას, სიყალბეს, რაღაცაში ბრალეულობასა და ცინიზმს ერთდროულად.

ფსიქოლოგიური განსჯით, დავით ბაქრაძემ ღირებულებათა კლასიფიკაციაში ცხოვრების სირთულის ზეწოლით ბევრი რამ თავისსავე თავში გადააფასა და სწორედ ამიტომ გაუჩნდა მის ღიმილს უცნაურის შეცნობისა და გაწბილების სიცივე. ბაგეთა ცალ კუთხეში შერჩენილი ღიმილი ქვეცნობიერში გადამალული სინდისის ემოციური უკუგებაა. საერთოდ, სულიერების ფიზიოლოგიაზე განფენა ფსიქოლოგიის ძნელად სარკვევი, მაგრამ ძალიან საინტერესო ასპექტია, თუმცა ბაქრაძის ფსიქოტიპში გამორიცხული არ არის ქვეცნობიერში დატყვევებული სინდისის ამბოხი. კულუარული ინფორმაციით, იმასაც ამბობდნენ, პრეზიდენტმა მგალობლიშვილს რომ სცემა, მის დაცვას ბაქრაძე შეეცადა და იმასაც მოხვდაო. ბაქრაძე ამ მითქმა-მოთქმას „ახალ ვერსიად“ ნათლავს, თუმცა ამ ფაქტს საეჭვოდ დაემთხვა მისი ავადმყოფობა.

ბაქრაძის ფსიქოტიპის გასახსნელად მისივე სიტყვები გვეხმარება: „ფაქტები კი არ გვაქვს, მაგრამ, ამბობენ, ხელისუფლება ებრძვის პატრიარქს და წამლავსო, რაღაც ხომ უნდა დარჩეს ამ ქვეყანაში წმინდა, რომლის გარშემო პოლიტიკური სიბინძურე და სპეკულაცია არ იქნება“... აქ საქმე გვაქვს იმ ფაქტთან, რაზედაც ხალხური სიბრძნე ამბობს: „ქურდს რომ კარგად მოუსმინო, დღეში სამჯერ გამოტყდებაო“. ამ შემთხვევაში ქვეცნობიერი სჯაბნის ცნობიერს და მის სახეზე აფარებულ ნიღბის კუთხის აწევით საგულისხმოს აჩენს. მებადება კითხვები: — როგორ, ბატონო დავით, ნუთუ ამ ქვეყანაში ყველაფერ წმინდას პოლიტიკური სიბინძურე და სპეკულაცია შეურაცხყოფს? მედავებით, რომ ამ „პოლიტიკურ სიბინძურეში“ მარტო ოპოზიციურ ლიდერებს გულისხმობთ? მაგრამ სპეკულირებაში ყოველთვის ორი მხარე მონაწილეობს; თანაც, თუ ქვეყანაში ასეთი პოლიტიკური სიბინძურეა, თქვენ რას აკეთებთ?!.

ეს „საეჭვო უზუნდარა“ იმას ნიშნავს, რომ დავით ბაქრაძის ფსიქოსტრუქტურაში ცნობიერისა და არაცნობიერის დიფერენცირებული ურთიერთობა ხდება, რაც მის ფსიქიკურ სიჯანსაღესა და კარიერას საფრთხეს უქმნის.

აუცილებლად უნდა შევეხო პარლამენტის თავმჯდომარის კიდევ ერთ გახმაურებულ განცხადებას, რომ საკანონმდებლო ორგანო მუშაობას განაახლებს რეფორმებითა და საკანონმდებლო ცვლილებებით: „ყველა ის, ვინც არ გახდება პოლიტიკური ცვლილებების მონაწილე, თავს მარგინალიზაციისთვის გაწირავს... ხელისუფლებას ოპოზიციის მარგინალიზაცია არ სურს... ჩვენ არ გვსურს, ისინი მარგინალები გახდნენ... ეს ცუდად აისახება ქვეყნის პოლიტიკაზე“...

სოციალურ ფსიქოლოგიაში მარგინალები ის ადამიანები არიან, რომელნიც ორი თუ მეტი სამყაროს მიჯნაზე იმყოფებიან, მაგრამ თავის სრულუფლებიან წევრად მათ არც ერთი იღებს და არც — მეორე. მარგინალად ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი რევოლუცია, ანუ სოციალურ ჯგუფებს შორის ახალი ურთიერთობების წარმოქმნაა ზნეობრივი და პოლიტიკური ფასეულობების მკვეთრი შეცვლით. მარგინალიზმის ტერმინის შემომტანი მეცნიერი პარკი დიდი პოლიტოლოგი, რომელიც ეთნიკურშორის კონფლიქტებს ირკვევდა, მარგინალიზმის ძირითად ნიშნებს ასე აყალიბებს: 1. მარგინალიზაციაში ჩაფლული ადამიანები განიცდიან მარტოობას (რეალურად დღეს საქართველოში ხელისუფალნი განიცდიან მარგინალიზმის უპირველეს ნიშანს, რადგან დაკარგეს როგორც საერთაშორისო ავტორიტეტი, ასევე ხალხის ნდობა); 2. ახასიათებთ გადაჭარბებული შიში (ეშინიათ ნებისმიერი რისკის, ამჯობინებენ, განერიდონ გაურკვეველ სიტუაციას, ვიდრე თავი დაიმცირონ. გადაჭარბებული შიშის გამო შეწყვიტა პარლამენტმა მუშაობა საპროტესტო აქციები ფონზე; გადაიფიქრეს 26 მაისს რუსთაველის გამზირზე აღლუმის ჩატარება; ხელისუფლების შტოდან საპროტესტო აქციაზე ხალხთან არავინ გასულა, რითაც გაურბიან გარისკვას და თავის დამცირებას); 3. დარწმუნებულნი არიან, რომ უსამართლოდ ეპყრობიან და მუდმივი შიში აქვთ, რომ უარყოფილი იქნებიან (ჩვენი ხელისუფლება მარგინალიზმის ამ ნიშან-სიმპტომს რომ ატარებს, ფსიქოლოგიური წიაღსვლების გარეშეც ყველა დამემოწმება. ინტელექტუალ ბაქრაძის სულიერება მარგინალიზმის არსს კარგა ხანია, ატარებს, თამამად შეგვიძლის ვთქვათ, რომ დავით ბაქრაძე მარგინალია, მას სულიერების სისუსტითა და ნებელობის შეზღუდულობით სწორი არჩევანის უნარი და ზნეობრივი სიმაღლე დაკარგული აქვს, სხვებს კი მიუთითებს).

მასობრივი საპროტესტო გამოსვლების ფონზე ხალხის რჩეული პარლამენტი სავსებით მოწყვეტილია ხალხს და განაპირებულია („მარგინალიზმი“ ლათინური სიტყვაა და ნაპირზე მდგომს ნიშნავს).

**რეალობას მოწყვეტილი და საზოგადოების გულისთქმას განრიდებულ-გაუცხოებული პარლამენტის თავმჯდომარე, რომელსაც მიაჩნია, რომ უსამართლოდ ეპყრობიან, ისეთ სვლებსა და შეფასებებს აკეთებს, თითქოს სხვა პლანეტიდან ეწვია დედამიწას.**

ეს კი იმის თქმის საშუალებას მაძლევს, რომ ბატონი დავითის პიროვნული სიმწიფე არასრულფასოვანია, ხოლო მის ნაკეთებ საქმესა და ნათქვამ სიტყვას ჭეშმარიტი ღირებულება არ გააჩნია.

დღეს საქართველოს ჭირთამთმენი, ქვეყნისთვის თავგანწირვის ფანატიზმი სჭირდება და არა მარგინალიზმში ჩაძირული ხელისუფლება.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

## გიორგი შერვაშიძე:

# საქართველოში ქართველების გარდა ყველას საქმე კეთდება

**კრიალაშვილისა და ოთანაძის გვარები პირველად 2002 წელს მუხროვანში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით ამოტივტივდა. მოქმედების ადგილი ამჯერადაც მუხროვანია და მთავარ როლებში ისევ ის მეამბოხე სამხედროები გვევლინებიან. საინტერესოა, უბრალო დამთხვევაა თუ წინასწარგამიზნული საბედისწერო პარალელი, რომელიც პატრიოტ მეომრებს ძალიან ძვირი დაუჯდათ. დღეს ჩვენი სტუმარია შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი გიორგი შერვაშიძე.**



**ხელისუფლებამ ბრძანებაც რომ გასცეს, ჯარი პოლიტიკურ პროცესებში არ ჩაერევა**

**— ბატონო გიორგი, 2002 წელს თქვენ მუხროვანში მომხდარი „ბუნტის“ ეპიცენტრში იყავით. საინტერესოა, ახლა როგორ შეფასებას მისცემთ მაშინდელ მოვლენებს?**

— იმ პერიოდში შინაგანი ჯარი ჩემს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მუხროვანში მომხდარ მოვლენებს კრიალაშვილი და ოთანაძე მეთაურობდნენ. მაშინ ისინი ერთგული გვარდიის ერთ-ერთი ნაწილის ხელმძღვანელები იყვნენ.

**— გვარდია ძალით შემოიჭრა?**

— მუხროვანის ბრიგადის მეთაურის მოვალეობის მაშინდელ შემსრულებელს შეუთანხმდნენ და ტერიტორია ისე დაიკავეს.

**— რა მიზანი ამოძრავებდათ?**

— მათ გამოაცხადეს თავიანთი გადაწყვეტილება დაუმორჩილებლობის თაობაზე. თავდაპირველად გვარდიელებმა პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენეს, რომლებიც მერე სოციალურით შეიცვალა.

**— თქვენ რა რეაქცია გქონდათ?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი შინაგანი ჯარების ნაწილის ტერიტორიაზე სხვა უწყების ძალოვანები შემოიჭრნენ, არც ერთი მათგანის მიმართ პიროვნული გაღიზიანება არ მიგრძვნია.

**— რატომ? იმ სიტუაციაში სრულიად ბუნებრივი იქნებოდა...**

— ორივეს კარგად ვიცნობდი და ერთი წუთითაც არ დამიშვია, რომ მათი ქმედება სამშობლოს ღალატად შემეფასებინა ან მეფიქრა, ქართველების სისხლს დაღვრიანმეთქი. თავში აზრადაც არ გამივლია, რომ სიტუაცია უმართავი გახდებოდა.

**— მათი გვარების კვლავ ამოტივტივება ისევ მუხროვანთან დაკავშირებით რას უნდა ნიშნავდეს?**

— დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით, ინფორმაცია არ მაქვს. მეც ის ვიცი, რაც თქვენ — ოფიციალური ვერსია და მოარული ხმები, მაგრამ ძალიან გამიკვირდა, როცა მათი გვარები კვლავ მუხროვანთან დაკავშირებით ამოტივტივდა... უკვე მომხდარი ინციდენტი ამჟამინდელ მოვლენებს დაუკავშირეს, რათა პატრიოტები სამშობლოს მოღალატეებად მონათლონ...

**— იქნებ აქვთ რაღაც ხელჩასაჭიდი?**

— მათგან ღალატი წარმოუდგენელია!.. მაშინ ყველა, ვინც დღეს რუსთაველზე დგას და აქციებში მონაწილეობს, რათა თავისი უკმაყოფილება გამოხატოს, მოღალატე ყოფილა.

**— ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ვითარება ძალიან დაიძაბა. დაპირისპირებამ უკიდურეს ზღვარს თუ მიაღწია, ჯარი მთავარსარდლის ბრძანებას დაემორჩილება და ხალხის წინააღმდეგ გამოვა?**

— ჯარშიც ისეთივე ქართველები მსახურობენ, მიტინგებზე რომ დგანან პროტესტის გამოსახატავად... პარალელს გავავლებ 2003 წლის მოვლენებთან... მაშინაც სამხედროების ნაწილი ხელისუფლებას ემხრობოდა, ნაწილი — ხალხს, მაგრამ ჯარისკაცებისთვის იარაღი, ტყვიები და მომწამლავი აირი არავის დაურიგებია, მხოლოდ ხელკეტები გვქონდა და ვიცავდით ზოლს, რომლის ერთ მხარეს შევარდნაძის მომხრეები იდგნენ, მეორე მხარეს კი — ოპოზიციურად განწყობილები. მივაღწიეთ კიდეც მიზანს — მათ შორის შეტაკება არ მომხდარა. ახლაც ასე იქნება, ჩემი აზრით, საქმე საქმეზე თუ მიდგა, ხელისუფლებამ ბრძანებაც რომ გასცეს, ჯარი პოლიტიკურ პროცესებში არ ჩაერევა.

**— ბატონო გიორგი, შარშან, 19 ივნისს, თქვენზე მოხდა თავდასხმა. სამი ნიღბიანი „სპეცნაზელი“ და ერთიც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პირი სასტიკად გაგისწორდნენ. დამნაშავეები დაისაჯნენ?**

— ვითომ ჩაატარეს გამოძიება, მაგრამ დამნაშავეები არ დაუკავებიათ. სახალხო დამცველის წარმომადგენელმა მომხდარი პოლიტიკურ თავდასხმად შეაფასა, მაგრამ რა!..

**— თუ შეიძლება, გაიხსენეთ, რა მოხდა იმ დღეს, 2008 წლის 19 ივნისს?**

— შუადღისას, ჩემს სახლთან, ყველას თვალწინ, 4 ადამიანი ზურგიდან მომეპარა მუხანათურად... უცებ გამთიშეს...

**— ვერ დაინახეთ დამნაშავეები?**

— ვერა, ავტოფარეხში მანქანას ვაყენებდი, თავს რომ დამესხნენ... მძიმე მდგომარეობაში ვიყავი, ტვინის შერყევა მივიღე, თავზე ორ ადგილას ნაკერები დამადეს. ცემისგან დაჟეჟილი ნეკნები 4 თვე მტკიოდა; მარცხენა ხელი მომტეხეს, მხრის სახსარი ჩამიმტვრიეს, მოკლედ დამაინვალიდეს, ხელს დღემდე ვერ ვამოძრავებ.

**— გამოძიებამ ვერ დაადგინა, ვინ იყვნენ?**

— ჩემზე თავდასხმის ფაქტს მეზობლები შეესწრნენ. თვითმხილველთა თქმით, სამ ნიღბიან დამნაშავეს სპეცდანიშნულების დანაყოფის ფორმა ეცვა, ხოლო მეოთხე სამოქალაქო პირი იყო.

**— საქმე დახურეს?**

— არ ვიცი, ჩემთან ამის თაობაზე არავინ მოსულა.

**— რატომ არ აგრძელებთ ჩივილს?**

— რა აზრი აქვს?! ხომ იცით, რა ქვეყანაშიც ვცხოვრობთ!.. ივლისის ბოლომდე გაუნძრევლად ვიწექი ტვინის მძიმე შერყევით, მერე რაც მოხდა აგვისტოს დასაწყისში ცხინვალსა და აფხაზეთში, კარგად მოგეხსენებათ.

**— ომმა შეგიშალათ ხელი?**

— რაც აგვისტოში მოხდა, მე ომს ვერ დავარქმევ...

**— მაშ, რა იყო?**

— პოლიტიკური ღონისძიება, რომელიც, ალბათ, მიზნად ისახავდა რუსეთის კიდევ ერთხელ დისკრედიტაციას ქართველი ხალხის უბედურების ხარჯზე, ჩვენი ვაჟკაცების სიცოცხლის ფასად. ნებისმიერი სამხედრო პირი, სერჟანტიცა და მთავარსარდალიც, შედეგით ფასდება. რა მივიღეთ?.. ორჯერ მეტი ლტოლვილი, ახალი მიწების დაკარგვა, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება...

**— მაინც რატომ მოხდა თქვენზე თავდასხმა, რას გერჩით ხელისუფლება?**

— 2006 წლიდან ვცდილობდი, აფხაზეთთან ურთიერთობის აღდგენისთვის ხელი შემეწყო. წელიწადში 2-3-ჯერ, თუ უფრო ხშირად არა, ვხვდებოდით აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს. ორივე მწარედ წუხდა იმის გამო, რომ 2004 წლიდან შეწყდა ყოველგვარი დიალოგი საქართველოსთან. გაეროს 2007 წლის ერთ-ერთი დადგენილებით გერმანიას დაევალა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირება. ამით ვისარგებლეთ და აფხაზეთში ჩავიყვანეთ საერთაშორისო იურისტი ბატონი ჰანს ალტენბურგი, გერმანელი ბიზნესმენები, ამერიკისა და ევროპის ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლები, ესტონეთის ყოფილი ელჩი. ისინი შეხვდნენ ხელისუფლებასაც, ოპოზიციასაც და ხალხსაც. გადავწყვიტეთ, აფხაზებთან მეგობრულად გველაპარაკა, პოლიტიკის გარეშე, მაგრამ ურთიერთობის აღდგენის ნებისმიერი მცდელობა, თუ ხელისუფლებისგან მხარდაჭერა არ არის, განწირულია...

**— თქვენ წლების განმავლობაში აქტიურობდით, მაინცდამაინც 2008 წლის 19 ივნისს რატომ დაგესხნენ თავს?**

**— 1993 წელს, როცა ქართველებსა და აფხაზებს შორის ომი დაიწყო, აფხაზებმა წმიდა მთაზე რიტუალი ჩაატარეს. მათ საქართველოც დაწყევლეს და ჩვენი ხალხიც. იყო აზრი, რომ ეს წყევლა აფხაზებზეც მოქმედებდა და უნდა ახსნილიყო. გადავწყვიტეთ გრანდიოზული შეხვედრის ჩატარება წმიდა მთაზე. უამრავი აფხაზი ელოდა ჩვენი მრავალრიცხოვანი დელეგაციის ჩასვლას. ხარი უნდა დაგვეკლა და წყევლის ახსნა სახალხო ზეიმად გვექცია.**

**— როდის აპირებდით რიტუალის ჩატარებას?**

— 15 ივნისს გვქონდა შეხვედრა, ხოლო 2 ივლისს მოლაპარაკებაზე უნდა წავსულიყავით, მაგრამ 19 ივნისს თავს დამესხნენ და ყველაფერი ჩაიშალა.

**— ახლაც გაქვთ კავშირი აფხაზებთან?**

— აგვისტოს მოვლენების მერე ჩვენი ურთიერთობა პრაქტიკულად შეწყდა. რეკავენ ხოლმე ხანდახან, მაგრამ რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ, დამოუკიდებლობაზე უარს რატომ იტყვიან.

**— მიხეილ სააკაშვილი გაითვალისწინებს ხალხის მოთხოვნას?**

— მე რასაც ვუყურებ, გადადგომას ნამდვილად არ აპირებს. შეიძლება, მოხდეს სასწაული და წავიდეს, მაგრამ, ალბათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვა პიროვნება, რომელიც მას აწყობს. სააკაშვილს გარანტია სჭირდება.

**— რა მოხდება, თუ დარჩა ხელისუფლების სათავეში?**

— კარგი არაფერი. გაგრძელდება ისევ ის უბედურება, რაც გვჭირს. ჩვენდა სავალალოდ, საქართველოში ქართველების გარდა ყველას საქმე კეთდება — რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, თურქების, არაბების, ჩინელების...

ესაუბრა
**ნინო გოქიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## ალექსანდრე ტოლსტოი:

# სამხედრო თანამდებობებზე არაპროფესიონალების დანიშვნა განსაკუთრებით სახიფათოა

**ქართული ჯარი შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა. წყალში გადაყრილი აღმოჩნდა მილიარდები, რაც არმიის გაძლიერებასა და ბრძოლისუნარიანობაზე დაიხარჯა. მილიარდებზე მეტად ის ფსიქოლოგიური მდგომარეობაა განსაკუთრებით თვალშისაცემი და სავალალო, ჩვენს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ერთნაირად რომ დარია ხელი. მიუხედავად ხელისუფლების მცდელობისა — წარმატებულად წარმოაჩინოს თავისი მოქმედება აგვისტოს მოვლენებისას, ფაქტია, რომ ნაომარ ბიჭებს დღემდე არ განელებიათ უკმაყოფილება „გაგორებული" მთავარსარდლის მიმართ.**
**მუხროვანის ფსევდოამბოხების ფაქტმა და რამდენიმე ოფიცრის სკანდალურმა დაპატიმრებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჯარისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება გერისა და დედინაცვლის დამოკიდებულებას უფრო ჰგავს და პრეზიდენტი ღვიძლ შვილად ვანო მერაბიშვილის სპეცრაზმებს მიიჩნევს და არა — სამხედროებს. ჯარს პროფესიული წვრთნა სჭირდება, ხოლო უმაღლესი მთავარსარდლის დგომა ნაპოლეონის პოზაში და ჯარისკაცების დაცაცხანება იმდენად კომიკურად გამოიყურება, სალაპარაკოდაც არ ღირს.**



**ხელისუფლებას არაერთგზის მიმართეს სამხედრო საქმის პროფესიონალებმა და სთხოვეს მათი აზრის გათვალისწინება. თუმცა „მონოლოგურ" ხელისუფალთაგან სხვისი და, მით უმეტეს, პროფესიული აზრის მოსმენა რა ძალისხმევას მოითხოვს, ყველასთვის ცხადია. ერთ-ერთი ასეთი „წამებული" გახლავთ პოლკოვნიკი ალექსანდრე ტოლსტოი, რომელმაც 1962-1988 წლებში იმსახურა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარ სადაზვერვო სამმართველოში და ამ სისტემას სიღრმისეულად იცნობს. დაზვერვის პოლკოვნიკმა არა ერთი წერილით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს, თუმცა მისგან პასუხი დღემდე არ მიუღია.**

**„საქართველო და მსოფლიო" გთავაზობთ ინტერვიუს პოლკოვნიკ ალექსანდრე ტოლსტოისთან. იქნებ, ამჯერად მაინც მიაქციოს ხელისუფლებამ ყურადღება პროფესიონალი სამხედროს აზრს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბატონი ალექსანდრე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში, 1995-96 წლებში კი საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარ სამხედრო ინსპექციაში უფროს ინსპექტორად მუშაობდა დაზვერვის დარგში.**

**— ბატონო ალექსანდრე, რატომ გადაწყვიტეთ მაინც და მაინც პარლამენტის თავმჯდომარისთვის მიმართვა, განა, რა ისეთი გავლენის მქონე მოხელეა, რომ მის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს?**

— უპირველესად, აღვნიშნავ, რომ მე ოფიცერი ვარ და ყველა ჩემი მოსაზრება პროფესიონალი სამხედროს თვალსაზრისია. ბატონი დავით ბაქრაძე კონსტიტუციით სახელმწიფოს მეორე პირია და მას უდიდესი ვალდებულება აკისრია ქვეყნის წინაშე. ჩვენი უმთავრესი პრობლემა კი ის საკანონმდებლო ბაზაა, რომლის მოწესრიგება საშური საქმეა და დიდ ძალისხმევასაც მოითხოვს. ამ წერილებით მინდოდა, პარლამენტის თავმჯდომარისთვის ჩემი მოსაზრებები გამეზიარებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის ეს საკითხი პრიორიტეტული არ არის. ამ ქვეყანას პროფესიონალები სჭირდება ყველა სფეროში და, მით უმეტეს, სამხედრო სისტემა ვერ გუობს პროფესიონალიზმის დეფიციტს. ჩვენ ნამდვილი სამხედრო ოფიცრები გვჭირდება და არა ჯარისკაცების ზედამხედველები.

**— მაგრამ ამ საქმისთვის ერთი და ორი წელი საკმარისი არ არის. როგორ ყალიბდებიან ნამდვილი სამხედრო ოფიცრები?**

— უპირველესად, ოფიცრები ხდებიან მოწოდებით. ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ბავშვები ინტერესდებიან სამხედრო ისტორიით, გეოგრაფიით, გამოჩენილი მხედართმთავრების ცხოვრებით.

შემდგომში ბავშვობის ოცნებას ისრულებენ სამხედრო სასწავლებელში, სადაც არა მხოლოდ სწავლების, არამედ აღზრდის პროცესიც მიმდინარეობს. ხომ გახსოვთ „კადეტთა კორპუსი", სადაც მთლად ყმაწვილკაცები ეჩვეოდნენ სამხედრო საქმეს? ხელისუფლებამ ეს ერთადერთი სამხედრო სასწავლებელი, რომელსაც დიდი ტრადიციები ჰქონდა, ხელის ერთი მოსმით გააუქმა და ქართულ სამხედრო სტრუქტურას საყრდენი გამოაცალა.

სახელმწიფომაც უნდა აიღოს თავის თავზე გარკვეული ვალდებულებები სამხედრო მოსამსახურის წინაშე: მან უნდა გასცეს ჯამაგირი, შემოსოს, საცხოვრებელი პირობებით დააკმაყოფილოს, მის ჯანმრთელობასა და ავტორიტეტზე იზრუნოს, გაწვრთნას საბრძოლო მოქმედებებში ჩასაბმელად და უზრუნველყოს ღირსეული საპენსიო პირობებით.

**— ბატონო ალექსანდრე, გასული ზაფხულის მოვლენებმა — აგვისტოს ორდღიან ომს ვგულისხმობ — თქვენზე რა შთაბეჭდილება მოახდინა? სხვათა შორის, არა ერთი თვითმხილველი ამბობს, რომ ჯარისკაცები მგლებივით იბრძოდნენ, მაგრამ მეთაურებმა სამხედრო საქმის სრული უცოდინარობა გამოავლინეს. ეს რისი ბრალი იყო — არაპროფესიონალიზმის თუ მხოლოდ სიმხდალის?**

— სამხედრო ხელოვნების ისტორია ადასტურებს, რომ მხოლოდ იქ, სადაც დაცულია ჯარის პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების წესი, საბრძოლო ამოცანები წარმატებით და მინიმალური დანაკარგებით გადაიჭრება, და პირიქით, იქ, სადაც ყურადღება არ ექცევა ოფიცრების ცოდნასა და გამოცდილებას, პირადი შემადგენლობის მორალურ-საბრძოლო სულისკვეთებას, გამარჯვება ნაკლებად მოსალოდნელია. ამას თქვენ მიერ ნახსენები მოვლენებიც ადასტურებს და შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა, რა და რატომ მოხდა იმ ორი დღის მანძილზე და შემდგომაც.

**— რომელ პროფესიონალიზმზე ლაპარაკობთ, რეზერვისტები ისე ჩასხეს ავტობუსებში და ჩაიყვანეს გორში, ამ ბიჭებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, სად მიდიოდნენ. ზოგიერთი ავტობუსი პირდაპირ საბრძოლო პოზიციებსაც კი მიაყენეს...**

— მართლაც, სამწუხარო, დანაშაულის ტოლფასი შეცდომები იქნა დაშვებული. მეთაურებმა ეს ბიჭები, ფაქტობრივად, გაწირეს. ადამიანს, რომელსაც ადრეულ ასაკში ჯარში არ უმსახურია, სამხედრო სასწავლებელში არ უსწავლია, 25 და მეტი წლის ასაკში გაუჭირდება სამხედრო ცხოვრების წესების წვრილმანებში გარკვევა, სამხედრო წესდებების მოთხოვნებთან შეგუება, მას უკვე ვეღარ განუვითარდება მეთაურის თვისებები, მისგან ვეღარ დადგება საბრძოლო და საბრძოლო უზრუნველყოფის ნაწილების თუ შტაბების ნამდვილი სამხედრო სპეციალისტი.

შეიარაღებული ძალებისთვის მიუღებელია სამხედრო ნაწილებისა და შტაბების ხელმძღვანელი თანამდებობების დაკომპლექტება გამოუცდელი და სხვა უწყებებიდან გადმოსული პირებით, განსაკუთრებით სახიფათოა მათი ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნა.

ასეთი მეთაურები თუ ხელმძღვანელები უგულებელყოფენ კანონებს, სამხედრო ფიცისა და წესდებების მოთხოვნებს, ჯანსაღ ტრადიციებს და მართავენ ნაწილს (უწყებას) თავიანთი შეხედულებისამებრ — ადრე მიღებული გამოცდილების საფუძველზე. და თუ ზემდგომი ორგანოებიდან მოთხოვნები შესუსტებულია და კონტროლი არ არსებობს, მაშინ ასეთი ტიპის უფროსები თანამდებობრივ ადგილს უყურებენ როგორც პირად საკუთრებას.

**— ბატონო ალექსანდრე, მუხროვანის ე.წ. ამბოხება ზოგიერთი ვერსიით ამ ბატალიონისთვის შეუფერებელი დავალების მიცემამ განაპირობა. ბუნებრივია, არაფერს ვამტკიცებთ და ამ მოვლენების შეფასებისგან თქვენც თავს იკავებთ, სანამ სურათი არ გამოიკვეთება, მაგრამ მინდა, გაგახსენოთ წინათ მომხდარი ამბოხებები, კერძოდ კი, 1999 წელს გენერალ გუჯარ ყურაშვილის დაპატიმრება. როგორც ვიცი, თქვენ მის სასამართლო პროცესზე დაცვითი სიტყვით გამოსვლასაც გეგმავდით, მაგრამ ამის საშუალება არ მოგეცათ. რამდენად რეალური იყო გენერალ ყურაშვილის გადატრიალების მცდელობის ბრალდებით დაკავება?**

— რეალური რომ არ იყო, იმიტომ გადავწყვიტე მისი დაცვა ღია სასამართლო პროცესზე, მაგრამ მოსამართლემ ნება არ დამრთო. გენერალ-მაიორ გუჯარ ყურაშვილს პირადად ვიცნობ 1993 წლის ნოემბრიდან, ანუ სახმელეთო ჯარების ჩამოყალიბების დღიდან. მას ისეთი ბრალდებები წაუყენეს, რომელთა დაჯერებაც შეუძლებელია, უპირველესად, ნამდვილი სამხედრო პიროვნების ბუნების გათვალისწინებით.

მხოლოდ ერთ ფაქტზე გავამახვილებ ყურადღებას და თავად განსაჯეთ, შეიძლებოდა თუ არა გენერალ ყურაშვილის სამშობლოს ღალატში დადანაშაულება:

1994 წელს აფხაზმა სეპარატისტებმა დაარღვიეს დროებით დაფიქსირებული საზღვარი დალის ხეობაში, დაიკავეს ახალი ტერიტორიები და განაგრძობდნენ მის გაფართოებას. მაშინ სახმელეთო ჯარების სარდალმა და მისმა შტაბმა პოლკოვნიკ ჯემალ ქუთათელაძის ხელმძღვანელობით რეალურად შეაფასეს ვითარება, გაიანგარიშეს, დაგეგმეს და შემდგომ წარმატებით განახორციელეს ოპერაცია — აღადგინეს დროებითი საზღვარი. ეს იყო აფხაზეთის ომის შემდეგ, სამხედრო ძალების მიერ, ალბათ, ერთადერთი პირნათლად შესრულებული სამხედრო ოპერაცია, რომელშიც ქვეყნის ინტერესები ღირსეულად იქნა დაცული ყოველგვარი გარიგების გარეშე. ეს მოხდა იმიტომ, რომ დისციპლინებულ, გაწვრთნილ ჯარს ხელმძღვანელობდა ჭეშმარიტად პატრიოტი, პროფესიონალი სამხედრო, გენერალი გუჯარ ყურაშვილი. მას ეხმარებოდნენ ისეთი გამოცდილი ოფიცრები, როგორებიც არიან: გენერლები დულა აბაშიძე, ემზარ ჭოჭუა, პოლკოვნიკები: ჯემალ ქუთათელაძე, ჯემალ ჭელიძე და სხვები. ქების ღირსნი არიან ადგილობრივი მოსახლეობისგან ჩამოყალიბებული ბატალიონ „მონადირის" მებრძოლები ემზარ კვიციანის მეთაურობით. სამწუხაროდ, ახლა აღარც „მონადირე" არსებობს, ემზარ კვიციანიც აიძულეს, ხეობა დაეტოვებინა. ამჟამად დალის ხეობას აფხაზები აკონტროლებენ.

**— მუხროვანის ე.წ. ამბოხს დავუბრუნდეთ. ხელისუფლება აცხადებს, რომ მუხროვანელების მიზანი მისი დამხობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება იყო. როგორც პროფესიონალი, რას იტყვით, — ჰქონდა მუხროვანის სატანკო ბატალიონს ასეთი შესაძლებლობა?**

— თავი დავანებოთ მუხროვანის მოვლენების პოლიტიკურ მხარეს და წმინდა პროფესიული კუთხით მივუდგეთ. მე ოფიცერი ვარ და პოლიტიკურ განცხადებებს ვერ გავაკეთებ. მხოლოდ ერთ მაგალითს მოგიყვანთ და თავადაც ადვილად მიხვდებით, ერთ ცალკეულ ბატალიონს შეუძლია თუ არა, ასეთ რთულ ამოცანას სრულყოფილად გაართვას თავი.

1976 წელს, როდესაც ავღანეთის ხელმძღვანელმა ამინმა თავისი დაცვის გასაძლიერებლად საბჭოთა კავშირის ლიდერებს დახმარება სთხოვა, გადაწყდა, მისთვის გაეგზავნათ გაძლიერებული ბატალიონი განსაკუთრებული საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურით, ჯავშანტექნიკით, არტილერიით, ნაღმტყორცნებით შეიარაღებული, სპეციალურად შერჩეული პირადი შემადგენლობით. ბატალიონი განლაგდა უშუალოდ ამინის სასახლის გარშემო და 6 თვის განმავლობაში „იცავდა" მას: სრულყოფდა საბრძოლო მზადყოფნას, დეტალურად შეისწავლა „ობიექტის" ყველა წერტილი, ძლიერი და სუსტი მხარეები, დაცვის რეჟიმი და სხვა. და ამ ყველაფრით უზრუნველყოფილ გაწვრთნილ ბატალიონს, 500-ზე მეტი კაცის შემადგენლობით, გაუჭირდა ამოცანის შესრულება — სასახლის აღებაში მას დაეხმარნენ უშიშროების ძალები და ავიაცია.

ამ მაგალითით ცხადი ხდება, რომ ცალკეულ ბატალიონს, როგორი მოტივირებულიც უნდა იყოს, ასეთი შეუსრულებელი მისიის შესრულება არ შეუძლია. ვინც ამას თავდაჯერებით ამტკიცებს, ის, უბრალოდ, ქვეყნის ღირსებას შეურაცხყოფს.

**— ბატონო ალექსანდრე, ამას ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ და ამით არა მხოლოდ ქვეყნის ღირსებას შეურაცხყოფენ, არამედ იმ ოფიცრებსა და ჯარისკაცებსაც უმძიმეს მდგომარეობაში აგდებენ, ვისაც არაფერი დაუშავებია. რა გამოდის, ეს ჩვენი ნალოლიავები ჯარი შესაძლოა, სახელმწიფო ინსტიტუტების დასანგრევად გამოიყენოს უცხო ძალამ? შევაჯამოთ ჩვენი დღევანდელი ინტერვიუ, საკანონმდებლო ლაფსუსებზე კი მომავალში ვისაუბროთ...**

— ბუნებრივია, ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა. უკვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: სამხედრო თანამდებობებზე გამოუცდელი ადამიანების დანიშვნა განსაკუთრებით სახიფათოა. ჯარის არაპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების პრაქტიკა ბევრ გამოცდილ ოფიცერს ულახავს ღირსებას, თავმოყვარეობას, იმედს უცრუებს, რომ პატიოსანი და ერთგული სამსახურით შესაძლებელია მაღალი თანამდებობის დაკავება და შემდგომი წოდების დროული მიღება.

თქვენ რამდენჯერმე მკითხეთ მუხროვანის მოვლენებზე. არ მინდოდა კონკრეტული შეფასებების გაკეთება, მაგრამ უთქმელობაც არ ივარგებს. მუხროვანის ამბოხება, თუკი ასეთი რამ მართლაც მოხდა, ლოკალური ფაქტი იყო და მისი სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მცდელობად წარმოჩენა ქართული სახელმწიფოებრიობის სიმყიფეზე მიუთითებს. ამასთან, განსაკუთრებული საფრთხის შემცველი იყო უმაღლესი მთავარსარდლის გადაწყვეტილება სამხედრო ნაწილში პოლიციური დანაყოფების შეყვანის თაობაზე.

### როდესაც არსებობს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, სამხედრო პოლიცია, რა ესაქმება შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე?

ალბათ, თქვენც შენიშნეთ, რომ მუხროვანში მისულ პრეზიდენტს თან ახლდნენ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები, თავდაცვის მინისტრი კი არსად ჩანდა. ეს რას უნდა მივაწეროთ ან რისი თქმა უნდოდა ამის დემონსტრირებით უმაღლეს მთავარსარდალს? პასუხი ყველასთვის ცხადია, თუმცა ჩვენ მხოლოდ შეკითხვები დავსვათ. თუ გნებავთ, უწოდეთ რიტორიკული, მაგრამ, დამეთანხმებით, მათ აქვთ არსებობის უფლება.

ყოველივე ეს კი უარყოფითად მოქმედებს შეიარაღებული ძალების დისციპლინაზე, მის მორალურ მდგომარეობაზე, ბრძოლისუნარიანობასა და სამხედრო უწყების ავტორიტეტზე მოსახლეობის თვალში.

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

### გიორგი ციციშვილი:

# სანამ ქართული მოსეს გზა დაილევა, ქართველობა გადაშენდება კიდეც!

**საქართველოს უახლესი ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ციციშვილმა ერთ-ერთმა პირველმა ახლებურად შეაფასა გასული საუკუნის 20-30-იანი წლების მოვლენები და 1989-90 წლებში გამოაქვეყნა წერილების სერია „დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები“. ამ წერილებში ბევრი კონკრეტული ადამიანიც მოიხსენია. მაშინ, დღევანდელისგან განსხვავებით, დიდი ყურადღება ექცეოდა საგაზეთო პუბლიკაციებს. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ კი მკითხველმა მიიღო მისი წიგნი „მაფალუ“. ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტურ-ანალიტიკური ნაშრომი სრულ წარმოდგენას გვიქმნის კონკრეტულ ადამიანთა მცდელობაზე, სამეგრელოს მონაპოვარით გაემდიდრებინათ ქართული ეროვნული კულტურა. თუმცა თავის დროზე ტოტალიტარულმა რეჟიმმა „მაფალუ“ მეგრელთა ავტონომისტურ-სეპარატისტულ მოძრაობად მონათლა.**
**ბატონი გიორგი ციციშვილი ახლაც აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. მის მიერ სხვადასხვა არქივში არა ერთი წლის მანძილზე მოძიებული უნიკალური ისტორიული დოკუმენტების ერთ ნაწილს პროფესორი სათანადო თანადგომის შემდეგ წარუდგენს საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.**
**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში მოწვეულმა პროფესორმა გიორგი ციციშვილმა ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსული და აწმყო ერთნაირად ემოციურად შეაფასა, თუმცა მის პასუხებში ის გულისტკივილი გამოსჭვივის, მხოლოდ სამშობლოს მოჭირნახულე ადამიანებს რომ ახასიათებთ.**
**ბატონ გიორგის ინტერვიუს დასაწყისშივე მისი პუბლიკაციებისა და „მაფალუს“ შესახებ ვკითხე...**

## დღევანდელი სასამართლო ხშირ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა ე.წ. „შემიაკას სასამართლო“



— XX საუკუნის 20-30-იანი წლების პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე პუბლიკაციების სერიის („დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები“. გაზ. „ერი“, 1989-1990 წწ.) გამოქვეყნება მოცემული პერიოდის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ და საზოგადოებრივმა საჭიროებებმა განაპირობა. ეს იყო ე.წ. „პერესტროიკის“ ხანა. ამ დროს იმსხვრეოდა საბჭოთა იდეოლოგიისა და ისტორიოგრაფიის მიერ ათწლეულების მანძილზე მყარად დანერგილი სტერეოტიპები და არნახული შესაძლებლობები გაჩნდა ჩვენი ისტორიის ახლებური, ალტერნატიული გაშუქებისთვის. ეს პროცესი მოსკოვში დაიწყო, შემდეგ იგი მთელი საბჭოთა იმპერიის პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციამ აიტაცა.

80-იანი წლების მეორე ნახევარი „პერესტროიკის“ აზროვნებით აღინიშნა საქართველოშიც, მაგრამ უახლესი ისტორიის საკითხების ახლებური, ალტერნატიული გაშუქების პირველი ცდა საკმაოდ რთული გამოდგა.

ამ დროს იფეთქა ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ჩვენი ახალგაზრდობის მოძრაობამ, რომელსაც მოსკოვი უკიდურესი შეშფოთებით შეხვდა. ბევრმა სწორად ამოიცნო, რომ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართული იყო საბჭოთა კავშირიდან საქართველოს მოსაწყვეტად. სამწუხაროდ, საქართველო არა მარტო საბჭოთა კავშირს, არამედ განახლებულ რუსეთსაც მოსწყდა, რაც უაღრესად დიდ ეროვნულ უბედურებად მოგვიბრუნდა. როგორც ჩანს, ყაზახეთ-უკრაინისა თუ ბალტიისპირეთის ხალხების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზა უფრო ეფექტიანი გამოდგა. ქართულმა რადიკალიზმმა და ექსტრემიზმმა კი საქართველოს უმნიშვნელოვანესი რეგიონების — აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაკარგვის სამწუხარო რეალობის წინაშე დაგვაყენა.

ჩემმა „მაფალუმ“ კი მკითხველთა მოწონება იმით დაიმსახურა, რომ მეგრული სეპარატიზმის წაბიძგება კი არა, მეცნიერული გამოკვლევა და ასეთის არარსებობის მტკიცება მქონდა გაშუქებული. ამასთან, ბევრმა მკითხველმა და ზოგმა რეცენზენტმა ის აზრი გამოთქვა, რომ „მაფალუსა“ და „მეგრული საკითხის“ სახელმწიფოებრივად გაყალბებული ისტორიის მხილების მიზნით სასურველი იყო სათანადო, ვრცელი და უფრო დეტალური ისტორიის წარმოჩენა.

თანამედროვეობა უაღრესად მტკივნეულად განიცდის „მეგრული საკითხის“ გაყალბებული ისტორიით ჩვენი და უცხოელი ავტორების დაბნეულობის გამოვლინებებს. ამდენად, ვფიქრობ, რომ ეს გამოკვლევა ერთხელ და სამუდამოდ გაარკვევს სიმართლეს და ბოლოს მოუღებს არარსებული მეგრული სეპარატიზმის ტენდენციებისა და პროცესების არსებობით მავანთა სპეკულაციის მცდელობას.

**— ბატონო გიორგი, საარქივო დოკუმენტებზე მუშაობისას რა გრძნობა გეუფლებოდათ, როცა ამდენ საიდუმლოს ეცნობოდით? არ გიფიქრიათ, ყველაფერი გვერდზე გადაგედოთ და უარი გეთქვათ იმ დოკუმენტების გაცნობაზე, რომლებიც ქართველის მიერ ქართველის უმოწყალოდ გაწირვას ადასტურებს?**

— ქართველის მიერ ქართველის გაწირვის თემა გვერდზე გადასადები კი არა, ჭკუის სასწავლებლად შექსპირისეულად არის გასაშუქებელი. სამწუხაროდ, ქართველებს სიკეთესთან ერთად ყველა ადამიანური ნაკლი და დესპოტიზმი გვახასიათებს. ამის მაგალითების მონახვა წარსულშიც ჭარბად შეიძლება და თანამედროვეობაშიც.

ქართველი დიდმოხელე ვერ იტანს ჭკვიან ოპონენტს, მწარე სიმართლესა და კრიტიკას, ყველა მათგანს თავი დალაი ლამად მოაქვს.

ქართველი ჩინოსნებისთვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ყვარყვარესეული პატივმოყვარეობა. ავიწყდებათ, რომ გუშინ სხვებივით რიგითი ადამიანები იყვნენ და მათგან მხოლოდ მაღალი თანამდებობით გამოირჩევიან. თუმცა თავიანთი უზურპირებული განუზომელი უფლებებისა და დიდი შესაძლებლობების შედეგად მიუტევებელი შეცდომები დაუშვეს და ერი ფათერაკს გადაჰყარეს.

**— ტოტალიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი მთელი სისასტიკე იწვნია ქართულმა საზოგადოებამ. ბევრი მოდრკა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც ლერწმობა არ ისურვა და სიმტკიცე შეინარჩუნა. ყველაზე მეტად სისასტიკის რა ფორმები იწვევდა თქვენს აღშფოთებას?**

— სისასტიკის უამრავი ფორმა აღვწერეთ მე და საბჭოთა 20-30-იანი წლების რეპრესიების მკვლევარმა ჩემმა კოლეგებმა. ძნელია რომელიმე მეთოდის გამორჩევა. მაგრამ ყველაზე მგრძნობიარე გაგება იმდროინდელი რეპრესიებისა, ჩემი აზრით, მაინც სერგო ქავთარაძემ ჩამოგვიყალიბა. მან 1956 წელს რეპრესიების მსხვერპლთა სარეაბილიტაციო კომისიას საკუთარი ინიციატივით წარუდგინა 1930-იან წლებში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ გატარებული უსასტიკესი რეპრესიების ხატოვანი სურათი და აღიარა, რომ წამების შედეგად იძულებული იყო, მოეგერიებინა სხვათა მიერ მის მიმართ გამოთქმული ცილისწამებები და თავის მხრივაც ცილი დაეწამებინა სხვებისთვის.

დიდი ტერორის წლებში პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობის უამრავი გამოვლინება იყო, მაგრამ მე და ჩემს კოლეგა მკვლევარებს არ შეგვხვედრია წყარო, რომელიც ადასტურებს დაუმორჩილებლების მიმართ ნარკოტიკებისა და იარაღის ჩადების მასობრივ მცდელობას ეჭვმიტანილთა დანაშაულის სამხილად თუ ნივთიერ მტკიცებად გასაღების მიზნით. პატიმარს გაქცევის შესაძლებლობას უქმნიდნენ და კლავდნენ, მაგრამ არავის შეგვხვედრია მამაკაცის, მითუმეტეს, ჭაბუკის გაუპატიურების ან გაუპატიურებით დამუქრების შემთხვევა. როგორც ჩანს, ეს ჩვენი თანამედროვე უშიშროების სამსახურის თანამშრომლების „ნოუ-ჰაუა“.

**— როდესაც პრესითა და ტელევიზიით იგებთ სამართალდამცველთა სისასტიკის ამბებს, უნებლიეთ არ ადარებთ გასულ საუკუნეში რეპრესიული მანქანის მოქმედებას? ჩვენთან ხომ, ფაქტობრივად, ავტორიტარულ-ტოტალიტარული რეჟიმისთვის საფუძვლის ჩაყრას ცდილობენ...**

— დღევანდელი სასამართლო ხშირ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა, ე.წ. „შემიაკას სასამართლო“. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მოსამართლეებს არ ძალუძთ, დათმონ ის განსაკუთრებული პრივილეგიური ფინანსური მდგომარეობა, რასაც მათ ანიჭებს თანამედროვე ტოტალიტარიზმი და ხელისუფლების ნების მიმართ მონური მორჩილება. დღევანდელმა მოსამართლეებმა მშვენივრად იციან, როგორ ითითხნება ყალბი ბრალდებები, რომლებსაც ისინი ხშირ შემთხვევაში მორჩილად ეთანხმებიან. მაგრამ მათ ისიც კარგად იციან, თუ როგორ იტანჯებიან მათი უმუშევარი თანაკურსელები და სტიპენდიანტად უდროოდ გაფორმებული ღვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლები. ამიტომ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მათმა ოჯახებმა და მცირეწლოვანმა შვილებმა არ გაიზიარონ საქართველოში მცხოვრები დიდი უმრავლესობის გაძაღლებული ხვედრი.

თქვენ მეკითხებით: „ჩვენთან ხომ, ფაქტობრივად, ავტორიტარულ-ტოტალიტარული რეჟიმისთვის საფუძვლის ჩაყრას ცდილობენო“. ჩემი აზრით, „საფუძვლის ჩაყრას“ კი არ ცდილობენ, არამედ ეს „საფუძველი“ კარგა ხანია, ამოიყვანეს. ავტორიტარიზმი და ტოტალიტარიზმი სხვა არაფერია, თუ არა ერთპიროვნული დიქტატის გავრცელება სახელმწიფოებრივი მართვის ყველა რგოლზე. ეს მდგომარეობა საბოლოოდ მომზადდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. კომუნისტური მართვის პერიოდში თვითმყოფადობისა და ეროვნული თვითშეგნების გენერაციის ერთ-ერთ უმთავრეს კერას წარმოადგენდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამიტომ მის მიმართ ხელისუფლება იძულებული იყო, ყოველთვის გამოევლინა შედარებით სათუთი დამოკიდებულება. **„ნაციონალებმა“ და მათ მიერ მობილიზებულმა მეცნიერების ლაწირაკებმა კორუფციის აღმოფხვრისა და მსოფლიო უმაღლესი სკოლის სტანდარტების მიხედვით გარდაქმნის ლოზუნგით უნივერსიტეტს ჩამოართვეს ეროვნული ინტერესებისთვის მებრძოლი სასწავლო დაწესებულების პრეტენზიის პრიორიტეტული უფლება.**

ახალგამომცხვარი რექტორის ბრძანებით უნივერსიტეტიდან ერთ დღეს გაათავისუფლეს 800 მეცნიერ-პედაგოგი, უპირატესად, ხანდაზმულები და ჭარმაგები. არადა, ისტორიკოსებს სწორედ ამ ასაკში ზრდიდნენ შალვა ამირანაშვილი, გიორგი ჩიტაია, იასე ცინცაძე, გივი ჟორდანია, აკაკი სურგულაძე, ლეო გორგილაძე, ირაკლი ანთელავა, შოთა მესხია, გიორგი ტივაძე და ბევრი სხვა. ახალგაზრდა პედაგოგებს კი, რომელთა თანატოლებმაც ახლა საუნივერსიტეტო სწავლება დაიპყრეს, იმ დროს მხოლოდ ასისტენტის მოვალეობა ეკისრებოდათ. უნივერსიტეტის წინააღმდეგ მებრძოლმა „რეფორმატორებმა“ სინამდვილეში კარგად იცოდნენ, ვინ იყვნენ კორუმპირებულები, ან უნივერსიტეტს ზედმეტ ბარგად აკიდებულნი და ეროვნულ ტაძარში საშოვრად მოსული ერთეულები, მაგრამ მათი გამოვლენისთვის თავი არავის შეუწუხებია. ეს იმიტომ მოხდა, რომ სხვა შემთხვევაში კვალი იმასთან მიგვიყვანდა, ვისი ანგარებითაც დაწინაურდნენ ეს ახალგაზრდა „რეფორმატორები“.

მაშასადამე, ამ და ბევრი სხვა მაგალითებით სინამდვილეში

**თანამედროვე საქართველოში სახეზე გვაქვს არა ავტორიტარულ-ტოტალიტარული რეჟიმისთვის საფუძვლის ჩაყრის მცდელობა, არამედ ავტორიტარულ-ტოტალიტარული რეჟიმის განვითარება.**

მართალია, ახლა აღარ არის სანქცირებული დახვრეტები, მაგრამ სანქცია აღარც სჭირდებათ, პირდაპირ ქუჩაში ხოცავენ ახალგაზრდებს. ასევე, სახეზეა თანამედროვე ტოტალიტარიზმისთვის დამახასიათებელი ატრიბუტები: კადრების პირადი ერთგულებით შერჩევა-დაწინაურება; სახელმწიფოს ვოლუნტარისტული მართვის გავლენით, სახელმწიფოებრივი დამოკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტორიის ლამის ერთი მეხუთედი; ყველა მეომარი მხრიდან გაწყდა მრავალი ასეული ჩვენი მოქალაქე, გაუბედურდა ათეულობით ათასი... არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს პროცესი იყო ფატალურად გარდაუვალი.

**— ბატონო გიორგი, უკვე ოცი წელიწადია, მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ. თქვენი აზრით, სად არის გამოსავალი?**

— მართლაც, ოცი წელია, მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ. არ შეიძლება, რომ ამ ოც წელიწადში საქართველოს მიმართ მის ურგებ შვილ ხელისუფალთა მიერ განხორციელებულ უბედურებებთან ერთად არ დავინახოთ სიკეთეც, მაგრამ განვითარების ტემპი ხალხის მასებისთვის უკიდურესად დაბალია. მოსემ ებრაელობის გადარჩენას 40 წელი მოანდომა. ქართველების გადარჩენას ამ ტემპით, უკეთეს შემთხვევაში, ალბათ, არანაკლებ 80 წელი დასჭირდება. ეს ჩვენი ხანდაზმული თაობისთვის განსაკუთრებით აუტანელია.

სად არის გამოსავალი?!

ჩემი აზრით, დღევანდელი ქართული მოსეს გზა ჩვენს ხალხს სიკეთეს ვერ მოუტანს. სანამ ქართული მოსეს გზა დაილევა, ქართველობა, ალბათ, გადაშენდება კიდეც.

გამოსავალი შეიძლება გახდეს „ნაციონალების“ წინააღმდეგ ერთიანი მასობრივი მოძრაობა, რომელსაც ძალუძს ხელისუფლების სათავეში რეალურად და პროგრესულად მოაზროვნე ხელმძღვანელობის მობილიზება, საზოგადოებრივი პროგრესის დაჩქარება და ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სამწუხარო რეალობიდან გამოყვანა. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომავალი საქართველოს ახალ მმართველ ლიდერებს არ აღმოაჩნდებათ ჩვენი ახლანდელი მმართველებისთვის დამახასიათებელი თავნებობა, აზნაურული პატივმოყვარეობა და ყვარყვარე თუთაბერის თავდაჯერებულობა.

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბედნიერი წუთი



**არ ვიცი, იყო თუ არა ოდესმე ბედნიერი. ყოველ შემთხვევაში, ამ თემაზე მისგან არაფერი მსმენია. საერთოდ, მრავალსიტყვაობა და საკუთარ გრძნობებზე საუბარი არ სჩვეოდა. სიტყვის ფასი იცოდა და „გრძლად მეტყველებას“ ყოველთვის გაურბოდა. საშინლად აღიზიანებდა „კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა“. ამასთან დაკავშირებით ერთგან აღნიშნავდა: „ერთი ვიკითხოთ, ვისთვის მოკვდა მაღალი სტილი? — უწვრთნელი, ანტიესთეტიკური, ანტიპოეტური ბრბოსათვის, რომელსაც არ გააჩნია ამაღლებულის შეგრძნების უნარი... თუმცა ბრბოსათვის მაღალი სტილი ყოველთვის მკვდარი იყო.**

**ერთხელ საუბარს შევყევით. მოულოდნელად შემაჩერა და განაწყენებული ტონით მომმართა: — „გამაგებინე, რა ხდება, შენც დაიწყე?“ ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა. „რა დავიწყე-მეთქი?“ — კითხვა შევუბრუნე. „აბა, ეს „ბოლო-ბოლო“ სადაური ქართულია, შეითან-ბაზარში ხომ არ ვართ?!“ — მომიგო და ლაპარაკი განაგრძო.**

**ამის შემდეგ „ბოლო-ბოლო“ სამუდამოდ გაქრა ჩემი ლექსიკონიდან.**

**თავად ნამდვილი ესთეტი იყო. გატაცებით უყვარდა ხელოვნება, კარგად ერკვეოდა ფილოსოფიასა და ისტორიოგრაფიაში. ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი აზროვნების სიღრმე და მრავალფეროვნება. ბევრისთვის, ალბათ, დღემდე გამოცანად რჩება, ამსოფლური ამაოების საფუძვლიანად გააზრების სიმაღლიდან როგორ შეძლო ზვიად გამსახურდიამ, დარჩენილიყო თავისივე ყმაწვილური ოცნებების გმირად და ერთბაშად საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დახარჯულიყო.**

* * *

მრავალრიცხოვანი სამეგობრო არასოდეს ჰყოლია. მხოლოდ მერაბ კოსტავაზე შეიძლებოდა თქმულიყო, რომ ის ზვიადის ერთგვარ „ალტ-ერ-ეგოს“, მეორე „მე“-ს წარმოადგენდა. ერთად იზრდებოდნენ და ერთი მრწამსისა და მსოფლმხედველობის პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. როგორც იტყვიან, ორივენი მუდამ უთქმელად უგებდნენ ერთმანეთს და მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა ყველას შეუძლებლად ეჩვენებოდა. მერაბ კოსტავამ ყველაზე უკეთ იცოდა ზვიადის ფასი და მნიშვნელობა, ამიტომ არავის გაკვირვებია, რომ ე.წ. „მონანიების“ გამო ხელოვნურად გამოწვეული აჟიოტაჟის დროს, ის ურყევად დადგა ზვიადის მხარდამხარ და ამ თანადგომით, ფაქტობრივად, კიდეც გადაარჩინა მაშინდელი ეროვნული მოძრაობა. ამის გამო თავის ერთ ლექსში მერაბ კოსტავა იშვიათი სულიერი თანალმობით მიმართავდა თავის მეგობარს და მის ნაბიჯს ზნეობრივი მსხვერპლშეწირვის მაგალითად მიიჩნევდა:

**„რას დაგაკლებდა**
**ბედი ტიალი,**
**ეკალ-ბარდებში**
**სიკეთის მთესველს,**
**ჭორის ღვარქაფმა**
**გადაგიარა**
**და როს აღგივსეს**
**ძმარით ფიალა,**
**არ აიცდინე**
**სასმელი ესე“...**

უნდა ითქვას, რომ ზვიადსა და მერაბს შორის შუღლის ჩამოგდების მცდელობას არაერთხელ ჰქონია ადგილი. სწორედ ამის გამოძახილი იყო მერაბ კოსტავას მიერ ერთხელ უნივერსიტეტის აუდიტორიის წინაშე ნათქვამი საგულისხმო ფრაზა: „ნურავინ იფიქრებს, რომ საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენისა ვიყო, მაგრამ თუკი ოდესმე ჩემი და ზვიადის მეგობრობა დაინგრა, ჩათვალეთ, რომ ამქვეყნად მეგობრობა საერთოდ არ არსებულაო“. არადა, მათმა მეგობრობამ მართლაც ყოველგვარ ღვარქაფს და ქარტეხილს გაუძლო.

1989 წლის 13 ოქტომბერს მერაბ კოსტავა ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ამ საშინელი ამბის შეტყობისთანავე ყველანი რატომღაც კოლხურ კოშკს მივაწყდით. ზვიადი შინ იყო. სახეზე ენით აუწერელი მწუხარება ეტყობოდა. ნამტირალები თვალები ჩაწითლებოდა. „როგორ არ ეცადნენ ჩვენს დაცილებას და აჰა, მიაღწიეს კიდეც საწადელს, სამუდამოდ დაგვაშორეს ერთმანეთსო“, — ჩუმად წარმოთქვა და თითქოს გაქვავდაო...

„დიახ, ძმაო, მთელი საქართველო დაგტირის, მაგრამ შენ ალაზევე დღეს საქართველო! ალაზევე შენი მსხვერპლით, რამეთუ არ შეუშინდი სიკვდილს; ძმაო, შენი ცხოვრება ვეფხისა და მოყმის ბრძოლას ჰგავდა და არც შენ შახვდი, ძმაო, ვეფხს ჭკვიანი“... ასე დაიტირა თავისი განუყრელი მეგობარი ზვიად გამსახურდიამ და მაშინ ის, ალბათ, ობლად დარჩენილ საკუთარ თავსაც ტიროდა.

* * *

როცა საქართველო დამოუკიდებელი გახდება, თბილისს დავტოვებ, სადმე, შუაგულ ტყეში პატარა ქოხს ავიშენებ და დარჩენილ სიცოცხლეს ლექსების წერაში გავატარებო, — ამბობდა მერაბ კოსტავა. მისი ასეთი „პასტორალური“ მიდრეკილება აბსოლუტურად შეესაბამებოდა მისსავე ხასიათს და თვით ყველაზე თავზეხელაღებულ ცინიკოსსაც კი ეჭვის იოტისოდენა მიზეზსაც არ უტოვებდა.

ერთხელ იგივე ფრაზა ეროვნულ მოძრაობაში ახლადგამოჩენილმა „მოღვაწემაც“ გაიმეორა. ალბათ, იფიქრა, გარშემო მყოფთა შორის ისეთივე თანაგრძნობას გამოიწვევდა, როგორსაც მერაბის თვით ყველაზე ჩვეულებრივი, ოღონდ სულის სიღრმემდე გულწრფელი ზრახვები იწვევდა ხოლმე.

თუ ძმა ხარ, შენი ლექსების გამო საქართველოს დამოუკიდებლობაზე ხელს ნუ აგვაღებინებო, სიცილით შეაწყვეტინეს „თავმდაბალ ლიდერს“ და აიძულეს გაჩუმებულიყო...

დიახ, მერაბ კოსტავა განუმეორებელი ადამიანი იყო... მისი ბობოქარი ცხოვრება, დევნა-გადასახლება, ათწლიანი პატიმრობა და სტოიკური ჭირთათმენა მის პატივმოყვარე ეპიგონებს მთაწმინდისკენ მიმავალ გზაზე ყოველგვარ პერსპექტივას უკარგავს.

* * *

1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმი ჩატარდა. მოსახლეობის ოთხმოცდათვრამეტმა პროცენტმა დამოუკიდებლობის აღდგენა ისურვა. წინასწარი მონაცემები ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა. გვიან ღამით კი მთლიანი სურათიც გამოიკვეთა. სახელდახელოდ კრწანისში შევიკრიბეთ. ამ დღეს ზვიადს ორმოცდათორმეტი წელი შეუსრულდა. ოდნავ დაღლილი, მაგრამ შთაგონებული სახე ჰქონდა. ცხადია, რეფერენდუმის შედეგებით ძალზე კმაყოფილი იყო. სიხარულს ვერ ფარავდა, როცა კარგი განწყობა დაეუფლებოდა, ერთ-ორ ღერ სიგარეტს გააბოლებდა ხოლმე. ამჯერადაც ასე მოიქცა. სუფრა გაიშალა. მუხრან მაჭავარიანი თამადობდა. ცხადია, იუბილარის სადღეგრძელოც შეისვა. მილოცვების მოსმენის შემდეგ ზვიადი წამოდგა. მადლობა გადაიხადა და ქართველი ერის არჩევანზე ჩამოაგდო სიტყვა. არასოდეს მინახავს ასე ვრცლად მოუბარი ზვიად გამსახურდია. სახე თანდათან ელუშებოდა. თვალებში უჩვეულო სევდა ჩასდგომოდა. საუბრობდა იმ საფრთხეზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავისუფლების საზღაურად წინ ელოდა. აღტაცება ნუ შეგვიპყრობს, დამოუკიდებლობის იოლად მოპოვებაზე ნურც ვიოცნებებთ, წინ სერიოზული ბრძოლები მოგველისო. შემდეგ ჩვენს ეროვნულ ხასიათში დალექილ მრავალ მანკიერებაზე ჩამოაგდო სიტყვა, ეჭვობდა, სერიოზული მეტამორფოზის გარეშე შევძლებთ თუ არა საბოლოო გამარჯვებამდე მიღწევასო...

1991 წლის 31 მარტი მის ცხოვრებაში, ალბათ, ერთი იმ იშვიათად ბედნიერ დღეთაგანი იყო, რომელიც ზვიადს ოდესმე ჰქონია, მაგრამ ამ ბედნიერ დღესაც ის ერთბაშად მწუხარე და სევდიანი გახლდათ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თვითკმაყოფილება, მიღწეულით ტკბობა და განცხრომა სრულიად უცხო იყო მისთვის. თითქმის არასოდეს მინახავს მხიარული ზვიად გამსახურდია. სუფრასთანაც მეტად თავშეკავებული იყო. მუდამ გრძნობდა იმ ტვირთის სიმძიმეს, რომელიც შეუმსუბუქებლად დასწოლოდა მხრებზე და მოსვენების საშუალებას არ აძლევდა, თუმცა არც თვითონ უცდია მისგან გათავისუფლება. სიზიფეს გამძლეობა ჰქონდა და ბოლომდე ეზიდებოდა კუთვნილ ტვირთს, რომელიც ნებაყოფლობით თავადვე იტვირთა.

* * *

წინასაარჩევნო შეხვედრები დაიწყო. გურიას ვეწვიეთ. მოსახლეობა გულწრფელი ინტერესით უსმენდა ზვიად გამსახურდიას. როგორც ყოველთვის, ის ამჯერადაც ნათლად და მკაფიოდ აყალიბებდა თავის შეხედულებებს. აუდიტორიას წინაპართაგან დანატოვარ მრავალ საგულისხმო სიბრძნესაც შეახსენებდა. აშკარად იგრძნობოდა, რომ ხალხი მასში ისტორიის სიღრმეებიდან გამოხმობილ გმირსაც ეძებდა. გულის სიღრმეში ბევრს, ალბათ, ქვეცნობიერად არ სურდა, დასჯერებოდა იმას, რომ მათ წინაშე კონსტანტინე გამსახურდიას მხოლოდ ხორციელი შვილი იდგა. ისინი ზვიადის არსებაში ზოგჯერ მამის მიერ დახატულ პერსონაჟთა ანარეკლის ხილვასაც ესწრაფვოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი განწყობა ნამდვილად იკითხებოდა მომიტინგეთა რიგებში.

საღამო ხანს შემოქმედის ეკლესიის მაშინდელმა მოძღვარმა მამა ნიკოლოზმა თავის ეზოში მოკრძალებული სუფრა გაშალა. დარბაისლური საუბარი გაიმართა. შიგადაშიგ ამაღლებული საგალობლები ისმოდა. თავისშექცევა გვიანობამდე გაგრძელდა. მკრთალ შუქზე შევამჩნიე, რომ ზვიადი სუფრასთან აღარ იჯდა. მივიხედ-მოვიხედე და დავინახე, რომ მგალობელთა შორის ჩამდგარიყო და ხმაშეწყობილად მღეროდა. სახეზე ნათელი გადაჰფენოდა. აშკარად ეტყობოდა, რომ სულის სიმშვიდე დაუფლებოდა და მთელი მისი არსება ნეტარებას მოეცვა. რამდენჯერმე ვთხოვე, სასტუმროში წავიდეთ-მეთქი. ეჰ, რომ იცოდე, ასეთი წუთები რა იშვიათია ჩემს ცხოვრებაშიო, — მითხრა ბოლოს, როცა სასტუმროს ღარიბულ ნომერში დავბინავდით.

გული მეტკინა. დოსტოევსკი გამახსენდა: „ერთი ბედნიერი წუთი განა საკმარისი არ არის მთელი გატანჯული ცხოვრების სანაცლოდ?..“

არა, ნამდვილად არ არის საკმარისი!

* * *

რაც დრო გადის, ზვიად გამსახურდიას პიროვნებისადმი ინტერესი უფრო და უფრო იზრდება. ამას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. დამოუკიდებლობის აღდგენიდან თითქმის ოცი წელი იწურება და დღეს ქართველ საზოგადოებას ხშირად უხდება იმ პრობლემებზე დაფიქრება, რომელთაც ახალ გარემოში ცხოვრების გზაზე ვაწყდებით. ამის გამო, არცთუ იშვიათად, ჩნდება ხოლმე მტკივნეული ეჭვები და შეკითხვები. სამწუხაროდ, კონსტანტინე გამსახურდიას თქმისა არ იყოს, ჩვენ კარგახანია, გადავეჩვიეთ „ბრძნულ სიჩუმეს“, ზურგი ვაქციეთ დაფიქრების, განსჯისა და ჭეშმარიტების ძიების გზას და ამ გზაზე მხოლოდ და მხოლოდ მოწყალების ლოდინში ხელგაწვდილ დგომას დავეჩვიეთ. არადა, იყო დრო, როდესაც ქართული გონი თვითშემეცნების, საკუთარი მეობის გააზრებისა და ამ უკიდეგანო სამყაროში თავისი ადგილის განსაზღვრისკენ იყო მიმართული. ახლო წარსულში ამ გზის გამკვლევად ილია ჭავჭავაძე მოგვევლინა. მაგრამ მოხდა ისე, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულმა საზოგადოებამ მისი იდეები უარყო და სოცდეკების მიერ თავსმოხვეული კოსმოპოლიტიზმი აიტაცა. მიუხედავად ამისა, უკვე 20-იან წლებში ქართველობამ შეძლო გონს მოსვლა. იგი მძიმედ შეუდგა ძნელად სავალ აღმართს, რომელსაც ჩვენს პუბლიცისტიკაში პირობითად შეიძლება „საქართველოს ხერხემალი“ ვუწოდოთ. „დგება დრო ჩვენი გზების გადასინჯვისა — არჩევანის დრო. ვუფრთხილდეთ მეორე ორი ათას წელს. გვეშინოდეს მომავლის. თუ ქართული ტვინი არ გათბა ამ ახალ საუკუნეთა სიცხეში, თუ ჩვენი თესლი არ ჩაითესა ახალი ეპოქის გაზაფხულზე, თუნდაც, სისხლად, — საქართველო გათავდება უკანასკნელი სიკვდილით. საქართველოს ბედი და მისი გზები თავსდებოდა ყოველთვის ერთ ფორმულაში: „წახვალ — ინანებ, არ წახვალ — ინანებ“. ესაა მეტაფიზიკა ჩვენი წარსულის. დღეს ნერვიულად ამოძრავდა მსოფლიო ბედისწერის სეისმოგრაფი. საჭიროა გრძნობა მასზე უმეტესი, რომ წავიდეთ იმ გზით, სადაც „არ ვინანებთ“... ეს სიტყვები ოციან წლებში დაიწერა. ავტორი — ნიკოლო მიწიშვილი 1937-ში დახვრიტეს. უნდა ითქვას, რომ ასეთი „ფიქრები“ ახალგაზრდა პუბლიცისტს სულ რაღაც ოცდაორი წლის ასაკში მოეძალა. მიუხედავად ყმაწვილკაცობისა, მასში უკვე აშკარად ჩანს მთელი თაობის მამოძრავებელი აზრი და იდეა, რომელიც საქართველოს მომავალს, მის გზასა და არჩევანს დასტრიალებს. ამის შემდეგ გადის თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი და ქართული გონი კვლავ მიუბრუნდა ჩვენი ერის ამ „წყევლაკრულვიან“ საკითხავს. ზვიად გამსახურდია პირველთაგანი იყო, ვინც წინამორბედთა „ხმამაღალ ფიქრებს“ თავისი ნააზრევი შეჰმატა და შეეცადა, მკაფიოდ განესაზღვრა „ბედი ქართლისა“: „ჭეშმარიტი მსოფლიო მოქალაქეობა კი ეროვნული თვითშეგნების გარეშე არ არსებობს. ის, ვინც „გაინგლისელდება“, „გაგერმანელდება“, „გაფრანგდება“, „გარუსდება“, „გაამერიკელდება“, ვერასოდეს გახდება ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი ან ამერიკელი და ქართველობასაც დაჰკარგავს. და თუ ქართველებად დავრჩებით და, თანაც, ვეზიარებით ამ ერების კულტურებს, გავაფართოვებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით ნამდვილი მსოფლიო მოქალაქენი. ევროპული ინტეგრაციაც ასე უნდა გავიგოთ და არა როგორც ეროვნული ინდივიდუალობების წაშლა ან გათქვეფა“.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში თითქმის სრულიად ჩამკვდარია ცოცხალი აზრი, აღარ შეიმჩნევა იდეების შეჯახებით გამოწვეული ნათება.

ოდითგანვე ასე ყოფილა: რაც არ იწვის, ის არც ანათებს.

**თემურ ქორიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# როგორ გაასახლა ტიფლისიდან ერეკლე მეორე ჟორდანიას მთავრობამ

**ჩვენი თანამედროვე საზოგადოება ნაკლებად იცნობს დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921 წწ.) ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ჩინებული პუბლიცისტის შალვა ამირეჯიბის მემკვიდრეობას. ამჯერად გთავაზობთ 1918 წლის მოვლენებისადმი მიძღვნილ მის ერთ ჩანაწერს, რომელიც უთუოდ დააინტერესებს ჩვენს მკითხველს.**

ჟორდანიამ, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ, „დამოუკიდებლობის აქტი“ წაიკითხა. ვერ ვიტყვი, რომ ამ აქტისთვის მაშინ დიდი ყურადღება მიმექციოს. ყველა ის, ვინც ამ თექვსმეტი თვის განმავლობაში დამოუკიდებლობას ითხოვდა, ისე იყო გაწვალებული რევოლუციონურ-დემოკრატიის ეროვნული ნიჰილიზმით, რომ ყოველი სიტყვა მისგან საქართველოზედ და საქართველოსათვის თქმული დიდ ღვთის წყალობად მიგვაჩნდა. ყველაფერს ნაჩუქარი ცხენის ფასი ჰქონდა, რომელსაც კბილებს აღარავის უშინჯავდა. ფეხზედ ავდექით და ტაში დაუკარით, ჰიმნი ვერ ვიმღერეთ, რადგან არცა გვქონდა, ყველაზედ უწინ პარლამენტის პრეზიდიუმი აირჩა: თავმჯდომარედ კ. ჩხეიძე, ამხანაგებად — ე. თაყაიშვილი და ი. ბარათაშვილი. ჩხეიძემ საქართველოს პირველ მთავრობის სია წაიკითხა. მთავრობის ლოჟაში პირველი ნოე რამიშვილი ავიდა. ის იყო საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე. შემდეგ ავიდნენ მინისტრები: ა. ჩხენკელი, ნ. ხომერიკი, გ. გიორგაძე, გ. ლასხიშვილი, გ. ჟურული, შ. მესხიშვილი, ივ. ლორთქიფანიძე და მინისტრის ამხანაგები.

ყველა ამას პარლამენტი და დამსწრე საზოგადოება ოვაციებით ხვდებოდა. ტრიბუნასთან გერმანელი კაპიტანი კეიზერი მოვიდა და გერმანიის მთავრობის სახელით პარლამენტს მოკლე მისალოცი სიტყვა უთხრა, რომელიც დეპუტატებს ჩემმა სიძემ გ. ქიქოძემ გადაუთარგმნა.

ამრიგად, საქართველო დამოუკიდებელი გახდა. მას ჰყავდა თავისი ეროვნული მთავრობა! მაგრამ ამ დღის შთაბეჭდილებანი სრულად არ იქმნება გადმოცემული, თუ მარტო ამ სხდომის ოვაციებზედ და დამსწრე საზოგადოების ენტუზიაზმზედ ვილაპარაკებთ. იყო რაღაცა ელდა, რომელიც ახლდა ამ სიხარულს და რომელსაც განზრახ ყველა მალავდა ამ დღეს, საქართველო დამოუკიდებელი იყო, მას ჰყავდა თავისი ეროვნული მთავრობა, მაგრამ ის არ იყო გმირი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული ბრძოლის მოედნიდგან მოვიდა. ეს იყო ხალხი, რომელმაც დიდხანს აზრეცინა თვალი საქართველოს, ვიდრე „მუშათა და გლეხთა საბჭოდგან“, მერე „ამიერ-კავკასიის „კომისარიატიდგან“, შემდეგ „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკიდგან“ საქართველოს მთავრობაში მოვიდოდა, ეხლა მიღებულია, თითქოს ეს ეტაპები აუცილებელი იყო. მაგრამ დავიწყებულია, რომ ეს „აუცილებლობა“ დიდი ხანია, ხელოვნურად იყო შექმნილი. ქართველი სოციალ-დემოკრატები თითონ შეძვრნენ ოდესღაც იმ ხვრელში, რომელსაც კავკასიის და სრულიად რუსეთის დემოკრატია ერქვა და იქიდგან გამოძრომის დროს საქართველოს სახე დააკაწრეს.

როდესაც პარლამენტის კანცელარიის მდივანმა ილ. ზურაბიშვილმა ეს აქტი სასახლის აივნიდგან ტფილისის ხალხსაც წაუკითხა, არც ეს „ხალხი“ იყო მაინცადამაინც მრავალი და თვალი იქიდგანაც ამ აქტს წითელ დროშაზედ ჩამოხატულმა მარქსმა ჩაუკრა — ამ დღეს ჩვენს პარლამენტზედ სოციალიზმის დროშა ფრიალებდა და ეროვნული დროშა, მგონია, მხოლოდ ნახევარ წლის შემდეგ გაჩნდა იქ!..

დასასრულ, ეს იყო ყველაზედ გრძელი პროცედურა ამ სხდომაზედ — დეპუტატებს დამოუკიდებლობის აქტზედ ხელი უნდა მოეწერათ. მღელვარება და სიხარული საერთო გახდა. დამსწრე საზოგადოებამ პარლამენტის სერკლი გადმოლახა და დეპუტატებში აირია. საქართველოს დამოუკიდებლობის საძირკვლის ჩამყრელნი პრეზიდიუმის მაღლობზედ ადიოდნენ და აქტზედ ხელს აწერდნენ. წუთი, კაცი და ქაღალდი ისტორიული ხდებოდა! საღამოს მეექვსე საათი იყო. მთელი დღის უჭმელ პეტრე ქავთარაძეს ცოლმა რაღაც შეხვეული მოუტანა. ეს იყო ცოტა ღვინო პატარა შუშაში და პატარა დასაწყნარებელი. პეტრემ ღვინო შუა გამიყო და საქართველოს სადღეგრძელო შევსვით.

* * *

დამოუკიდებლობის დროს ტფილისი მხიარულად ცხოვრობდა. არ ჩამორჩებოდა პროვინციაც. მართალია, გზების მოჭრის გამო, პირველ ხანებში ხალხი ბევრ ნაკლს განიცდიდა, მაგრამ ტფილისის საზოგადოება მაინც „გემოზედ“ იცვამდა. სჭარბობდა სამხედრო ჩაცმულობა. დიდ სამსახურს უწევდა ხალხს ზამთარში — ომის მონარჩენი ფრენჩი, ზაფხულში — ნარმის ხალათი. თუ ხალხს ბევრი რამ აკლდა, სამაგიეროდ ღვინოს ჰქონდა ამ წლებში კარგი მოსავალი. გატანა შეუძლებელი ან ძნელი იყო და შინ წყალივით იღვრებოდა. კაცმა მართალი უნდა სთქვას, ჩვენი „დემოკრატია“ პურადი იყო. თითონაც შეექცევოდა, სტუმრებსაც დროს ატარებინებდა, ამდენი მხიარულობა ტფილისს არასოდეს არ უნახავს. კრებას ბანკეტი მოსდევდა, ბანკეტს — კრება. ტფილელობაც თავის ხელისუფლებას ბაძავდა და რესტორნებში ერთი ვარხალალო და სიტყვების რახარუხი იდგა.

მახსოვს ერთი ასეთი ბანკეტიც. ქართულ კლუბში გამართა მთავრობამ და სტუმრებად გერმანული და ავსტრიული მისიები ჰყავდა.



მე ამ ბანკეტზედ არ ვყოფილვარ, მაგრამ როცა მთავრობა და მისიის ოფიციალური პირნი წავიდნენ, გენ. ვას. გაბაშვილმა, რომელიც ბანკეტს დაესწრო, დანარჩენ გერმანელებს ახალი სუფრა გაუშალა და კლუბიდგან რამდენიმე კაცი მიგვიპატიჟა. ვისხედით დიდხანს და გერმანელები და ავსტრიელები სიამოვნებით სვამდნენ ჩვენებურ ღვინოს, მაგრამ ბანკეტი არც ამით გათავდა. ნამდვილი „ახალი სუფრა“ ახლა კლუბის ოფიციანტებმა გაუშალეს გენ. გაბაშვილს. გაბაშვილი ტფილისში მუდამ დიდი ვინმე იყო. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც პირველ ქართულ ჯარს მთავარსარდლობდა. მისი სტუმრობაც ხომ ნახევრად გერმანელ-ავსტრიელები იყვნენ. ჩვენი ფრიად გაწვრთნილი ოფიციანტები, ძველს დროში ამას ვერ გაბედავდნენ, მაგრამ დრო იყო ქართული, პატრიოტული და „ეროვნული სიხარული“ ყოველივე „საზღვარს“ ლახავდა. რა თქმა უნდა, ოფიციანტები ჩვენთან ერთად სუფრაზედ არა მსხდარან და მხოლოდ მასპინძლობას გვიწევდნენ.

ამაზე ბანკეტზედ ასეთი ამბავიც მახსოვს. როცა ყველაფერი გათავდა, გრაფი შულენბერგი სახლში მე გავაცილე. დილის მეშვიდე საათი იყო, ტფილისი ახლად იღვიძებდა. მხოლოდ თავისუფლების მოედანზედ შევნიშნე, რომ კაიზერის წარმომადგენელს და კუზენს თავზედ ქუდი არა ჰქონდა და არც ხელში ეჭირა. შულენბერგი ძველი „ტფილისელი“ იყო. ომის წინ ჩვენში კონსულად იყო და ჩვენებური ღვინის ძალა კარგად იცოდა, მაგრამ, ეტყობა, ამ ღვინოს სავსებით ეჯობნა დღეს. დავბრუნდით ქუდის მოსაძებნად და შემდეგ სურათს წავაწყდით: „დელეგაციას“, რა თქმა უნდა, ჩვენსავით შეზარხოშებულს, დიდის მოწიწებით მოჰქონდა ეს ქუდი, ალბათ, გრაფის ბინაზედ.

ოსმალეთთან ომმა, ახალციხის ოპერაციებმა, სომხების თავდასხმამ, გლეხების აჯანყებამ — ხან აქ, ხან იქ, გაგრის ფრონტმა, ოსების განდგომამ, ტერორმა ქართლში, ხან კი მთელი მაზრის „კანონგარეშე“ დაყენებამ და მიწის კანონმა, რომელიც, აგრეთვე, ქვეყანაზედ თავდასხმას უფრო ჰგავდა, ვიდრე სახელმწიფო რეფორმას, დღემდე ისეთი შთაბეჭდილება დასტოვეს ჩემზედ, თითქოს ამ სამი წლის განმავლობაში გამუდმებულ ომში ვიყავით.

აქედგან იყო ეს გამუდმებული ლხინიც, თანამავალი ყველა ომების, ჯერ კიდევ ჰომეროსის დროიდგან და ჩვენში დიდი ომისაგან გაცხოველებული.

ტფილისი, ერთ დროს მეფეთა საჯდომი, შემდეგ რუსებისაგან კავკასიის სანამესტნიკოს ცენტრად გამოცხადებული და ნაირ-მოსახლეობაში ათქვეფილი ისევ საქართველოს დედაქალაქად იქცა. აქ იჯდა საქართველოს მთავრობა, აქავე იყვნენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ამ მთავრობასთან. ვითარცა ქალწულის სახე, მზეზე დამწვარი და შემდეგ ჩრდილში განსვენებული, ისე ჰგავდა ის თავის სომხურ „რუჯს“ და თანდათან ქართული მზეთუნახავი ხდებოდა. მთავარი კალო ქართული ისტორიის, მთავარი ბეღელი მისი ტრადიციების, მთავარი აკვანი მისი აღორძინების, ტფილისი არ უცდიდა ვიდრე „დემოკრატია“ დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოისურვებდა და ეროვნულ აღორძინების საქმეს ადრევე მიჰყო ხელი. ახალ პირობებში ეს იყო იმ საქმის გაგრძელება, რომლისთვის საქართველოს შთენილი სული არც რუსეთის ბატონობის დროს დამცხრალა. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადება და ქართული უნივერსიტეტის შექმნა ამ ძველი ტრადიციული ქართული საზოგადოების საქმე იყო. დემოკრატიას ამაზედ წინასწარ არასდროს არ უფიქრია. თუ ეს ეროვნულად წმინდა და ძველისძველად ქართული ტრადიცია არა, ჩხიკვთა ის არიფანა, რომელსაც ამ „დემოკრატიის“ საქმიანობა ერქვა, ამ „ჩაროზს“ ან სულ არ მოიტანდა, ან მხოლოდ — სუფრის ბოლოს. კაცმა რომ მართალი სთქვას, ამ დემოკრატიას არც ეცალა ამისთვის. იმ დროს, როდესაც ქართული საზოგადოება იმ ტრადიციას აგრძელებდა, რომლის ფესვები ძველ ისტორიულ წიაღში იყვნენ წასულნი, ჩვენი დემოკრატია ჟორდანიას პირით აცხადებდა, რომ „ძველი საქართველო ისე მოკვდა, არც ერთი დაწესებულება არ დაგვიტოვაო“. ჩვენი ოცსაუკუნოვანი ისტორია ქართული „დემოკრატიისათვის“ დაწესებულება არ იყო. აღორძინების გზაზედ შემდგარი ერი ამბობდა, რომ ეს წარსული მდიდრად ნაწერი ეტრატი იყო. ჟორდანია უპასუხებდა, რომ საქართველო „ტაბულა რაზა“ არისო. ასე გამოეყო რესპუბლიკა ქართულ ისტორიას, „დემოკრატია“ — ქართველ ერს, მთავრობა — ქართულ შემოქმედებას.

სამაგიეროდ, მას სურდა, ისეთი საქართველო შეექმნა, რომელიც არც ოდესმე ამბად თქმულა, არც სადმე წიგნად წერებულა. ჩვენ კურთხეულ დემოკრატიულ საქართველოში მოხდა ამბავი, რომელიც ქართულ რესპუბლიკას, შესანიშნავად ახასიათებს. ტფილისში არსებობდა ირაკლი მეფის სახელობის სკოლა, ერთადერთი ძეგლი, რომელიც ჩვენ შესანიშნავ მეფეს, ჯერ კიდევ რუსების დროს თავის სატახტო ქალაქში ჰქონდა. მე ეხლაც არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ ტფილისის ქალაქის სომხურმა საბჭომ და რუსის ადმინისტრაციამ ამის ნება დართო. სამაგიეროდ კარგად ვიცნობდი ამ სკოლას, ვინაიდგან გამგედ ჩემი ნათესავი ჰყავდა, დავდიოდი ხშირად, ვხედავდი ქართველ ბავშვებს, რომლებიც იქ სწავლობდნენ და, რაც მთავარია, ყოველთვის ვკითხულობდი რუსულ წარწერას, ძალიან სადას და განგებ პატარას, რომ სკოლა ირაკლი მეფის სახელობისა იყო. თითქოს პატარა რამეა, მაგრამ სხვა უჩვენო ერში პატრიოტი ქართველები შვილებს განზრახ ამ სკოლაში მიიყვანდნენ და რადგან ეს სკოლა პატარა იყო, იქ შესვლა საცილო საგნად გახდებოდა. ასე იქმნება პატარა რამედგან დიდი ეროვნული ტრადიცია. მაგრამ მდიდარ და „განათლებულ“ ქართველებს თავისი შვილები იქ არ მიჰყავდათ და ამაზედ არცა ვნანობ. იქ სწავლობდა ჩვენი მდაბიო ხალხის შვილობა, ქალაქის უბრალო ხალხი, რომელსაც ჩვენი დიდებული მეფის ხსოვნა უფრო მეტად მიაჩნდა და მიაჩნია, ვიდრე მდიდარ და „განათლებულ“ ქართველობას. მე მგონია, საქმისათვის ეს საუკეთესო იყო. ჩვენმა რესპუბლიკამ აი, ამ სკოლაზედ გაილაშქრა.

ერთ დღეს, გაქართულებულმა ტფილისის ქალაქის საბჭომ, არც მეტი არც ნაკლები, ამ სკოლას, როგორც დემოკრატიისათვის შეუფერებელი, ირაკლი მეფის სახელი მოხსნა და როგორც „ქართული დემოკრატიისათვის“ ფრიად შესაფერი, რუსული სახელი მიაკერა. ვინ იყო ეს რუსი, აღარ მახსოვს და არც საყურადღებოა. როცა ქვას გესვრიან, სულერთია მარმარილოა, თუ რიყის ქვა! მთავარი ის არის, რომ ეს მოხდა ქალაქის საბჭოს დარბაზში, როდესაც ყველა ლამფები ენთო და პატიოსანი ხალხი, რომელმაც ეს მოიმოქმედა ერთმანეთს კიდევ პირში უყურებდა! ეხლა, როცა ამ დემოკრატიის „უწარჩინებულესი“ ნაწილი, ერისა და ქვეყნის სასახელოდ პარიზის ტროტუარებს სტკეპნის და თავის ბედნიერი თვალით ხედავს, რომ დემოკრატიის ქალაქში ცოცხალი პრეზიდენტის გვერდით, გაქვავებულ მეფეთა ძეგლებიც ბევრია, იქნება ვინმე დაგვეთანხმოს, რომ საფრანგეთის დემოკრატია არცთუ ისეთი ჩამორჩენილი ყოფილა. მაგრამ მაშინ ტფილისში, როცა ქალაქის მოურავად განსვენებული ბენია ჩხიკვიშვილი იყო, ხოლო ქალაქის ერთ პატარა სკოლას ირაკლი მეფის სახელი ერქვა, ასეთი რამ ქართულმა დემოკრატიამ ისეთ სირცხვილად და ჩამორჩენილობად მიიჩნია, რომ არაფრის წინ არ დაიხია და მეფე ირაკლი ტფილისიდგან „გადაასახლა“. პატრიოტებმა პროტესტი განაცხადეს, მაგრამ ქალაქის საბჭოში ისინი ცოტანი იყვნენ. საზოგადოება აღშფოთდა, თუმცა რესპუბლიკაში ვცხოვრობდით, თუმცა „დრონი მეფობენ და არა მეფენი“-ო, არის ასეთი ანდაზაც! მაგრამ ირაკლი მეფე მაინც ირაკლი მეფე იყო! პეტრე დიდის ძეგლი ბოლშევიკებსაც არ მოუსპიათ. ასეთი შეურაცხყოფა იმ პატარა ქართველებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ რუსების დროს თავი იმითი მოჰქონდათ, რომ ირაკლი მეფის სკოლაში სწავლობდნენ.

ჩვენს პროტესტებზედ და საზოგადოების უკმაყოფილებაზედ „დემოკრატიამ“ ყურნიც არ გაიბერტყა.

**სკოლას ირაკლის სახელი მოხსნეს და პატარა დაფა, რომელსაც დიდი ქართული სახელი ეწერა, სადღაც მიაგდეს. ეროვნული გრძნობის ასეთი შელახვა და ეროვნულ წესრიგის ასეთი დარღვევა დამოუკიდებელ საქართველოში ფეხის ყოველ ნაბიჯზედ ხდებოდა.**

განა ვისთვის იყო საჭირო, რომ ტფილისის ერთ უმთავრეს ქუჩას „პლეხანოვის პროსპექტი“ დაარქვეს? — მხოლოდ რამდენიმე თუთიყუშისათვის, რომელიც პლეხანოვს საქართველოში ჰყავდა! მაგრამ ეს მოხდა და მრავალი სხვაც. არ იყო სამინისტრო, სადაც თითო რუსი მაინც არ მჯდარიყოს — ჩვენი ეროვნული მთავრობის „პარტიული“ ამხანაგი. გვარდიის შტაბი, პროფესიონალური კავშირები, პარტიული პრესა არაქართული ხალხით იყო სავსე. ასეთი იყო „საქართველოს“ სოციალ-დემოკრატიული პარტია. განა დღეს ბევრს ახსოვს, რომ „ქართული“ მიწის კანონი რუსმა კ. ნერუჩევმა დასწერა?! ამ კანონს მერე ცოტა ფერი უცვალეს, ხომერიკის თხზულებად მონათლეს და ცხოვრებაშიაც შემოიღეს. საქართველოს მინდვრებში სტეპკა რაზინის, პუგაჩოვის და ლენინის სული დათესეს...

წარსული საქმეა და მსჯელობა დამშვიდებული შეიძლება. ისეთი ამბავი, როგორიც ქართული სკოლისგან ქართველი მეფის სახელის მოხსნა არის, დემოკრატიულს არაფერს შეიცავს და ხალხს არასოდეს არ მოეწონება. ქართველმა მეფეებმა საქართველო დიდებით განვლეს და დღეს მის პანთეონში განისვენებენ. იმათი აქედგან გამოდევნა გულიდგან — სიყვარულის, სინდისიდგან — მადლობის და თავიდგან — ჭკუის განდევნას ნიშნავს. ქართულმა „დემოკრატიამ“ ამ დღეს მაღლა შეაფურთხა და მერე სახე შეუშვირა. ეს სეირი მთელმა საქართველომ ნახა!

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ლეონიდ რაძიხოვსკი:

# რუსეთისთვის სულერთია, ვინ იქნება საქართველოს მორიგი პროამერიკული პრეზიდენტი

**ოპოზიციას უკვირს და ვერაფრით აუხსნია, რატომ უჭერს მხარს სააკაშვილის გაკოტრებულ რეჟიმს დასავლეთი. არანაკლებ გაკვირვებულია საზოგადოებაც, რადგან სააკაშვილი წარამარა გაიძახის: „მგელი, მგელიო“ და თითს რუსეთისაკენ იშვერს, ფაქტები კი საწინააღმდეგოს მეტყველებენ — რუსეთი სინამდვილეში არ აქტიურობს სააკაშვილის შეცვლის საქმეში, პირიქით, თავისი პასიურობით ხელს უწყობს პრეზიდენტის პოსტზე მის შენარჩუნებას. რუსული ლიბერალიზმის ერთ-ერთი ავანგარდი ლეონიდ რაძიხოვსკი, რომელიც ყოველთვის ლოიალური იყო სააკაშვილის რეჟიმის მიმართ და კრემლის პოლიტიკის კრიტიკით გამოირჩევა; თავის პუბლიკაციაში აანალიზებს რა შექმნილ ვითარებას, ასკვნის და ასაბუთებს, რომ რუსეთს არა თუ არ აწყობს სააკაშვილის დამხობა, არამედ მისი შენარჩუნებითაც კი უნდა იყოს დაინტერესებული. იგი ასევე ასაბუთებს, რომ პროამერიკული ოპოზიცია არაფრით განსხვავდება სააკაშვილის ასევე პროამერიკული რეჟიმისაგან და ხელისუფლების სათავეში მისი მოსვლით, ტერიტორიული საკითხის მოგვარებაზე რომ არაფერი ვთქვათ, პოლიტიკური თვალსაზრისითაც ქვეყნისათვის სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება. ამ ავტორის მოსაზრება იმიტომაც არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ ქართული პროპაგანდა რაძიხოვსკის ნამდვილად დასწამებს სუბიექტურობას და ვერ იტყვის, რომ ეს პატივცემული ბატონიც „გაზპრომის“ ხათრით აკრიტიკებს სააკაშვილის რეჟიმს.**



**საქართველოში მიმდინარე მოვლენები საინტერესოა მთელ რიგ მიზეზთა გამო, ისევე, როგორც სერიოზული პოლიტიკური ძვრები და მოვლენები მეზობელ ქვეყანაში, მით უმეტეს, ჩვენი დაძაბული ურთიერთობების გათვალისწინებით. ისინი მხატვრული ნაწარმოებივით საინტერესოა, თეატრალურობა კი ქართული პოლიტიკის თავისებურებაა.**

### ისინი დაიღალნენ

თვეზე მეტია, თბილისში მიტინგებია.

მონაწილეთა რაოდენობა იცვლება — 5 000-დან 50 000-მდე. მოთხოვნა ერთია და მარტივი — **„მი-შა, წა-დი!“**

რამდენიმე შენიშვნას გავაკეთებ.

**პირველი.** მიტინგები მშვიდობიანად მიმდინარეობს. 2007 წელს სააკაშვილმა ასეთი მიტინგი დაარბია; მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ დაშავდა 500-მდე ადამიანი. ამჯერად დაშავებულები არიან (მათ შორის — პოლიციელებიც), მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით.

**მეორე.** მომიტინგეები ირწმუნებიან, რომ ახალი რევოლუცია არ უნდათ. მათი მიზანია, აიძულონ სააკაშვილი, **„საკუთარი ნებით გააკეთოს განცხადება გადადგომის შესახებ.“** იურიდიული თვალსაზრისით, განსხვავება ისეთივეა, როგორც (ბოდიშს გიხდით, მაგრამ სხვა შედარება ვერ მოვიფიქრე) მკვლელობასა და თვითმკვლელობამდე მიყვანას შორის.

**მესამე.** მიუხედავად იმისა, რომ, ოფიციალური მონაცემებით, სააკაშვილმა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩევლის ხმების 53% მიიღო (და არჩეულ იქნა მეორე ვადით 2013 წლამდე); მიუხედავად იმისა, რომ მისი პარტია 2008 წლის მაისში საპარლამენტო არჩევნებში უდიდესი უმრავლესობით გავიდა, იმავე დროს მოიგო თითქმის ყველა მაჟორიტარულ ოლქში; **მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თავად პრეზიდენტი ირწმუნება, მის მხარეზე მოსახლეობის 65%-ა, მის მხარდასაჭერად არანაირი დემონსტრაციები არ ტარდება.**

**მეოთხე.** „მხილებული სამხედრო შეთქმულების“ ისტორიის შემდეგ, საქმის არსიდან გამომდინარე, არაფერი შეცვლილა — სააკაშვილს მკაცრი ზომებისთვის არ მიუმართავს, ოპოზიციას თავისი მოთხოვნები არ შეურბილებია.

**რა დაუშავა მათ სააკაშვილმა?**

ბრალდება ბევრია.

**ტრადიციული ბრალდებები** — კორუფცია და თავისუფლების შეზღუდვა.

ერთი მხრივ, ქვეყანაში, ოპოზიციის მტკიცებით, არ არსებობს თავისუფალი ტელეარხები; მეორე მხრივ კი, ვისაც არ ეზარება, ყველა სააკაშვილს აგინებს სახალხოდ.

სააკაშვილს ბრალს სდებენ არა მხოლოდ **„თავისუფლების შეზღუდვაში“,** არამედ **„პოლიტიკურ მკვლელობებშიც“.** ჩვეულებრივ, ასეთ დროს იხსენებენ 2005 წელს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჟვანიასა და მისი მეგობრის უცნაურ გარდაცვალებას და შემდეგ მთელ რიგ არანაკლებ საეჭვო სიკვდილს.

მაგრამ, როგორც ჩემთვის ცნობილია, არც ერთ საერთაშორისო („ობიექტურ“) ორგანიზაციას რეზოლუცია არ გამოუტანია საქართველოში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ, ისევე, როგორც არც ერთ საერთაშორისო სასამართლოს არ განუხილავს ბრალდების საქმეები მკვლელობებში სააკაშვილის მონაწილედ ცნობის შესახებ.

კორუფციასთან დაკავშირებით უფრო ჩახლართულადაა საქმე.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ოქრუაშვილი, ასევე, ყველა დღევანდელი ოპოზიციონერი ირწმუნებიან, რომ სააკაშვილი საქართველოში ბიზნესს „თავისიანების სასარგებლოდ“ ატრიალებს; მას და მის ოჯახს განუზომელი რაოდენობით თანხის ხარჯვაში ადანაშაულებენ და ა. შ.

მეორე მხრივ, ერთმანეთისგან განსხვავებული და დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით, დსთ ქვეყნებს შორის სააკაშვილი კორუფციასთან ბრძოლაში თითქმის ყველაზე წარმატებული იყო. პრესაში ხშირად იმეორებდნენ ისტორიას სახელმწიფო ავტოინსპექციასთან დაკავშირებით, რომელიც მან კორუფციის გამო დაშალა. თვითონ ქართველები ამბობენ, რომ ბიუროკრატია შემცირდა, რომ ქრთამებს აღარ იღებენ, ხოლო ნებისმიერი ნებართვის აღება საქართველოში გაცილებით ადვილია, ვიდრე ნებისმიერ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში.

დაბოლოს, არსებობს ობიექტური მონაცემები, რომლის მიხედვითაც, 2008 წლისთვის 2003 წელთან შედარებით, საქართველოს ბიუჯეტი 14-ჯერ გაიზარდა, მას შემდეგ, რაც სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა! არადა, იქ ნავთობი და გაზი ჯერ არ აღმოუჩენიათ... გამოდის, რომ ბიზნესისთვის პირობები გაუმჯობესდა?

თვითონ სააკაშვილის ოფიციალური ვერსია სწორედ ისაა, რომ მას „კორუფციონერები“ ებრძვიან — ისინი, ვისაც მან ქრთამის აღების საშუალებები მოუსპო.

და, თითქოს, ოპოზიციის მთავარი არაოფიციალური ლოზუნგია: **„სააკაშვილი გადადგეს, ქრთამები დაგვიბრუნეთ!“**

სააკაშვილის მთელი იდეოლოგია უკიდურესი ლიბერალიზმია. ამ წესებით მოქმედებდა არშემდგარი **„ქართული ეკონომიკური საოცრების მამა“,** ყოფილი რუსი ბიზნესმენი კახა ბენდუქიძე.

**„ყველაფერი უნდა გაიყიდოს, თანაც, გაიყიდოს ღიად, საჯაროდ!“** — აი, მისი დევიზი. ასეც მოიქცნენ.

**მოახდინეს ყველაფრის პრივატიზება, რაც შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა (სხვათა შორის, რაღაც-რაღაცები რუსულმა კომპანიებმაც იყიდეს, რაშიც, აგრეთვე, სააკაშვილს ადანაშაულებენ.).**

როგორც ვხედავთ, ერთნი ამბობენ, რომ მკაცრად ლიბერალურმა ექსპერიმენტმა ისინი წარმოუდგენელ წარმატებამდე მიიყვანა. მოჰყავთ ციფრები, — ყველაფერი პატიოსნად გაიყიდა, ეკონომიკამ აღორძინება დაიწყო.

მეორენიც ციფრებს ასახელებენ და ამბობენ, რომ ექსპერიმენტი ჩავარდა, — ეკონომიკას აღორძინება არ დაუწყია.

**მესამენი, ასევე, ციფრებით ამტკიცებენ, რომ ექსპერიმენტი საერთოდ არ ყოფილა; უბრალოდ, გაყიდვა უნდოდათ და გაყიდეს კიდეც — თავისიანებს მიჰყიდეს შეღავათებით და ა. შ. ერთი სიტყვით, დაამხინჯეს წმიდათაწმიდა ლიბერალური იდეები, ისევე, როგორც ადრე — წმიდათაწმიდა კომუნისტური იდეები...**

ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, თუ როგორი ზუსტი მეცნიერებაა ეკონომიკა.

მაგრამ საინტერესო სხვა რამაა.

სააკაშვილმა ააყვავა კორუფცია? — დავუშვათ.

**როგორ აპირებს ოპოზიცია მასთან ბრძოლას?**

**პასუხი დაახლოებით ასეთია: „როგორ თუ „როგორ შევებრძოლებით?“ შევებრძოლებით, ხომ გესმით!“**

**— მესმის!...**

### ვაი, დამარცხებულთ!

მთავარი ბრალდება მაინც წაგებული ომია.

ცნობილი ფაქტია — **ვინც უცხო ქვეყნის არმიასთან დამარცხდა, მას საკუთარი ხალხი ჩაქოლავს.** კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მოსკოვში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სააკაშვილის საქმე წასული იყო.

არსებობს ორი მიზეზი, რომელთა გამოც იგი მაშინ გადარჩა:

**პირველი** — ქართველებმა **„რუსეთის წინაშე“** ერთიანობა გამოავლინეს. რაც უფრო მკაცრად აცხადებდა რუსეთი, რომ **„პოლიტიკურ გვამთან“** საქმეს არ დაიჭერდა, მით უფრო მჭიდროდ იკვრებოდნენ ქართველები **„სააკაშვილის გვამის“** გარშემო.

**მეორე** — ქართველებმა **„ბუშის წინაშე“ „სააკაშვილისადმი სიყვარულის“** დემონსტრაცია მოახდინეს. რატომ შეუყვარდა ბუშს ასე ძალიან **„საოცარი ქართველი“,** ამის გაგება არცთუ ისე იოლია. მხოლოდ იმიტომ, რომ იგი რუსეთის კავკასიურ ჩექმაში **„ცოცხალი ლურსმნის“** როლს თამაშობდა? თუ კიდევ სხვა რამის გამოც? მაგრამ ფაქტია, რომ ბუში, რაისი, თვით მაკეინიც კი, ყველგან აჩვენებდნენ, რომ სააკაშვილს მიიჩნევენ **„თავისიანად“** და თანაც — არა **„ნაძირალად“. ამერიკაზე (არა მხოლოდ ფინანსურად, ფსიქოლოგიურადაც) დამოკიდებული ქართული ელიტა შესაბამისად „ითმენდა, დუმდა“.**

მაგრამ აი, წავიდნენ რესპუბლიკელები (მათგან მხოლოდ „ბუშის პროსპექტი“ დარჩა თბილისში), ომის ჭრილობებიც მოშუშდა... და დროც მოვიდა: **«Я тебе один умный вещь скажу, Миша, только не обижайся, да? Уходи, пожалуйста, слушай!»**

მაგრამ, აი, რა არის საინტერესო.

ოპოზიციის მხრიდან სააკაშვილისადმი ბრალდებები გაცილებით ბოროტი და შეურაცხმყოფელია, ვიდრე რუსეთის მხრიდან. გასაგებიცაა — რუსი პოლიტიკოსებისთვის ის მაინც საგარეო, კორპორატიული მტერია. პირადულიც ბევრი დაგროვდა, მაგრამ მთავარი მაინც საქმე, სახელმწიფო ურთიერთობებია.

**ქართველი ოპოზიციონერებისთვის სააკაშვილი პირადი მტერია. რა დროს ბიზნესია, როცა ამდენი შეურაცხყოფაა, შელახული ღირსება, შური და ბოღმა. შესაბამისად, ისინი მის სიმხდალეს დასცინიან, წყევლიან მის მუხანათობას, გაჰკივიან მის „არანორმალურობაზე“ უფრო მეტი ზიზღით, ვიდრე ამას რუსეთში აკეთებდნენ.**

მაგრამ მთელი ამ ზღვარგადასული სიძულვილის მიღმა ვერანაირი ალტერნატიული პოლიტიკური პროგრამა ვერ ამოვიკითხე.

რაშია დამნაშავე სააკაშვილი?

**იმაში, რომ წააგო ომი? თუ იმაში, რომ აწარმოებდა ომს?**

ემოციურ გორგალში ძაფები აიბლანდა, მაგრამ ნელ-ნელა იწყება გამორკვევა და ხვდები — **რა თქმა უნდა, დამნაშავეა, რომ უნიჭოდ იბრძოდა. უკიდურეს შემთხვევაში, — უდროო დროს დაიწყო! მაგრამ „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების“ იდეა არსად გამქრალა. მასზე უარს არც ერთი ქართველი პოლიტიკოსი ამბობს.**

— მაშინ რა განსხვავებაა ოპოზიციასა და სააკაშვილს შორის? თქვენც ასე არ მოიქცეოდით?

**—არა, ჩვენ რუსეთს მოველაპარაკებოდით.**

— მოელაპარაკებოდით? საინტერესოა, რაზე? იმაზე ხომ არა, რომ საქართველოს ძალის გამოყენებით დაებრუნებინა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი? და, საერთოდ, **„მოელაპარაკებოდით“** კრემლს? ასე ხართ დარწმუნებული თქვენს შესაძლებლობებში? რა ლამაზი სიტყვებია...

**— და ჩვენ უკეთესად ვიბრძოლებდით!**

—როგორ უკეთესად?

პასუხი არ არის.

—კარგი, წარსულს მოვეშვათ...

— ახლა რა ვუყოთ? არა, სააკაშვილს კი არა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს რა ვუყოთ?

ამაზე ოპოზიცია საუბრობს არცთუ ხალისიანად, მაგრამ საკმაოდ ნათლად:

— როგორ თუ **„რა ვუყოთ“?** რა თქმა უნდა, საქართველოს უნდა დავუბრუნოთ...

**— მაშინ რა განსხვავებაა თქვენსა და სააკაშვილის პოლიტიკას შორის?**

ამ საკითხში — სააკაშვილის წინააღმდეგ მთავარ ბრალდებაში — განსხვავება არაა.

— სააკაშვილი **„ფსიქოპათია, ლაჩარია, არარაობაა“.**

— შესანიშნავია. **2008 წლის იანვარში — მისი მმართველობის ოთხი წლის შემდეგ — ამის შესახებ არაფერი იცოდით? თუ იცოდით, რატომღა აირჩიეთ? თუ უმრავლესობა მას ლაჩრად და გიჟად არ მიიჩნევს, მაშინ იქნებ არ ღირდეს ამ შეფასებების საზოგადოებისთვის თავსმოხვევა?**

მე, რა თქმა უნდა, ქართულ ოპოზიციას ბრალს არ ვდებ.

საქართველოს აქვს ობიექტური გეოპოლიტიკური პრობლემა. ისინი ვერ ეგუებიან **„მარგალიტის — აფხაზეთის“** დაკარგვას. ამას გარდა, არის ასეულობით ათასი დევნილი. ამას გარდა, არის გაძლიერებული ნაციონალური საკუთარი თავის სიყვარული; ამას გარდა... მგონი, ზემოჩამოთვლილიც საკმარისია. საქართველოს უნდა და ყოველთვის ენდომება ამ მიწების დაბრუნება, მაგრამ როგორ უნდა ამის გაკეთება, არც სააკაშვილმა იცოდა და არც მისმა მოწინააღმდეგეებმა იციან.

**რუსეთთანაც არის „უთანხმოება ტერიტორიულ საკითხებთან (აფხაზურ და ოსურ) მიწებთან დაკავშირებით“.** ვინც უნდა გახდეს რუსეთის ან საქართველოს პრეზიდენტი, ეს უთანხმოება არსად გაქრება. **ნებისმიერ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი წავა, მის ზურგსუკან სინათლე ნამდვილად არ გამოჩნდება. აფხაზურ გვირაბში კვლავინდებურად წყვდიადია...**

ფაქტია, რომ რევოლუციური რეფლექსის განმტკიცებით, **პრეზიდენტის გადაგდების შემთხვევაშიც კი, სა-**

**ქართველო თავისი რეალური პრობლემების გადაჭრის გზაზე ერთი მიკრონითაც წინ ვერ წაიწევს.**

## რუსეთის ინტერესებში

რა შედის რუსეთის ინტერესებში?

ჩვენი მტერი სააკაშვილი რომ წავიდეს თუ რომ დარჩეს?

ახლა რუსეთი საქართველოში ცოტა რამეს თუ აკონტროლებს (ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით).

მიუხედავად იმისა, ვაკონტროლებთ თუ არ ვაკონტროლებთ, ყოველ შემთხვევაში, ვაკვირდებით და შეფასებებსაც ვაკეთებთ.

**ყველა ქართველი პოლიტიკოსი ორიენტირებულია დასავლეთზე. 2008 წლის იანვარში, საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ჩატარებულმა რეფერენდუმმა აჩვენა, რომ ამომრჩევლების 72% საქართველოს ნატოში შესვლის მომხრეა.**

**სააკაშვილი ნაწილობრივ იმიტომაც გახდა პრეზიდენტი, რომ სხვებზე უფრო მკვეთრად გამოხატავდა პროდასავლურ კურსს და ამერიკაზე ორიენტაციას.**

ასე რომ, ამ თვალსაზრისით **რუსეთისთვის სულერთია, ვინ იქნება საქართველოს მორიგი პროამერიკული პრეზიდენტი.**

გამსახურდია დაამხო შევარდნაძემ; შევარდნაძე დაამხო სააკაშვილმა; თუ სააკაშვილსაც ვინმე დაამხობს, საქართველოს სვლის დასავლური ვექტორი არ შეიცვლება, ისევე, როგორც არ იცვლებოდა ყველა წინა ხელისუფლების ცვლილებისას.

მაგრამ, ერთი მხრივ, სააკაშვილის დამხობა რუსეთისთვის მომგებიანი არ იქნებოდა. იმიტომ არა, რომ შეჩვეული ჭირი ჯობია — ეს ყველაფერი სისულელეა... ახალ ჭირსაც მალე შევეჩვევით.

სააკაშვილის შესაძლო დამხობაში მხოლოდ ერთი ნიუანსია — ამ დამხობამ შეიძლება მოსკოვის ზოგიერთ წრეებში სახიფათო ცდუნება წარმოშვას.

ვინაიდან ოპოზიცია მოითხოვს პრეზიდენტისა და პარლამენტის დაუყოვნებლივ **შეცვლას (ეს გასაგებია, რადგან, ვიმეორებ, პარლამენტში უმრავლესობა სააკაშვილის პარტიისაა),** ეს, როგორც ჩანს, გამოიწვევს მორიგ დიდ ქაოსს საქართველოში.

სრულიად ლოგიკური იქნებოდა ჩარევა და ზემოქმედება. ხელში თავისით გივარდება და როგორ გინდა, რომ თავი შეიკავო?! სწორედ ესაა ცდუნება რუსეთისთვის!

**ჩვენ ამ უცხოურ მღვრიე წყალში ვერანაირ ოქროს თევზს ვერ დავიჭერთ.**

**მაგრამ ამერიკის, ევროპისა და დსთ ქვეყნების თვალში საკუთარ რეპუტაციას კიდევ ერთხელ დამატებით შევილახავთ.**

დღეისათვის საქართველოს საქმეებში ჩარევის ნებისმიერი მცდელობა (ან, თუნდაც, მინიშნება ამ მცდელობაზე) მხოლოდ ერთ შედეგამდე — რუსეთის პოლიტიკურ-ფინანსური რეიტინგის გაუარესებამდე მიგვიყვანს.

„საქართველოს აჩრდილი" ამად ნამდვილად არ ღირს.

## თბილისში „პრორუსული" ხელისუფლება რომც დავსვათ, ეს რუსეთისთვის გადაუჭრელი პრობლემა გახდება. ფაქტია, რომ მათი (არა მხოლოდ ხელისუფლებისა, არამედ მთელი ქვეყნის) გამოკვება მოგვიწევს...

**ქართულ ხაფანგში მოხვედრისგან თავდაცვის ყველაზე საიმედო გარანტიაა, თუ ეს ხაფანგი დაიხურება. თუ სააკაშვილი პრეზიდენტად დარჩება, მაშინ „საქართველოში მოღვაწეობის" ცდუნებაც აღარ იარსებებს.**

თუ ბუფეტი დაკეტილია, მაშინ კანფეტებისთვის შიგ აღარ შეძვრები, თუ აღარ შეძვრები, მაშინ ჭურჭელსაც აღარ დაამტვრევ.

**ამ მოსაზრებით სააკაშვილის დაცვა რუსეთის ინტერესებშია, უფრო სწორად, მისი დამხობა რუსეთის ინტერესებში არ შედის.**

## ლობიოს ჭამა არ გეგონოთ

მაგრამ მშრალი პოლიტიკური გარჩევა, უბრალოდ, სისულელეა, როცა საუბარი საქართველოზეა.ქართველების ამბავს, როგორც ამბობენ, «умом не понять».

მათ პრეზიდენტი ჯერ აღტაცებით აირჩიეს (სააკაშვილმა 2003 წელს ხმების 95% მიიღო), მერე კი ზიზღით მოისროლეს.

და ასე, ზედიზედ მესამედ. სწავლით კი ვერაფერს სწავლობენ. რატომ?

**„საქმე მშრალ გათვლაში არაა, საქმე მსოფლიო კანონშია".** ვერანაირი ეკონომიკითა და გეოპოლიტიკით ვერ ახსნი. მოლდოვაში, სადაც ცოტა ხნის წინათ ყველამ ვნახეთ, რა არეულობა და მღელვარებაც იყო, რატომ არ უყვართ ან არ სძულთ პრეზიდენტები? რატომ არ ხედავენ მათში ან მამულის მხსნელებს, ან ხალხის მტრებს? რატომ არ ამხობენ სომხეთში პრეზიდენტებს?..

რუსეთში იყიდებოდა წიგნი **„რატომ არაა რუსეთი ამერიკა".**

**რატომ არაა საქართველო მოლდოვა ან სომხეთი? კლიმატი მსგავსია, თითო სულ მოსახლეზე შიდა პროდუქტის მოცულობა თითქმის იგივეა, გაზი და ნავთობი არც ერთშია, არც — მეორეში და არც — მესამეში, სსრკ-დან ყველა გამოვიდა. რატომღაა ასეთი განსხვავება?**

ან, თუნდაც, ავიღოთ ლუკაშენკო.

სააკაშვილთან მსგავსებას ვერ ამჩნევთ?

მე ვამჩნევ.

და არა მხოლოდ წონაში და სიმაღლეში.

ქარიზმატულები, გაუწონასწორებლები, ძალაუფლებისმოყვარენი, **„ალფა-მამრები", „ბიოლოგიური დიქტატორები".** მაშინ რატომაა, რომ ბელარუსში ყველაფერი მოგვარდა, საქართველოში კი ისევ არეულობაა?

საქართველოს განხილვა ქართული ხელოვნების გარეშე შეუძლებელია.

და იქაც — სრული სიგიჟეა.

**„იყო შაშვი მგალობელი", „მიმინო", „მონანიება".**

კეთილშობილები, მომღერლები, გულღიები, ლაღები... რა თქმა უნდა, ეს სიმართლეა, ეს ქართული ხასიათია. კარგი ხელოვნება არასდროს ტყუის. ქართველები სწორედ ასეთები არიან. არ იციან დროის, ფულის ანგარიში, ერთობიან, მღერიან, სწამთ. ბავშვურები, ნიჭიერები, შემოქმედებითნი თავიანთთვის ჭიკჭიკებენ მგალობელი შაშვებივით; უსაფრთხო, მაგრამ თავმოყვარე ხალხია...

**მაგრამ აი, „მონანიება"...**

მთავარი გმირი, ვარლამ არავიძე... დიქტატორია. მისი არტისტიზმი, სიმღერები — **ეს ქართველის იმიტაციაა, პაროდიაა ქართველებზე, მაგრამ, ამასთანავე, თითქმის ფოტოგრაფიაა გარკვეული კატეგორიის ქართველებისა, ნამდვილი ქართველი პოლიტიკოსებისა, გამოჩენილი პოლიტიკოსებისა.**

ქართველებს, ამ მომღერალ შაშვებს, ახლო წარსულში სულ ორი გამოჩენილი და დიდი პოლიტიკოსი ჰყავდათ — სტალინი და ბერია. **„დაბნეულები"? „ინფანტილურები"?** ძნელი სათქმელია...

არის კიდევ სადმე ასეთი ლაღი, მომღერალი, არხეინი, მოლაქლაქე, გულღია ხალხი?

**აი, ინებეთ — ქართველები.**

იტალიელები — ერთადერთი ხალხია ევროპაში, რომელმაც ისეთი ძალადობის მანქანა, დანაშაულებრივი ორგანიზაცია შექმნეს, როგორიც მაფია, კამორა, კოზა ნოსტრაა. არც ცივმა სკანდინაველებმა, არც ბრუტალურმა გერმანელებმა, არც კარჩაკეტილმა ინგლისელებმა, არც სასტიკმა ესპანელებმა, არც უხეშმა რუსებმა, არც ეშმაკმა ებრაელებმა, არც ძუნწმა ფრანგებმა... არა! მხოლოდ მომღერალმა შაშვებმა იტალიიდან...თეატრალური ფორმა, მუხთალი და სასტიკი (მკვლელობითურთ) შინაარსი.

„ვეფხისტყაოსანი"... ვიცი, რომ რუსთაველს სულ სხვა რამ ჰქონდა მხედველობაში. მაგრამ სახე სწორედ ასეთია. განა ასეთი არ იყო გამსახურდია ან ჯაბა იოსელიანი, ავტორი ფრთიანი ფრაზისა: **„თქვენ დემოკრატია ლობიოს ჭამა არ გეგონოთ!", ან, თუნდაც, „თეთრი მელა", ჰარვარდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი შევარდნაძე, ან, ბოლოს და ბოლოს, სააკაშვილი? როგორც ჩანს, ქართულ თეატრში მთავარ როლს სხვა გმირები ვერ თამაშობენ...**

„ლობიოს ჭამა არ გეგონოთ". აქ ხომ ღრმა და ზუსტი აზრი დევს.

ქართველი ხალხისთვის, ეტყობა, პოლიტიკა გაუთავებელი ქეიფია სადღეგრძელოებით, კერძების მონაცვლეობით, პრეზიდენტი კი თამადაა, ყველას უნდა მოეფეროს, თავი დაამახსოვროს...

არა, ეს ლობიოს ჭამა არაა! მაგრამ ხალხს მაინცდამაინც ლობიო უნდა.

რაც უფრო ბავშვურად გულღია და მიამიტია ხალხი, მით უფრო თეატრალური და გაიძვერა უნდა იყოს მმართველი. რატომ „უნდა იყოს?" ვისთვის „უნდა იყოს"? — ღმერთმა უწყის!.. უბრალოდ, ფაქტია, რომ საქართველოში ასეა. სხვა ქვეყნებში, სხვა ხალხთან ასეთი მკვეთრი კონტრასტები არ გვხვდება. იქ სხვა კონტრასტებია.

რაინდული დიდსულოვნება და მუხანათობა...

უცნაური შეთავსებაა? — სულაც არა. ტიპური ფეოდალური, შუასაუკუნეობრივი. სწორედ იმ ფეოდალური დროისთვის დამახასიათებელი, როცა მაფია წარმოიქმნა.

დღეისათვის უფლებრივ სახელმწიფოში ეს ხარისხები განცალკევებულია, მაგრამ, რაც უფრო ახლოსაა ხალხი და ქვეყანა ფეოდალიზმთან, მით უფრო ორგანულია ამ ხარისხების შერწყმა ფსიქოლოგიასა და ქცევაში. **ბევრ რამეში საქართველო რჩება განვითარებულ-ფეოდალურ ქვეყნად.** რა თქმა უნდა, შუასაუკუნეობრივი მუხანათობის ფორმები იცვლება. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი და სტალინი ერთ დღეს არიან დაბადებული, წელი ხომ მაინც სხვადასხვა იყო. ჩვენს დროში ასეთ „მწარე კერძებს" აღარ ამზადებენ და აღარ მიირთმევენ.

## დაბოლოს

ბრეხტის (რომელიც საქართველოში არასოდეს ყოფილა) იგავ-პიესაში საოცრად ზუსტადაა აღწერილი ფეოდალური საქართველოს ისტორია, თავადთა შეთქმულებებით, გადატრიალებებითა და **ხოცვა-ჟლეტებით (ადიუტანტი: არ გსურთ, დედაქალაქიდან ჩამოსულ მალემსრბოლს მოუსმინოთ? იგი დღეს ჩამოვიდა საიდუმლო ქაღალდებითურთ. გუბერნატორი: ჭამის წინ არა, გოგი!).**

ბრეხტი აღწერს სოლომონის ერთ-ერთ იგავს: **ორი ქალი დაობს, ვინაა ბავშვის დედა. მოსამართლე ხაზავს წრეს, შუაში აყენებს ბავშვს და უბრძანებს ქალებს, აქეთ-იქიდან გაქაჩონ. ვინც ბავშვს თავისკენ გადასძალავს, დედაც ის იქნებაო. ისინი იწყებენ გაქაჩვას, მაგრამ ერთ-ერთი ქალი ხელს უშვებს — შუაზე ხომ ვერ გავგლეჯ ბავშვსო. მოსამართლე მას ნამდვილ დედად აცხადებს, იმიტომ, რომ მას ბავშვი შეეცოდა!**

## პოლიტიკოსები ექაჩებიან საქართველოს — ყველა თავისკენ და არსებობს დიდი რისკი, რომ სახელმწიფო გაიხლიჩება.

ვშიშობ, რომ აქ არავინ დათმობს... **წრე არ ირღვევა! გამოსავალი არაა. საქართველომ საკუთარი თავი ჩაკეტა ამბიციების, შეურაცხყოფის, გარდამავალი იმედების წრეში.**

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საქართველოში ნამდვილი **„დედები"** არ არიან?

სხვათა შორის, ბრეხტი ამას **„დედასაქართველოზე" წერდა.**

ასეც რომ იყოს...

ეს იმას ნიშნავს, **რომ დედასაქართველოს მოსიყვარულე შვილები არ ჰყავს?..**

vzgliad.ru

## ბარაკ ობამამ 150 ბავშვი ატირა

**აშშ პრეზიდენტს აგდებულ დამოკიდებულებაში ადანაშაულებენ. თეთრი სახლის ტერიტორიაზე ბარაკ ობამას რეზიდენციაში არ შეუშვეს 5-6 წლის ასაკის 150 ვირჯინიელი ბავშვი.**



არადა, ბავშვები ამ ექსკურსიისთვის რამდენიმე თვის მანძილზე ემზადებოდნენ. როგორც მშობლები და მასწავლებლები ამბობენ, გზებზე ჭედვის გამო მათ 10 წუთით გადააცილეს დათქმულ დროს, შედეგად ბავშვებს ცხვირწინ მიუხურეს კარიბჭე, თეთრი სახლის თანამშრომლებმა კი ბრძანეს, რომ ტერიტორია მნიშვნელოვანი მიღებისათვის უნდა მოამზადონ — ბარაკ ობამა ნაციონალური საფეხბურთო ლიგის ამჟამინდელ ჩემპიონებს უნდა შეხვედროდა. მშობლები აცხადებენ, რომ ბავშვებს დიდხანს გაჰყვებათ თეთრ სახლში სტუმრობთ გამოწვეული უარყოფითი განწყობა — პრეზიდენტმა ხომ მილიონერ ფეხბურთელებთან შეხვედრა არჩია მათ მიღებას.

## სამხრეთ კორეის ყოფილმა მეთაურმა თავი მოიკლა

**სამხრეთ კორეის ყოფილი პრეზიდენტი ნო მუ ხენი თავისი მშობლიური ქალაქ კიმხეს მახლობლად მთაზე ასვლისას ხრამში გადაიჩეხა, საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ კი თავის ქალას შიდა ტრავმების გამო გარდაიცვალა.**



ამ უკანასკნელი გასეირნებისას მას თან ახლდა თავისი დამხმარე, რომელმაც მომხდარის კომენტირებისას ტელევიზიით განაცხადა, რომ ექს-პრეზიდენტმა სიკვდილის წინ წერილი დატოვა, სახლიდან პარასკევ საღამოს გამოვიდა და ერთ საათში უფსკრულში გადაიჩეხა.

პოლიცია ამგვარი წერილის არსებობას ჯერჯერობით ვერ ადასტურებს, თუმცა არც თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავს. ნო მუ ხენმა პრეზიდენტის პოსტი 2008 წლის თებერვალში დატოვა, მის წინააღმდეგ აღძრული იყო საქმე მექრთამეობის ბრალდებით. ექს-პრეზიდენტი ბიზნესმენისაგან ექვს მილიონ დოლარზე მეტი თანხის აღებაშია ეჭვმიტანილი. ნო მუ ხენი სამხრეთ კორეის პირველი პირი 2003-2008 წლებში გახლდათ და თავისი წინამორბედის, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის კიმ დე ჩხუნის მიერ დაწყებულ ჩრდილოეთ კორეასთან დაახლოების საქმეს წარმატებით განაგრძობდა. სამაგიეროდ, საკუთარი ხალხი ემდუროდა უმუშევრობის ზრდისა და სხვა სოციალური პრობლემების გამო.

## უკრაინა გაზის ახალი კონფლიქტისაკენ მიდის

**როგორც ჩანს, უკრაინას არ აქვს საშუალებები, გაზი მიწისქვეშა საცავებში ჩატუმბოს და ეს შესაძლოა, ტექნოლოგიურ პრობლემად იქცეს.**



ასეთი აზრი გამოთქვა „გაზპრომის" მმართველობის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე მედვედევმა, რუსული კომპანიის სხვა წარმომადგენლის თქმით კი, ამ ზამთარს გაზის თემაზე ახალი კრიზისია მოსალოდნელი. მისი განცხადებით, ახლა უკრაინის მიწისქვეშა საცავებში 19,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა ჩაიტუმბოს, რომლის საერთო ღირებულება ოთხ მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. უკრაინა კი კრიზისულ სიტუაციაშია, ამჟამად ფინანსური საშუალებები არ გააჩნია და მისთვის არც კრედიტების მიცემას ჩქარობს ვინმე. აპრილის ბოლოს რუსეთში ვიზიტად მყოფი უკრაინის პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს განცხადებით, მისი სახელმწიფო უკვე შეუთანხმდა რუსეთს, რომ ეს უკანასკნელი უკრაინაზე ტრანზიტის საფასურს წინასწარ გადაიხდის და სწორედ ამ თანხით დაფინანსდება ჩატუმბვა. მეორე მხრივ კი, ასტანაში რუსული დელეგაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რუსეთმა უკვე გადაიხადა წინასწარ 2009 წლის მთელი სატრანზიტო თანხა. ასე რომ, უკრაინას არ აქვს თანხები ზაფხულში ჩასატუმბი გაზის შესაძენად, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზამთარში ის ვერ შეძლებს რუსული გაზის ევროპაში ტრანზიტს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მაკედონიაში მართლმადიდებლურ ტაძრებს სასტუმროებად, მაღაზიებად და საკონცერტო დარბაზებად აქცევენ

**თანამედროვე მართლმადიდებლობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა ფილეტიზმის გავრცელებაა, რომელსაც შედეგად მოაქვს საეკლესიო მოწყობის ტერიტორიული პრინციპის შეცვლა მიუღებელი ეთნიკური ან ნაციონალური პრინციპით. თანამედროვე საეკლესიო ფილეტიზმის აზობოქრების მიზეზად ბოლო ათწლეულებში რამდენიმე დიდი ეკლესიის ნგრევა და მათ ადგილზე ახალი ნაციონალური ეკლესიების სწრაფად წარმოშობა იქცა.**
**სწორედ ასეთი ვითარება შეიქმნა თანამედროვე ბალკანეთში, სადაც იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ადგილი ჰქონდა სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის რამდენიმე ნაციონალურ ავტოკეფალიურ ეკლესიად დაშლის მცდელობას. უპირველესად, საუბარია სერბეთის საპატრიარქოსაგან გამოყოფილ „მაკედონიურ ეკლესიაზე,“ რომელმაც 1967 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.**



მის ავტოკეფალიას არ ცნობს არც ერთი მართლმადიდებლური ეკლესია და „მაკედონიურ განხეთქილებად“ განიხილება. არც ისე დიდი ხნის წინათ, 1993 წელს, იშვა თვითგამოცხადებული „ჩერნოგორიული ეკლესია“, ხოლო ბოლოხანს განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სავსებით შესაძლებელია, რომ მოკლე ხანში კიდევ შეიქმნას რამდენიმე ჯუჯა ფსევდოავტოკეფალიური ეკლესია, მათ შორის, კოსოვოსიც.

ბალკანეთში მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსგავს პრობლემას შეეჯახა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიაც. მის ისტორიულ სივრცეში წარმოშობილ უკრაინაში აგერ უკვე მეორე ათეული წელია, ავტოკეფალიური „უკრაინული ეკლესიის“ შექმნას ლამობენ როგორც კანონიკური, ისე „მაკედონიური განხეთქილების“ დარად, თვითგამოცხადების გზით. ბოლო ათწლეულებში 1919 წელს თვითგამოცხადებული უკრაინული ავტოკეფალიისა და 1922 წელს თვითგამოცხადებული „ბელორუსიული ავტოკეფალიური ეკლესიის“ საქმიანობის განახლებას ცდილობენ.

სულ ახლახან, 2007 წელს, მოლდოვურმა ეკლესიამ, რომელიც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ეპარქიაა, ავტოკეფალიის გამოცხადებაზე პრეტენზია გამოთქვა.

ნაციონალური ნიშნით ადგილობრივი ეკლესიების დაქსაქსულობის პროცესები შეუთავსებელია მის პრინციპულად ზენაციონალურ ბუნებასა და ტერიტორიული ნიშნით კანონიკურ მოწყობასთან. 1991 წლის ოქტომბერში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდმა მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საზღვრების შეცვლას არ უნდა მოჰყვეს ეკლესიის შემადგენლობის შეცვლა, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლა არ გულისხმობს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ცალკეული ნაწილის ავტოკეფალიზაციას. ეს განცხადება აქტუალურია ყველა თვითგამოცხადებული ნაციონალური ავტოკეფალიის, უპირველესად კი, „მაკედონიური განხეთქილებისთვის,“ რომლის ისტორიასაც ქვემოთ განვიხილავთ.

## განხეთქილება რამდენიმე ეტაპად

**მაკედონიური ეპარქიის სერბეთის საპატრიარქოსგან გამოყოფას და „მაკედონიური ავტოკეფალიის“ თვითნებურად გამოცხადებას მრავალწლიანი ისტორია აქვს და რამდენიმე ეტაპად იყოფა: ფართო ავტონომიის დამყარების, ავტოკეფალიის თვითნებურად გამოცხადების, დაბოლოს, „მაკედონიური ეკლესიის“ ავტოკეფალიის სტატუსის საბოლოოდ გამყარების თანამედროვე ეტაპი.**

„მაკედონიური ეკლესიის“, უფრო სწორად, სკოპიეს ეპარქიის გამოყოფა სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიისგან სერბეთის საპატრიარქოს ისტორიის ყველაზე მძიმე, ომისშემდგომ პერიოდში დაიწყო და არსობრივად ტიტოს კომუნისტური რეჟიმის მიზანმიმართულ პოლიტიკურ ოპერაციას წარმოადგენს. უკვე 1945 წელს, სერბეთის პატრიარქის გაბრიელის ერთობ „კეთილსასურველ“ სიტუაციაში დაპატიმრების თაობაზე, სკოპიეში გამართულ ეკლესიათა შეკრებაზე რამდენჯერმე წამოიჭრა საკითხი ავტოკეფალიური „მაკედონიური ეკლესიის“ შექმნისა და სერბეთის საპატრიარქოსგან მისი გამოყოფის შესახებ. მაგრამ სერბმა იერარქებმა, 1946 წელს დაბრუნებულ პატრიარქ გაბრიელთან ერთად, არ დაარღვიეს სერბეთის ეკლესიის კანონიკური ერთიანობა და 1947 წლის ახალ საეკლესიო წესდებაში სერბეთის ეპარქიებს შორის აღნიშნეს სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სამი ეპარქია მაკედონიაში. მომდევნო 50 წლის განმავლობაში სერბეთის საპატრიარქო აქტიურად ეწინააღმდეგებოდა საეკლესიო განხეთქილების მცდელობასა და ერთ-ერთი ეპარქიის გამოყოფას.

კანონიკური ეკლესიის თანმიმდევრული პოზიციის პირობებში მაკედონიელმა სეპარატისტებმა, რომლებსაც მხარს კომუნისტური ხელისუფლება უჭერდა, 1958 წელს ოჰრიდში ჩაატარეს ავტონომიური „მაკედონიური ეკლესიის“ საეკლესიო კრება, სადაც განაცხადეს ოჰრიდის უძველესი საარქიეპისკოპოსოს აღდგენისა (რომელსაც რატომღაც „მაკედონიურ-ოჰრიდული“ ეწოდა) და მის საფუძველზე ავტონომიური „მაკედონიური ეკლესიის“ წარმოშობის შესახებ. ამ „საეკლესიო კრებას“ არ ესწრებოდა არც ერთი კანონიკური მღვდელმთავარი, რაც ხაზს უსვამდა მის აბსოლუტურ არალეგიტიმურობას. კრებას დაესწრო სერბეთის საპატრიარქოს ერთადერთი ეპისკოპოსი დოსითეოსი, რომელმაც უხეშად დაარღვია კანონიკური საეკლესიო წესრიგი. იგი ახალი სეპარატისტული „ეკლესიის“ მეთაურად აირჩიეს.

თვითგამოცხადებული ავტონომიური „მაკედონიური ეკლესიის“ მეთაურს მიენიჭა ტიტულები „ოჰრიდისა და სკოპიეს არქიეპისკოპოსი და მაკედონიის მიტროპოლიტი“, ხოლო ეპარქიის ტერიტორიად მაკედონიის რესპუბლიკა დასახელდა. ეს დებულებანი გამყარდა „მაკედონიური ეკლესიის“ ახალ წესდებაში, რომელიც არა კანონიკურმა მღვდელმთავარმა, არამედ საერო პირებმა — სეპარატისტებმა შეადგინეს. ეს ყველაფერი ჩინებულად გამოხატავს „მაკედონიური ეკლესიის“ როგორც პოლიტიკური სეპარატისტული პროექტის არსს, თუნდაც არაკანონიკური, მაგრამ ნაციონალური ეკლესიის შექმნის მიზნით, რაც საეკლესიო ფილეტიზმის პოლიტიკის პირდაპირი განხორციელებაა.

სეპარატისტების ასეთმა მიზანსწრაფულმა და რადიკალურმა მოქმედებებმა აიძულა სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესია, საბოლოო განხეთქილების თავიდან ასაცილებლად ეღიარებინა სკოპიეს ეპარქიის ავტონომიურობა. პატრიარქ გერმანეს დროს 1959 წლის სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის კრებაზე მოხდა მაკედონიის სკოპიეს ეპარქიის დამოუკიდებლობისა და საკუთარი წესდებით მისი მართვის კონსტატაცია. მის მეთაურად ეპისკოპოსი დოსითეოსი აირჩიეს მიტროპოლიტის სტატუსით, თუმცა მღვდელმთავართა ფიცისა და მართლმადიდებლური ეკლესიის კანონების დარღვევისთვის ის საეკლესიო სასამართლოსთვის უნდა გადაეცათ. ამგვარად, სერბეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ სცადა არაკანონიკური ქმედებების კანონიკურ ჩარჩოში მოქცევა და მაკედონიის ეპარქიას ფართო ავტონომიის სტატუსი და უფლებამოსილება მიანიჭა.

## ავტოკეფალია ათეისტთა მხარდაჭერით

**სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან ასეთი სამშვიდობო ნაბიჯის მიუხედავად, განხეთქილების ჩამომგდებ მაკედონიელთა სეპარატისტული პოლიტიკა კვლავაც გაგრძელდა. სერბეთის საპატრიარქოსგან გამოყოფის შემდგომ ცდებს უკვე 60-იან წლებში ჰქონდა ადგილი და ამჯერად გამთიშველებმა არ იკმარეს „მაკედონიური ეკლესიის“ ავტონომია — ისინი სრულფასოვან ავტოკეფალიას მოითხოვდნენ. 1966 წელს ერთმანეთს შეხვდნენ „მაკედონიური ავტონომიის“ წარმომადგენლები და სერბეთის ეკლესიის იერარქები. ამ შეხვედრაზე სეპარატისტებმა ავტოკეფალია მოითხოვეს და ეს მაკედონიის სახელმწიფოებრიობის საბოლოოდ გაფორმების აუცილებლობით დაასაბუთეს, ანუ ერთიანი სერბიული ეკლესიის დაშლა წმინდა პოლიტიკური მიზნებით ახსნეს.**

სერბეთის პატრიარქის კატეგორიული უარის შემდეგ, მომდევნო 1967 წელს ოჰრიდში, ე.წ. საეკლესიო-სახალხო კრებაზე სეპარატისტებმა არქიეპისკოპოს დოსითეოსის ხელმძღვანელობით თვითნებურად გამოაცხადეს „მაკედონიური მართლმადიდებლური ეკლესიის“ ავტოკეფალია. ამგვარად, არ დაკმაყოფილდა რა ისედაც უსაფუძვლოდ მინიჭებული ავტონომიით, მაკედონიის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ განხეთქილება ჩამოაგდო და კანონიკური სერბეთის იერარქიის დაქვემდებარებიდან დამოუკიდებლად გამოვიდა. ბუნებრივია, თვითგამოცხადებულ ავტოკეფალიურ „მაკედონიურ მართლმადიდებლურ ეკლესიას“ აქტიურად დაუჭირა მხარი მაკედონიის ხელისუფლებამ, რომელიც უშუალოდ იყო დაინტერესებული სეპარატისტული პროცესებით. სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდის უარმა ავტონომიის აღიარებაზე განხეთქილების ჩამომგდებ მაკედონიელთა მხარდამჭერი კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან აშკარა კრიტიკა და მუქარა გამოიწვია. თავის მხრივ, სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმთავრებმა აშკარად დაადანაშაულეს ხელისუფლება და განხეთქილების ჩამომგდები მაკედონიელები საეკლესიო საკითხისთვის პოლიტიკური ელფერის მიცემაში, ხოლო სახელმწიფოს ბრალი დასდეს ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევაში. გარდა ამისა, განხეთქილების გაღრმავების პროცესში 1968 წელს მაკედონიის ფსევდოავტონომიამ გრიგორიანულ კალენდარზე გადასვლის შესახებაც განაცხადა. ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა მაკედონიის მიტროპოლიტის დოსითეოსის დიდი ინტერვიუ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის გაზეთში. ამით მან ხაზი გაუსვა, რომ ეწინააღმდეგება სერბეთის ეკლესიის განზრახვას, ვატიკანს მაინც დაუახლოვდეს.

ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ზეწოლის მიუხედავად, ასეთ აბსოლუტურად ანტიკანონიკურ ქმედებას მხარი არ დაუჭირეს არც სერბეთის და არც სხვა ადგილობრივმა ეკლესიებმა. იმავე წელს გამართულმა სერბეთის ეკლესიის წმინდა მღვდელმთავართა კრებამ, კანონიკური საეკლესიო ნორმების შესაბამისად, უარი თქვა „მაკედონიური ეკლესიის“ ავტოკეფალიის აღიარებაზე. კრების გადაწყვეტილებას დაერთო საეკლესიო სამართლის სპეციალისტების — დოქტორ ს. ტროიცკისა და დოქტორ ბ. გარდაშევიჩის მოხსენებანი თემაზე: „აქვს თუ არა მაკედონიის მართლმადიდებლურ ეკლესიას პირობები ავტოკეფალიის მისაღებად?“ მათში დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი შემდგარი თვითგამოცხადების შედეგად დარღვეული საეკლესიო კანონები.

**მომხდარი მოვლენები ერთმნიშვნელოვნად კრიტიკულად შეფასდა: განხეთქილება ნაციონალური ნიშნით — ფილეტიზმის ერესის შედეგად, ხოლო გამიჯნული „მაკედონიური ეკლესია“ იმ რელიგიურ ორგანიზაციად მიიჩნიეს, რომელსაც არც ერთი ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესია არ აღიარებდა.**

1968 წელს სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდმა მოწონების გამომხატველი წერილები მიიღო მრავალი მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელთაგან: მოსკოვის, კონსტანტინეპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიის პატრიარქებისგან, ათენის არქიეპისკოპოსის, ჩეხეთის, კვიპროსის, ვარშავის მიტროპოლიტებისგან.

1991 წელს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლისა და ცალკეული დამოუკიდე-

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ბელი რესპუბლიკის, მათ შორის, მაკედონიის წარმოქმნის შემდეგ, კონფლიქტი სერბეთის ეკლესიასა და მაკედონიის ფსევდოავტოკეფალიას შორის გაღრმავდა. განხეთქილების ჩამომგდებთ აქტიურად დაუჭირა მხარი ახალწარმოქნილი მაკედონიის ნაციონალური რესპუბლიკის ხელისუფლებამ, რომლის უშუალო მონაწილეობითაც დაიწყო კანონიკური სერბეთის ეკლესიის ნამდვილი დევნა. სერბი და მაკედონიელი მღვდელმთავრების მრავალწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, 2000 წლის დასაწყისში, სცადეს საეკლესიო ერთიანობის აღდგენა საპატრიარქოსა და მისგან გამიჯნულ „ავტოკეფალიას“ შორის. 2002 წელს ეს მოლაპარაკებები ურთიერთობის აღდგენის შესახებ ხელშეკრულებით დაგვირგვინდა. ხელშეკრულების მიხედვით, მაკედონიის რესპუბლიკაში მართლმადიდებლურ ეკლესიას ფართო ავტონომია ენიჭებოდა, მაგრამ სერბეთის საპატრიარქოს მფარველობის ქვეშ რჩებოდა. თავიდან ეს ხელშეკრულება სერბეთის ეკლესიის სინოდმა მიიღო, რის შემდეგაც ამგვარსავე ნაბიჯს ელოდნენ მაკედონიის რესპუბლიკის ეკლესიისგან, მაგრამ „მაკედონიის სინოდმა“ დაიწუნა ეს დოკუმენტი იმის გამო, რომ მასში არ მოიხსენიებოდა ეკლესიის ავტოკეფალიური სტატუსი და მისი მაკედონიური სახელწოდება. ამაში მაკედონიის ხელისუფლების ხელიც ერია — მან აიძულა „მაკედონიური ეკლესიის“ სამი მიტროპოლიტი, რომლებმაც ხელი მოაწერეს აღნიშნულ ხელშეკრულებას, უკანვე გაეხმოთ თავიანთი თანხმობა.

ამ რთულ სიტუაციაში 2002 წელს სერბეთის პატრიარქმა პავლემ ღია წერილი გაუგზავნა „მაკედონიური ეკლესიის“ წმინდა ხელმძღვანელობასა და სამწყსოს, რომელშიც კიდევ ერთხელ მოუწოდა, დაბრუნებოდნენ სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციას და მსოფლიო მართლმადიდებლობას შერწყმოდნენ. ამ მიმართვას ველეშისა და პოვარდასის არქიეპისკოპოსმა იოანემ უპასუხა, რომელმაც მიტროპოლიის დანარჩენ წევრებთან ერთად, მისივე თქმით: „გულწრფელად, თავისუფლად და პასუხისმგებლობის გრძნობით მიიღო შეთავაზებული ლიტურგიული და კანონიკური ერთიანობა სერბეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან.“ მეუფე იოანეს მსგავსად, 2004 წელს „მაკედონიური განხეთქილება“ 5 მაკედონიურმა მონასტერმა დატოვა და სერბეთის ეკლესიის იურისდიქციაში გადავიდა.

2004-2005 წლებში სერბეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ განხეთქილების აღმოფხვრა საბოლოოდ სცადა: წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, კიდევ ერთხელ გამოცხადდა ოჰრიდის საარქიეპისკოპოსოს ავტონომია; მის მეთაურად დაინიშნა არქიეპისკოპოსი იოანე, როგორც ერთადერთი მოქცეული მღვდელმთავარი. ისინი, ვინც კანონიკური ავტონომიური საარქიეპისკოპოსოს წიაღში არ დარჩა, კანონიკური ერთობიდან მოკვეთეს. სამწუხაროდ, „მაკედონიური ეკლესიის“ წარმომადგენლების უმეტესობა არ გამოეხმაურა სერბეთის პატრიარქის მოწოდებას, უარი ეთქვა განხეთქილებაზე, მათ სეპარატისტულ პოზიციას კი მხარი დაუჭირა ხელისუფლებამ, რომლის 2004 წლის ბრძანებულებით, ერთადერთი ლეგალური მართლმადიდებელი თემის მაკედონიაში თვითჭეშმარიტ „მაკედონიის მართლმადიდებლურ ეკლესიად“ ინოდებოდა, ხოლო სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკური ოჰრიდის საარქიეპისკოპოსო, შესაბამისად, კანონგარეშე გამოცხადდა.

### სახელმწიფო ტერორი სერბეთის ეკლესიის წინააღმდეგ

**ამ დროიდან მაკედონიის ხელისუფლების მხრიდან სერბეთის ეკლესიის ნამდვილი დევნა დაიწყო. ამ დევნის პირველ მსხვერპლად, ცხადია, ოჰრიდის არქიეპისკოპოსი იოანე იქცა: 2004 წლის ივლისში ის ოფიციალურად გაასამართლა ბიტოლის სასამართლომ და „ნაციონალური, რასობრივი და რელიგიური შუღლის გაღვივების“ (!) ბრალდებით 2006 წლამდე ციხეში გამოამწყვდია.**

**2004 წლიდან კანონიკური ეკლესიის, მის მსახურთა და სამწყსოს დევნამ სისტემატური ხასიათი მიიღო და უშუალოდ „მაკედონიის მართლმადიდებლური ეკლესიის“ საეპისკოპოსოების მოთხოვნით ხორციელდებოდა. სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მართლმადიდებელ ტაძრებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იპყრობდნენ და განხეთქილების ჩამომგდებთ გადასცემდნენ. იქ მომსახურე კლერიკალებს კი აპატიმრებდნენ და იძულებით ასახლებდნენ.**

ასე მაგალითად, ღვთისმსახურების აღსრულების დროს ბევრი მაკედონიური მონასტრის კლერიკალებსა და ბერებს თავს დაესხნენ. გარდა ამისა, გაანადგურეს და დაანგრიეს სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის რამდენიმე ტაძარი და მონასტერი. მაგალითად, შეიარაღებულმა პოლიციელებმა ცეცხლი წაუკიდეს იოანე ოქროპირის სახელობის ქალთა მონასტერს სოფელ ნიზეპოლში; მაკედონიელი გამთიშველების მიერ ხელში ჩაგდებული სერბეთის უძველესი ტაძრები და მონასტრები გაიყიდა ან იჯარით გაიცა: წმ. სოფიის საკათედრო ტაძარი ოჰრიდში საკონცერტო დარბაზად გადაკეთდა, მაცხოვრის მთავარი ტაძარი სკოპიეში — მუზეუმად, წმ. პანტელეიმონის მე-12 საუკუნის მონასტერი ნერეზში — სასტუმროდ, წმ. გიორგის ეკლესია — მაღაზიად... მაკედონიის უმთავრესი სიწმინდეც კი, ოჰრიდის წმ. ნაუმის მონასტერი სასტუმრო კომპლექსად გადააკეთეს.

მაკედონიის ბევრ ქალაქში, მაგალითად, პრილეპსა და რეზენში, პოლიციელები მღვდლებს აიძულებენ, ხელი მოაწერონ დოკუმენტს ოჰრიდის კანონიკური საარქიეპისკოპოსოს უგულებელყოფასა და „მაკედონიურ ეკლესიაში“ დაბრუნებაზე. კანონიკური ეკლესიის იზოლირების მიზნით, მაკედონიის ხელისუფლებამ რესპუბლიკაში ჩასვლა აუკრძალა სხვა ეკლესიების მართლმადიდებელ მღვდლებს. ყველაზე სკანდალური კი 2004 წელს რაშკოვისა და პრიზრენის ეპისკოპოსის არტემისთვის მგზავრობის აკრძალვა იყო.

ათობით ღვთისმსახურს რამდენჯერმე დაესხნენ თავს, მათ შორის, მღვდელ ბორიან ვიტანოვს, რომელსაც საკუთარი სამრეკლოს პარმაღზე სცემეს. მაკედონიაში დევნიან კანონიკურ იერარქიაზე გადასულ საერო პირებსაც. სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ერთგულ მასწავლებლებს წამდაუწუმ დაკითხვას უტარებს მაკედონიის პოლიცია ვითომდა „პროსერბული“ საეკლესიო პროპაგანდის განხორციელებასთან დაკავშირებით; ხოლო ზოგიერთი პედაგოგი, მათ შორის, მაკედონიის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი ზორან გეორგიევი იმის გამო დაითხოვეს სამსახურიდან, რომ სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლია.

მაკედონიაში გატარებული პოლიტიკის შედეგად, ოჰრიდის კანონიკური საარქიეპისკოპოსო იძულებულია, იატაკქვეშეთში იარსებოს. მას შემდეგ, რაც მისი ღვთისმსახურები და სამწყსო პოლიციამ ყველა ტაძრიდან გააძევა, საეკლესიო მსახურება ტარდება კერძო ბინებსა და აგარაკებზე განთავსებულ ეკლესიებში. ასე რომ, კანონიკური სერბეთის ეკლესია თანამედროვე მაკედონიაში რეალურ დევნას განიცდის და ნამდვილ კატაკომბებში იმალება.

ამგვარად, სერბეთის საპატრიარქოდან განხეთქილების ჩამომგდები „მაკედონიური ეკლესიის“ გამოყოფის პროცესი, რომელიც ფართო ავტონომიის მიღებით დაიწყო, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მაკედონიური ფსევდოავტოკეფალიის თვითგამოცხადებითა და კანონიკური სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ნამდვილი დევნით გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ მომხდარი განხეთქილება ერთხმად დაგმო სრულიად მართლმადიდებლურმა სამყარომ, სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ ჩადენილი დანაშაულებანი პრაქტიკულად შეუმჩნეველი რჩება.

**ელენა მალერ-მატიაზოვა**
rpmonitor.ru

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## მარინე ახალაძე:

# დიდუბის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედმა ხატმა შვილი მაჩუქა

**მარინე ახალაძე 20 წლის განმავლობაში ელოდა ნანატრი შვილის დაბადებას. ვისთან აღარ იმკურნალა, მაგრამ ექიმებში სიარულმა შედეგი არ გამოიღო; ერთხელაც შემთხვევით აღმოჩნდა დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარში — მორწმუნე თანამშრომელს გაჰყვა, რომელსაც გარდაცვლილი დედისთვის პანაშვიდის გადახდა სურდა. თუ რა სასწაული მოხდა ქალბატონი მარინეს ცხოვრებაში, ამას თვითონვე გიამბობთ.**



— ოჯახი სიყვარულით შევქმენით.. დიდებულ ოჯახში შევედი. დედამთილმაც და მამამთილმაც საკუთარი შვილივით მიმიღეს. ჩემი ქმარი დედისერთაა და მეუბნებოდნენ, ჩვენი რძალი კი არა, ქალიშვილი ხარო. მეუღლესთან თავიდანვე არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა.

**— რა ასაკში გათხოვდით?**

— 20 წლის ვხდებოდი, როცა ვაჟამ ცოლობა მთხოვა. მართალია, სტუდენტი ვიყავი, მაგრამ უარი არ მითქვამს. დედამისი შემპირდა, შვილს მე გაგიზრდი, სწავლაში ხელი არ შეგეშლებაო.

**— მეუღლე თქვენზე უფროსია?**

— დიახ, 8 წლით. მის მშობლებს ძალიან უნდოდათ, რომ დაოჯახებულიყო და ყველანაირად შეგვიწყეს ხელი.

**— ჯვარი თუ დაიწერეთ?**

— სამწუხაროდ, არა!.. მაშინ პირწავარდნილი ათეისტი ვიყავი, ურწმუნო თომა. ჩემს მეგობრებს, რომლებიც ტაძარში დადიოდნენ, მოძღვარი ჰყავდათ, მარხულობდნენ და ეკლესიურად ცხოვრობდნენ, დავცინოდი, მასხრად ვიგდებდი. ჯვრისწერა თავში აზრადაც არ მომსვლია.

**— ათეისტურ ოჯახში იზრდებოდით?**

— ბებია მყავდა მორწმუნე, რომელსაც საშინელ დღეში ვაგდებდი. ღრმად მოხუცებული, დაუძლურებული, ავადმყოფი ქალი ტაძარში სიარულსა და ეკლესიურ ცხოვრებას ვერ ახერხებდა, მაგრამ სახლში ყოველთვის ლოცულობდა, თუმცა კომუნისტების შიშით ხატები არ ჰქონდა. ჩემი მშობლები პარტიის წევრები იყვნენ და ღმერთზე, რწმენაზე საერთოდ არ საუბრობდნენ, ტაბუდადებული თემა იყო, მაგრამ ჩემსავით აგრესიული ათეისტები ნამდვილად არ ყოფილან.

**— თქვენმა მეუღლემაც არ მოისურვა ჯვრის დაწერა?**

— ვაჟასაც და მის მშობლებსაც შინაგანი რწმენა ჰქონდათ, მაგრამ ეკლესიურად არ ცხოვრობდნენ. ამდენად, მათი მხრიდან დიდ წინააღმდეგობას არ წავწყდომივარ, როცა განვაცხადე, ქორწინების სასახლეში ხელის მოწერაც საკმარისია ბედნიერი ოჯახის შესაქმნელად, მღვდლის პრუტუნის მოსმენას არ ვაპირებ-მეთქი. მოკლედ, ჩემი გავიტანე. მშობლებმა დიდებული ქორწილი გადაგვიხადეს, კარგი წყვილი ვიყავით, სტუმრებს ჩვენი ყურება სიამოვნებას ანიჭებდა, ისეთი ოჯახი შევქმენით, მერეც ყველანი შემოგვნატროდნენ, მაგრამ ურწმუნობის გამო დავისაჯეთ — ღმერთმა შვილი არ მოგვცა.

**— იმკურნალეთ?**

— ცნობილ ექიმებთან დავდიოდი, ჩემი მეუღლეც რამდენჯერმე გამოიკვლიეს საუკეთესო სპეციალისტებმა, მაგრამ მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. ბოლოს გვითხრეს, ბიოლოგიური შეუთავსებლობაა უშვილობის მიზეზიო.

**— თქვენს ოჯახში ურთიერთობები ხომ არ დაიძაბა?**

— დედამთილ-მამამთილი უკმაყოფილოები იყვნენ და ეს ბუნებრივიცაა, შვილიშვილები უნდოდათ, მაგრამ ჩვენს ურთიერთობაში უხეშად არასოდეს ჩარეულან, ვაჟას არ აგულიანებდნენ, სხვა ქალი შეირთე ცოლადო. იმედი გვქონდა, რომ მკურნალობა შედეგს გამოიღებდა, მაგრამ ღვთის ნებას, თურმე, წინ ვერაფერი დაუდგება. სამწუხაროდ, მაშინ ეს არ ვიცოდი. მოკლედ, 20 წელი ამაოდ ველოდი ნანატრი შვილის დაბადებას.

**— ბავშვის აყვანაზე არ გიფიქრიათ?**

— არა, მე ვიყავი კატეგორიული წინააღმდეგი. ჩემმა ახლობელმა იშვილა სხვისი ბავშვი და საკუთარი თვალით ვნახე, რა დღეში ჩააგდო, როცა ვიღაცამ უთხრა, აყვანილი ხარო. ახლაღა ვხვდები, რომ ყოველივე ღვთის ნება იყო... დიდუბის ეკლესიაში იმ დღეს სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი, თანამშრომელს გავყევი. იქიდან ერთად ვაპირებდით წასვლას ავადმყოფი მეგობრის მოსანახულებლად. თინიკოს სურდა, გარდაცვლილი დედისთვის პანაშვიდი გადაეხადა და ამის თაობაზე მოძღვარს უნდა დალაპარაკებოდა.

**— იცოდით, რომ დიდუბის ტაძარში ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატია დაბრძანებული?**

— არა, წარმოდგენაც არ მქონდა. უბრალოდ, სანამ თინიკო მოძღვარს ესაუბრებოდა, აქეთ-იქით დავდიოდი და ტაძარს ვათვალიერებდი, სანთელიც კი არ დამინთია. უცებ ღვთისმშობლის ხატს წავაწყდი მზერით. ხელში ყრმა იესო უჭირავს... რატომღაც თვალები ცრემლით ამევსო, გული ამომიჯდა და ავქვითინდი. ასე მწარედ არასოდეს მიტირია. ვუყურებ წმიდა მარიამს და გულში ვსაყვედურობ: რა მოხდება, ერთი ბიჭი მეც დამაკავებინო ხელში, შენ რომ გიჭირავს, ისე-მეთქი, თან ღაპაღუპით ჩამომდის ცრემლი, თავს ვერ ვიკავებ. ამასობაში თინიკოც მოვიდა და წამოვედით. გაუკვირდა, ატირებული რომ მნახა, რა დაგემართაო. არ ვიცი, რა მჭირს, ვერ ვწყნარდები-მეთქი, — შევჩივლე და ვუთხარი, რაც წმიდა მარიამის დანახვაზე დამემართა. პირველად მისგან შევიტყვე, დიდუბის ტაძარში ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი რომ იყო დაბრძანებული... დაუჯერებელი ამბავი მოხდა — იმ თვეს გათხოვებიდან 20 წლის შემდეგ, პირველად დავფეხმძიმდი, როცა შვილის გაჩენის ყოველგვარი იმედი გადაწურული მქონდა. შემეძინა ბიჭი, რომელსაც გიორგი დავარქვი, რადგანაც 23 ნოემბერს დაიბადა. მას შემდეგ ეკლესიურად ვცხოვრობ. ჯერ მე მოვინათლე, მერე — ბავშვი, მოგვიანებით ჯვარიც დავიწერეთ.

**— ვაჟაც მოინათლა?**

— მშობლებს ბავშვობაში მოუნათლავთ, მაგრამ ეკლესიის გზა სად იყო, არ იცოდა. იმ სასწაულის მერე, რაც თავს გადაგვხდა, ყველანი მორწმუნეები გავხდით, შაბათ-კვირას ტაძარში დავდივართ გიორგისთან ერთად და სისტემატურად ვმარხულობთ. ძალიან მინდა, ჩემი შვილი სასულიერო პირი გახდეს და უფალს ემსახუროს.

ესაუბრა
**ნინო გოქიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ლობირება დიქტატურის სასარგებლოდ

**ახლახან გაზეთ „Washignton Post“-ში დაიბეჭდა სარედაქციო კომენტარი „უვნებელი“ სათაურით „აშშ რუსეთისაც და საქართველოს მეგობარიც უნდა იყოს“. მისმა ავტორებმა — დემოკრატმა სენატორმა ჯონ კერიმ და რესპუბლიკელმა კონგრესმენმა დევიდ დრაერმა კომენტარის გამოსაქვეყნებლად მაინცდამაინც ხელსაყრელი დრო ვერ შეარჩიეს... ისინი სტატიაში ირწმუნებიან, რომ რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვის“, ამასთანავე, საქართველოს „გამოუცდელი“ დემოკრატიის მხარდაჭერის საუკეთესო საშუალება საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებაა.**



აქ ორი პრობლემა იჩენს თავს: 1. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ერთ-ერთი უმთავრესია, რომლის მიხედვითაც ამერიკა და საქართველო იძულებულნი იქნებიან, გამოძვრნენ დღევანდელი უსიამოვნებებისგან;

2. საქართველოში არაა მოქმედი დემოკრატია, რასაც ხელისუფლების ათიათასობით მოწინააღმდეგე ამტკიცებს. კერი-დრაერის კომენტარის გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათით ადრე, ქართული პოლიცია სასტიკად გაუსწორდა თბილისში აქციის მონაწილეებს და ამისათვის, დემონსტრანტების მტკიცებით, რეზინის ხელკეტები და რეზინის ტყვიები გამოიყენა. შედეგად არაერთი დემონსტრანტი, ოპოზიციის რამდენიმე ლიდერისა და ჟურნალისტის ჩათვლით, საავადმყოფოში აღმოჩნდა. თვითმხილველთა თქმით, პოპშემსრულებელი გიორგი გაჩეჩილაძე მიწაზე დააგდეს და რეზინის ხელკეტით ისე სცემეს, რომ ნეკნი გაუტეხეს. ხელჩართული ბრძოლის დროს პოლიციელები საქართველოს ავტორიტარული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მეტსახელს სკანდირებდნენ.

დემოკრატიის მხარდამჭერი და გაიძვერა პრეზიდენტის საწინააღმდეგო აქციები საქართველოში 2007 წლის ნოემბერში დაიწყო. მაშინ დედაქალაქის მთავარ მოედანზე ნამდვილი დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნით ასი ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა. სააკაშვილი ამ გამოსვლას ძალით დაუპირისპირდა და დემონსტრანტებს სპეცრაზმი მიუქსია, დაბლოკა ოპოზიციური საინფორმაციო წყაროები და საომარი მდგომარეობა გამოაცხადა, რის გამოც მთელმა მსოფლიომ გააკრიტიკა.

გასულ წელს მან სამხრეთ ოსეთში შეჭრითა და რუსეთთან ომის პროვოცირებით ლამის მესამე მსოფლიო ომი დაიწყო. წინა კვირას სააკაშვილი კვლავ დაუბრუნდა დაპატიმრებების თემას, მაგრამ ამჯერად — სამხედრო სფეროში, მან ოფიცრებს სახელმწიფო გადატრიალების მზადებაში დასდო ბრალი. ის რეგულარულად უგულებელყოფს ნებისმიერი სახის ოპოზიციას, ვინაიდან თვლის, რომ მისი რეჟიმის საწინააღმდეგო ნებისმიერი ქმედება მორიგი რუსული შეთქმულებაა, ეს კი ამტკიცებს, რომ სააკაშვილი სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობა „მესამე მსოფლიოს“ წვრილ-წვრილი დიქტატორებისათვის ესოდენ მახასიათებელ პარანოიაში.

კერი-დრაერის კომენტარში კი მსგავსი არაფერი წერია, არსადაა ნახსენები საქართველოს ავტორიტარი პრეზიდენტის სახელიც. სამაგიეროდ, მის მოკლე სტატიაში სიტყვა „დემოკრატია“ სხვადასხვა ვარიაციით შვიდჯერაა გამოყენებული. ორგანიზაცია „Freedom House“-მა ახლახან გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც პრესის თავისუფლების მსოფლიო რეიტინგში საქართველო გადატრიალებებით შელონებულ მავრიტანიაზე ქვემოთაა, ხოლო ავტორიტარული ეგვიპტის დონეზე — 128-ე ადგილზე. ბედის ირონიით, ზუსტად იმავე დღეს, როდესაც კერი-დრაერმა გაზეთში ქართული დემოკრატიის ქებათაქება აღავლინა, „Washington Post“-მა გამოაქვეყნა სარედაქციო კომენტარი, რომელშიც გაკიცხა ავტორიტარობით ეგვიპტეზე არანაკლები საქართველო; არც პრეზიდენტი ბარაკ ობამა დაინდო ეგვიპტელი მმართველის ხოსნი მუბარაკის მიმართ მისი შემრიგებლური პოლიტიკის გამო.

ამის შემდეგ გაზეთი მისთვის ჩვეულ სასწაულებრივ დასკვნას აკეთებს: თურმე, ობამას ადმინისტრაცია ამტკიცებს, რომ ბუშის ადმინისტრაციის ყველაზე საშინელი დანაშაულებები (გუანტანამოში წამებები და ერაყის კატასტროფული ომი) ეგვიპტეში დემოკრატიის განვითარების შესახებ ბუშის ხანმოკლე არაგულწრფელი გამოსვლების შედეგი იყო. დიახ, მიუხედავად ყველა მიზეზისა, რომლებიც ობამამ სახალხოდ განაცხადა გუანტანამოს ოპოზიციისა და ერაყში ომის ასახსნელად, „Washington Post“-მა ყველაფერი უგულებელყო და ობამას სხვისი დიდება მიაწერა. „შექმნა“ რა ეს ყალბი მტკიცებულება, გაზეთის რედკოლეგიამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა და ობამას მიახალა: დღეს, ეგვიპტელი დიქტატორის მიღებისას, ობამა დამნაშავე აღმოჩნდა „მშვიდობისმყოფელობის“ და ახალი „ოსამა ბინ ლადენის, ჰამასისა და სადამ ჰუსეინის“ შექმნაში.

აი, რამდენიმე ციტატა:

**„ობამას ადმინისტრაცია თვლის, რომ ბუშის ადმინისტრაციის მცდელობამ, დახმარებოდნენ ეგვიპტეში დემოკრატიულ პროცესებს, გუანტანამოს ბაზისა და ერაყის ომის მსგავს მორიგ გაფუჭებულ ურთიერთობებთან და ცუდ პიართან მიგვიყვანა. ამიტომ გეიტსმა, ისევე, როგორც მანამდე სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, ბატონი მუბარაკი ქებით აავსო და მიახვედრა, რომ ახალი ადმინისტრაცია არ შეაწუხებს მას ლიბერალი პოლიტიკოსებისა და უფლებათა დამცველების სისტემატური ძალადობრივი დევნის გამო...“**

**„ბატონმა ბუშმა დემოკრატიული ცვლილებების მოთხოვნასთან დაკავშირებით უამრავი ეგვიპტელის თანხმობა მიიღო. მას აკრიტიკებდნენ იმის გამოც, რომ ბოლომდე არაფერი მიიყვანა. ახლა კი რეგიონში არაბები გაიგებენ, რომ ობამას ადმინისტრაცია ძველ ამერიკულ პოლიტიკას უბრუნდება, რომელიც უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის სანაცვლოდ თვალს ხუჭავდა არაბი დიქტატორების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევებზე, ანუ უბრუნდება სწორედ იმ პოლიტიკას, რომელმაც გააჩინა ბინ ლადენის, ხამასისა და სადამ ჰუსეინის ახლო აღმოსავლეთი“.**

**,,Washington Post“-ის ფურცლები კვლავაც იმისათვის გამოიყენება, რომ გაათეთრონ ბუშის სამხედრო დანაშაულობანი და კატასტროფული ომები, რომელსაც გაზეთი თავიდანვე იცავდა. ეგვიპტეში ადამიანის უფლებების მხრივ შექმნილი სიტუაციის მაკრიტიკებელი სტატია ობამას მომავალი ომების შექმნაში ბრალმდებელი სტატიის გვერდით იმიტომაა, რომ ის ეგვიპტის ავტორიტარული ორეულის საქართველოს გამაკეთილშობილებელ კერი-დრაერის მასალის გვერდით არ აღმოჩენილიყო.**

**ყოველივე ეს კი იმის გამო ხდება, რომ, როგორც წლის დასაწყისში გვაცნობეს, ქართველმა დიქტატორმა სამი ლობისტური ჯგუფი და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპანია დაიქირავა, რათა შეერთებულ შტატებში რესპუბლიკის იმიჯი გამოასწოროს. ამერიკას ნამდვილად შეუძლია სააკაშვილის რეჟიმის ბედის გადაწყვეტა, რადგან ისიც და მისი პროდასავლური ოპოზიციაც ამერიკაში ეძებენ პოლიტიკურ, სტრატეგიულ და მორალურ დასაყრდენს აგრესიული ჩრდილოელი მეზობლის რუსეთის წინააღმდეგ. 2003 წელს სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის საქმეში ამერიკამ გადამწყვეტი როლი შეასრულა და თუ ახლა შევწყვეტთ მის მხარდაჭერას, საქართველოს მმართველი ძალაუფლებას რამდენიმე კვირით თუ არა, რამდენიმე თვით მაინც დაკარგავს.**

ამერიკის კონგრესის მოღვაწეობის გამშუქებელი გაზეთი „The Hill“-ის მარტის ნომერი იუწყებოდა, რომ **სააკაშვილმა 300 ათას დოლარად ღირებული ხელშეკრულება გააფორმა გავლენიან ლობისტურ ფირმა „Public Strategies Inc“-თან, რომელსაც დემოკრატიულ პარტიასთან კარგი კონტაქტები აქვს, რათა მან საქართველოს შესახებ მიმოხილვები ამერიკულ პრესაში „გააკეთილშობილოს“.**

**საქართველომ ასევე დაიქირავა მეორე ლობისტური ფირმა „Glover Park Group“ (არანაკლებ სერიოზული კონტაქტებით დემოკრატიულ პარტიასთან), ხოლო ორ ამერიკელს, ასევე დემოკრატებთან დაახლოებულ პირებს, საქართველოს იმიჯის გასაუმჯობესებლად ლამის 500-ათასიანი ჰონორარი შესთავაზა. შარშანდლამდე საქართველო კიდევ ერთ ლობისტურ კომპანიას „Orion Strategies“-ს უხდიდა თანხას იმავე დავალების შესრულებისთვის. გავიდა ორი თვე, რაც პრესაში გაჟონა ინფორმაციამ საქართველოს ახალი პიარკამპანიის შესახებ და ვიხილეთ კიდეც არაჩვეულებრივად გაშალაშინებული სტატია, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტის სახელი ნახსენებიც კი არაა, სამაგიეროდ, ფართოდაა რეკომენდებული საქართველოსა და ამერიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის დაწესება, ისიც, არა ამერიკელი ხალხის სასარგებლოდ, არამედ ქართველი ხალხის დემოკრატიული და ეკონომიკური მისწრაფებების მხარდასაჭერად.**

**მშვენივრად ვიცით, რას მიიღებენ ამ ყველაფრისაგან „Public Strategies Inc“, სააკაშვილი და კერი-დრაერი, მაგრამ „Washington Post“-ს რა ხეირი?**

**„THE NATION“, აშშ**

# მსოფლიო ახალი თაობის იარაღზე გადადის

**ექსპერტების თქმით, შეიარაღების განვითარება ზღვარს აღწევს, როდესაც აღარ არსებობს შექმნილი ნიმუშების ზემოქმედების მნიშვნელოვნად გაზრდის შესაძლებლობა. თანამედროვე ცეცხლსასროლ იარაღში ნივთიერებათა ქიმიური ურთიერთქმედების ენერგია გამოიყენება. ეს ფიზიკური პროცესია და, ჩვეულებრივ, წვას აფეთქებად გარდაქმნის.**



ზემოქმედების ეფექტისათვის, ძირითადად, კინეტიკური ელემენტების (ტყვია, ჭურვი, ნამსხვრევები) დარტყმა გამოიყენება. მაგრამ ამ მეთოდის შესაძლებლობები მაქსიმალურადაა ათვისებული და სამხედრო ექსპერტები თავს არ ზოგავენ, რათა არატრადიციულ უახლეს პრინციპებზე დაყრდნობით შექმნან ახალი იარაღი, რომლის ერთ-ერთ სახეობად შესაძლოა, იქცეს გენერატორებზე დაფუძნებული იარაღი, რომელიც ელექტრომაგნიტური ან აკუსტიკური ტალღების საშუალებით მოახდენს მიზანზე ზემოქმედებას. ელექტრომაგნიტური გამოსხივების გენერატორებზე აგებული იარაღი ადამიანის შიშველ კანზე ეგრეთ წოდებული „ADT“-ს (ტერიტორიაზე ცოცხალი ძალის დაუშვებლობის) პრინციპით იმოქმედებს. ადამიანი ვერ უძლებს თერმული ინდუცირების ტკივილს და აღნიშნულ მეთოდშიც სწორედ ეს ეფექტი გამოიყენება. ტკივილის ინტენსივობა კანის ტემპერატურაზეა დამოკიდებული, ელექტრომაგნიტური ტალღების ინტენსიური ზემოქმედების შედეგად კანი ჯერ 45 გრადუსამდე ხურდება, შემდეგ კი ტემპერატურა სწრაფად იზრდება 55 გრადუსამდე. ცნობილია, რომ „ADT“-ს მეთოდი არ იწვევს დამწვრობებს და ხანგრძლივ ტანჯვას. მისი კომპლექსები წარმატებით გამოიყენეს ერაყში. ვინაიდან ამ ტიპის იარაღი არალეტალურად ითვლება, ფართოდ გამოიყენება შეიარაღებული არეულობების ჩასახშობადაც.

ახალი იარაღის კიდევ ერთი სახეობაა „აღგზნებული ბრბოს დამაყრუებელი ხმაურით დაშლა“. ეს მეთოდია ეგრეთ წოდებული „Medusa“. მიკროტალღები თავში ისეთ ცვლილებებს იწვევს, რაც სმენის სისტემის მიერ ხმაურად აღიქმება და ადამიანი მწყობრიდან გამოჰყავს. ამ მეთოდზე დაყრდნობით სავსებით შესაძლებელია ისეთი იარაღის შექმნა, რომელიც ადამიანის ტვინს რაიმე გარეგანი დაზიანების გარეშე საბოლოოდ გამოიყვანს მწყობრიდან.

აქტიურად იკვლევენ აკუსტიკური გამოსხივების კომპლექსის შექმნის პრობლემებს. მისი მიზანიც ადამიანის მწყობრიდან გამოყვანაა. ერთ-ერთი ამგვარი ნიმუში „LRAD“-ის მეთოდია, რომელიც აკუსტიკური გამოსხივების შორ მანძილზე მოქმედების ბადეს წარმოადგენს. მისი გამოყენების შემდეგ დაზარალებულთა შორის ზოგიერთს დროებითი ამნეზია ემართება, ზოგს ფსიქოფიზიოლოგიური ფუნქცია ერღვევა, ზოგიც გონებას კარგავს. მეოცე საუკუნის შუა ხანებში ინფრახმოვან გამოსხივებას შენობების დანგრევისა და ადამიანის შინაგანი ორგანოების განადგურების უნარსაც მიაწერდნენ, თუმცა ეს ყოველივე არ დადასტურდა. სამაგიეროდ, აღნიშნულ მეთოდს ნამდვილად შეუძლია შინაგანი ორგანოებისა და, ზოგადად, ცოცხალი ძალის მწყობრიდან გამოყვანა, რის გამოც იგი სამხედრო ექსპერტების ინტერესის სფეროში რჩება. 2006 წელს ლიბანში ერთ-ერთი ოპერაციის ჩატარების შედეგად შენობაში ადამიანებმა სხვადასხვაგვარი დაზიანება მიიღეს. იყვნენ დაღუპულებიც. მაშინ ამბობდნენ, რომ ეს ყველაფერი ულტრახმოვანი ბომბის ზემოქმედების შედეგი იყო და. მართალია. ასეთი ბომბი საკმაოდ ძნელი წარმოსადგენია, ვერავინ იტყვის, რომ მისი შექმნა შეუძლებელია. მეტსაც გეტყვით, 2007 წლის 7 ნოემბერს, თბილისში მიტინგის დაშლისას. თანამედროვე ულტრაბგერითი იარაღის გამოყენებაზე უკვე ღიად საუბრობენ. წინასწარი ვარაუდით, 2010-2015 წლები ახლებური იარაღის ზემოქმედების ეფექტიანობის მკვეთრი ზრდით აღინიშნება, რაც აუცილებლად გამოიწვევს მსოფლიო შეიარაღებისა და ამ შეიარაღების გამოყენების კონცეფციების გადახედვას.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# თბილისის ყოფილი მთავარი არქიტექტორი და დილარ ხაბულიანი პროფესორებს მიწის ნაკვეთს ართმევენ?

**ავთანდილ ლილუაშვილი:**

# თუ მიწის წართმევაზე მიდგა საქმე, მესაკუთრეები პარლამენტის შენობასთან თავს დაიწვავენ

**ქვეყნის მოწყობის ერთობ „ნოვატორული“ იდეებით განმსჭვალულ „ნაცმოძრაობელთა“ ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე, პირველი, რაც გაკეთდა, ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების გასხვისება იყო. შედეგად, ბოლო ექვსი წლის მანძილზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უდიდესი ნაწილი გაიყიდა და, როცა ქვეყანაში გასაყიდი აღარაფერი დარჩა, სააკაშვილის რეპრესიულმა მანქანამ კერძო საკუთრების უკანონო მიტაცებას მიჰყო ხელი... აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ეს კეთდებოდა და კეთდება არა ბიუჯეტის შესავსებად, არამედ — ხელისუფლების მხრიდან ერთგული ხელქვეითების მომადლიერების მიზნით...**



**ამის „თვალსაჩინო“ მაგალითია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებსა და შპს „დამიანეს“ ხელმძღვანელობას შორის დაწყებული დავა სოფელ დიღომში მდებარე სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მფლობელობის შესახებ, რომელიც უკვე წლებია, მიმდინარეობს და იმის მიუხედავად, რომ შპს „დამიანეს“ ხელმძღვანელობამ საკუთარი სიმართლის დამადასტურებელი ვერანაირი იურიდიული მტკიცებულება ვერ წარმოადგინა, სასამართლომ დღემდე ვერ დაადგინა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება...**

**მიზეზი მარტივია — შპს „დამიანეს“ ხელმძღვანელი დავით ახვლედიანი სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული პირია და მის ზურგს უკან „ნაცმოძრაობის“ მთელი არმადა დგას...**

**სასამართლო, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ორცეცხლშუა აღმოჩნდა — ერთი მხრივ, „ნაცების“ მიერ ზურგშემაგრებული დავით ახვლედიანი და, მეორე მხრივ, კანონი და სამართალი... პრეცედენტების გათვალისწინებით, ძნელი მისახვედრი არაა, რომელს მიანიჭებს „მართლმსაჯულება“ უპირატესობას.**

**მიმდინარე სასამართლო დავის შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ სადავო მიწის ნაკვეთის ერთ-ერთ მფლობელს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ყოფილ პრორექტორს, პროფესორ ავთანდილ ლილუაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო ავთანდილ, ვიდრე სასამართლო პროცესის პერიპეტიებზე ვისაუბრებთ, გკითხავთ, ამჟამად რომელ ადმინისტრაციულ ერთეულს ეკუთვნის სადავო მიწა?**

— დღევანდელი მდგომარეობით, ეს ნაკვეთი ეკუთვნის სოფელ დიღომს... 1985 წელს დაიწყო დიდი დიღმის განაშენიანება და ათვისება, გაიცა შესაბამისი დოკუმენტები და მაშინდელი მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ნაკვეთი გადაეცა თბილისს (მანამდე ეკუთვნოდა მცხეთას). 1990 წლის 12 სექტემბერს მინისტრთა საბჭომ მიიღო ახალი დადგენილება (№494), რომელსაც ხელს აწერდა ფაცაცია და მიწა ისევ მცხეთას დაუბრუნდა. ეს არის დაახლოებით სამი ჰექტარი მიწის ფართობი, რომელიც შემდგომ გადმოგვეცა ჩვენ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ მასწავლებლებს, ვინაიდან ინსტიტუტი წლების მანძილზე ვერ გვიხდიდა ხელფასებს და სახელმწიფოს ჩვენი ვალი მართებდა. ამის დამადასტურებელი ყველანაირი იურიდიული დოკუმენტაცია არსებობს და შეტანილია სასამართლოში...

რაც შეეხება ჩვენს მოდავეს, მას ნაკვეთის მფლობელობის არანაირი იურიდიული საბუთი არ გააჩნია. ვგულისხმობ შპს „დამიანეს“ ხელმძღვანელს, თბილისის ყოფილ მთავარ არქიტექტორს დავით ახვლედიანს, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს ნაკვეთი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამსახურის ნებართვით შეიძინა. ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია, ამ ნაკვეთის გაცემა თბილისს არ შეეძლო, რადგან მიწა ეკუთვნოდა მცხეთას, თან იმ დროს, როცა ვითომ შეიძინა ახვლედიანმა, უკვე გადაცემული იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის კერძო საკუთრებაში. ამასთან, იმ რაღაც შეთითხნილ საბუთებში, რომელიც „დამიანემ“ წარმოადგინა და რომელსაც არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნია, მითითებული არაა, რა კატეგორიის მიწის ნაკვეთი გადაეცა ამ ორგანიზაციას — სასოფლო-სამეურნეო თუ არასასოფლო დანიშნულების. მცხეთის საჯარო რეესტრში ეს მიწა რეგისტრირებულია სასოფლო დანიშნულების ნაკვეთად და, თუ თბილისმა გასცა როგორც არასასოფლო მიწა, მაშინ მფლობელს ყოველ კვადრატულ მეტრში უნდა გადაეხადა სამი ლარი და შვიდი თეთრი. ეს რომ სამ ჰექტარზე გადავამრავლოთ, უზარმაზარი თანხა გამოდის, თუმცა „დამიანემ“ ვერც იმის დამადასტურებელი საბუთი წარმოადგინა, რომ ამ გადასახადს კეთილსინდისიერად იხდიდა... ამით ყველაფერი ნათელია —

**სადავო მიწის ნაკვეთი „დამიანეს“ გადაეცა არა კანონიერად, მიყიდვის წესით, არამედ ისე, საჩუქრად... ვინაიდან ამ ორგანიზაციის ზურგს უკან დგანან ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთა „საქმიანობის“ სფერო სწორედ ასეთი უკანონო ქმედებებია.**

შემიძლია კონკრეტული პიროვნებების დასახელებაც: დეპუტატი დილარ ხაბულიანი და ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატი რომან მარსაგიშვილი. ეს პიროვნებები წლების მანძილზე მფარველობდნენ და დღემდე მფარველობენ ისეთ ადამიანებს, როგორიც დავით ახვლედიანია; დღემდე მათ უკანონოდ გაყიდეს არა ერთი სახელმწიფო ქონება და კერძო საკუთრება. მაგალითად, დიღმის ბაზრობიდან მოვაჭრეების გამოყრაც მათი „დამსახურება“ იყო... მერე, როგორც მოგეხსენებათ, ბაზრობის ტერიტორია რომელიღაც სამშენებლო ფირმას მიჰყიდეს, თავად კი უზარმაზარი თანხა ჩაიჯიბეს...

**— როგორც ამბობთ, თუ შპს „დამიანეს“ მიწის კანონიერი მფლობელობის დამადასტურებელი შესაბამისი იურიდიული დოკუმენტაცია არ გააჩნია, რის საფუძველზე გიჩივით ორგანიზაციის ხელმძღვანელი ახვლედიანი სასამართლოში?**

— ჯერ ერთი, საბუთების შედგენას რა უნდა, როცა ზურგს ხელისუფლების წარმომადგენლები გიმაგრებენ, და მეორე, სასამართლო პროცესის მოსაგებად ამ ხალხს დოკუმენტაციები არ სჭირდება... იმ უკანონო საბუთებში, რაც ახვლედიანმა წარმოადგინა, წერია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 23 მაისის №190 დადგენილებით სოფელ დიღომში მდებარე სამი ჰექტარი მიწის ნაკვეთი გადაეცა ქართული ტრადიციების აღორძინების საზოგადოება „დამიანეს“, ხოლო 1999 წლის №1 რეგისტრატორის მიერ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა შპს „დამიანეზე“... მოგვიანებით, როცა დაიწყო სასამართლო დავა ახვლედიანსა და ჩვენ შორის, 1997 წლის მთავრობის დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ქართული ტრადიციების აღორძინების საზოგადოების ნაცვლად ჩაიწერა შპს „დამიანე“... სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს შეუსაბამობაც მოწმობს, რომ დავით ახვლედიანი არ არის ამ მიწის კანონიერი მესაკუთრე და მას ნაკვეთზე რაიმე პრეტენზიის განცხადების არანაირი უფლება არ აქვს...

**— თუ შეხვდით უშუალოდ დავით ახვლედიანს და თუ გქონდათ მასთან მიმდინარე სასამართლო დავასთან დაკავშირებით საუბარი?**

— მე მას არ შევხვედრივარ, მაგრამ რამდენიმეჯერ შემომითვალა, — იქნებ რამენაირად მოვილაპარაკოთ და მოვრიგდეთო. ის გვთავაზობს, რომ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების კანონიერი ქონება შუაზე გავყოთ და ნახევარი მას გადავცეთ. ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკება ასე მესმის. ჩვენ, რა თქმა უნდა, უარი ვთქვით — ეს არის ჩვენი კანონიერი საკუთრება, ჩვენი სარჩო და გასაყოფი არავისთან არაფერი გვაქვს... თუ ქვეყანაში ხუთი პროცენტი სამართალი მაინცაა, სიმართლე უნდა გაირკვეს და ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს მტყუან-მართალი...

ჩვენ სადავო არაფერი გვაქვს, ყველა საბუთი სასამართლოს უკვე წარვუდგინეთ და ახლა ყველაფერი მართლმსაჯულებაზეა დამოკიდებული...

**— სასამართლო პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს თუ შეჩერებულია?**

— უკვე დიდი ხანია, პროცესი მიმდინარეობს... „ბაბუამ დაიწყო და შვილიშვილმა დაამთავრაო“, — ასეა ჩვენი საქმე... ხან გვეუბნებიან, ჯერ მოსამზადებელი პროცესი უნდა დასრულდესო, ხან უმიზეზოდ გადადებენ ხოლმე სხდომას და საბოლოო დასკვნას დღემდე ვერ ვეღირსეთ; დავდივართ ასე, უშედეგოდ და... ზოგს იმის ფულიც არ აქვს, მოვიდეს და სასამართლო პროცესს დაესწროს...

**— ვთქვათ, სასამართლომ თქვენი მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება, აპირებთ თუ არა, მიმართოთ საერთაშორისო სასამართლოს?**

— რა თქმა უნდა, თუ აქ არაფერი გამოგვივა, ევროპის სასამართლოში შევიტანთ სარჩელს. არავითარ შემთხვევაში არ წავალთ დათმობაზე. ჩვენთან ისეთი ხალხია, თუ მიწის წართმევაზე მიდგა საქმე, მესაკუთრეები პარლამენტის შენობასთან თავს დაიწვავენ...

**— სასამართლოს გარდა, თუ მიმართეთ რომელიმე სხვა დაწესებულებას ან დეპუტატს, ან, თუნდაც, პრეზიდენტს?**

— ამ რამდენიმე ხნის წინათ პრეზიდენტს მივმართეთ და გამოგვიგზავნა საპასუხო წერილი: — „დამსახურებულ ხალხს კანონიერებას ნუ დაუკარგავთო“... ჩვენ მეტი არც გვინდა — ჩატარდეს სასამართლო პროცესი მიუკერძოებლად და მტყუან-მართალიც გაირკვევა...

**— რა შედეგი გამოიღო პრეზიდენტის წერილმა?**

— არა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ სასამართლო დავაზე სერიოზული გავლენა მოეხდინა... მართალია, ამ წერილის შემდეგ მიწის მესაკუთრეებს ნაკვეთების პრივატიზების უფლება მოგვცეს (ვისაც დღემდე არ ჰქონდა პრივატიზებული), მაგრამ პრობლემა ამით არ გადაჭრილა — დავა გრძელდება და ვის სასარგებლოდ დამთავრდება, ჯერ კიდევ საკითხავია...

**— თუ გაქვთ ინფორმაცია, რისთვის სჭირდებათ ხაბულიანს, მარსაგიშვილსა და ახვლედიანს ეს ნაკვეთი, აპირებენ რაიმეს აშენებას თუ...**

— ალბათ, კორპუსებს ააშენებენ ან რომელიმე სამშენებლო კომპანიას მიჰყიდიან და ფულს აიღებენ. ეგენი ხომ ამ საქმის პროფესიონალები არიან?!

**სხვათა შორის, მაგათთანაა შეკრული პარლამენტარი ხათუნა გოგორიშვილიც, უკვე დიდი ხანია, „საქმეში“ ერთად არიან. ასე რომ, ამ ნაკვეთის მყიდველის მოძებნა არ გაუჭირდებათ...**

„ვირი იყოს და საპალნე ყოველთვის გამოჩნდებაო“, — ასეა ამათი საქმე...

**— როდის დასრულდება სასამართლო პროცესი და თუ გაქვთ იმედი, რომ საკითხი თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება?**

— როდის დამთავრდება, არ ვიცი, მაგრამ შედეგი ობიექტური უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც გითხარით, უკან არ დავიხევთ, ვიბრძოლებთ ბოლომდე და ამ კრიმინალებს მოსამართლესაც ზედ მივაყოლებთ...

**P.S. შპს „დამიანესა“ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს შორის მიმდინარე სასამართლო დავის შესახებ პროცესში ჩართულმა ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდა. მისი ცნობით, არ არსებობს არანაირი მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ 1997 წელს (როცა „დამიანეს“ ნაკვეთი გადაეცა) მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება მიწის გამოყოფასთან დაკავშირებით. მისივე განმარტებით, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში (სადაც ინახება მთავრობის ყველა დადგენილება) არანაირი მასალა არ მოიპოვება 1997 წლის დადგენილების თაობაზე... უფრო მეტიც, გამოძიების შედეგად ცნობილი გახდა, რომ თბილისის მერიის (რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამონაცვლეა) არქივში მსგავსი მასალები შესანახად არც შესულა, რაც თავისთავად გამორიცხავს შპს „დამიანეს“ საკუთრებაში სადავო მიწის ნაკვეთის არსებობას. ამასთან, ეს გარემოებები აშკარას ხდის, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 23 მაისის დადგენილება ან საერთოდ არ არსებობდა და შემდეგ შეიქმნა, ან მიღებულია კანონდარღვევით და უფლებამოსილების გადამეტებით.**

**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# რომელ ვალუტას შეუძლია შეცვალოს დოლარი: იუანს, ევროს თუ ამეროს?

## ბერია „მწვანისათვის“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაყიდვას აპირებდა

**მთავარი მოგება მეორე მსოფლიო ომში ამერიკამ ნახა, რადგან თავისი ეკონომიკა საბრძოლო წარმოებაზე გადააწყო და მოირგო მთელი მსოფლიოს საფინანსო და სავაჭრო სისტემა. 1944 წელს ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებით არა მხოლოდ გამოცხადდა დოლარი მსოფლიო ვალუტად, არამედ შეიქმნა მსოფლიო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი; მოგვიანებით — დღევანდელი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინამორბედი ორგანიზაცია. იგი 1994 წლამდე აწესრიგებდა საერთაშორისო ვაჭრობის ყველა წესს, ფაქტობრივად კი ხსნიდა სავაჭრო ბარიერებს ამერიკული საქონლის გზაზე მსოფლიოში. როდესაც ვერ მიიღო დაპირებული 6 მილიარდი დოლარი, 1945 წლის ბოლოს სტალინმა პირადად დაადო ვეტო სსრ კავშირის შესვლას ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებაში. მაგრამ ამან არ შეაშინა აშშ. პირიქით, სოციალიზმის ბანაკი ამერიკისთვის კარგი საფრთხობელა გახდა წითელი საფრთხის წინააღმდეგ მოკავშირეთა შესამჭიდროებლად. მარტო ომისგან დანგრეულ ევროპაზე (მისი დასავლეთი ნაწილის) დახმარებისათვის მარშალის გეგმით 13 მილიარდი დოლარი გამოიყო.**



**გენერალმა დე გოლმა (მარცხნივ) პირველმა მოსთხოვა აშშ პრეზიდენტს ლინდონ ჯონსონს ქაღალდის დოლარის სუფთა ოქროთი შეცვლა**

გამწვავდა „ცივი ომიც“. მთავარი არენა გახდა ნაწილებად დაყოფილი გერმანია. სსრ კავშირს არ შეეძლო, უზრუნველეყო აღმოსავლელი გერმანელების ცხოვრების ისეთი დონე, როგორც ამას იანკები დასავლეთ ნაწილში აკეთებდნენ. აი, მაშინ გაჩნდა ბერიას საიდუმლო გეგმა — დასავლეთისათვის 20 მილიარდ დოლარად მიეყიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა! იმ დროისათვის ეს ფანტასტიკური თანხა იყო. მის დახარჯვას აპირებდნენ რუსეთის აღსადგენად. სხვათა შორის, გაყიდვას აპირებდნენ იმ პირობით, თუ გაერთიანებული გერმანია გახდებოდა ნეიტრალური. მაგრამ მალე „ამხანაგმა ბერიამ ნდობა დაკარგა“, იგი დახვრიტეს. ბერლინში კი დასავლური ცხოვრების უპირატესობას ცნობილი კედლით „გამოეყვნენ“.

— გაყიდვის გეგმა გონივრული იყო, — ამბობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ევროპის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ვალენტინ ფედოროვი. — ნეიტრალური გერმანია გახდებოდა ბუფერი ორ სამხედრო ბლოკს შორის. გორბაჩოვმა კი გერმანია გააერთიანა უფასოდ და იგი გახდა ნატოს წევრი.

ჩვენ კი, დავუმატებ, დაგვრჩა გდრ-ის, ჩსსრ-ისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა მოკავშირეების ვალი.

მაგრამ დასავლეთის ქვეყნების სწრაფმა აღდგენამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ამერიკას თავის ბანაკში კონკურენტები გაუჩნდა.

### გენერალ დე გოლის ოქროს ამბოხი

ამ ხმამაღალი ისტორიის საბაბი, თითქოს, ანეკდოტი გახდა, რომელიც გენერალს ნაცნობმა ფინანსისტმა უამბო. „აუქციონზე გამოიტანეს რაფაელის ნახატები. არაბმა ნავთობი შესთავაზა, რუსმა — ოქრო, მაგრამ ამერიკელმა ყველას დაასწრო და შედევრი 10 ათას დოლარად იყიდა!“ გამოცდილმა მეომარმა ვერ გაიგო იუმორი. ფინანსისტმა განუმარტა, რომ ამერიკელმა ასი ასდოლარიანი ბანკნოტის წარდგენით, ფაქტობრივად, რაფაელი სამ დოლარად იყიდა. ქაღალდი, რომელზეც დაბეჭდილია კუპიურა, ხომ სამი ცენტი ღირს.

ანეკდოტი გულში მოხვდა გენერალს. იგი მოგვიანებით მოიფიქრებს, მისი შეხედულებით, გენიალურ სტრატეგიულ მანევრს, თუ როგორ შეცვალოს მსოფლიოს ომისშემდგომი საფინანსო წყობა. მან ამბოხისათვის ხელსაყრელი მომენტი შეარჩია. ამერიკა ვიეტნამთან ომში გაიხლართა, საზოგადოებრივი აზრი კი გმობდა აგრესიას.

1965 წლის 4 თებერვალს პრეზიდენტმა ოქროსთან დაკავშირებით ელისეს სასახლეში პრესკონფერენცია მოიწვია, „ძნელია იმის წარმოდგენა, რომ გვქონდეს რაიმე სხვა სტანდარტი ოქროს გარდა... საერთაშორისო გაცვლაში უმაღლესი კანონი, ოქროს წესი, უნდა აღვადგინოთ, — ესაა ვალდებულება, უზრუნველვყოთ სხვადასხვა სავალუტო ზონის საგადამხდელო ბალანსის თანასწორობა ოქროს ნამდვილად შემოსვლისა და ხარჯვის გზით“. მეამბოხემ შეფარვით გამოაცხადა, რომ დოლარი გამოეყენებინათ საერთაშორისო ანგარიშგებებში და ერთიან ოქროს სტანდარტზე გადასულიყვნენ. სიტყვას საქმე მოჰყვა. ბრეტონ-ვუდსში დოლარი მსოფლიო ვალუტად დაამტკიცეს ოქროს უზრუნველყოფით — 35 ბაქსი უნციაზე. აშშ პრეზიდენტ ჯონსონთან შეხვედრაზე გენერალმა 1,5 მილიარდი ქაღალდის დოლარის სუფთა ოქროზე ოფიციალური კურსით გაცვლა მოითხოვა და ოკეანის გადაღმა „მწვანე ფანტებით“ დატვირთული გემები გაგზავნა. ჯონსონი გენერალს სერიოზული პრობლემების შექმნით დაემუქრა, მაშინ დე გოლი ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან გამოვიდა და საფრანგეთის ტერიტორიიდან 29 სამხედრო ბაზის ევაკუაციის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა.

ამერიკელებს „ფანტების“ გადაცვლა მოუხდათ. ამბობენ, ორი წლის განმავლობაში დე გოლმა სახელგანთქმული ფორტ-ნოქსი 3 ათასი ტონით შეამსუბუქა, სამაგიეროდ, ჩამოიშორა ქვეყანაში დაგროვილი თითქმის ყველა ბაქსი. მეამბოხე გამოიყვანეს დიდი პოლიტიკიდან. 1968 წლის მაისში პარიზში მოულოდნელად იფეთქა ცნობილმა სტუდენტურმა მღელვარებამ. დე გოლი გადადგა. 1970 წელს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა, მაგრამ გენერლის საქმეს გამგრძელებლები გამოუჩნდნენ — სხვა ქვეყნებმაც გადაწყვიტეს, თავიანთი ბაქსები ფონტ-ნოკსის ოქროზე გადაეცვალათ. საჭირო გახდა ფარდულის სასწრაფოდ დახურვა. 1971 წლის 15 აგვისტოს აშშ პრეზიდენტმა ნიქსონმა ტელევიზიით გამოაცხადა, რომ ამიერიდან დოლარის ოქროთი უზრუნველყოფა უქმდება. ამასთან ერთად, მოახდინეს „მწვანის“ დევალვაციაც.

### ბაქსმა აიშვა

საგრძნობლად გაიაფებულმა დოლარმა მსოფლიო ლიდერობა მაინც შეინარჩუნა. სერიოზული კონკურენტები მას არ აღმოაჩნდა. სხვა ვალუტები არ იყო მიბმული ოქროზე ჯერ კიდევ ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებით. შეიძლება, დე გოლს კიდეც გაერისკა ფრანკის ინტრიგებთან დაკავშირება, მაგრამ იგი უკვე საფლავში იყო. დოლარმა კი გააგრძელა თავისი ტრიუმფალური სვლა. ოქროსაგან გათავისუფლება საშუალებას იძლეოდა, სრული დატვირთვით აემუშავებინათ საბეჭდი დაზგა.

ბაქსს იმ წლებში ბევრი ავანტიურა ჰქონდა. არაბი შეიხები იაფ ნავთობზე ძალიან ბევრს გამოიმუშავებდნენ, მაგრამ ნავთობდოლარების დაბანდება დასავლეთის მრეწველობაში არ შეეძლოთ, რადგან იქ მათ არ უშვებდნენ. შეიხები ბაქსებს ნაწილობრივ ხარჯავდნენ ფუფუნებაზე, დანარჩენს დასავლეთის ბანკებში ტოვებდნენ. ბანკები, შინ დიდი ინფლაცია რომ არ შექმნოდათ, ამ ფულს სთავაზობდნენ ყველას, ვისაც სურდა. დიდ სესხებს იღებდნენ პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, მექსიკა, არგენტინა, ჩილე, ბრაზილია... მაშინ ფული თავზესაყრელი იყო, განაკვეთები — საკმაოდ დაბალი. მოულოდნელად ამერიკამ მკვეთრად გაზარდა განაკვეთი, დოლარმა ზეაღსვლა დაიწყო და ყველა მსესხებელი დიდ ვალებში აღმოჩნდა. დაიწყო დეფოლტები, ყველაზე დიდი იყო მექსიკაში, 1982 წელს.

იყო კიდევ იდუმალი ისტორია ჩაუშესკუსთან დაკავშირებით. აღმოსავლეთ ევროპაში ყველა „ხავერდოვანმა რევოლუციამ“ უსისხლოდ ჩაიარა. მხოლოდ რუმინეთში მოხდა მკაცრი სისხლიანი გადატრიალება, რომელიც ჩაუშესკუს და მისი ცოლის ნაჩქარევი დახვრეტით დასრულდა. ეს აჯანყებული ხალხის რისხვა იყო? როგორღაც დაავიწყდათ, რომ რუმინეთმა დასავლეთში ბევრი ვალი დაიგროვა იმისი იმედით, რომ მოახდენდა მშობლიურ ეკონომიკურ სასწაულს. სინამდვილეში კი აღმოჩნდა სავალო კაბალაში. ქამრის მოჭერის, რამდენიმეწლიანი შიმშილობის ფასად ჩაუშესკუმ შეძლო კრედიტების გასტუმრება. 1989 წელს რუმინეთი გახდა პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც გათავისუფლდა დასავლეთის ვალებისაგან. სხვა მევალეებისათვის ჭკუის სასწავლებლად, იმავე წელს ცოლ-ქმარი ჩაუშესკუები სასამართლოსა და გამოძიების გარეშე დახვრიტეს.

### ევრო დაბომბეს

საბჭოთა კავშირის კრახით დოლარმა დაიპყრო ყოფილი სოციალისტური ბანაკის ბაზრები და ტერიტორიები. იცოცხლე და იხარე!

მაგრამ ამბოხებული დე გოლის მიერ ჩაყრილმა თესლმა გაიხარა. ევროპამ ეკონომიკურად გაერთიანება დაიწყო. 1999 წლის 1 იანვარს ევროპის ქვეყნებმა საერთო ვალუტის — ევროს შექმნის შესახებ გამოაცხადეს. მას აშკარად ჰქონდა მსოფლიო როლზე პრეტენდენტობა.

მისი საწყისი კურსი დოლარზე უფრო მკაცრი იყო — 1,174 დოლარი 1 ევროზე. უკვე 24 მარტს ნატოს არმიამ ომი დაიწყო იუგოსლავიაში. შემთხვევითი დამთხვევაა? ამერიკელებმა დაიწყეს ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების დაბომბვა ევროპის ცენტრში. ქვეყნის მრეწველობისა და სატრანსპორტო ობიექტების საერთო ზარალი 1 მილიარდ დოლარად შეაფასეს. მაგრამ იმ უცნაურმა ომმა უფრო მეტი ზარალი მიაყენა ახლადწარმოქმნილ ვალუტას. პირველი წლის ბოლოს ევრო დოლარამდე ჩამოვარდა, მომდევნო წელს კი — 0,82 დოლარამდე. ბიძია სემმა თვალსაჩინოდ გვიჩვენა, რომ დოლართან ხუმრობის ნებას არავის მისცემს.

### დოლარის კურსი 3-5 წლის შემდეგ მკვეთრად დაეცემა

— დოლარს ნამდვილი მესაფლავე გამოუჩნდა, — მითხრა ეკონომისტმა ანდრეი კობიაკოვმა, წიგნის „დოლარის იმპერიის მზის ჩასვლა“ ავტორმა, რომელიც დიდი ხანია, კრიზისის პრობლემებს იკვლევს.

— რომელი?

— ალბათ, ორივე — იუანი და ევრო. ოფიციალური ევროზონა და ევროს გზები უკვე დიდი ხანია, აღარ ემთხვევა ერთმანეთს. ფაქტობრივად, მთელმა შუა აზიამ — თურქეთმა, ეგვიპტემ, ალჟირმა, მაროკომ — შეიყვარა ევრო. ჩინეთი, როგორც ეტყობა, აიძულებს მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ისარგებლოს იუანით.

— იაპონიაც?

— მოილაპარაკებენ. ჩინელები უკვე მრავალგზის ახმიანებენ აზიური სავალუტო ფონდის იდეას. მათ იუანის გაწირვაც კი შეუძლიათ (როგორც გერმანიამ გაწირა მარკები) და შექმნან ევროს ტიპის აზიანი. საუბარი ამის შესახებ დიდი ხანია, მიმდინარეობს. სერიოზული კონკურენტია ოქროს დინარი. მალაიზიის პრემიერ-მინისტრმა, ლეგენდარულმა მახატხირ მუჰამედმა ჯერ კიდევ 2002 წელს წამოაყენა წინადადება ისლამის ქვეყნებს შორის მისი საანგარიშგებო საშუალებად გადაქცევის თაობაზე. ზოგიერთი ქვეყანა — ჩინეთი, კუვეიტი, ბაჰრეინი... მხარს უჭერს ამ იდეას, თუმცა არიან მოწინააღმდეგეებიც, რომლებსაც ამერიკელები კვებავენ, მაგრამ ისლამი დღეს სერიოზული რამეა!

— მაშ, რა მოუვა დოლარს? ის მართლა დაეცემა?

— რასაკვირველია, დაეცემა საყოველთაოდ. ამჟამინდელი კრიზისი დაცემის ერთ-ერთი ეტაპია, მაგრამ ეს მოხდება 3-5 წლის შემდეგ. მისი კონკურენტები ახლა მზად არ არიან საიმისოდ, რომ გზა გადაუღობონ და მისი წინსვლა შეაფერხონ. არ შეიძლება, მსოფლიო საფინანსო სისტემა მოაწყო მოსამზადებელი საანგარიშგებო ცენტრების, ზეეროვნული საკრედიტო ორგანიზაციების, თამაშის საერთო წესების გარეშე. დღეისათვის ესენი არიან: საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. აუცილებლად უნდა შეიქმნას ალტერნატივაც.

### ვის სჭირდება ამერო

— ამერიკა ვერ მოელაპარაკება ჩინეთს? გაიყოფენ მსოფლიოს...

— დიახ, გამოჩნდა ბჟეზინსკის, კისინჯერის სტატიები, რომ ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ურთიერთობას ჩინეთთან. მაგრამ ეს მეტად სპეკულაციური რამეა. დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩინეთი ამას ისეთივე თვალით უყურებს, როგორც



“ისლამური ევროები”:
ოქროს დინარი და ვერცხლის დირჰამი

შტაბები. სხვაობა ისაა, რომ აშშ ქვეყანაა, რომელიც იღუპება, ჩინეთი კი — რომელიც ამოდის. ჩინეთს ესმის, დრო მის სასარგებლოდ რომ მუშაობს. ყველა ძლიერმა ქვეყანამ შეჭამა ერთმანეთი. ჩინეთს ახლაც შეეძლო, დაემხო დოლარი, მაგრამ მაშინ თავადაც უზარმაზარ ზარალს ნახავდა. დღეს იგი ხომ ამერიკის მთავარი უცხოელი დონორია.

— მაგრამ ამერიკელებს თადარიგში აქვთ ამერო! კანადის, ამერიკისა და მექსიკის საიდუმლო ვალუტა. მასზე სულ უფრო დაბეჯითებით საუბრობენ. ამ დღეებში უმუშევარი ქალი პოდოლსკიდან თვით პუტინს შეეკითხა: „დადის ხმები, რომ ზაფხულისათვის გამოჩნდება ახალი ვალუტა — არა დოლარი, არა ევრო, არამედ რაღაც სხვა“.

— „ეს ხმებია. ამერიკის პოლიტიკური და საფინანსო წრეები არასოდეს წავლენ იმაზე, რომ დათმონ დოლარის პოზიცია, ისინი ბოლომდე იბრძოლებენ ამისათვის“, — უპასუხა მას ვლადიმერ პუტინმა.

— მეც იმას ვამბობ, რომ დოლარის კრახი მოხდება 3-5 წლის შემდეგ. თუ ისინი ამეროს შემოიღებენ, დაკარგავენ უამრავ ნაღდ დოლარს, დედამიწაზე რომ „დასეირნობს“.

— იქნებ, შტატები მოინდომებს დასწრებას და, მართლაც, შემოიღებს ამეროს ამ ზაფხულს?

— შეუძლია. მაგრამ საეჭვოა, რომ გარისკოს. ეს სახიფათო ოპერაციაა.

— რატომ?

— შეიძლება დაკარგო ნდობა ძველი ვალუტისადმი და ვერ გაზარდო ახალი. ეროვნული ვალუტის შეცვლის უფლება მას აქვს, მაგრამ ის რომ მსოფლიო გახდეს, უნდა შექმნას ახალი ოფიციალური სისტემა. ერთი სიტყვით, ამეროსათვის საჭირო იქნება ახალი ბრეტონვუდსი. მაგრამ ამისთვის თავად ამერიკას სჭირდება მეტად ძლიერი მოლაპარაკების პოზიცია, როგორიც ჰქონდა 1944 წელს.

## აშშ ამზადებს მსოფლიო ქაოსს?

— იქნებ ყველაფერი იქით მიდის?

— დიდი ხანია, ამაზე ვფიქრობ. ამერიკა სპეციალურად აღვივებს „ცხელ წერტილებს“ ევრაზიის მთელ სარტყელზე. ქმნის კოსოვოს, ბერავს კავკასიის, ქურთების პრობლემებს, აღვივებს ეროვნებათა შორის კონფლიქტებს, სადაც კი შესაძლებელია. ოლიმპიადის წინ უცებ წამოიჭრა ტიბეტი. თავად ოლიმპიადის დროს საქართველო თავს დაესხა სამხრეთ ოსეთს. შემდეგ ჩვენ ვნახეთ ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი; გამოცოცხლება შრილანკაში, ათი წლის შემდეგ გამოცოცხლდნენ ირლანდიელი ტერორისტებიც...

— არაბებთან ისრაელის საახალწლო ომი?

— ისიც ამ რიგისაა. ისევე, როგორც რუსეთისა და უკრაინის გაზის ომი. იყო მომენტი, როდესაც იგი პრაქტიკულად შეწყდა, მიაღწიეს შეთანხმებებს. უცებ, იუშჩენკო ცალმხრივად წყვეტს მას! აშკარაა, რომ მიიღო მითითება.

**ყველაფერი მოეწყო არა იმისათვის, რომ გააუარესონ ურთიერთობანი უკრაინასა და რუსეთს შორის, მთავარ პალოს ასობდნენ რუსეთ-ევროპის დაახლოების საწინააღმდეგოდ. ეს ძალიან აშინებს ამერიკას. ევროპული ფული, ტექნოლოგიები და ჩვენი რესურსები დიდი ძალაა.**

ბერძნები პერიოდულად ბობოქრობენ. არ გამოვრიცხავ, რომ მოულოდნელად ბასკებიც გამოვლენ... ყველაფერია შესაძლებელი.

— და მაშინ ახალ ქაოსში ამერიკამ შეიძლება, მიიღოს ახალი ვალუტა?

— ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი მოდელია: მართული ქაოსი. ბევრს უხარია, რომ ბუშის „ქორები“ წავიდნენ თეთრი სახლიდან. მაგრამ მოვიდნენ დემოკრატები, მათ შორის, „ძველი გვარდიიდანაც“, უფრო სახიფათო და რთული, ცბიერი ინტრიგებისადმი მიდრეკილი დემოკრატების გუნდი. მას აქვს კონფლიქტების აგების, ყველას და ყველაფრის გათიშვის ძალიან კარგი გამოცდილება. მათ სპეცოპერაციებზე, „გათიშვებზე“, იქნება ახლა მიმართული აშშ დიპლომატიური და დახურული უწყებების ძალისხმევა.

ასე რომ, დაველოდოთ დოლარის „წესის აგებას“. ძალიან სერიოზული ხალხი და ძალები დგანან მის უკან. ისინი, ვინც რერიხის ხელით შეიტანეს მასში საიდუმლო ნიშნები და სიმბოლოები. სხვათა შორის, ცნობილმა მწერალმა დენ ბრაუნმა თავისი ახალი ბესტსელერი „სოლომონის გასაღები“ ამ ძალებს მიუძღვნა. მოქმედება მიმდინარეობს ამერიკაში. წიგნი ჯერ არ დაბეჭდილა. მანამ კი მოვაწყოთ საკუთარი გამოკვლევა — ვინ მართავს დოლარსა და მსოფლიოს?

## აშშ კრედიტორები

**ვისთვისაა დღეს ხელსაყრელი დოლარის გარდაცვალება?**

**2008 წლის დეკემბრის ბოლოსათვის ამერიკის სახაზინოს სავალო ქაღალდებში განთავსებული სახსრები:**

**1. ჩინეთი — 727,4 მილიარდი დოლარი;**

**2. იაპონია — 626 მილიარდი დოლარი;**

**3. „კარიბის ზღვის აუზის საბანკო ცენტრები“ (ბაჰამის, ბერმუდის, კაიმენის, ბრიტანეთის, ვირჯინიის, ანტილის კუნძულები და პანამა) — 197,5 მილიარდი დოლარი;**

**4. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები (ეკვადორი, ვენესუელა, ინდონეზია, ბაჰრეინი, ირანი, ერაყი, კუვეიტი, ომანი, კატარი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ალჟირი, გაბონი, ლიბანი და ნიგერია) — 186,2 მილიარდი დოლარი;**

**5. დიდი ბრიტანეთი — 139 მილიარდი დოლარი;**

**6. ბრაზილია — 127 მილიარდი დოლარი;**

**7. რუსეთი — 116,4 მილიარდი (ერთ წელიწადში გაიზარდა სამჯერ) დოლარი;**

**8. ლუქსემბურგი („ევროპული ოფშორი“) — 97,4 მილიარდი დოლარი;**

**9. ჰონკონგი — 77,2 მილიარდი დოლარი;**

**10. ტაივანი — 71,8 მილიარდი დოლარი.**

**აშშ სახელმწიფო ვალი დღეს დაახლოებით 11 ტრილიონ დოლარს შეადგენს.**




ლითონისა და ქაღალდის ამერო ჯერჯერობით ინტერნეტში გავრცელდა.
დაიპყრობს თუ არა იგი პლანეტას მომავალში?

# „General Motors“ სულს ღაფავს

**ამერიკის ადმინისტრაცია ცდილობს, როგორმე უშველოს და გადაარჩინოს საავტომობილო კომპანია. ავტოკრედიტებზე მომუშავე ფინანსური კომპანია „GMAC“ ფინანსთა სამინისტროსაგან 7,5 მილიარდ დოლარს მიიღებს, რათა ავტოდილერებს, მყიდველებსა და მწარმოებლებს ახალი კრედიტები დაურიგოს.**





ბარაკ ობამას ხელგაშლილობის მთავარი მიზანი კი „General Motors“-ის გადარჩენაა, ამ უდიდესმა კომპანიამ უახლოეს მომავალში შესაძლოა, სულაც შეწყვიტოს არსებობა. შეგახსენებთ, რომ „GMAC“ სწორედ „General Motors“-ის კლიენტების მთავარი დამფინანსებელია. ახლახან ხელისუფლებამ ეს კომპანია „Chrysler“-ის მთავარ კრედიტორადაც დანიშნა, მაგრამ „GMAC“-ს არც თავად აწყენდა მხსნელი და გადამრჩენი — იპოთეკურ ბაზარზე აქტიურად მომუშავე კომპანია სერიოზულად დააზარალა ეკონომიკურმა კრიზისმა. აშშ ფინანსთა მინისტრის ტიმოთი ჰაიტნერის განცხადებით, ავტომანქანების მრეწველობა ისტორიულ კრიზისშია. შეგახსენებთ, რომ 8 მაისს გამოქვეყნდა ამერიკის 19 უმსხვილესი ბანკის სტრესტესტის შედეგები. მისი მიზანი იყო, არა მხოლოდ შეემოწმებინა ბანკების გადამხდელუნარიანობა, არამედ გამოეძებნა საბანკო სისტემის გაძლიერების გზებიც. შედეგად, ბანკები ორ ჯგუფად დაიყო, ნაწილს საკმარისი კაპიტალი აღმოაჩნდა, ნაწილს კი მსგავსი გამოცდის გასავლელად დამატებითი სახსრები ესაჭიროება. ამ უკანასკნელთ განუცხადეს, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში თავს ვერ გადაირჩენენ და ვადა 8 ივნისამდე მისცეს, რათა დამატებითი სახსრების მოზიდვის გეგმა წარადგინონ. სწორედ ამ ჯგუფში აღმოჩნდა „GMAC“-იც. არავინ იცის, გადაარჩენს თუ არა მიღებული ზომები ამერიკულ მანქანათმშენებლობას. ამერიკელებს ურჩევნიათ, სამამულო ავტომანქანების შეძენის ნაცვლად, იაპონურზე შეაჩერონ არჩევანი. ამიტომ „General Motors“-ისა და „Chrysler“-ის ბედი ბეწვზე კიდია. ამ კომპანიებმა უახლოეს მომავალში უნდა წარუდგინონ ხელისუფლებას რესტრუქტურიზაციის გეგმა, რომელიც მათ ჩაძირვისაგან იხსნის. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებენ ხელისუფლებისაგან რეორგანიზაციისათვის საჭირო სახსრებს.

# დოლარის იმედი აღარავის აქვს

**საერთაშორისო ბაზარზე დოლარის შესუსტების ტენდენცია უცვლელია, ცეცხლზე ნავთი კი სააგენტო „Standard & Poor’s“-მა დაასხა და განაცხადა, რომ მოსალოდნელია შეერთებული შტატების რეიტინგის ვარდნა.**




ამ განცხადებამ ინვესტორები მწარედ ჩააფიქრა, რუსულ რუბლთან შედარებით ამერიკული დოლარის კურსმა 25,88 კაპიკით იკლო და 31,1998 რუბლი შეადგინა. სამაგიეროდ, ევროს კურსი გაიზარდა 11,84 კაპიკით და 1 ევროს ფასი 43,4638 რუბლი გახდა. დოლარის ყოველდღიური შესუსტება საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე შიდა ვაჭრობისას რუბლის გამყარების პირობაა. ექსპერტების თქმით, დოლარზე ზეწოლას ახდენს ღია ბაზარზე აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის ოპერაციების კომიტეტის სხდომის პროტოკოლები, რომლებიც ახლახან გამოქვეყნდა და რომელთა მიხედვითაც, ამერიკული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები უარესობისაკენ მიექანება. ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობის იმდენად სწრაფად გამოსწორება, როგორც ეს დაგეგმილი იყო, ნამდვილად ვერ ხერხდება. ამერიკული ვალუტის სერიოზულ შესუსტებას ვარაუდობენ მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტებიც. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა პოლ კრუგმანმა განაცხადა, რომ მსოფლიო ეკონომიკის სტაბილიზაცია უარყოფითად იმოქმედებს ამერიკულ დოლარზე და ამერიკას საგარეო ვალებს გაუზრდის. მისი თქმით, დოლარის კურსი მნიშვნელოვნად დაეცემა, მსოფლიო ეკონომიკისათვის კარგი სიახლეები, ფაქტობრივად, დოლარისათვის განაჩენია.

# ჯორჯ ბუშის სენსაციური აღიარება

**ოთხი თვეა, რაც აშშ ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თეთრი სახლი დატოვა და სწორედ ამ დროის მანძილზე კიდევ ერთხელ აღმოაჩინა, რომ სიცოცხლე მშვენიერია.**



უფრო მეტიც, ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრისას მან სრული გულწრფელობით აღიარა, რომ, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ნორმალურ ადამიანად იგრძნო თავი, ვინაიდან ოვალური კაბინეტის თანმხლები უდიდესი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდა. ექს-პრეზიდენტმა, თურმე, ერთ დღეს, თავისი შოტლანდიური ნაგაზის გასეირნებისას, უცებ იგრძნო, რომ ჩვეულებრივი ადამიანია და ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს უბრუნდება.

მას შემდეგ, რაც თეთრი სახლიდან წავიდა, ბუში ძალზე იშვიათად ჩნდება საზოგადოებაში და იმასაც აღიარებს, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაში დაბრუნება მისთვის დიდი შვებაა. ახლა ის კატეგორიულად უარს აცხადებს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე და ტელეკამერების წინ თითქმის არასდროს ჩნდება. თუმცა ეს დეპრესიული კარჩაკეტილობა კი არა, ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრებით ტკბობაა. აშშ ექს-პრეზიდენტმა თავის შემცვლელს წარმატებული პრეზიდენტობა უსურვა და გამოტყდა, რომ წერს წიგნს, რომელშიც პრეზიდენტობისდროინდელი რამდენიმე ურთულესი გადაწყვეტილების შესახებ გვიამბობს.

27 მაისი - 2 ივნისი, 2009 წელი. №14
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ემიგრანტი დედა შვილის დაკრძალვას ვერ დაესწრო

**სამშობლოდან გადახვეწა პიროვნებას შინაგანად ანგრევს, რადგან ის კარგავს ყველაფერს, რასაც მასში მშობლიური ჰქვია. გლობალისტები გვიმტკიცებენ, რომ ცივილიზაციის მაღალი დონისთვის ერი და ეროვნება, სამშობლო და პატრიოტიზმი ჯოგურობის გადმონაშთია და სამშობლო იქაა, სადაც თავს უზრუნველად და კომფორტულად გრძნობ. ალბათ, ამიტომაც ხდება, რომ ამ მოსაზრებათა გავლენით დღეს საკმაოდ ბევრი თავქუდმოგლეჯილი გარბის დედასამშობლოდან, გამომწვევ მიზეზთა ანალიზის გარეშე. ზღაპრული ქვეყანა ელდორადოს მაძიებლები გვიან ხვდებიან, რომ „ჩიტი სადაც იბადება, მისი ბაღდადი იქ არის“... დღეს თავის ტრაგიკულ ბედზე გვესაუბრება ემიგრაციაში მყოფი ქალბატონი ციკო (ციალა) ცანავა.**



ციკო ცანავა

**— ქალბატონო ციკო, რამ გადაგაწყვეტინათ უცხოეთში გამგზავრება, როდის და რა მიზნით გაემგზავრეთ?**

— ადამიანის ბედს ხშირად გარემომცველი პირობები განსაზღვრავს. როდესაც რევოლუციურ ეპოქაში გიწევს ცხოვრება, რეალობასთან ახალი ურთიერთობები გიყალიბდება. დრო თვითონ ამზადებს ნიადაგს ამა თუ იმ პროცესისთვის. რამდენიმე წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ამერიკაში წახვალ და დარჩებიო, უბრალო ხუმრობად ჩავთვლიდი. თანამედროვე ქართველებს მეტად რთულ და საკმაოდ ხიფათიან პერიოდში გვიხდება ცხოვრება. ამ წლების ჯეროვანი შეფასება ჯერ არ მომხდარა. უბედურება ისაა, რომ დღეს არც ხელისუფლება, არც სამოქალაქო საზოგადოება და არც პოლიტიკაში ჩართული რომელიმე ძალა არ ცდილობს დიდი ხნის წინათ დაშვებული ტრაგიკული შეცდომების გამოსწორებას, რომ ქვეყანაში ისეთი პირობები შექმნას, აქ — ჩვენს მიწა-წყალზე გვეცხოვრებოდეს.

90-იან წლებში ყველა ჭირი ერთად დამატყდა თავს: მეუღლე ოჯახიდან წავიდა, სამსახური დავკარგე, პრეზიდენტის გაძევებით და მერე მკვლელობით ყველაფრის რწმენა დავკარგე. მარტოობამ უძილო ღამეები მისახსოვრა, პოლიტიკამ — კუპონები და შიმშილი ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად.

იმ დროს მეგობრებმა შემომთავაზეს ბინათმშენებლობის ამხანაგობაში შესვლა. მეც ავყევი ოცნებას და ჩემი მაღალჭერიანი ოთხოთახიანი ბინა იტალიურ ეზოში მაკლერის დახმარებით სასწრაფოდ გავყიდე, მე კი ქირით გადავედი.

ბინის გაყიდვის ამბავი მთელმა ეზომ იცოდა, ცუდი დრო იყო, გაქურდვის შემეშინდა და ფული ბანკში მხოლოდ ორი დღით შევიტანე (პარასკევს). ორშაბათს ბანკი ბანკროტად გამოცხადდა, მფლობელი კი გაქრა. ასე დავრჩი უფულოდ და უბინაოდ ღია ცის ქვეშ. საოცარი სიცივე ვიგრძენი მშობლიურ ქვეყანაში. საცხოვრებლად დედასთან და ჩემს გაუთხოვარ დასთან გადავედი ბავშვებთან ერთად. ფულს ვზოგავდით, ოჯახიდან ძვირფასი ნივთები გაგვქონდა და ჩალის ფასად ვყიდდით, მაგრამ დღითიდღე სილატაკისკენ მივდიოდით.

გამგზავრებაზე ფიქრებმა მაშინ ამიყოლია, როცა მეზობელი გარდაგვეცვალა და შესაწევარი ფული არავინ გვასესხა. ღამე თეთრად გავათენე ფიქრებში, როგორ დამეღწია თავი ამ მდგომარეობიდან.

სწორედ მაშინ გადავწყვიტე უცხოეთში წასვლა. დიდი ვალების მიუხედავად, გავრისკე.

შუამავალმა პასპორტი ჩასვლისთანავე ჩამომართვა და მითხრა, რომ ვალის გადახდისთანავე დამიბრუნებდა.

**— როგორ შეგხვდათ ნიუ-ორკი, სამსახური მალე იშოვეთ?**

— სამსახური კი ვიშოვე, მაგრამ იმდენად შრომატევადი და ძნელად ასატანი, გადმოცემაც მიჭირს. ვუვლიდი დაბადების დროს ტრავმირებულ გონებასუსტ ბავშვს, ძალზე ჭირვეულს და სადიზმისკენ მიდრეკილს. მისი მდგომარეობის ყოველდღიური ცქერა და მოვლა სასჯელი იყო, მაგრამ, ამასთან, — მადლიც. ყოველივე ამას ნევრასთენიკი დიასახლისის უმიზეზო შენიშვნები და შეურაცხყოფა ემატებოდა. ამ პირობებში მუშაობა გმირობა იყო, მაგრამ ეს გმირობა შეუმჩნეველი და უცნობია თქვენთვის, რადგან ჩვენს უბადრუკ ყოფაზე საუბარი გვრცხვენია ხოლმე.

**სხვა ქვეყანაში წასვლა, სხვის მენტალობაზე გადასვლის მცდელობა არაადამიანური და არაგონივრულია, რადგან შენ „უცხო“ და მდაბალი ხარ. მათ კი შენგან სჭირდებათ ემოციებისგან დაცლილი „მექანიკური ხელი“, რომელსაც არაფერი ესმის და არც განწყობილებებს ამჟღავნებს. ამ დროს შენ იჭრები ვილაცის ცხოვრებაში.**

ჩვენ მონები ვართ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც შემოზღუდულია, რაც არც ისე იოლი ასატანია.

ერთხელ, პირველად, როდესაც ისტერიკაში ჩავარდნილმა დიასახლისმა მუჯლუგუნი ღონივრად წამკრა, გავიფიქრე, რომ მომეჩვენა. როცა დავრწმუნდი, შევძრწუნდი. აბუჩად აგდებამ მოთმინება დამაკარგვინა და ამაყად თავაწეულმა თვალი თვალში მწყრალი მუქარით გავუყარე. ცივად გამეცალა. ასეთი სვლები ხშირად მჭირდებოდა, რათა დიასახლისის უადგილო და უმიზეზო აგრესია ჩამეხშო.

საქართველოში ფულს რეგულარულად ვაგზავნიდი, ვალს კეთილსინდისიერად ვიხდიდი, ბინისთვის ცენტებს ვზოგავდი, პირადად კი არაფერი მრჩებოდა, მაღალი ანაზღაურების მიუხედავად. ამიტომ ვითმენდი. სადიზმისკენ მიდრეკილი ავადმყოფი ჯეკი რა ოინს აღარ მიწყობდა. მისთვის მე გასართობი სათამაშო ვიყავი; ხან ბასრი საგნებით მჩხვლეტდა, ხან აგრესიულ ხასიათზე მყოფი, რაც ხელში მოხვდებოდა, გაურკვეველი მიმართულებით ისროდა, ჩემს შიშნარევ კივილზე სატანასავით ხარხარებდა, თუ მივეკარებოდი, ძაღლის ლეკვივით ხელებზე მკბენდა. მე მაინც ვუყვავებდი, დედასავით ვუვლიდი, მუდამ გვერდში ვყავდი.

პირველად რომ მოვეფერე, ამ გონებაშეზღუდული ბავშვის თვალებში უცნაური გაოცება დავინახე, მერე მხარზე თავი დამადო და ნერვული სლუკუნით ატირდა. გავაანალიზე, რომ მას მშობლებიც და ახლობლებიც მკაცრი, სერიოზული ტონით ელაპარაკებოდნენ ან სულაც ყურადღების გარეშე ტოვებდნენ. სითბო და ალერსი მათი სულიერი წყობისთვის უცხოა. ისინი ხომ მის მოვლაში სოლიდურ თანხას იხდიდნენ და ეს იყო მათი მხრიდან სითბოც და ყურადღებაც. ჯეკის გონება სიღრმისეულ მოვლენებს ვერ სწვდებოდა, წაკითხულ-შესწავლილი იმწამსვე ავიწყდებოდა. სულ იჯდა, თუ წამოდგებოდა, ისე დადიოდა, თითქოს ცურავდა, ფეხებს მიათრევდა და გაშლილი ხელებით წონასწორობის დაცვას ცდილობდა. ბავშვს ცნობილი ექიმები და მასაჟისტები მკურნალობდნენ, მის შველას ცდილობდნენ, მაგრამ — ამაოდ. ზომიერების გრძნობა დაკარგული ჰქონდა — ვერც წყურვილს იკლავდა, ვერც დანაყრებას გრძნობდა. ამგვარ ავადმყოფთან ყოველდღიური კონტაქტი დამთრგუნველია. დედამისი კი ჩემთვის სამზარეულოში მხოლოდ სამ კოვზ ყავასა და შაქარს ტოვებდა ორ ბუტერბროდთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ შეძლებული ოჯახი იყო. დიასახლისის სიძუნწე ზღაპრულ დედინაცვალთა ქცევას მაგონებდა.

შვილების გამო ყველაფერს ვითმენდი. ჩემი ბექა და ბაბუცი კი უჩემოდ იზრდებოდნენ. მხოლოდ ტელეფონით ვეკონტაქტებოდი. ჩემი და ექიმია და კვირაში რამდენიმე ღამეს საავადმყოფოში მორიგეობდა, დედა კი — ხანდაზმული. ჩემს შვილებს დედის ხელი და მამის თვალი აკლდათ.

მშობლიური მიწიდან განდევნილი ემიგრანტები კვირა დღეს ვიკრიბებოდით. დაფანტულნი, სასოწარკვეთილნი, მძიმე შრომით დაბეჩავებულნი უცხო მიწამ ისე შეგვადუღაბა და გაგვაერთიანა, რომ ასეთ კავშირს ჩვენში ვერც კი წარმოიდგენთ. მზად ვართ, ერთმანეთს ლუკმა გავუყოთ, გული გავუხსნათ და სულში ჩავიძვრინოთ... მაგრამ უზომო ტკივილი ისე მოულოდნელად დამეჯახა, რომ ყველა გაჭირვება და დარდი გადაფარა.

**— ქალბატონო ციკო, ალბათ, თქვენი ვაჟის სიკვდილს გულისხმობთ... ვწუხვარ, რომ ამ ტკივილის გახსენება გიხდებათ...**

— გმადლობთ თანაგრძნობისთვის... ზამთრის ერთ ცივ საღამოს ჩაბნელებულ ქუჩაზე ჩემს ბექას მანქანა დაეჯახა და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა... თავზარი დამეცა, ისეთი რა დავაშავე, რომ ასეთი სასჯელი მერგო. ჩემიანები მიხმობდნენ ბექას დასატირებლად... დიდი ცოდვა ტრიალებდა ჩემს თავს. მუხლზედაცემული ვევედრებოდი შუამავალს, საბუთები მოეცა, სახედახოკილი ვთხოვდი ჩემებს, დამხმარებოდნენ, მაგრამ...

ყველასა და ყველაფერზე გავბოროტდი. მეხდაცემულს, გათოშილსა და გათიშულს, გაყინული თვალებითა და მთლიანად განადგურებულს ბექას სახე მელანდებოდა, მისი ხმა მესმოდა — დედა, დედა!.. ამ წარმოსახვაში ჩემი შვილის გვერდით ვგრძნობდი თავს.

ერთ ამერიკელ ექიმს უთქვამს ჩემზე: — „როდესაც ადამიანი აღსავსეა რაიმე დიდი სურვილით და მიზანს ვერ აღწევს, მაშინ აქტი მის წარმოსახვაში სრულდება. ეს იქ, თავის შვილთან არისო“...

ქართველებმა მიპატრონეს... გამიჭირდა რეალობაში გადმოსვლა. ჩემი სული ბექას გაჰყვა. ჩემში სიცივემ და სიბნელემ დაისადგურა. უსულო ადამიანად ვიქეცი. გონს როცა მოვედი, ორმოცი უკვე გასული იყო. მახსოვს, ხმამაღლა ავტირდი. ჩემს მეგობრებს გაუხარდათ, რადგან ექიმს ეთქვა, — თუ ატირდა, გამოჯანმრთელდება, ბილეთი უყიდეთ და სამშობლოში გაამგზავრეთო.

**ფიზიკურად გადავრჩი, მაგრამ სული დამემსხვრა. თანდათან ადამიანებისგან განდგომის, ხალხისგან განრიდების სურვილი მიძლიერდებოდა, თანაგრძნობაც კი მაღიზიანებდა.**

დედამ შვილი ვერ დავიტირე, გულში ვერ ჩავიხუტე, სამუდამოდ დახუჭული თვალები ვერ ამოვუკოცნე, მის კუბოს ფიცარს თავი ვერ ვურტყი, უკანასკნელ გზაზე ვერ გავაცილე, ცრემლებით სახე ვერ დავუბანე... ეს ხომ მონობის უკიდურესი გამოხატულებაა.

**— მოგვიანებითაც ვერ მოახერხეთ წამოსვლა?**

— სანამ ვალს მთლიანად არ გადავიხდი და, თანაც, ჩემი გოგონასთვის ჭერის ფულს არ მოვაგროვებ, იძულებული ვარ, აქ დავრჩე. ცხოვრება გაგრძელდა, მაგრამ ჩემთვის გაუფერულდა.

სევდით გათანგული, სულიერად დაცლილი სხეული, მწუხარებისაგან გამომშრალი ორგანიზმი, ხელ-ფეხი მექანიკურადღა მოძრაობდა, რაც ჩემს დიასახლისსა და მის ქმარს ძალიან აღიზიანებდათ.

ერთ დღეს ოჯახის უფროსმა დამიბარა და მითხრა: — „ჩვენ დავიღალეთ თქვენი ტრაურით, რომელიც ბავშვზეც უარყოფითად მოქმედებს და ჩვენს ნერვებზეც, რატომ იყოლიეთ შვილები, როცა ამისთვის მზად არ იყავით, თქვენ ხომ თავის გატანაც არ შეგეძლოთ. ნუთუ ვერ გრძნობდით, ბავშვების ყოლით რამხელა პასუხისმგებლობას იღებდით? ამ უპასუხისმგებლობისთვის მკაცრი საფასური მიიღეთ, რაშიც ჩვენ არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის. დედობა უდიდესი ვალია, მაგრამ ეს ყველას არ შეუძლია“...

ღია ჭრილობაზე მარილის დაყრამ გამომაფხიზლა, უხმოდ შევტრიალდი და კარი ხმაურით გავიხურე მათი სახლიდან სამუდამოდ.

მათი ზნეობრივი ჰაბიტუსისა და საქციელის შეფასება თქვენთვის მომინდვია.

ასე დავრჩი უმუშევარი, მეგობრის საქათმისოდენა ოთახში შეყუჟული. ჩემიანებს საქართველოში ჩემს მდგომარეობას ვუმალავდი, მაგრამ ისინი ჩემგან ფულს ელოდებოდნენ და რამე უნდა მომეხერხებინა. ასე გავხდი დამლაგებელი გამოძახებით. შევიძინე პლასტმასის ვედრო, ჯაგრისები და საწმენდები, ჰიგიენური ხელთათმანები, რეზინის ბოტები, მოხერხებული სამოსი შავი სამუშაოებისთვის და სპეციალური სააგენტოს მეშვეობით ვემსახურები სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა შეძლების ამერიკელთა ოჯახებს, მათ შორის, ფერადკანიანებსა და არაბებს, ჩინელებს. ვწმენდ იატაკებს, ვიტრინებს, ფანჯრებს, ტუალეტებს, აბაზანებს, ჯაკუზებს... თავს მადგანან და შესრულებული სამუშაოს ხარისხს მიმოწმებენ.

სრულიად შევიცვალე. შემკვეთს არ ვეკონტაქტები. დღეს მე დიდ მეგაპოლისში ათქვეფილი ხიზანი ვარ და ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის ყოველი მცდელობა უფრო დიდ დამცირებას მპირდება.

**— ქალბატონო ციკო, დღევანდელი გადასახედიდან როგორ აფასებთ ემიგრანტულ ცხოვრებას, ვინ ან რაა დამნაშავე თქვენს ყოფაში?**

— მე ვუღალატე ჩემს არსს — მე ხომ დედა ვიყავი. უნდა მცოდნოდა, რომ დედამ შვილები არ უნდა დატოვოს. მეგონა, მათი ბედნიერებისთვის ვიბრძოდი, ვითმენდი და მათ მომავალზე ვზრუნავდი. ზრუნვა კი არც გამორჩეული კვებაა, არც — ჩაცმა, არც — კომპიუტერი და ბოლო მოდელის მობილურები, არც ის სახლი, რომლის შესასყიდად აუწერელ შრომას ვეწევი. თვითგვემა მთელი ტრაგიკულობით ჩვენვე მოვიწყეთ. გამოვიქეცით საკუთარი ტყავისა და საკუთარი ნერგის გადასარჩენად. უნდა დავრჩენილიყავით და ერთად გვებრძოლა ჩვენთვის კი არა, ქვეყნის გადასარჩენად.

ჩვენ ტაძრამდე მისასვლელი გზის პოვნა გვინდოდა. თავს ვიმართლებთ, რომ დრო იყო რთული, მაგრამ ჩვენ უფრო რთულნი ვიყავით — გათითოკაცებული, რწმენაშერყეული, ურთიერთმგმობელი და მოშურნენი. ნებისმიერი ტანჯვა, მსხვერპლი და დამცირება სჯობს გზააბნეულ ხეტიალს სხვათა სამსახურში. ჯობს, იბრძოლო, სიშლეგემდე გძულდეს ქვეყნის მტერი, გულის გახეთქვამდე ექიშპებოდე, ვიდრე ხელი ჩაიქნიო და თქვა, რომ გაეცლები ამ ჯოჯოხეთს, დარჩენილებს კი ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ... ეს მიუტევებელია, რადგან ამ ჯანდაბასა და ჯოჯოხეთში შენს სისხლსა და ხორცს ტოვებს და შეუძლებელია, ამ ჯანდაბა-ჯოჯოხეთის ცეცხლი შენც არ შეგეხოს.

**მინდა დაბრუნება, ჩემ გარშემოც თითქმის ყველა ამას ფიქრობს. ჩვენი დაბრუნებით დავამტკიცებთ, რომ ამ მიწა-წყლის ღირსნი ვართ.**

მტერი ტკბილი ნანინათი გვიპირებს ჩაძინებას. მაგრამ ეს მიწა უფალმა ჩვენთვის განამწესა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე სასაფლაოზე წავალ შვილის დასატირებლად.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამერიკული არმია — XX საუკუნის ყველაზე დიდი მითი

(დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო და მსოფლიო,“ № 10-13)

**დიდი დანაკარგების მიზეზი, რბილად რომ ვთქვათ, ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა ერთობ დაბალი პროფესიონალიზმი იყო. ამერიკელ ჯარისკაცთა არაპროფესიონალიზმის თვალსაჩინო დასტური გახლდათ 2003 წლის მაის-სექტემბერში ერაყის ქალაქებში ქვეითადმოსიარულე და მოტორიზებული ამერიკელი პატრულისთვის ხელის ყუმბარების სროლა. ხელის ყუმბარა მიზანში რომ მოხვდეს, ადამიანი მას 10-15 მეტრამდე უნდა მიუახლოვდეს. საველე ბრძოლის სწრაფადცვლადი ვითარების პირობებში ასეთი შესაძლებლობა საკმაოდ ხშირად ჩნდება, მაგრამ შედარებით მშვიდობიანი ქალაქის პირობებში ავტომატებით შეიარაღებული ხალხისთვის ყუმბარების სროლა ძნელი და საშიშია. ამას ადასტურებს 1994-1996 წლების ჩეჩნეთის ომის გამოცდილება, როცა ჩეჩენ მეამბოხეებს, რომელთაგან ბევრს საბჭოთა არმიაში უმსახურია, პრაქტიკულად არ უცდიათ ქალაქის პირობებში რუსი პატრულისთვის ხელყუმბარების სროლა, ამის ნაცვლად ყუმბარებს ქვეითი ძალების წინააღმდეგ ნაღმებად იყენებდნენ.**



ერაყში ამერიკული არმიის დანაკარგების მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი მათი ბაზირების ადგილებისთვის 82, 120 და 160 მმ კალიბრიანი მრავალლულიანი რეაქტიული დანადგარებით, ყუმბარმტყორცნებით ცეცხლის გახსნაა. ამერიკელმა ოფიცრებმა ხომ დიდი ხანია, დაკარგეს ელემენტარული საფორტიფიკაციო სამუშაოების ორგანიზების უნარი და წარმოდგენა არ აქვთ, როგორ აღმართონ ელემენტარული საველე სიმაგრე.

**ამ, ამერიკელებისთვის სამწუხარო ფაქტის მოწმობა ჟურნალ „ზარუბეჟნოე ობოზრენიეში“ (2003 წლის №9) ვიხილე. ეს ფოტო დათარიღებულია 2003 წლის ივლის-აგვისტოთი და ეწოდება „ამერიკული ბლოკპოსტი ბაღდადთან.“ გასაოცარი სანახავია, თუ რას უწოდებენ ამერიკელები ბლოკპოსტს ერაყში. ფოტოზე ჩანს მართკუთხა, 5-6 მ სიგრძისა და 50-60 სმ-იანი სიგანის ორმო. ასეთ უცნაურ სიმაგრეს მხოლოდ მცირე და საშუალოკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ცეცხლისგან დაცვა შეუძლია, ნაღმმტყორცნებისგან კი ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგიცავს.** საკმარისია, ასეთი სიმაგრის ცენტრში ერთი 82 მმ-იანი ნაღმიც კი მოხვდეს, რომ იმ 10-12 კაცს, რომლებიც შიგნით იმყოფებიან, თანამებრძოლები ნაწილებად წამოკრეფენ 10 მ-ის რადიუსში.

**ამ თანამედროვე ამერიკული საფორტიფიკაციო ხელოვნების შემხედვარემ „დეჟა-ვიუ“ განვიცადე და იმწამსვე გამახსენდა, რომ ეს ამერიკული „ბლოკპოსტი“ საოცრად ჰგავს 1941-1942 წლებში სევასტოპოლის დაცვის პერიოდის საბჭოთა საძმო სასაფლაოებს; ოღონდ საძმო საფლავებს ცოტა უფრო ღრმად — 3 მ-მდე თხრიდნენ.**

ის, რაც ახლა დავწერე, არც ხუმრობაა და არც დაცინვა. ამერიკული ფორტიფიკაციის შედევრის — „ბლოკპოსტის“ ფოტო 2003 წლის ზაფხულში გადაიღეს, ნახევარი წლის შემდეგ კი, საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ბაღდადის დასავლეთით მდებარე ამერიკულ სამხედრო ბაზას ნაღმმტყორცნებიდან მრავალსაათიანი ცეცხლი გაუხსნეს. **ამერიკის სარდლობამ, მისთვის დამახასიათებელი ცრუპენტელობით, განაცხადა, რომ 2 დაღუპული და 34 დაჭრილი ჰყავს. მოგვიანებით საინფორმაციო სააგენტოებმა დააზუსტეს, რომ ბაზის დაცხრილული ნაწილი ბრეზენტის კარვებისგან შედგებოდა, ხოლო, რადგანაც ბრეზენტის კარავი ვერც აფეთქების ტალღას და ვერც ჭურვის ნამსხვრევებს უძლებს, დაღუპულთა რიცხვი ას კაცამდე მაინც იქნებოდა.**

**ერაყში ამერიკული ჯარების დანაკარგის კიდევ ერთი მიზეზი მათ მიერ ღამეული ქალაქების პატრულირების ორიგინალური მეთოდია.** ამერიკულმა სარდლობამ ქვეითი პატრული ჯავშანტექნიკით შეცვალა. არადა, როგორც პრაქტიკა უჩვენებს, ღამით ჯავშანტექნიკით პატრულირება უფრო საშიშია, რადგან ღამის ხედვის თანამედროვე ხელსაწყოების პირობებშიც კი ტანკიდან და ჯავშანტრანსპორტიორიდან პრაქტიკულად შეუძლებელია გზის პირას შენიღბული ფუგასის ან ნაღმმტყორცნის შემჩნევა.

**რუსი ოფიცრები ჩეჩნეთში საომარი მოქმედებებისას მუდმივი ნერვული დაძაბულობის მოსახსნელად დიმედროლიან არაყს სვამდნენ. დიმედროლი მსუბუქი ფსიქოტროპული პრეპარატია და არაყთან ერთად საინტერესო ნაზავს წარმოადგენს, მაგრამ, ამის მიუხედავად, არც ერთ ოფიცერს აზრადაც არ მოსვლია ჩეჩნეთის ქალაქების ქუჩებში ღამით ქვეითი და, მით უმეტეს, სატანკო პატრულირება.**

**ამერიკელი გენერლები და პოლკოვნიკები, როგორც ცნობილია, დიმედროლიან არაყს არ მიირთმევენ. უპირატესობას ანიჭებენ სამმაგ ბურბონს, ლაპარაკობენ ფრანგულად, ზოგჯერ – გერმანულადაც და სხვადასხვა მეცნიერებათა დოქტორები არიან. რეალური საბრძოლო მოქმედებების პირობებში კი ნაირნაირი ბოდვითი იდეა მოსდით თავში; მაგალითად, ერაყის ქალაქების ქუჩებში ჯავშანტექნიკით პატრულირება. შესაძლოა, აწ გარდაცვლილი გენერალი ლებედევი მართალი იყო, როდესაც ამბობდა: „ინტელიგენტი გენერალი იგივეა, რაც ებრაელი მეშახტე!“**

ამერიკული ჯარები ერაყის ტერიტორიებზე, მათ შორის, ქალაქ ბაღდადზე, მოქმედებისას კონტროლს კარგავდნენ.

მოკლედ, როგორც საბჭოთა დისიდენტები 70-იან წლებში ოხუნჯობდნენ: „დასავლეთი იხრწნება, მაგრამ ძალიან სასიამოვნო სუნი უდის.“ ამ სუნში ვერავინ შენიშნა, რომ დასავლეთი და მისი მთავარი საყრდენი — აშშ შეიარაღებული ძალები საბოლოოდ გაიხრწნენ და ერაყელი მეამბოხეების იერიშების გამოისობით ნაცარტუტად იქცნენ.

მაშ, რატომღა მოგვევლინა ამერიკის შეიარაღებული ძალები მე-20 საუკუნის ყველაზე დიდ მითად?

უმთავრესი მიზეზი ის ადამიანები არიან, ვისგანაც ჩრდილოამერიკული ნაცია და, მაშასადამე, მისი შეიარაღებული ძალები ჩამოყალიბდა.

**რუკაზე ამერიკის გაჩენისთანავე ეს სახელმწიფო საყოველთაო ადამიანურ ნაგავსაყრელად იქცა. მისკენ დაიძრნენ სხვადასხვა ჯურის არამზადები და ბოროტმოქმედები ჯერ ევროპის, შემდეგ კი სხვა ქვეყნებიდანაც. როგორც ცნობილია, ბოროტმოქმედები შინაგანი ბუნებით ეგოისტები არიან, აქედან გამომდინარე კი — მზაკვარნიცა და მხდალნიც; ხოლო ეგოიზმი, სიმხდალე და ვერაგობა სულაც არ არის კარგი ჯარისკაცის თვისებები.**

გარდა ამისა, თავისი ყოფილი მეტროპოლიის — ინგლისისაგან ამერიკამ ანგლოსაქსური ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებიც მიიღო. მათგან უმთავრესია ე.წ. „ჯენტლმენის კულტი“ და, მისგან გამომდინარე, პროფესიონალიზმისადმი გაუცნობიერებელი ზიზღი, რაც არისტოკრატიული პარაზიტიზმის გაუცნობიერებელი შენიღბვისაგან მომდინარეობს. ჯენტლმენმა საზოგადოებაში ქცევის წესები უნდა იცოდეს, მის კანონებს უნდა იცავდეს, ელიტურ წრეებში მოლხენა უნდა შეეძლოს, ამისთვის კი ფრანგული ენის ცოდნაა საჭირო. ზემონათქვამის მარტივი ფორმულა ასეთია: „ალენ დელონი ფრანგულად ლაპარაკობს, ალენ დელონი ოდეკოლონს არ სვამს, ალენ დელონი სამმაგ ბურბონს მიირთმევს“.

**თუ მაღალ წრეებში თავშექცევა მობეზრდა და ჯენტლმენს მწვავე შეგრძნებების მიღების, მაგალითად, ომობანას სურვილი გაუჩნდება, პრობლემა არ არსებობს — ოფიცრის ჩინის ყიდვა შეუძლია. თუ ფული აქვს, ნებისმიერი რანგის ოფიცერი გახდება, თუნდაც, სამხედრო განათლება ანდა არმიაში სამსახურის გამოცდილება არ ჰქონდეს.**

**ოფიცრის ჩინი ბრიტანეთში რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში, 1853-1856 წლების ყირიმის ომამდე იყიდებოდა. ეს პრაქტიკა გაუქმდა იმის გამო, რომ რუსულ ჯარებთან შეტაკებისას მარცხი ყოველთვის გარდაუვალი ხდებოდა. სრული განადგურებისგან მათ მხოლოდ ფრანგული ჯარების დახმარება იცავდა.**

ინგლისელ ოფიცერთა ამგვარმა ტრადიციულმა არაპროფესიონალიზმმა შემდგომში სავალალო შედეგები გამოიღო. ყირიმის ომიდან 15 წლის შემდეგ ინგლისელებმა ომი წამოიწყეს სამხრეთ აფრიკაში ზულუსების ტომის წინააღმდეგ. ზულუსებს კი რეგულარული სამხედრო სტრუქტურა ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ ცივი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი. მიუხედავად ძალთა ასეთი უთანაბრობისა, რამდენიმე ბრძოლაში ზულუსებმა მთლიანად გაანადგურეს ინგლისის ქვეითი პოლკები.

**სხვათა შორის, ზულუსებთან ომისას ბევრი ინგლისელი ოფიცერი სწორედ იმიტომ დაიღუპა ან დაიჭრა, რომ ჯენტლმენის კომპლექსები მოსვენებას არ აძლევდა. ზულუსების ნაჯახებისა და შუბებისგან თავდასაცავად ისინი შუასაუკუნეების ტიპის ფოლადის აბჯრებს იყენებდნენ. აბჯარი სამოსის ზემოდან უნდა ჩაეცვათ, მაგრამ ჯენტლმენს გარეგნულად შიში არ უნდა დასტყობოდა, ამიტომ ინგლისელი ოფიცრები აბჯრებს მუნდირის შიგნით იცვამდნენ. ამჯერად ზულუსთა იარაღი თუ ვერ ხვრეტდა აბჯარს, შინაგან ორგანოებს მაინც აზიანებდა და ძვლებსაც ამსხვრევდა.**

ზოგადად, ჯენტლმენის კულტი, მისი არაპროფესიონალიზმის იდეოლოგიით, განსაკუთრებით, ძალოვან სტრუქტურებში, მსჭვალავდა ანგლოსაქსური ისტორიულ-კულტურული ტიპის ყველა ფენას. ამის თვალსაჩინო მაგალითი შერლოკ ჰოლმსის — მოყვარული მაძებრის ხატება გახლავთ, რომელიც მუდამ ეწინააღმდეგება პროფესიონალ პოლიციელებს. ისინი კი ჰოლმსის ფონზე იშვიათ კრეტინებს ჰგვანან.

ძალოვან სფეროში, დილეტანტიზმის იდეოლოგიის გარდა, ანგლოსაქსური კულტურა სამხედრო საქმისთვის სავსებით მიუღებელ, ნარცისიზმისა და თვითკრიტიკის მიუღებლობის იდეოლოგიასაც შეიცავს. ეს თვისება მთელი დასავლური ცივილიზაციისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა ანგლოსაქსებში ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია. შედეგად, თუ სხვა სახელმწიფოებში, როგორც წესი, არსებობს ორი ისტორია: **იდეოლოგიური (მდაბიოებისთვის) და, მეტ-ნაკლებად, რეალური (ელიტისათვის), ამერიკაში მდაბიოებსაც და ელიტასაც ერთი ისტორია აქვთ. ამიტომ არა მარტო ამერიკელი ლეიტენანტი ან კაპიტანი, არამედ არმიის გენერალიც დარწმუნებულია, რომ სწორედ ამერიკის არმიამ მოიგო, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომი და რომ ის მსოფლიოში საუკეთესოა. ასეთი თავდაჯერებულობისა და საკუთარი „დაუმარცხებლობის“ პირობებში რაღა საჭიროა საკუთარი შეცდომების ძიება და სხვების საბრძოლო გამოცდილების გაზიარება? სწორედ ამ ნარცისიზმს შეეწირნენ და კვლავაც შეეწირებიან ამერიკელი და ინგლისელი ჯარისკაცები.**

ამერიკის სამხედრო სფეროში ანგლოსაქსური არაპროფესიონალიზმისა და სხვათა გამოცდილების უგულებელყოფის ერთ-ერთი გამოვლინება ოფიცერთა მომზადების სისტემაა. აშშ შეიარაღებული ძალების ოფიცერთა 75 პროცენტი თავისი მომზადებით საკადრო ოფიცერი არ არის. **ისინი სამოქალაქო უნივერსიტეტების, ინსტიტუტების და კოლეჯების კურსდამთავრებულნი არიან, რომლებმაც დამატებითი განათლება ე.წ. „სარეზერვო ოფიცერთა მომზადების კურსებზე“ მიიღეს. ეს, ჩვენი ტერმინოლოგიით, სამხედრო კათედრას ნიშნავს. მათი სასწავლო პროგრამა სულ რაღაც 480 საათს მოიცავს 4 წელიწადში. ეს კი საბჭოთა ხანის საშუალო სკოლის მე-9- მე-10 კლასებში დაწყებით სამხედრო მომზადებას უდრის.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასური ყველაზე მაღალია მსოფლიოში. სტუდენტებს ამ საფასურის გადაუხდელობა სამ შემთხვევაში შეუძლიათ: იმთავითვე ძალიან მაღალი მოსწრება უნდა აჩვენონ სწავლაში ან სპორტით დაკავდნენ, ან რეზერვის ოფიცერთა კურსებზე ჩააბარონ. ამ შემთხვევებში მათი სწავლის საფასურს სახელმწიფო იხდის, რის სანაცვლოდაც სტუდენტმა სწავლის დასრულების შემდეგ სამი წელი ოფიცრად უნდა იმსახუროს შეიარაღებულ ძალებში. შედეგად, ამერიკის ოფიცერთა კორპუსი 75 პროცენტით დაკომპლექტებულია ჩლუნგი, ზარმაცი და ფიზიკურად სუსტი ღარიბი ოჯახიშვილებისგან.

აშშ ქვეითი ძალების საკადრო ოფიცერთა ერთადერთი სამჭედლო უესტ-პოინტის სამხედრო სასწავლებელია. გარეგნულად იქ ყველაფერი რიგზეა. ამ აკადემიაში მოხვედრა მხოლოდ რომელიმე სენატორის, კონგრესმენის, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ან თავად ქვეყნის მეთაურის რეკომენდაციით არის შესაძლებელი. სწავლება 4-წლიანია, საფასური 250 ათას დოლარს შეადგენს. ყოველწლიურად სასწავლებელი 1000 „მეორე ლეიტენანტს“ (რუსეთის არმიაში ამ წოდებას ლეიტენანტის წოდება შეესაბამება) უშვებს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, კურსდამთავრებული სრულფასოვან სამხედრო განათლებას მაინც ვერ იღებს, რადგან სასწავლო პროგრამა ასეთია: **პირველ წელს ისწავლება ინგლისური ენა, უცხო ენა, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა, ფილოსოფია, პოლიტოლოგია, თანამედროვე ისტორია; მეორე წელს — მშობლიური ლიტერატურა, უცხო ენა, ქიმია, მათემატიკა, კომპიუტერები, ფიზიკა, გეოგრაფია, ეკონომიკა, თანამედროვე ისტორია; მესამე წელს — საინჟინრო მომზადება, საკონსტიტუციო სამართალი, სამხედრო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები, სამხედრო ისტორია და ფაკულტატიური საგნები შერჩევით; მეოთხე წელს — სამხედრო ისტორია, ინგლისური ენა, სამხედრო მართვა და ფაკულტატიური საგნები.** ჰოდა, სწორედ იმის გამო, რომ უესტ-პოინტი ასეთი აბსტრაქტული სპეციალობების ოფიცრებს უშვებს, ამერიკელი ჯარისკაცები ერაყში საძმო საფლავების მაგვარ ბლოკპოსტებს თხრიან, ნაღმმტყორცნების ცეცხლს ბრეზენტის კარვებში ხვდებიან და ღამღამობით ქალაქის ქუჩებში ჯავშანტექნიკით პატრულირებენ.

**ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ასეთი ოფიცრებითა და გენერალიტეტით ამერიკული არმია ნელ-ნელა ქრება ერაყსა და ავღანეთში. გასაოცარი ისაა, რომ ის აქამდე არსებობს. მართალია, ბისმარკი ამბობდა, რომ ღმერთი განსაკუთრებით მფარველობს სულელებსა და ლოთებსო, მაგრამ, როგორც ჩანს, უფლის მოთმინებასაც საზღვარი აქვს...**

**კონსტანტინე კოლონტაევი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

რედაქციის ელექტრონული ფოსტის მისამართზე მოვიდა ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულის **გიორგი მაისურაძის** დეტექტივი. ნაწარმოების გაცნობამ მიგვახვედრა, რომ საქმე გვაქვს პროფესიონალ მწერალთან, რომელიც ფსევდონიმს ამოეფარა. იმედია, დეტექტივის გამოქვეყნების დასრულებამდე რედაქციაც და გაზეთის მკითხველიც შევიტყობთ ავტორის ნამდვილ ვინაობას.
მკითხველი ნაწარმოებში ბევრ მსგავსებას იპოვის საქართველოში მომხდარ მოვლენებთან, შესაძლოა, კონკრეტული პირებიც ამოიცნოს.
თუმცა ავტორი მიგვანიშნებს, რომ ყველა შესაძლო პარალელი მხოლოდ დამთხვევაა.

## გიორგი მაისურაძე

# სალამი საქართველოდან!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №11-13

რედაქტორს ნიუ-იორკის დროით ზუსტად დილის ცხრა საათზე ელაპარაკა. მასალა მიღებულიც ჰქონდა, წაკითხულიც, მოწონებულიც და დასათაურებულიც. სათაურს, როგორც წესი, ყველა მნიშვნელოვან პუბლიკაციას თვით რედაქტორი ურჩევდა. ეს მის პრეროგატივას წარმოადგენდა, ვინაიდან აბსოლუტურად დარწმუნებული გახლდათ, რომ რედაქტორობისას ყველაზე მთავარი სათაურის შერჩევა იყო. ერთ სრულ საგაზეთო გვერდზე შეთანხმდნენ, სამი ფოტოსურათით. ამ უკანასკნელთა შერჩევის პრეროგატივაც რედაქტორს ეკუთვნოდა.

— ასე რომ, — თქვა საუბრის დასასრულს რედაქტორმა ჯორჯ არჩერმა, — უკვე ჩაშვებულია ხვალინდელ ნომერში, — და ყურმილი დაკიდა.

„ასე რომ", — გაიფიქრა სიდნეი როჯერსმა, — „ხვალ რამდენიმე ათეული მილიონი ამერიკელი მოქალაქე შეიტყობს, რომ სადღაც არსებობს ჯორჯიის შტატის მოსახელე ქვეყანა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს იმდენად დიდ პატივს სცემენ, რომ ერთ-ერთ მთავარ ქუჩას მისი სახელი უწოდეს, ხოლო პრეზიდენტისა და მისი მეუღლის ერთღამეგანათევი ნომერი სასტუმროში მავზოლეუმად აქციეს."

სიდნეი როჯერსი აივანზე გავიდა, საიდანაც ღამეული ქალაქის ხედი იშლებოდა. ზემოთ, ქედზე, ძველი ციხესიმაგრის ქონგურებიანი კედელი წამომართულიყო, პროჟექტორებით განათებული, ქვემოთ მდინარის ზოლი ჩამუქებულიყო, ქედსა და მდინარეს შორის კი ეკლესიების განათებული გუმბათები ჩანდა — თითქოს ფარზე დაყრდნობილი ოქროსმუზარადიანი რაინდ-გუშაგები...

* * *

„ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტს სიდნეი როჯერსს დღეს საქმე არაფერი ჰქონდა და თბილისის დათვალიერება გადაწყვიტა, თუნდაც, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული კაცის ზრდილობა-მოვალეობის გამო, ვინაიდან დიდად არ აინტერესებდა ეს ქალაქი, ისევე, როგორც ყველა სხვა მისი მსგავსი. იგი ნიუ-იორკელი იყო და რომის, პარიზისა და ლონდონის გარდა სხვა ქალაქებს, როგორც ადამიანებით დასახლებულ პუნქტებს და გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ისე აღიქვამდა. მისთვის მხოლოდ რომი, პარიზი და ლონდონი არსებობდა, ისინი თანამედროვე ცივილიზაციის მამა, დედა და გამზრდელები იყვნენ, ნიუ-იორკი კი — შვილი...

სიდნეი როჯერსი მანქანათა მდინარებას გაჰყურებდა. არც ერთი მძღოლი არ იცავდა მოძრაობის საყოველთაოდ დადგენილ წესებს. ეს ნამდვილი ქაოსი იყო, მხოლოდ მძღოლთათვის გასაგები და გააზრებული უწესრიგობა. ხოლო ის ფაქტი, რომ ყოველივე ამაში პოლიციის მანქანებიც მონაწილეობდა, თვალნათლივი, უტყუარი დასტური იყო იმ გარემოებისა, რომ ამ ქვეყანას და მის მესვეურთ კანონმორჩილებამდე გრძელი გზა ჰქონდათ გასავლელი.

ქუჩებში „მერსედესები", „ბეემვეები" და სხვადასხვა მარკის ვეებერთელა ყველგანმავლები — „ჯიპები" ჭარბობდა მძლავრი ძრავებითა და მასიური კორპუსებით... და დინოზავრთა ამ ქაოსურ სრბოლა-აღლუმში არჩილ კამარაულის „ოპელ-ასტრა" მწვანე ხვლიკივით მიიკვლევდა გზას.

* * *

საქართველოს პრეზიდენტთან სიდნეი როჯერსი დაცვის თანამშრომლებმა საგულდაგულოდ გაჩხრიკეს.

— „სწორედ ამიტომ არ ამომყვა ლიზი გასვიანი!" — გაიფიქრა მან.

პრეზიდენტი აღფრთოვანებული გახლდათ. დიდხანს ართმევდა ხელს „ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტს. ყოველივე ამის მიზეზი კი მის საწერ მაგიდაზე გაშლილი „ნიუ-იორკ თაიმსის" ახალ ნომერში დაბეჭდილი სტატია იყო სათაურით: „საქართველოში დემოკრატია ბუშის ქუჩით იწყება!"

— ყოჩაღ! — გუნებაში შეაქო საკუთარი რედაქტორი ჯო არჩერი სიდნეი როჯერსმა. ამერიკელი მკითხველისთვის ეს სათაური ორაზროვნად ჟღერდა, ვინაიდან პრეზიდენტ ჯორჯ ბუში-უმცროსის შვიდწლიანი დემოკრატიული ჭინთვებისა ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის არავის სჯეროდა. მისი საყოველთაო ლაშქრობა მსოფლიო დემოკრატიისათვის იმდენად ყარდა ნავთის სუნით, რომ პრაგმატული აზროვნების ამერიკელებისთვის ყველაფერი ნათელი იყო. ყოველივე ეს „ტეხასური მმართველობის" სახელით შევიდოდა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში და ქვეყნისთვის კარგი იყო თუ ცუდი, ამაზე არა ერთი გამოკვლევა დაიწერებოდა.

— რა კარგი ქენით, სიდ... ხომ შეიძლება, ასე გიწოდოთ? რა კარგი ქენით, როცა აღნიშნეთ, რომ ღამეს ბუშების ნომრის გვერდზე ათევთ და წარწერას ფოტოც გადაუღეთ. ღრმად ვარ დარწმუნებული, მისტერ როჯერს, — ოფიციალურ ტონზე გადავიდა პრეზიდენტი, — რომ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკას მეგობრობის თვალხილული დადასტურება სჭირდება, პოლიტიკაში მეგობრობა დაფარული არ უნდა იყოს! ამიტომაც მისტერ და მისის ბუშების ნომრის კარზე მიმაგრებული წარწერა, აგრეთვე, თქვენი ქვეყნის პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩა საქართველოს დედაქალაქში ჩვენი ქვეყნების პირველი პირების მეგობრობისა და თანამშრომლობის ხილული დადასტურებაა. ქართველებმა ვიცით მეგობრობის ფასი. ჩვენს გამოჩენილ პოეტს, ისტორიულ და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს თავის ერთ ლექსში აქვს შესაბამისი ფრაზები: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, მეგობრობა გზად და ხიდად!" * — საქართველოს პრეზიდენტს თვალები უბრწყინავდა, ლამის ეცრემლებოდა მგზნებარებისგან და ოფიციალური ტონი ბრუკლინური აქცენტით ყოველივეს უფრო ამძაფრებდა.

— მადლობელი ვარ, სიდ, მადლობელია ჩემი პატარა ქვეყანა! — ისევ ფამილარულ ტონზე გადავიდა პრეზიდენტი, — დაბრძანდით, — ჩქარი, გრძელი ნაბიჯებით გაუძღვა დაბალი მაგიდისა და სავარძლებისკენ. მაგიდაზე ხილით სავსე ვეებერთელა ლარნაკი და ორი ფინჯანი ყავა იდგა.

— მიირთვით, სიდ, მიირთვით, — მიიპატიჟა პრეზიდენტმა.

— გმადლობთ, — როჯერსმა ყავა მოსვა.

— სხვა, სიდ? როგორ მოგეწონათ საქართველოს დედაქალაქი? ათას ხუთას წელზე მეტისა ვართ! ეკლესიები ნახეთ? მეჩეთი? სინაგოგა? კირხე? გრიგორიანული ეკლესიები? ბაპტისტებიც არიან ჩვენთან, ადვენტისტები, ევანგელისტები... — სხაპასხუპით ჩამოთვალა პრეზიდენტმა, — საქართველო ტოლერანტული სახელმწიფო იყო მუდამ, სიდ, და ჩვენ კიდევ უფრო ვზრუნავთ ამ საკითხზე. ერთი, მორმონები არ გვყავს, თორემ დანარჩენი ყველაა ჩვენს დედაქალაქში, თქვენ წარმოიდგინეთ, ბუდისტებიც კი. ისე, უნდა ვთხოვო ჩემს მეგობარ ჯორჯ ბუშს, რამდენიმე მორმონი გამომიგზავნოს სრული მოზაიკისთვის, — უეცრად გადაიხარხარა პრეზიდენტმა.

— სხვა, მისტერ როჯერს, რას აპირებთ კიდევ? — ასევე უეცრად იკითხა.

— რედაქტორთან შეთანხმებით, ერთი ვრცელი მასალის დაწერა მაქვს განზრახული თქვენი პრეზიდენტობის განვლილ პერიოდზე, ანუ — საქართველო დღეს თავისი წარმატებებითა და პრობლემებით.

— კარგი იქნება, ძალიან კარგი! სიდ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, დღეიდან ჩემი პირადი სტუმარი იყოთ?

— რა თქმა უნდა, არა, დიდი მადლობა.

— მადლობლები ჩვენ ვართ, სიდ, პირადად მე ვარ თქვენი მადლობელი. მე ვიცი, რა არის „ნიუ-იორკ თაიმსი" და რას ნიშნავს, რამხელა მნიშვნელობა აქვს თქვენი გაზეთის ინტერესს ჩემი ქვეყნისადმი. გულახდილად უნდა გითხრათ, ჩვენი ერთადერთი ნამდვილი პრობლემა ისაა, რომ, მიუხედავად დემოკრატიული პროცესების შეუქცევადი განვითარება-გამყარებისა, პოლიტიკური პარტიების სიმრავლისა, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს ჩემთვის ამის აღნიშვნა, ჩემს მთავრობას, ჩვენს ხელისუფლებას არ ჰყავს სერიოზული ოპონენტი, ძლიერი ოპოზიცია და ეს ვითარება მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს, საერთაშორისო საზოგადოების თვალში ცოტა უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი პოლიტიკური პარტიების დაბალი პოლიტიკური დონისა და უსუსურობის შედეგია, მაგრამ მე — ქვეყნის პრეზიდენტი, ხომ ვერ ვეტყვი ამას საერთაშორისო საზოგადოებას? — პრეზიდენტი ყავის ფინჯანს დასწვდა და სულმოუთქმელად გადაკრა.

„ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტი უნებურად შეკრთა — ყავა ცხელი იყო, თითქმის მდუღარე.

— ჩემმა წინამორბედმა, მისტერ როჯერს, — ჩვეულებრივად განაგრძო პრეზიდენტმა, — ადამიანმა, რომელმაც თავისი მმართველობისას, ფაქტობრივად, სოციალისტურ-კომუნისტური სისტემა აღადგინა ქვეყანაში, ჩემი ხალხის, საზოგადოების თვალის ასახვევად და საკუთარი პოლიტიკური არსებობის, რეჟიმის გასახანგრძლივებლად, თავისი ასაკის ყავლგასული პოლიტიკოსებისგან სხვადასხვა ქვეყანაში შექმნა ეგრეთ წოდებული საქართველოს მეგობარ ქვეყანათა ჯგუფი. ესენი სწორედ ის ადამიანები არიან, ვინც ყველაზე დიდი ფინანსური სარგებელი ნახა დედამიწის ერთ მეექვსედზე კომუნისტური რეჟიმის ნგრევა-ლიკვიდაციის შედეგად. ამ კასტის წარმომადგენლებს თავიანთი ქვეყნების პარლამენტებსა და მთავრობებში ჰყავთ საკუთარი ნაშიერები და ინტერესების დამცველები. მათი მიზანი ნათელია — პოლიტიკური გავლენის სფეროების გაფართოება ამა თუ იმ ქვეყანაში, რათა ამ ქვეყნებიდან მაქსიმალური მატერიალური მოგება მიიღონ. რა თქმა უნდა, დიდი, ძლიერი, ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებს ისინი ვერაფერს დააკლებენ, მათი ინტერესების სფერო ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებია. ჩემი ქვეყანაც, სამწუხაროდ, ამგვარი ქვეყნების რიგშია. ხომ გესმით ჩემი, მისტერ როჯერს? გასაგებად ავხსენი ყველაფერი?

— სავსებით, სავსებით... და ლოგიკურად.

— ჰო... რა თქმა უნდა, თქვენ, როგორც მსოფლიოს უდიდესი გაზეთის წამყვანი კორესპონდენტი, ბევრი რამის საქმის კურსში ხართ... და რით შეიძლება ყოველივე ამას წინააღმდეგობა გაუწიოს მსოფლიო საზოგადოებამ? საზოგადოებრივი აზრის შექმნით, რასაკვირველია! მერედა, ვინ ქმნის საზოგადოებრივ აზრს? მასმედია! მასმედია! — გაიმეორა პრეზიდენტმა და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა როჯერსს, — პირდაპირ ვიტყვი, თქვენნაირი ნიჭისა და ავტორიტეტის მქონე ჟურნალისტები!

— გმადლობთ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ გადაჭარბებით აფასებთ ჩემს შესაძლებლობებს, — გააპროტესტა „ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტმა.

— არავითარ შემთხვევაში! თქვენ ახალი თაობის წარმომადგენელი ხართ, ჩემი თაობის წარმომადგენელი. მე თქვენზე ხუთი წლით უფროსი ვარ მხოლოდ და ჩვენს თაობას არ სურს კლანური, სექტანტური წესებით ცხოვრება! ჩვენი მოთხოვნილებაა, მსოფლიო ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდეს ყოველივე ამისგან. ჩვენი მიზანია სამართლიანი, თანაბარი მსოფლიოს შექმნა, სადაც დიდი და პატარა ქვეყნები, სახელმწიფოები მხოლოდ გეოგრაფიულ-ტერიტორიული განსხვავება-ცნებები იქნება და არა — პოლიტიკური. სანამ ქვეყნის პრეზიდენტად ამირჩევდა ერთსულოვნად ჩემი ხალხი, უკვე მანამდე ვფიქრობდი, ვოცნებობდი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მასმედიის წარმომადგენლებისგან ჩემი ქვეყნის მეგობარი ჟურნალისტების ჯგუფი შემექმნა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, როგორც ჭეშმარიტმა დემოკრატმა, ძალზე მომიწონა ეს ჩანაფიქრი და, პირდაპირ გეტყვით, სიდ, თქვენი თავი თვით განგებამ გამომიგზავნა.

— რას გულისხმობთ, ბატონო პრეზიდენტო? — სიდნეი როჯერსისთვის ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ მისი ვარაუდი მის წინ მჯდომ თვალებანთებულ ქვეყნის პირველ პირს უნდა გაეხმიანებინა.

— იქნებ თქვენ ითავოთ საქართველოს მეგობარ ჟურნალისტთა საერთაშორისო ჯგუფის შექმნა, მისტერ როჯერს, — ოფიციალურ ტონზე გადავიდა პრეზიდენტი, — და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტივით მხარში ამოგვიდგეთ?

— დიდი მადლობა, ბატონო პრეზიდენტო. ეს დიდი პატივია ჩემთვის, — დანაწევრებით თქვა როჯერსმა, — ერთი შეხედვით, არ არის ცუდი იდეა, მაგრამ იმდენად ახალია და მოულოდნელი ჩემთვის ეს ყოველივე, რომ ასე უცებ და ერთბაშად არაფრის თქმა არ შემიძლია. უნდა ვიფიქრო, განვსაჯო ჩემი შესაძლებლობები და საშუალებები. „ნიუ-იორკ თაიმსი" უდიდესი გაზეთია, მაგრამ მისი სიდიდეა სწორედ ის მიზეზი, რაც მასმედიის სხვა საშუალებებს აღიზიანებს და მათი მხრიდან მძაფრ კონკურენციას იწვევს. შესაბამისად, ჩვენი ჟურნალისტური ურთიერთობები, ძირითადად, სალმის მიცემაში გამოიხატება, ჩვენს წრეში იშვიათია მეგობრული კავშირები სხვა, ჩვენი კონკურენტი გაზეთების ჟურნალისტებთან.

— მე თქვენნაირ ჟურნალისტებს ვგულისხმობ, სიდ, პატიოსან, ღირსეულ, დემოკრატიულ ადამიანებს, თანაც, იდეა და კეთილშობილური მიზნები კონკურენციაზე მაღლა დგას!

— გეთანხმებით, მაგრამ ყოველივე ამას მოფიქრება უნდა, დრო უნდა, ხოლო იდეის ხორცშესხმას — ათასი რამ კიდევ...

— ამ ათასი რამის ფიქრი ნუ გაქვთ, სიდ, — მაგიდაზე გადმოიხარა და მხარზე ხელი დაჰკრა პრეზიდენტმა, — საქართველოს მეგობარ ჟურნალისტთა საერთაშორისო ჯგუფი ყველაზე მაღალანაზღაურებადი იქნება მთელ ჟურნალისტთა სამყაროში, მერწმუნეთ, სიტყვას გაძლევთ.

სიდნეი როჯერსმა მზერა გაუსწორა პრეზიდენტს. შინაგანი კმაყოფილების გრძნობამ მოიცვა. მისმა თანამოსაუბრემ ბოლო სიტყვებით თვითონვე გამოიხურა ხაფანგის კარი, რომელშიც „ნიუ-იორკ თაიმსის" კორესპონდენტის შეტყუება სურდა და თავადვე აღმოჩნდა შიგ. ამაო გამოდგა სიდნეი როჯერსის საგულდაგულო ჩხრეკა, ვინაიდან ჯინსის ქურთუკის ერთ-ერთ ღილაკში ჩამონტაჟე-

* ეს სიტყვები ეკუთვნის არა XIX-XX საუკუნეში მოღვაწე მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს, არამედ XII საუკუნის ქართველ პოეტს შოთა რუსთაველს. თანაც, ტექსტი დამახინჯებულია. — ავტორი.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ბულმა ციფრულმა კამერამ არათუ ჩაიწერა მთელი საუბარი, არამედ გადაიღო კიდეც.

უეცრად ტელეფონის ზარი გაისმა. პრეზიდენტი წამოდგა და სამუშაო მაგიდისკენ წავიდა.

„სტერეოტიპები!“ — ფიქრობდა სიდნეი როჯერსი, — „ამათ, ყოფილ სსრ კავშირში დაბადებულებს, გაზრდილებს, ჩამოყალიბებულებს, ჰგონიათ, რომ ყველა ამერიკელის, მით უმეტეს, ჟურნალისტის მოსყიდვა შეიძლება. სისხლში აქვთ გამჯდარი, რომ ეგრეთ წოდებული დასავლეთ სამყაროს მთავარი მამოძრავებელი ძალა, ყველაფრის ღერძი, ხერხემალი ყიდვა-გაყიდვაა“, — ტელეფონზე ქართულად მოსაუბრე პრეზიდენტს გახედა.

„იდეალისტი!“ — ჩაეცინა გუნებაში.

— ბატონო პრეზიდენტო! — ფეხზე წამოდგა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი, როცა იგი ტელეფონზე საუბარს მორჩა, — ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან.

— გნებავთ, ათი იყოს, სიდ, რაც ჩემი შესაძლებლობების ფარგლებშია, — გაუღიმა პრეზიდენტმა.

— ჩემი პირველი დავალება „ნიუ-იორკ თაიმსისგან“ თქვენთან ინტერვიუ იყო, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით.

— მეორე?

— მეორე კი ის არის, რომ რედაქციისთვის ცნობილი გახდა ფაქტი, ორიოდ კვირის წინ საქართველოში უბედურ შემთხვევას რომ ემსხვერპლა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე უოლტერ რაილი, რომელიც ჩვენი მთავრობის საგანგებო დავალებით იყო წარმოგზავნილი.

— ვიცი, როჯერს. უოლტერ რაილის მოწვევა ჩემი მოთხოვნით განხორციელდა და დიდ საქმესაც ჩაეყარა საფუძველი. ძალზე დამწყვიტა გული მისმა ასეთმა აღსასრულმა. პირადად მივუსამძიმრე თქვენი ქვეყნის ელჩს და დალუპულის ოჯახსაც პირადი წერილი მივწერე. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, თქვენს ქვეყანაში მორიგი ვიზიტისას მისი ოჯახი მოვინახულო და ჩემი ქვეყნის ყველაზე საპატიო სახელმწიფო ორდენი გადავცე, — პრეზიდენტმა მოლოდინით შეხედა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს.

— „ნიუ-იორკ თაიმსი“ მეტწილად პირველია ინფორმაციის მოპოვებასა და გავრცელებაში, მით უმეტეს, როცა საქმე ჩვენს ქვეყანას, მის ინტერესებს, მის მოქალაქეებს ეხება და ჩემი მეორე დავალების მიზანიც ესაა — უოლტერ რაილის აქაური მოღვაწეობისა და ტრაგიკული აღსასრულის ამბავი ჩვენს კონკურენტებზე ადრე მივაწოდო მკითხველს. ჟურნალისტური გამოძიების ჩატარება დამევალა ამ საქმეზე და ვინაიდან დალუპული, გარკვეულწილად, სპეციალურ მისიას ასრულებდა თქვენი ქვეყნის სამართალდამცავ სპეცაგენტებთან ერთად, ვშიშობ, მათი დახმარების გარეშე ჩემი დავალება შესრულდეს.

— რა პრობლემაა, სიდ, ჩვენ ხომ დემოკრატიული ქვეყანა ვართ! პირადად დაველაპარაკები შინაგან საქმეთა მინისტრს. უაღრესად ღირსეული პიროვნებაა, ჩემი მეგობარი და თანამებრძოლია. ეცდება, ყველა თქვენი მოთხოვნა მაქსიმალურად მოკლე დროში დააკმაყოფილოს.

— დიდი მადლობა, ბატონო პრეზიდენტო, უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო თქვენთან შეხვედრა.

პრეზიდენტმა გაუღიმა და ხელი გაუწოდა...

გვიან ღამით სიდნეი როჯერსმა რიჩარდ ჰოფნერს ანგარიში გადასცა. დაწვრილებით აღწერა პრეზიდენტის მიერ მისი გადაბირების მცდელობა ჟურნალისტთა საერთაშორისო ჯგუფის შექმნის მიზნით.

„უოლტერ რაილის საქმე დაიძრა. ველოდები შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრას!“ — აკრიფა ლეპტოპზე ანგარიშის ბოლო ფრაზა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეციალურმა აგენტმა.

* * *

დილის რვა საათზე სიდნეი როჯერსი ნომრის კარზე დაჟინებულმა კაკუნმა გაალვიძა.

— დიდი ბოდიში, მისტერ როჯერს, — კარებში სასტუმროს უფროსი მენეჯერი იდგა, რასაც მისი პიჯაკის ლაცკანზე მიმაგრებული პლასტიკური ბარათი ადასტურებდა, — უკაცრავად ამ შეწუხება-გაღვიძებისთვის!

— სასტუმროს ყველა თანამშრომელმა იცოდა ინგლისური ენა, ეს მთავარი პირობა იყო არა მარტო მომსახურების სფეროში, არამედ საქართველოს დედაქალაქის ყველა დაწესებულებასა და ფირმაში.

— დიახ, გისმენთ.

— საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გელოდებათ, — უთხრა მენეჯერმა და თავი მოწიწებით დახარა.

— სად არის?

— ზუსტად თხუთმეტ წუთში სასტუმროს წინ იქნება... იქ უნდა დახვდეთ.

— ასე თქვა, დამხვდესო? — „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა წარბები აზიდა; კოლონიაში ჩასული რომაელი პატრიცის ტონი იყო.

— არა, არა! — დაფრთხა მენეჯერი, — ასე მე ვთქვი, ბოდიშს გიხდით. იმან თქვა...

— ენა დაება მენეჯერს, — უფრო სწორად, მისმა მდივანმა მითხრა, თხუთმეტ წუთში ბატონ როჯერსს სასტუმროში მინისტრი გამოუვლისო.

— კეთილი! — „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა გაოგნებულ მენეჯერს კარი ცხვირწინ მიუკეტა. „თაგვისთვის ვეფხვი არაფერია, ყველაზე დიდი მტაცებელი კატაა მისთვის!“ — გაიფიქრა როჯერსმა.

შხაპი მიიღო, ჩაიცვა, ლეპტოპი ჩართო.

„პრეზიდენტის შემოთავაზების შესახებ საქმის კურსში ელჩი ჩააყენე!“ — იყო რიჩარდ ჰოფნერის პასუხი მის ანგარიშზე.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი ლიფტით ჩავიდა ქვემოთ, უკაცრიელი ვესტიბიული გადაკვეთა და სასტუმროდან გავიდა.

სასტუმროს წინა მოედანზე, ზედ კიბეებთან, შავი მანქანებისგან შემდგარი ესკორტი იდგა — წინ და უკან „ჯიპები“, „ნისან-პატროლი“ და შუაში „მერსედეს SLK-520“.

**(გაგრძელება იქნება)**

# პენსიონერთა სერიულ მკვლელს უვადო პატიმრობა მიუსაჯეს



**2007 წლის ზაფხულში ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილმა სერიულმა მკვლელობებმა საზოგადოება შეძრა. მოხუცი ქალბატონების განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობებისთვის, ყაჩაღობისთვის, ქურდობისა და თაღლითობისთვის სასამართლომ შარშან 5 დამნაშავეს საკმაოდ მკაცრი განაჩენი გამოუტანა. ამ საქმეში კიდევ უფრო შემაძრწუნებელი ის იყო, რომ ერთ-ერთ დამნაშავეს მკვლელობების დროს არასრულწლოვანი შვილი მუდამ თან ახლდა.**

**დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი 4 მამაკაცისა და ერთი ქალისაგან შედგებოდა. ამ ჯგუფმა თავისი დაუნდობლობითა და სისასტიკით გაითქვა სახელი.**

აღსანიშნავია ისიც, რომ პროკურატურამ ბრალდებული მამაკაცები მათი თანამზრახველი ქალბატონის ჩვენების საფუძველზე დააკავა. დაკავებულმა ლელა კურტანიძემ დანაშაული აღიარა, რისთვისაც პროკურატურამ მასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

კურტანიძის გარდა, დანაშაული დავით გველუკაშვილმაც აღიარა, რაც მას პროკურატურასთან თანამშრომლობაში ჩაეთვალა და მასაც საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს.

რაც შეეხება დანარჩენებს — 45 წლის ზაურ მიქელაძეს, 41 წლის ნუგზარ პაპიაშვილს და 25 წლის ჯანრი გაბიდაურს, მათ თავი ნაწილობივ დამნაშავეებად ცნეს, ანუ მკვლელობები არ აღიარეს. გახმაურებულ საქმეში მეექვსე განსასჯელიც ფიგურირებდა, თუმცა ვალერი მიქატაძე ციხეში გარდაიცვალა.

**სერიული მკვლელობები 2007 წლის ზაფხულში მოხდა. მოკლულები, ძირითადად, ბრალდებულების ნათესავები ან მეზობლები იყვნენ. საგულისხმოა, რომ მოხუც ქალებს გუდავდნენ და შემდეგ მათი საცხოვრებლებიდან თანხა და ძვირფასეულობა გაჰქონდათ.**

საქმის მასალების მიხედვით, პირველი მკვლელობა 2007 წლის ივნისში (ზუსტი თარიღი უცნობია) მოხდა. იმ საღამოს ლელა კურტანიძე და ნუგზარ პაპიაშვილი ამ უკანასკნელის ნათესავის ლოლა ოქროპირიძის მოსაკლავად თანამზრახველებს – ზაურ მიქელაძეს და დავით გველუკაშვილს დაუკავშირდნენ. ივნისის ერთ-ერთ ავბედით საღამოს ლელა კურტანიძე მცირეწლოვან შვილთან, გიორგი კ-სთან და დანარჩენ თანამზრახველებთან — ბოლაშვილთან და ბეჟიაშვილთან ერთად ოქროპირიძის ბინასთან მივიდნენ. **გეგმის მიხედვით, ავტომანქანაში კურტანიძე, მისი შვილი და გველუკაშვილი დარჩნენ, ხოლო პაპიაშვილი და მიქელაძე ლოლა ოქროპირიძის ბინის მახლობლად მდებარე ავტოფარეხში შევიდნენ, სადაც იქვე მყოფ მოხუცს ბლაგვი საგნით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენეს, რის შემდეგაც მოხუცი ადგილზე გარდაიცვალა. მკვდარს საყურეები ჩამოჰგლიჯეს, თითიდან ბეჭედი წააძრეს და მიიმალნენ. სამშვიდობოს დაგულებულმა დამნაშავეებმა მოგვიანებით მოპარული ოქროს საყურეები მეტრო „ახმეტელთან“ მდებარე სავაჭრო ცენტრ „მარიამის“ ოქროს ბირჟაზე 35 ლარად გაყიდეს. ლოლა ოქროპირიძის რძალი თათული რაზმაძე დედამთილის მკვლელობის დღეს შემდეგნაირად იხსენებს: „ლოლა დილით სახლიდან გავიდა, სავარაუდოდ, ფარეხში, ქათმების მისახედად. შემდეგ სახლში შემობრუნდა, დაიბანა და ისევ გავიდა. მას შემდეგ არ მინახავს. გამთენიისას მეზობელმა გაგვაღვიძა, ფარეხში ლოლა მოუკლავთო“.**

პოლიცია ცხელ კვალზე დამნაშავეების ძებნას შეუდგა, თუმცა ამაოდ. მათ თითქოს ცამ უყო პირი, კვალს ვერსად მიაგნეს. და აი, მკვლელობიდან ერთი თვის თავზე ორგანიზებული ჯგუფის მორიგი მსხვერპლი პოლიციამ სიღნაღის რაიონში აღმოაჩინა.

მკვლელობა 2007 წლის ივლისის შუა რიცხვებში სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში მოხდა. ამჯერად, მსხვერპლი ზაურ მიქელაძის მეზობელი, 71 წლის მარტოხელა ქალბატონი რუსლანა მაძღარაშვილი იყო.

**პირველი მკვლელობის მსგავსად, მეორე სველ საქმეზეც კურტანიძეს თან ახლდა მცირეწლოვანი შვილი. საქმის მასალების მიხედვით, ბოროტმოქმედები სოფელ ჯუგაანში დაახლოებით ღამის 11-12 საათზე მივიდნენ. ამჯერადაც მანქანიდან საქმის უშუალო შემსრულებლები გადავიდნენ — ჩაბნელებული სახლისკენ მიქელაძე და პაპიაშვილი გაემართნენ. დამნაშავეებს იქ ფული ეგულებოდათ, რის გამოც უმოწყალოდ გაუსწორდნენ მოხუცს — იგი გაგუდეს და მოკლულის სახლიდან 1000 ლარი, ოქროს სამკაული და სხვადასხვა საოჯახო ნივთი წაიღეს.**

იმისათვის, რომ მოხუცის გაუჩინარებაში ეჭვი არავის შეეტანა, ჭიშკარს გარედან ბოქლომი დაადეს (მოხუცი ასე იმ შემთხვევაში იქცეოდა, როდესაც სტუმრად მიდიოდა).

**დის ოჯახმა გვამი 5 დღის შემდეგ ნახა. როგორც მოკლულის დამ განაცხადა, რუსლანა, თურმე, ხშირად ამბობდა, რომ ემუქრებოდნენ: „თუ მოვიდნენ, 1000 ლარს მივცემო. ფულს კომოდის უჯრაში ინახავდა. ორშაბათის შემდეგ ჩემი და არ მინახავს. შაბათსაც რომ აღარ გამოჩნდა, სახლში მივაკითხე. კარებს ბოქლომი ედო. მეზობლებმა მითხრეს, რამდენი ხანია, სახლში არ არისო. კარები შევაგნირეთ. მეზობლებმა ფანჯრიდან დაინახეს, რომ რუსლანას მატლები ეხვია.“**

მორიგი მკვლელობის თვე აგვისტო აღმოჩნდა. მსხვერპლი — ჯგუფის წევრის პაპიაშვილის ნათესავი, მარტოხელა ლარისა პირმისაშვილი.

წინა მკვლელობებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში მკვლელობის თარიღი ცნობილია – ეს იყო 23 აგვისტო. ამჯერად მკვლელობა, დანარჩენებისაგან განსხვავებით, დღის საათებში მოხდა. დაუპატიჟებელი სტუმრები მშვიდად შევიდნენ ბინაში, იცოდნენ, რომ იქ ერთი ჩია მოხუცის გარდა არავინ დახვდებოდათ. დანარჩენები უცვლელი შემადგენლობით მანქანაში ელოდებოდნენ.

**„საქმეზე“ კვლავ მიქელაძე და პაპიაშვილი წავიდნენ. წინამორბედთა მსგავსად, პირმისაშვილიც გაგუდეს. მისი ბინიდან ყავის სერვიზი და 60 ლარი წაიღეს. თანხა გაინაწილეს, ხოლო ყავის სერვიზი მოგვიანებით მიქელაძეს გადასცეს.**

სანამ ცხელ კვალზე მომუშავე პოლიცია რაიმე ხელჩასაჭიდს იპოვიდა, ჯგუფმა კიდევ ერთი მკვლელობის ჩადენა მოასწრო, რომელიც 2008 წლის 29 თებერვალს თბილისში მოხდა. მსხვერპლი — პენსიონერი მარინა ბარეზაშვილი კურტანიძემ და პაპიაშვილმა 2007 წლის ზაფხულში ურეკში გაიცნეს. როგორც ირკვევა, მათი ურთიერთობა თბილისშიც გაგრძელდა.

29 თებერვალს, საღამოს, კურტანიძე შვილთან, პაპიაშვილთან და ჯანრი გაბიდაურთან ერთად ბაზერაშვილს ესტუმრნენ.

**მასპინძელი მათ გულღიად შეხვდა. სტუმრობიდან დაახლოებით 10-15 წუთის შემდეგ კურტანიძე შვილთან ერთად გარეთ გავიდა, ვითომ აფთიაქში წამლების საყიდლად. სინამდვილეში კი ეს იმის ნიშანი იყო, რომ ოთახში დარჩენილები საქმეს უნდა შესდგომოდნენ. ბოროტმოქმედებმა ბაზერაშვილიც გაგუდეს; მისი ბინიდან დამნაშავეებმა „ჯი-ვი-სის“ ფირმის ტელევიზორი, პრინტერი, „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი და ოქროს საყურეები წაიღეს.**

ბაზერაშვილის ნათესავი, ნინო ჯანგირაშვილი, რომელიც მოხუც ქალთან დროებით ცხოვრობდა, იხსენებს, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში დეიდამისს ლელა კურტანიძე სტუმრობდა: „დეიდას ძალიან გაუხარდა მისი ნახვა. მითხრა, — ურეჯი ეს ბავშვი გავიცანიო. ის ქალი ბავშვთან და მეუღლესთან ერთად იყო. ერთ საათში წავიდნენ.“

**რა თქმა უნდა, ეს საქმე თავიდან ბოლომდე შემზარავია, მაგრამ კიდევ უფრო შემზარავი ამ საქმეში ბავშვის მონაწილეობაა. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, გიორგი დედას ყველა საქმეზე დაჰყავდა. სასამართლო პროცესზე მისი მოყვანა კი ვერ მოხერხდა, ამიტომ სასამართლო გამოძიებისთვის მიცემული მისი ჩვენებით დაკმაყოფილდა.**

გიორგის ჩვენებიდან: **„2007 წლის ზაფხულში, თვე და რიცხვი არ მახსოვს, მე, დედაჩემი, პაპიაშვილი, გველუკაშვილი და მიქელაძე მივედით ლოლა ოქროპირიძის კორპუსთან. პაპიაშვილი და მიქელაძე მანქანიდან გადავიდნენ. დაახლოებით 40 წუთში დაბრუნდნენ; დაღლილები იყვნენ. გლდანში, სავაჭრო ცენტრ „მარიამში“ მივედით, სადაც ოქროულობა ლომბარდში ჩავაბარეთ“;**

**„2007 წლის ზაფხულში, თვე და რიცხვი არ მახსოვს, ავჭალაში მივედით. წვიმდა; ღამე იყო. პაპიაშვილი და მიქელაძე მანქანიდან გადავიდნენ. 1 საათში დაბრუნდნენ. ეტყობოდათ, რომ დაღლილები იყვნენ. ორი ჩანთა მოიტანეს. ერთ-ერთში ქაღალდის ყუთები იდო“;**

**„2007 წლის ზაფხულში მე, დედაჩემი, მიქელაძე, პაპიაშვილი და გველუკაშვილი ჯუგაანში წავედით. მანქანა ტყის პირას გავაჩერეთ. მიქელაძე და პაპიაშვილი 2 საათში დაბრუნდნენ; თან 3 ჩანთა მოიტანეს. ერთ-ერთში ტანსაცმელი იყო და სპორტული შარვალი მომცეს. შემდეგ მიქელაძის სახლში წავედით, ღამე იქ გავათიეთ; ვიქეიფეთ. მეორე დღეს თბილისში წამოვედით“.**

გიორგის ჩვენებაში ისიც ნათქვამია, თუ როგორ გაიცნეს ბაზერაშვილი, ასევე, მასთან სტუმრობის დეტალებიც: **„გვიან ღამით მივედით მე, დედაჩემი, მიქელაძე, გაბიდაური და პაპიაშვილი. მოხუცი ქალი ცუდად გახდა. მე და დედაჩემი წამლის საყიდლად გარეთ გამოვედით. დედაჩემმა გაბიდაურს დაურეკა, — ამდენ ხანს სად ხართო, — ჰკითხა“,** — ამბობს თავის ჩვენებაში გიორგი.

საბოლოოდ, პენსიონერთა სერიული მკვლელობებისთვის დამნაშავეებს სასამართლომ შემდეგი სასჯელები შეუფარდა: მიქელაძეს — უვადო პატიმრობა, გველუკაშვილს — 20 წლით, ნუგზარ პაპიაშვილს — 13 წლით, ხოლო ჯანრი გაბიდაურს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ნანა არევაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ციური გარუჩავა:

# სააკაშვილი კი არ უნდა ვლანძღოთ, საბრალდებო სკამზე უნდა დავსვათ!

**„ვარდების რევოლუცია“ მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ ელიტისთვის აღმოჩნდა ხავერდოვანი, სხვებმა ეკლების სიმწარე იგემეს, მათ შორის, ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანებამ, რომელიც 1990 წელს მამულისთვის გულანთებულმა ერთმა ქართველმა, თავისი საქმის უზადო პროფესიონალმა ციური გარუჩავამ დააარსა. საუბედუროდ, წლობით ნაშრომ-ნაღვაწი თბილისის მერმა გიგი უგულავამ მართლაც რომ უგულოდ „ჩარეცხა“ — გაერთიანებას დაფინანსება შეუწყვიტა. 250 ადამიანი უმუშევარი დარჩა, მათი ბედი ამ ქვეყანაში არავის აღელვებს...**



ციური გარუჩავა



კონკურსის პრიზი

**ციური გარუჩავა:**

— ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანება დღეს აღარც ცოცხლებში წერია და აღარც მკვდრებში. ვარსებობთ იურიდიულად, ქაღალდზე, მაგრამ ვერ ვფუნქციონირებთ უფულობის გამო. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება დაუსრულებლად ცრუობს. პრეზიდენტი სამუშაო ადგილებს გვპირდება, დედაქალაქის მერი კი ამ დროს 250 ადამიანს ულუკმაპუროდ ტოვებს, საშიმშილოდ იმეტებს... ჩვენი გაერთიანება სწორედ იმიტომ დაარსდა, რომ ახალგაზრდა შემოქმედთათვის პროფესიული განვითარების საშუალება მიგვეცა, სათანადო სამუშაო პირობები შეგვექმნა, ახალი სახელები გამოგვევლინა და საერთაშორისო ასპარეზზე გაგვეყვანა... ყველანი ლილოს ბაზრობაზე ხომ ვერ დავდგებით? გაიხსენეთ, რა შავბნელი დრო გამოვიარეთ. იმ წლებში არა ერთი ნიჭიერი და სახელოვანი ადამიანი გადაარჩინა ჩვენმა გაერთიანებამ. გაზეთიც კი გამოვეცით, მაშინ კულტურის სამინისტროსაც არ ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო. საქართველო ევროპის საერთაშორისო კონკურსების ფედერაციის (EMCY) ოფიციალური და სრულუფლებიანი წევრი სწორედ ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების წყალობით გახდა... ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზული შემთხვევა გამახსენდა... ესპანეთში გენერალურ ასამბლეაზე ბორდის (5-კაციანი მმართველი ბიურო) წევრად მიმიწვიეს. თქვენ წარმოიდგინეთ, იქიდან გამოგზავნილი წერილი 5 თვის დაგვიანებით გადმომცეს...

— **რა მიზეზით?**

— ჩემს სახელზე გამოგზავნილი მიწვევა ფოსტიდან კულტურის სამინისტროში გადააგზავნეს, სადაც კარგა ხანს ედოთ და ისევ ფოსტას დაუბრუნეს. წერილი 5 თვის მერე გადმომცეს, რის გამოც ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობა ვერ მივიღე... ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, სადაც ასეთი კურიოზები ხდება.

— **როგორ მოახერხეთ საქართველოს გაწევრება ევროპის საერთაშორისო კონკურსების ფედერაციაში?**

— EMCY 70 წელია, არსებობს და მასში ევროპის 26 საუკეთესო ქვეყანაა გაერთიანებული. ფედერაციას ჩვენი მონაცემები გავუგზავნეთ, შედეგად, ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების მიერ დაარსებულ კონკურსზე დასწრების სურვილი გამოთქვეს.

— **ეს რა კონკურსია?**

— „ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა ღია კონკურსი“, რომელიც პრაქტიკულად გაერთიანების მიერ წინა წლებში ჩატარებული „16 წლამდე ასაკის ბავშვთა საფორტეპიანო და სავიოლინო კონკურსის“ გაგრძელებაა და კლასიკური მუსიკის ყველა ჟანრს მოიცავს. მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ.

— **დაესწრო კონკურსს EMCY-ის წარმომადგენელი?**

— ჩვენდა გასაოცრად, თავად ბატონი ეკარტ როლფსი გვესტუმრა, EMCY-ის გენერალური მდივანი. იგი აღფრთოვანებული დარჩა კონკურსით და საქართველო ფედერაციის წევრობის კანდიდატად წარადგინა. მანვე შემიყვანა ბორდის მმართველ ბიუროში, მაგრამ ესპანეთში გამართულ ასამბლეაზე ვერ მოვხვდი ჩვენი ფოსტისა და კულტურის სამინისტროს უნიათობის გამო. სხვათა შორის, ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტმა (abi) აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის საპატიო დიპლომით დამაჯილდოვა და “2001 წლის ქალბატონის” წოდება მომანიჭა. EMCY გამარჯვებულებს გადასცემს პრიზებს: სწავლა უცხოეთის პრესტიჟულ მუსიკალურ სასწავლებლებში; ერთწლიანი სტიპენდია; საგასტროლო ტურნე ევროპის ქვეყნებში; პედაგოგებისთვის ღია გაკვეთილები და სემინარები საზღვარგარეთ. ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების წყალობით, პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან საქართველო პირველი გახდა უაღრესად პრესტიჟული სტატუსის მქონე ორგანიზაციის წევრი, ბატონმა უგულავამ კი „ჩაგვრეცხა“...

EMCY-ს დაგეგმილი ჰქონდა ფედერაციის გენერალური ასამბლეის ჩატარება თბილისში, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას მიიღებდა თავად ევროპის საერთაშორისო კონკურსების ფედერაციის პრეზიდენტი პიტერ პაიროტი და ფედერაციის 26-ვე წევრი ქვეყნის წარმომადგენელი, რაც დიდი პატივი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის. ეს იყო სერიოზული წინაპირობა იმისა, რომ თბილისი გადაქცეულიყო არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ ევროპის კულტურის ერთ-ერთ ცენტრად. დღედაღამ ამაზე ვოცნებობდი, ცხოვრების მიზნად დავისახე. ყველანი დაუღალავად ვშრომობდით სახელმწიფოს მიერ მოცემული გროშების სანაცვლოდ, ხელფასები მაქვს მხედველობაში, სახლიდან მოგვქონდა და საქმეს ვახმარდით. ფული რომ დამაკლდა, ქალიშვილს ოჯახის დანაზოგი თანხა წავართვი და ისე ჩავატარე ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე საერთაშორისო კონკურსი, მაგრამ, სამწუხაროდ, ქალაქის მერს ვერ გავაგებინე, რა საჭიროა, საერთოდ, კლასიკური მუსიკა, ნიჭიერ პატარებზე ზრუნვა, მათ მომავალზე ფიქრი, ზოგადად, კულტურა და განათლება!.. ასე თქვა, „ტრუხა“ ორგანიზაციააო. კონკურსს მაინც დასწრებოდა, მოსულიყო, ჩვენი მუშაობა შეემოწმებინა, იქნებ, მივითვისე სახელმწიფო თანხები?..

სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში ხვალინდელ დღეზე არავინ ფიქრობს, „დღევანდელი კვერცხი“ ურჩევნიათ. ჯანდაბას ჩემი შრომა და წვალება, რწმენას რა მოვუხერხო, როგორ შევეგუო იმ კატასტროფულ რეალობას, რომ პროფესიონალიზმი ზერელე ამბიციამ შეცვალა, როგორ დავიჯერო, რომ კომპიუტერით დამუშავებული, ძვირადღირებული კლიპებით გაფერადებული ცეკვა-თამაშ-სიმღერა რაიმე ღირებულებას წარმოადგენს, როგორ ვაღიარო ჩემი სათაყვანო, ნიჭიერი ერის სრული გამოთაყვანება ამ ხელისუფლების ხელში?!.

მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო თქვენს გაზეთს იმისთვის, რომ ერის საჭირბოროტო თემებზე აქვეყნებს პუბლიკაციებს. ჟურნალისტთა უმრავლესობას, სამწუხაროდ, სენსაცია აინტერესებს... ნუთუ კაცი უნდა მოვკლა ან ახალშობილი გადავაგდო სანაგვეზე, პრესის ინტერესი რომ დავიმსახურო? დამერწმუნეთ, თუ პრობლემებზე არ დაწერთ, წლების მერე ვინმე არქივში რომ წააწყდება გაზეთებს, იფიქრებს, საქართველოში მხოლოდ კლავდნენ, აუპატიურებდნენ და ერთმანეთს ჭამდნენო, თუმცა ასეცაა... რას გერჩით!

გიგი უგულავას ჩემი ახირება ჰგონია კონკურსების ჩატარება, თავისი გადმოსახედიდან მიყურებს და სადღაც გულში, ალბათ, ვეცოდები კიდეც იმიტომ, რომ კონკურსის მონაწილეებს დამატებით სტიპენდიები დავუნიშნე, მაშინ, როცა სახლში წასასვლელად 50 თეთრიც არ მქონდა. საერთოდ, წარმოუდგენელია მისთვის ჩემი ტკივილი, ახლებურად უმუშავებს წართმევა-წაგლეჯაზე გამეცადინებული გონება.

— **თქვენს ოფისს ვინმე უპირებს დაპატრონებას?**

— ქალაქის მერს სურს, გაერთიანების „უმაქნისი“ შენობა „მაქნისად“ აქციოს — სასტუმროდ ან სხვა კომერციულ ფართად, ოღონდ — არამც და არამც განათლებისა და კულტურის კერად...

— **რა ელის ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანებას?**

— ხელისუფალთა საყურადღებოდ ვამბობ: თუ გგონიათ, რომ თავის შეცოდება გამომივიდა, შეგეშალათ! ვინც ჩემს ტკივილში ქვეყნის ტკივილი დაინახა, მხოლოდ ის გამიგებს, მაგრამ გაჩუმდება, რადგანაც ამ განწყობისთვის უწინ ადამიანებს ხვრეტდნენ ან ასახლებდნენ, მერე იცინოდნენ, დღეს კი ფეხებზე ჰკიდიათ... გეკითხებით, კარგი რა უნდა ელოდეს ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანებას ამ უმომავლო ქვეყანაში?.. „ნაცმოძრაობის“ ერთმა აქტივისტმა მისაყვედურა, — პრეზიდენტს რომ ლანძღავთ, კარგი არაფერი გაუკეთებიაო?

— **რა უპასუხეთ?**

— კარგი როგორ არ გაუკეთებია-მეთქი, — ვუთხარი, ოღონდ — საკუთარი თავისთვის და „ნაცმოძრაობის“ ლიდერებისთვის. სააკაშვილი კი არ უნდა ვლანძღოთ, საბრალდებო სკამზე უნდა დავსვათ! სწორედ მან შექმნა ელიტური კორუფცია და გაძარცვა საქართველოს მოსახლეობა. გეყოთ, გვაცალეთ, თუ თქვენსას მაინც არ დაიშლით, „ვარდების რევოლუცია“ ანიმაციურ ფილმად მოგეჩვენებათ! ხალხს მობეზრდა უთავმოყვარეო ცხოვრება. თუ თავად არ გესმით, რასაც იქმთ, მოსახლეობას ჰკითხეთ და გიკარნახებთ, როგორ ეგების მოქცევა. თქვენს „მოღვაწეობას“, არც მეტი, არც ნაკლები, პოლიტიკური უმეცრება ჰქვია, უფრო ვულგარულ ენაზე კი — გონებრივი პროსტიტუცია, რაც ნამდვილად ჩვენც გვეკითხება, იმიტომ, რომ ქვეყნის ღირსება და კეთილდღეობა სწორედაც ხალხის საქმეა. „ვარდების რევოლუციის“ დროს და მერეც ქართველებმა მსოფლიოს დავანახვეთ, რომ მართლაც დემოკრატები ვართ... ვინ მოგცათ იმის უფლება, დიდი საშლელი აგეღოთ და ჩვენი დემოკრატია თქვენი დემაგოგიით შეგეცვალათ? დიახ, არ მეშლება, ხელისუფლების საქციელს ერის წინაშე დემაგოგია ჰქვია. მართლები არ ხართ არც პოლიტიკურად, არც — მამულიშვილურად, არც — ადამიანურად და, ბოლოს და ბოლოს, არც „ქურდულად“. გონს მოდით, ჭკვიანობანას რომ თამაშობთ, ჭკუას მაინც მოუხმეთ. ქვეყნის ფეხზე დაყენებას ცხელი გული და ცივი გონება სჭირდება. საქართველოს უამრავი კეთილგონიერი, ჭკვიანი და ქვეყნისთვის გულანთებული მოქალაქე ჰყავს, შეუცვლელი არავინ არის!

**ცნობისთვის:** ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების ბაზაზე ფუნქციონირებდა კამერული ორკესტრი „თბილისის კონცერტინო“ (სამხატვრო ხელმძღვანელი — შავლეგ შილაკაძე), რომელმაც 1990 წლიდან 500-ზე მეტი კონცერტი გამართა საქართველოში, ესპანეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, შოტლანდიაში, საფრანგეთში, იტალიასა და ინგლისში (დედოფალ ელისაბედის დარბაზში); მხატვარ-ექსპერტთა შემოქმედებითი სახელოსნო „ვარძია“ (ხელმძღვანელი — ხელოვნებათმცოდნე ინგა ქირია), რომელმაც ნიჭიერ ახალგაზრდა ქართველ მხატვართა ჯგუფური გამოფენები მოაწყო ბონში, მანჰაიმში, ჰაიდელბერგში, რომში; ჩაატარა გაცვლითი პლენერი დანიელ მხატვრებთან ერთად. 2001 წელს აქტიურად მონაწილეობდა კულტურის სამინისტროს მიერ პარიზში, იუნესკოს შტაბბინაში ქართველ მხატვართა გამოფენის ორგანიზებაში; ფოლკლორის თეატრი, რომელიც ქალბატონ ციური გარუჩავას დახმარებით დააარსა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კუკური ჭოხონელიძემ. ამ პროფილის თეატრს დღემდე ბადალი არ მოეძებნება პოსტსაბჭოურ სივრცეში; ფოლკლორული ანსამბლი „ბერიკები“, რომელსაც ტაშს უკრავდნენ იუგოსლავიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, ეთიოპიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში; ფოლკლორული ანსამბლი „მთიები“ (დააარსა აწგარდაცვლილმა მუსიკოს-ფოლკლორისტმა ედიშერ გარაყანიძემ), რომელიც სოფელ-სოფელ დადიოდა ექსპედიციებში და ჯერ კიდევ შემორჩენილ ნიმუშებს იწერდა; ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „მზეთამზე“, რომელიც პირველი და დღემდე ერთადერთია, ვინც მხოლოდ საქართველოს ყველა კუთხის ქალთა სიმღერებს ასრულებს. „მზეთამზე“ ბევრს მოგზაურობდა საერთაშორისო საკონცერტო ტურნეებში ფოლკლორულ ფესტივალებზე; ანსამბლი „ფაზისი“, რომელმაც მოიძია და აღადგინა უძველესი საკულტო, საყოფაცხოვრებო სიმღერები და საეკლესიო საგალობლები („ფაზისის“ ფირფიტა და ალბომი ქართული ხალხური მუსიკის ოქროს ფონდშია შესული); ქორეოგრაფიული ანსამბლი „როკვა“ (სამხატვრო ხელმძღვანელი — საერთაშორისო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატი, დოცენტი უჩა დვალიშვილი), საერთაშორისო და რესპუბლიკური კონკურსების მრავალგზის ლაურეატი.



ციური გარუჩავა ევროპის საერთაშორისო კონკურსების ფედერაციის (EMCY) წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად

ესაუბრა
**ნინო გოქიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# WINDOWS-ის ავ-კარგის შესახებ

**წინა ნომერში ზოგადად ვისაუბრეთ ოპერაციულ სისტემებზე და მათი შექმნის ისტორიაზე, თუმცა რიგითი მომხმარებლისათვის უმთავრეს კითხვაზე, მაინც რომელი ოპერაციული სისტემა ჯობია, პასუხი არ გაგვიცია. საქმე ისაა, რომ ასე ზოგადად დასმულ საკითხზე ცალსახა პასუხი ფაქტიურად არ არსებობს, პასუხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მომხმარებლის მოთხოვნილებებსა და მისი კომპიუტერის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.**



ზოგადად მხოლოდ იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ Linux-ს, როგორც წესი, უფრო ხშირად სერვერებისათვის იყენებენ, ვინაიდან გარედან შეღწევადობის თვალსაზრისით უკეთაა დაცული, ვიდრე სხვა ოპერაციული სისტემები. რაც შეეხება რიგით მომხმარებელს, ამ კატეგორიისათვის გაცილებით მოსახერხებლად Windows–ი ითვლება, ვინაიდან ის სწორედ ამ კატეგორიისათვისაა გათვლილი თავად შემქმნელების მიერ და გაცილებით სრულყოფილადაა აღჭურვილი საჭირო პროგრამებით — საოფისე პაკეტით, ინტერნეტ ბროუზერით, ფოსტის კლიენტითა და ასე შემდეგ. სწორედ ამ მოტივით, მეტ ყურადღებას Windows-ს დავუთმობთ და მის სხვადასხვა ვერსიაზე შევჩერდებით.

**Microsoft-მა კონკრეტულად კომპიუტერის უბრალო მომხმარებელზე ორიენტირებული პირველი ოპერაციული სისტემა, ყველასთვის უკვე კარგად ნაცნობი Windows XP 2001 წელს შექმნა. ამ პროდუქტმა იმდენად გაამართლა და ისე მოიცვა მთელი მსოფლიო, რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში Microsoft-ს ახალი ოპერაციული სისტემა გაყიდვაში არ გაუშვია.** მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ეს პერიოდი კომპანიას უქმად არ დაუკარგავს და 2007 წლის 30 იანვარს უკვე კაი ხნის წინ შექმნილი ახალი ოპერაციული სისტემის Windows Vista-ს გაყიდვა დაიწყო. მართალია, ახალი პროდუქტი სხვადასხვა მოტივით ბევრმა დაიწუნა, მაგრამ, სპეციალისტების ნაწილი მაინც თვლის, რომ ის საკმაოდ დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ოპერაციულ სისტემებში.

**საქმე ისაა, რომ XP-ს ბირთვი საკმაოდ სუსტია, გარკვეულ შემთხვევებში სწრაფად იწყებს „კვდომას“ და ამის გამო სისტემა არასტაბილური ხდება. Vista-ს მთავარი უპირატესობა, XP-თან შედარებით, ბევრად უფრო გამძლე ბირთვი (HAL) გახლავთ. სამაგიეროდ, ის გაცილებით მეტ რესურსს მოითხოვს კომპიუტერისაგან (განსაკუთრებით ოპერატიულ მეხსიერებას), რის გამოც უამრავ კომპიუტერზე მისი გამოყენება უბრალოდ შეუძლებელი აღმოჩნდა.** ალბათ, ამიტომაა, რომ მიუხედავად მრავალი უპირატესობისა და ახალი ტექნოლოგიისა, რომლის მხარდაჭერაც Windows Vista-ს აქვს, მან მაინც ვერ მოახერხა ბაზრიდან XP-ს გამოძევება.

Microsoft-ს ეს დეტალი გაუთვალისწინებელი არ დარჩენია და უკვე 2007 წელს განაცხადა ახალი ოპერაციული სისტემის შესახებ, რომელსაც Windows 7 ერქმეოდა და რომელიც Windows Vista-ზე იქნებოდა დაფუძნებული. ახალი პროდუქტის ბეტა ვერსია უკვე წარდგენილია საზოგადოებისათვის. „მეშვიდე“, ფაქტობრივად, Windows Vista-ს ბირთვზეა აგებული, თავსებადია მასზევე მომუშავე ყველა პროგრამასთანაც, მაგრამ მან Windows Vista-ს შეცდომა უნდა აღმოფხვრას და ბაზრის ყველა სეგმენტში უნდა შეაღწიოს. **Windows 7-ის საბოლოო ვერსიის გამოსვლა 2009 წლის ბოლოსთვის ან 2010 წლის დასაწყისისთვისაა დაგეგმილი.**

**მიუხედავად იმისა, თუ რა სიმძლავრის კომპიუტერი გაქვთ, ცხადია, უპირველეს ყოვლისა გაინტერესებთ, რომელი ოპერაციული სისტემა მუშაობს უფრო სწრაფად და რომელი ქმნის სხვა პროგრამებისთვის უფრო კომფორტულ სამუშაო გარემოს.** Windows XP-ს, Windows Vista-სა და Windows 7-ის თანაბარ პირობებში ტესტირების შედეგად ზუსტად ის პასუხი მიიღეს, რაც მოსალოდნელიც იყო — მითები Windows XP-ს ან Windows 7-ის ზესისწრაფის და Vista-ს „მაჩანჩალობის“ შესახებ დაიმსხვრა, მაგრამ ერთი რამ ცხადი გახდა: თუ ახალი ტექნოლოგიები და ახალი ტექნოლოგიების მხარდამჭერი, მათზე ოპტიმიზირებული პროგრამები გჭირდებათ, მაშინ უნდა დაივიწყოთ, რომელი ჯობია და განსჯის გარეშე შეჩერდეთ ახალ ოპერაციულ სისტემაზე. მთავარი ერთი ფაქტორია — თუ კომპიუტერის შესაძლებლობებით ვერ დაიკვეხნით, შეეცადეთ, გვერდი აუაროთ Ultimate-ვერსიებს და იმავე ოპერაციული სისტემების სხვადასხვა სეგმენტისათვის შექმნილი რამდენიმე ვერსიიდან თქვენთვის ოპტიმალური არჩევანი გააკეთოთ.

**XP-ს დაყენება რეკომენდირებულია ასეთი ან უკეთესი შესაძლებლობების მქონე კომპიუტერზე: პროცესორი — 800Mhz Celeron, RAM 256 MB, HDD 20 GB, CD ROM; Keyboard; Mouse.**

იმისათვის, რომ მის ვერსიებს შორის არჩევანი გაგიადვილდეთ, რამდენიმე, შედარებით ფართოდ გავრცელებულ, ვერსიაზე ძალზე ზოგად ცნობებს მოგაწვდით: Windows XP Media Edition მაქსიმალურად ორიენტირებულია გართობაზე, აქვს მედია სადგურის ჩანასახები, შეზღუდულია მხოლოდ დომენში ჩართვის შესაძლებლობა და, რა თქმა უნდა, ძლიერ კომპიუტერს საჭიროებს.

**Windows XP Pro მედია სადგურს არ შეიცავს, ანუ პულტების მხარდაჭერა და გასართობი ცენტრი არ მოჰყვება, სამაგიეროდ მუშაობს დომენებში და სხვა შეზღუდვა პრაქტიკულად არ აქვს, ის ფაქტიურად მოიცავს ყველაფერს, რაც კი XP–თვის შექმნილა და გათვლილია ძლიერ კომპიუტერებზე.**

Windows XP Home Edition – მთელი რიგი შეძლუდვების გამო იაფიც ღირს და საშუალო სიძლიერის კომპიუტერებზეც მშვენივრად მუშაობს. თუ თქვენი საქმიანობა არ საჭიროებს დომენ-კონტროლს, არ გაქვთ კომპიუტერზე ბევრი იუზერების ექაუნთები, რომლებსაც კვოტირება და სხვადასხვა სახის მართვა სჭირდება, მაშინ ეს სისტემა უნივერსალური გამოსავალია.

Windows XP Starter Edition შექმნილია სპეციალურად განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც ხშირად გამოიყენება მოძველებული კომპიუტერები. გამოსვლის დღიდანვე ამ ვერსიის მაქსიმალური ფასი მხოლოდ 32 დოლარი გახლდათ, შემდეგ კი ლამის განახევრდა. მასში საკმაოდ ბევრი შეზღუდვაა, რა თქმა უნდა, არ აქვს დომენ კონტროლერის მხარდაჭერა, მუშაობს მხოლოდ ერთი იუზერისთვის, არ ხერხდება სამზე მეტი ფანჯრის ერთდროულად გახსნა, არ აქვს 2 ბირთვიანი პროცესორების, HT და სხვა ახალი ტექნოლოგიური მიღწევების მხარდაჭერა.

საბოლოო ჯამში Windows XP ვრცელდება ორ მთავარ ვერსიად – Professional (ბიზნეს-მომხმარებლებისთვის) და Home (სახლის პირობებში გამოსაყენებლად). დანარჩენი ვერსიები შექმნილია უფრო ვიწრო გამოყენებისთვის და ბევრმა მათი არსებობაც არ იცის, თუმცა გამოყენების სფერო ყველას აქვს. Windows XP Professional თუ Windows XP Home Edition? პირველი XP-ს ამ სისტემის ყველა ღირსებით წარმოადგენს, მეორე კი მისი შეკვეცილი ვერსიაა. არჩევისას გადამწყვეტი მხოლოდ ფინანსური ფაქტორია — თუ თანხა არ გენანებათ, უმჯობესია, პირველ ვერსიაზე გააკეთოთ არჩევანი.

**აქვე გაცნობებთ, რომ ქართულ (და არა მარტო ქართულ) ვარეზ-სივრცეში უხვად მოიპოვება Windows XP-ს სხვადასხვა ვარიანტები, რომლებიც ფანტასტიკური შესაძლებლობების და ყველა ვირუსებისგან დაცულ XP-ს გთავაზობს. ყველა ამდაგვარი ვარიაცია მომხმარებლების მიერ „გადაკეთებული“ დისტრიბუტივებია. როგორც წესი, მათი უმეტესობა არაფრად ვარგა და დაყენებიდან რამდენიმე დღეში კარგავს სტაბილურობას.**

რაც შეეხება Windows Vista-ს, მისი 6 ვერსია არსებობს: Starter Edition (Str), Home Basic Edition (Home B), Home Premium Edition (Home P), Professional Edition (Prof), Enterprise Edition (Ent) და Ultimate Edition (Ult).

Home Basic და Home Premium ვერსიები შედარებით უკეთ მუშაობს სუსტი მონაცემების კომპიუტერებზე. Starter ვერსია შეკვეცილი შესაძლებლობებისაა, VISTA-ს სანაქებო სიახლეთა უმეტესობა მასში რეალიზებული არ არის. Home Premium Edition მათთვისაა განკუთვნილი, ვისაც სამუშაოსთან გართობის შეთავსება სურს და საამისოდ თამაშების მხარდაჭერას, ახალ გრაფიკულ გარსსა და სხვა მრავალი ფუნქციის რეალიზებას მოიცავს.

**იგულისხმება, რომ Enterprise Edition-ი შეცვლის დღეისათვის ყველაზე ფართოდ გამოყენებად Windows XP Proffesional-ს. აქედან გამომდინარე მასში რეალიზებულია თითქმის ყველა შესაძლებლობა, რაც ახალ ოპერაციულ სისტემას გააჩნია. რაც შეეხება Windows Vista Ultimate Edition-ს, მისი ანალოგი დღემდე შექმნილ ოპერაციულ სისტემებს შორის არ მოიძებნება — მასში რეალიზებულია ყველაფერი, რაც მანამდელ ოპერაციულ სისტემებში თავმოყრილი არასდროს ყოფილა.**



როგორც ცნობილია და როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, Vista-ს მთავარი ნაკლოვანება კომპიუტერული რესურსებისადმი დიდი მოთხოვნილებები იყო. სწორედ ამ პრობლემის გათვალისწინებით დაიწყო მუშაობა ახალ ოპერაციულ სისტემაზე და დღეისათვის კომპანია Microsoft უკვე თამამად ირწმუნება, რომ მისი ახალი პროდუქტი Windows-7 შესანიშნავად იმუშავებს Nettop-ებზეც კი. Windows 7-იც, უფროსი ძმის მსგავსად 6 ვერსიად გამოვა: Starter, Home Basic, Home Premium, Professional, Enterprise და Ultimate. ასე რომ, თუ თქვენი კომპიუტერი არასაკმარისი სიმძლავრის გამო Windows Vista Home Basic-საც ვერ უმკლავდება სრულყოფილად, თქვენ კი ახალ ოპერაციულ სისტემაში მუშაობა გსურთ, დაელოდეთ Windows 7-ს. მით უფრო, რომ ამ ოპერაციულ სისტემაში მუშაობას უკვე დიდ სიამოვნებად აფასებენ ბეტა ვერსიების მომხმარებლები. ცხადია, დასრულებული ვარიანტი გაცილებით მეტ კომფორტს შეგიქმნით.

მას შემდეგ, რაც საბოლოოდ შეაჩერებთ არჩევანს რომელიმე ოპერაციულ სისტემაზე, არ დაგავიწყდეთ, ვინდოუსის ჩატვირთვისა და პროგრამების ინსტალაციის შემდეგ აუცილებლად გაუკეთოთ სისტემას განახლება Windows update-ით. მართალია, ეს დროს მოითხოვს, მაგრამ განახლებების გარეშე თქვენი სისტემა უახლესი ანტივირუსის ქონის შემთხვევაშიც კი დაუცველი რჩება.

ოპერაციული სისტემის დაყენებისას უმთავრესი დისკომფორტი ყველა საჭირო დრაივერისა თუ პროგრამის მოძიებას, ჩამოტვირთვას, დაყენებასა და კონფიგურირებას უკავშირდება. შემდეგ ნომერში სწორედ ამ საკითხზე ვისაუბრებთ.

## ინტერნეტის ბერმუდის სამკუთხედები

**სადღაც უკვალოდ დაკარგული ელექტრონული წერილები და „დამუნჯებული“ საიტები, რომლებიც მომხმარებლის არანაირ მოთხოვნაზე არ რეაგირებს, ინტერნეტისათვის სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა გლობალური ქსელის „შავი ხვრელები“ და მათი გაჩენის მექანიზმები ჯერაც არაა ბოლომდე შესწავლილი.**

გაგზავნილი პაკეტების ინტერნეტში დაკარგვის პირველი ფაქტი 2001 წელს დაფიქსირდა. ერთი წლის წინათ კი ამ პრობლემის კვლევას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და უკვე მთელი წელია, ძებნის ჩვეულებრივი სისტემა ქსელში ყოველ 15 წუთში ერთხელ აგზავნის მოთხოვნას ყველა სერვერზე მათგან პასუხის მისაღებად. თეორიულად, ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია, თუ არ არის დაწესებული რაიმე შეზღუდვა, დაუკავშირდეს ნებისმიერ რესურსს. სპეციალური BGP-პროტოკოლი კი განსაზღვრავს, რომელი მარშრუტია ყველაზე მოკლე, სწრაფი და მოსახერხებელი ამ კავშირის განსახორციელებლად. როგორც გაირკვა, სწორედ BGP-პროტოკოლის მუშაობაში ჩავარდნები აჩენს გლობალურ ქსელში ბერმუდის სამკუთხედებს. 15 თვის განმავლობაში 1 300 000-ჯერ დაფიქსირდა „შავი ხვრელის“ წარმოქმნა, მაგრამ მათი რაოდენობა დროის მოცემულ მომენტში 30-ს არასდროს აღემატებოდა. მკვდარი წერტილები ინტერნეტში 15 წუთიდან რამდენიმე საათამდე ცოცხლობს, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის დღემდე დაფიქსირებული მაქსიმუმი 42 საათი და 42 წუთია. ვინაიდან მეცნიერებმა ამ პრობლემების წარმოქმნას ერთმნიშვნელოვანი მიზეზი ჯერაც ვერ მოუძებნეს, ეს არასასურველი მოვლენა ხან კაბელებს ბრალდება, ხან — ქსელის გადატვირთვას, უმეტეს შემთხვევებში კი — მომხმარებელს. პარადოქსია, მაგრამ მკვდარი წერტილები ყველაზე ხშირად კომპიუტერული მსოფლიოს ცენტრში — კალიფორნიაში ფიქსირდება. ამ რეგიონში გლობალურ ქსელს ნებისმიერ მომენტში აქვს, სულ მცირე, ერთი „ჩავარდნა“, რომელიც საშუალოდ 16 საათს გრძელდება ხოლმე. დღე-ღამის განმავლობაში ინტერნეტჩავარდნები მთელ მსოფლიოს მოივლის და მიუწვდომელს ხდის ინტერნეტრესურსების 9%-ზე მეტს.

## ამერიკას ვირუსები უტევს

**21 მაისს FBI-ს (გამოძიების ფედერალური ბიურო) და აშშ სასამართლო აღმასრულებლების სამსახურის კომპიუტერულ ქსელს ვირუსმა შეუტია.**

უსაფრთხოების მიზნით ამერიკის იუსტიციის სამინისტრომ მთლიანად გათიშა ქსელის დავირუსებული სეგმენტები, რის შედეგადაც თანამშრომლებს აღარ ჰქონდათ ინტერნეტ-ფოსტითა და კორპორატიული სისტემით სარგებლობის საშუალება. ვირუსის ტიპსა და მის წარმომავლობაზე არავინ არაფერი იცის, ექსპერტები თავდაუზოგავად ცდილობენ, სიტუაციიდან გამოსავალი იპოვონ. შეგახსენებთ, რომ შარშან კომპიუტერულმა ვირუსმა კოსმოსსაც კი მიაღწია, საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე გაგზავნილი ნოუთბუქები ქსელური თამაშების პაროლების მოსაპარი ვირუსებით იყო სავსე. მაისში ვირუსი სოციალურ ქსელს შეეყარა, ორიოდე თვის შემდეგ კი აღმოაჩინეს პრინციპულად განსხვავებული ვირუსი, რომელიც აუდიო ფაილებს ემტერებოდა. ვირუსის შეღწევის შედეგად კომპიუტერში იტვირთება ტროიანული პროგრამა, რომელიც მომხმარებლის კომპიუტერის კონტროლის საშუალებას იძლევა. აქვე შეგახსენებთ, რომ მსოფლიოში პირველი კომპიუტერული ვირუსი გაჩნდა 1988 წელს და მას შემდეგ მავნებელი პროგრამების მასიურ შემოტევებს ბოლო არ უჩანს. კასპერსკის ლაბორატორიის მონაცემებით, შარშან წინა წელთან შედარებით 4-ჯერ მეტი ახალი სახეობის მავნებელი პროგრამა შეიქმნა. გასულ წელს მავნე ინტერნეტ-პროგრამების, ვირუსებისა და ტროიანების რაოდენობამ 2,2 მილიონს მიაღწია.

# შენ მაინც გაიმარჯვებ!..

**კოტე მარჯანიშვილის ქუჩის №5-ში განთავსებული იყო გამომცემლობა „სახელგამი“, ხოლო მოპირდაპირე მხარეს, ამავე ქუჩის №4-ში, ცხოვრობდა პოეტების მეფე გალაკტიონ ტაბიძე. იგი სხვა პოეტებისა და მწერლებისგან უბრალოებით გამოირჩეოდა. გამომცემლობის კლუბი მისთვის მოხერხებულ და მყუდრო ადგილს წარმოადგენდა. იგი თავს აქ შინაურულად, როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდა. კლუბის რამდენიმე კედელზე სიტყვა „გალაკტიონოლოგია“ პირველად მან გააკრა თავისივე ხელით, რაც ჩემი თვალით ვნახე:**

**„დგომა ერთ ადგილს**
**— კვდომაა,**
**ის შემბოჭველი თოკია!**
**თუ წინ წაგვიყვანს —**
**მხოლოდ ეს;**
**ნუ ეტყვი ყოველ სიახლეს:**
**დამეხსენ, შენ კი მოგიარ!**
**პირიქით, მაღლა ავსწიოთ**
**გალაკტიონოლოგია!..“**

ძვირფასო მკითხველო!

ბოდიში მინდა მოგიხადოთ ბატონი გალაკტიონის ნებისმიერი ლექსის შემოკლებით შეხსენებისათვის, იმიტომ, რომ ვცდილობ ამ პატარა წერილში გიამბოთ ისეთ რამეებზე, რაც აქამდე არ თქმულა და არც დაბეჭდილა.

გალაკტიონი უბრალო ადამიანებთან სწრაფად პოულობდა საერთო ენას და ნავსაყუდელს. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი იყო გამომცემლობის ქალალდის საჭრელი საამქროს საწყობის გამგე. ისინი დილაობით ერთმანეთს სასაუზმეში ხვდებოდნენ. საწყობის გამგე ფულის მხარჯველი კაცი გახლდათ, როგორც იტყვიან „პირის გემოთი“ იყო ცნობილი. ასეტრინა, სალათი, ხიზილალა, გემრიელი მწვადი, ლულა ქაბაბი და ხინკალი ბატონი გალაკტიონისთვის მუდამ მზად იყო; რა თქმა უნდა, უმაღლესი, ძვირფასი კონიაკის თანხლებით. ახლა, როცა ამ ამბებს ვიგონებ, სინანულის გრძნობა მეუფლება, რატომ ერთი ფოტო მაინც არ მაქვს ამ ღმერთკაცთან გადაღებული, ამით ხომ ჩემი შვილები და შვილიშვილები იამაყებდნენ! უფრო მეტიც, თითქმის ყველა მისი წიგნი ჩვენს გამომცემლობაში გამოიცა, ერთი მაინც მქონოდა მისი ავტოგრაფით... რას იზამ, ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდობის პერიოდში, ბევრ შეცდომას უშვებს.

საინტერესოა გალაკტიონთან დაკავშირებული ერთი ისტორია.

გალაკტიონის მეზობლად ცხოვრობდა ცნობილი მწერალი, ბატონი კონსტანტინე ლორთქიფანიძე. იგი იმდროინდელ მთავრობაში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა. როგორც იტყვიან, მწერლობაში „პარადი“ მიჰყავდა. მის ბინაში ხშირად იმართებოდა წვეულება, ლხინი, ქეიფი. სტუმრად მისივე „კალიბრის“ მწერლები და პოეტები ჰყავდა ხოლმე. როგორც ირკვევა, იმ სუფრებზე, მიუხედავად მეზობლობისა, გალაკტიონს არასდროს იწვევდნენ. ერთ დღეს შექეიფიანებული გალაკტიონი, დაუპატიჟებელი სტუმრის რანგში, წვეულებაზე მისულა. რა თქმა უნდა, მასპინძლის თამადობით, საპატიო, მაგრამ დაუპატიჟებელ სტუმარს ყველა დიდი პატივით შეგებებია.

ცნობილმა თამადამ, ბატონმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ სტუმარს ძვირფასი ბროლის ვაზა თურმე ღვინით შეუვსო და მიაწოდა. გალაკტიონს თამადის მიერ მიწოდებული ვაზა აუღია,



განსაკუთრებულის მოლოდინში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდნილა, მაგრამ ჰოი, საოცრებავ! გალაკტიონს მხოლოდ ორიოდე სიტყვა უთქვამს: „ეს რა დამემართა!“ პატარა პაუზის შემდეგ კვლავ იგივე გაუმეორებია, სავსე ვაზა მაგიდაზე დაუდგამს და დინჯი ნაბიჯით აუჩქარებლად ბინიდან გასულა. ეს ამბავი ბატონმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ გულახდილად თავად მიამბო.

მეტად კრიტიკულად განწყობილი და შეფასებებში ძუნწი, ბატონი კონსტანტინე გამსახურდია წერდა: **„საქართველო მუდამ იამაყებს სამი გენიოსის სახელით. ესენი გახლავან: რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე. ხანდახან ასე მგონია, რომ ვერც რუსთაველი, ვერც ვაჟა გალაკტიონის უფაქიზეს ლირიკულ შედევრებს ვერ დაწერდნენ. მე ასე თუ ისე, ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ: გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება... მსოფლიო პოეზიაში მე არ მეგულება პოეტი, რომელსაც ამდენი შედევრი ჰქონდეს...“**

მეტად ყურადსაღებია გალაკტიონის უკანასკნელი იუბილე — სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის ორმოცდაათი წლისთავი. „გალაკტიონი მოუსვენრობდა სავარძელში, მალიმალ გააპარებდა თვალს ქოსა ბენუარისაკენ და ყასიდად უსმენდა ორატორებს, რომლებიც გარდა „ერთ-ერთი უნიჭიერესი პოეტისა“ სხვა ეპითეტს ვერ იმეტებდნენ, ხოლო გენიოსის დამსახურება ლამის იმ ფაქტამდე დაჰყავდათ, რომ მან პირველმა ახსენა ქართულ პოეზიაში ლენინი...“

საღამოს დამთავრების შემდეგ ორად ორი კაცი მიაბიჯებდა ვერის დაღმართზე. გალაკტიონი ნერვიულად მიიქნევდა გაქექილ პორტფელს და მეათედ კითხულობდა:

**— ა, ხომ დიდებულად ჩაიარა იუბილემ?**

გამხნევებას ეძებდა ღმერთკაცი.

ჩაბნელებული სადარბაზო დუმილით აიარა, აკანკალებული ხელით ძლივს მოარგო გასაღები საკლიტულს და გაბრაზებული მოისროლა პორტფელი.

...გალაკტიონის ჩანაწერები სავსეა ასეთი ფრაზებით: „საღამო ჩამიშალეს“, „ისევ მიმტრეს“, „რა დავუშავე“? „გამაგრდი, გალაკტიონ, შენ მაინც გაიმარჯვებ!..“

გალაკტიონ, შენ მართლაც, რომ გამარჯვების მწვერვალსაც კი ზემოდან გადმოხედე.

**გალაკტიონი — „მზეთა ტიტანი,**
**ახალი დროის დიდი მესია,**
**მედგარი მხრებით რომ აიტანა**
**მთაზე დიდება და პოეზია!“**

* * *

**წელიწადები წავლიან ძველნი,**
**შეიცვლებიან ქარით სიონნი,**
**როგორც ერთია ქვეყანა მთელი,**
**ისე ერთია გალაკტიონი!**

გენიოსის მიერ ღიმილით ნათქვამი სტრიქონები, მართლაც რომ ღიმილის მომგვრელია:

**ოქროყანელი ვარ მენახშირე,**
**ვირით ტფილისში სვლა**
**დავახშირე,**
**ჩემს შეძახებას ისმენს**
**გზა ხშირი:**
**— აბა, ნახშირი, კარგი ნახშირი!**
**მეც ავიკიდე, ვირსაც ავკიდე,**
**ცოტაცა დამრჩა,**
**ბევრი გავყიდე,**
**როს აივანზე ქალი თმახშირი**
**ნაზად მეძახის: —**
**რა ღირს ნახშირი?**
**ვუთხარ: აიღე, რაიც დიდია,**
**რომელი გინდა, მომიყიდია;**
**გინდა აიღე, ვირს რომ ჰკიდია,**
**გინდ — ეს აიღე, მე რომ მკიდია!**
**ქალმა დამწყევლა ლამაზი**
**პირით:**
**— მომკვდარხარ შენცა**
**და შენი ვირიც,**
**ოხრად გაგფშვნია შენი**
**ნახშირიც,**
**მეხი დაგეცეს, მიწამ გყოს პირი!**
**წყევლამ არ გაჭრა,**
**მივალთ ტაატით**
**მე და ეს ჩემი დიდყურაანთი**
**და შეძახებას ისვრის გზა ხშირი:**
**— აბა, ნახშირი, კარგი ნახშირი!**

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ნიჭიერი მურმან ლებანიძე ეკითხება გალაკტიონს:

**ჩემს გალაკტიონს**
**მე ვკითხე ერთხელ**
**(ის მთვრალი იყო,**
**როგორც ყოველთვის):**
**— ბატონო გალაკტიონ,**
**თქვენ პირველი ხართ,**
**დაგვისახელეთ მეორე პოეტი...**
**უცებ, ჭინკებით გაევსო**
**თვალი —**
**თვისი სიმაღლით**
**ის იყო მთვრალი,**
**— საქართველოში??? —**
**ჩაიქირქილა**
**და ლომურ წვერზე**
**მოისვა ბრჭყალი...**

როგორც ირკვევა ბატონ გალაკტიონს ახალგაზრდობიდანვე აედევნა თვითმკვლელობის დემონი: პირველი ცდა — 1909 წელს, უკანასკნელი — 1959 წელს!

სწორედ რომ უკანასკნელი წლის მარტის თვეში დაწერა ეს ლექსი მურმან ლებანიძემ. ამ ლექსის სტრიქონებით მინდა დავამთავრო უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე გენიოსი პოეტისა:

**ყვავილების მდინარეს**
**კუბო ცისკენ მიჰქონდა:**
**იწვა გალაკტიონი და**
**თავისას ფიქრობდა.**
**აღმართ-აღმართ მდინარე**
**მთაწმინდისკენ დიოდა,**
**იწვა გალაკტიონი —**
**მოხუცს ბეჭი სტკიოდა...**
**...ეს სიკვდილი, ეს დაფნა,**
**ეს მზე ოქროცურვილი —**
**იყო ეს ყველაფერი**
**მხოლოდ მისი სურვილით....**
**რაღაც პათეტიკური მას**
**სიკვდილშიც დაჰკრავდა,**
**იწვა, როგორც ყოველთვის,**
**ახლაც არვის არ ჰგავდა.**
**ერთი-ორი სხვაც ჰყავდა,**
**ვინც მშობლისთვის იბრძოდა,**
**მაგრამ ვისაც მარხავდა,**
**საქართველომ იცოდა!**

**ჟანი სიხარულიძე**




გ. ფირცხალავას ნახატი

## მე შაირი არ მინდოდა...

ამბობენ, ვანოს ახალი
გაზი ჰქონია — შარდმდენი,
რა გულმა უნდა გაგიძლოს,
რომ აიტანო ამდენი?

ვარდების ბაღი ხომ გვქონდა?
ახლა გვაქვს როუზგარდენი
და ყვავილების ფესტივალს
მიტომ მასპინძლობს შარდენი.

ზვიადის დროშა გაშალეს,
შეკრბა დიდუბეს აქცია,
ამდენმა მიტინგობანამ
ხომ ხედავთ, რადაც გვაქცია?

დასავლეთიდან „გრეჩიხამ“
ჩამოიყვანა ლაშქარი,
მიშა მიდისო! — გვითხრეს და
მივუგეთ, — თქვენს პირს... შაქარი!

ნამდვილად აღარ გვჭირდება
აწი ადგილის შერჩევა,
მიშა მუხათგვერდს ეწვია,
ამბობენ, მიწას ეჩვევა!

რა დავაშავეთ ასეთი,
ვისი რა წყევლა აგვიხდა?
ალასანიას ძებნაში
სააკაშვილი წაგვიხდა!

უკვე ცალ-ცალკე გრძელდება
კოკო-გუბაზის თამაში,
ნეტავი, გამაგებინა,
კარგს რას ხედავენ ამაში?

ბათუმში აღიმართება
თავისუფლების „ფაკელი“,
ახლა ვინ უნდა გარეცხოს
ამდენი ტონა ნაკელი?

ჩვენი ქვეყანა შენდება,
მიღწეულია მიზანი,
პრემიებს ისევ იღებენ
ორჯონიკიძე იზანი.

როცა მოგშივა, ძამიკო,
დავლურს იცეკვებ ხურდაზეც!
ასე მიიღო პრემია
მხატვარმა ჯიბსონ ხუნდაძემ!

უბეში უდევს ძიძიგურს
თავისი მცირე მაკეტი,
გვახსოვს მაგისი რკინიგზაც —
სამტრედიაში ნაკეტი!

რაკი ამბოხდა უეცრად,
ხელში ეჭირა „სტეჩკინი“,
ოთანაძესთან ადვოკატს
არ უშვებს შაშკინ-ბეშკინი.

არ ეპუება არც ვანოს
და აღარც ბეშკინ-შაშკინებს,
ოთარ მელვინეთუხუცესს
მარტო გურანდა აშინებს.

ისევ რკინიგზებს კეტავენ,
უფალმა უწყის, ვისია
გაფუჭებული საქმე და
ჩასვრილი ოპოზიცია!

ხარობს მორიგი ტრიუმფით
მიშას ვეზირიც, ნაზირიც...
ეგრე მტერი დაგეცალოთ,
როგორც რუსთველის გამზირი!

ძალიან იქაჩებოდნენ
(ვანოს კომბალი დიდია!)
კუდები ამოიძუეს
და ახლა სახლში მიდიან!

ისევ იცვლება ეპოქა,
ნამდვილი, განა ჭორია...
შორია გურჯისტანამდე? —
ნატომდე უფრო შორია!

**გეგა ბაიტიანი**

რეკლამისათვის დარეკეთ:
38 41 97

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
გამომცემელი ტარიელ გაგნიძე
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5; ტელ.: 38 41 97
მკითხველთა კორესპონდენცია მიიღება ელექტრონულ მისამართებზე:
info@geworld.net; geworld@mail.ru